კვირის პალიტრა

ალმოაჩინე ყოველი კვირა

WWW.KVIRISPALITRA.GE

№41 (1524) ◆ 9 - 15 ოქტომბერი, 2023 წ. ◆ ფასი 2 ლარი

სიახლე

პალიტრა L-ისგან ყოველი **ორშაბათიდან** ახალი წიგნი **სპეციალურ ფასად**

პრესის გარეშე

ბაბაცანი დიდი ადამიანები

ტომი 4



სპეციალური ფასი: 15 ₾

ასაკი: 8+

9 ოქტომბრიდან 16 ოქტომბრამდე

იკითხეთ ბიბლუსის ფილიალებსა და პრესის ჯიხურებში

„ფრონტის ხაზი“ საქართველოსთან?!

„უკრაინული რაკეტები ოჩამჩირეს ვერ მისწვდებიან, სამაგიეროდ, მისწვდებიან დრონები. შესაბამისად, შესაძლოა საქართველოს დე იურე ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებები მივიღოთ. ქვეყნის უსაფრთხოება დარტყმის ქვეშ დადგება, რომ არაფერი ვთქვათ ანაკლიის პორტის პროექტზე...“

„სევასტოპოლის პორტიდან გაქცეული რუსული ფლოტის ნაწილი ოჩამჩირისთვის აპირებს თავის შეფარებას. უკრაინელებისთვის და მათი მოკავშირეებისთვის კი რუსული შავი ზღვის ფლოტის განადგურება ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა, რადგან უკრაინის დაბომბვაში ეს გემები ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ“

გვ.2,3,4,5

პრეზიდენტი განაჩენის მოლოდინში

აქვს თუ არა „ოცნებას“ 103 ხმა, რომ ზურაბიშვილი თანამდებობიდან გადააყენოს

გვ.8,26

მოპედებით დაწყებული სასტიკი ომი!!!

ნაღმი, რომელმაც შესაძლოა მთელი არაბული სამყარო ააფეთქოს

„მთელი მსოფლიო კითხულობს — რატომ და როგორ „ჩაჯარდა“ ნაქები ისრაელური დაზვერვა“

რას იზამს ირანი, რომელიც ისრაელს დღემდე არ ცნობს

გვ.2,3,4

14 წლის გოგოს შემზარავი მკვლელობის დეტალები

გვ.2,3

ირაკლი მელაშვილი: „დიახ, ოპოზიციის ნაწილმა შესაძლოა იმპიჩმენტს მხარი დაუჭიროს“

გვ.6,7

მიხეილ დაუშვილი: „ნაცმოძრაობას“ „ოცნებასთან“ ფარული მოლაპარაკება აქვს“

გვ.25

გიორგი ვაშაძე: „აუხსენით გახარიას პარტიას, რომ ამდენი ლაპარაკით თავს „იწვავენ“

გვ.25

სუპერკუპონი!

ამოჭერი, შეაგროვე, ააწყვე!

დაზოგე 30 ლარი

და მიიღე საოცნებო ფასდაკლება „ბიბლუსის“ წიგნის მაღაზიებში!

ააწყვე წიგნის 4 ნაწილად დაშლილი ყდა

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის!

დიდება უკრაინას!

კვირის თემა

ნალმი, რომელმაც შესაძლოა მთელი

7 ოქტომბერს მსოფლიომ, ფაქტობრივად, ახალი ომის რეალობაში გაიღვიძა. გამთენიისას, ადგილობრივი დროით დილის 7 საათზე, ისრაელზე ღაზის სექტორიდან საჰაერო და სახმელეთო შეტევა დაიწო, რაზეც პასუხისმგებლობა აიღო ტერორისტულმა ორგანიზაცია „ჰამასმა“, ისრაელის წინააღმდეგ ოპერაცია „ალ-აქსას ქარიშხლის“ დაწყება გამოაცხადა და თქვა, რომ ესაა შურისძიება ალ-აქსას მეჩეთის გამო. მისი ლიდერის მტკიცებით, ისრაელის მიმართულებით 5 000 რაკეტა ისროლეს. საჰაერო განგაში ჩაირთო თელ-ავივსა და ღაზის სექტორიდან 70 კილომეტრით დაშორებულ სხვა ქალაქებშიც. შეიარაღებული პირები შეიჭრნენ აშკელონსა და სდეროთში, სადაც ისრაელის თავდაცვის ძალებს დაუპირისპირდნენ. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ისრაელზე „ჰამასის“ მოულოდნელი საჰაერო თავდასხმის შემდეგ პირველ განცხადებაში თქვა, რომ ქვეყანა ომშია. „ისრაელის მოქალაქეებო, ეს არ არის სამხედრო ოპერაცია ან კონფლიქტის ესკალაცია, ჩვენ ომში ვართ... და ჩვენ გავიმარჯვებთ. მტერი გადაისდის იმ ფასს, რის შესახებაც აქამდე არც სმენიათ“, — განაცხადა მან. პრემიერმა გასცა ბრძანება ფართო სარეზერვო მობილიზაციას შესახებ და მოიწვია უსაფრთხოების უწყებების ხელმძღვანელები. ქვეყანაში გამოცხადდა საომარი მდგომარეობა. ისრაელის თავდაცვის ძალების ინფორმაციით, „ჰამასის“ თავდასხმაზე საპასუხოდ მათ ოპერაცია „რკინის ხმლები“ დაიწყეს. სწორედ ამ ვითარების შეფასებით დავიწყეთ ინტერვიუ საერთაშორისო საკითხთა სპეციალისტ გიორგი გოგრონიძესთან:

„ცალსახაა, რომ ეს თავდასხმა ასეთი მასშტაბური არ იქნებოდა, რომ არა ირანის ისლამური რესპუბლიკის მხარდაჭერა, ის პოლიტიკა, რასაც ირანი წლებია ატარებს ახლო აღმოსავლეთში“

— ის, რაც ხდება, ვერ ვიტყვით, რომ მთლად მოულოდნელი იყო. საქმე ის არის, როდესაც იწყება გლობალური უსაფრთხოების სისტემების რღვევა, ამას მოჰყვება შედეგები. შესაბამისად, სხვადასხვა ცხელ რეგიონში კიდევ უნდა ველოდოთ, რომ თავგაცხელებული ადამიანები არა მარტო პროვოკაციებს დაგეგმავენ, არამედ ასეთ მძიმე, აგრესიულ ნაბიჯებსაც გადადგამენ. ცალსახაა, რომ ეს თავდასხმა ასეთი მასშტაბური არ იქნებოდა, რომ არა ირანის ისლამური რესპუბლიკის მხარდაჭერა, ის პოლიტიკა, რასაც ირანი წლებია ატარებს ახლო აღმოსავლეთში. სამწუხაროდ, ევროპის გარდა, ცხელი წერტილი მივიღეთ უკვე ახლო აღმოსავლეთშიც და ამას ისრაელის პრემიერმა უკვე დაარქვა ომი. დარწმუნებული ვარ, ისრაელისგან აუცილებლად ძალიან მძიმე და მასშტაბური პასუხისა და შურისძიების მომსწრენი გავხდებით.

— **გამოითქვა ვარაუდი, რომ ტერორისტულ ჯგუფ „ჰამასის“ უკან, ირანთან ერთად, შეიძლება იდგეს რუსეთიც.**

— ისეთ დროში ვცხოვრობთ, ვერაფერს გამოვრიცხავთ. ძალიან ბევრი რამ ჯერ უცნობია და რთულია იმაზე მტკიცებით ლაპარაკი, ამ ყველაფერში ვინ შეიძლება იყოს გარეული. შეიძლება რუსეთი იყო კიდეც ამ თავდასხმის მომზადებაში ჩართული, თუ რა ფორმით და როგორ, ვფიქრობ, ეს დამალული ვერ დარჩება და მალე გამოჩნდება, თუმცა დღეს ამის თქმა დანამდვილებით გამიჭირდება, რადგან ამის მტკიცებულება არ ჩანს.

რაც შეეხება ირანს, იმის გათვალისწინებით, რომ ისრაელში ეს ოპერაცია წამოიწყეს იმ ჯგუფებმა, რომელთა ხელშემწყობად და სპონსორად რეგიონში ირანი გვევლინება, გვაქვს საფუძვლიანი არგუმენტი, რომ ამ ყველაფრის უკან შეიძლება იდგეს სწორედ ეს ქვეყანა. დარწმუნებული ვარ, ამას აუცილებლად მოჰყვება ისრაელისგან პასუხი, რომელიც გასცდება ღაზის სექტორს და იმ არაბულ ჯგუფებს, ვინც სისხლის ღვრაზე წავიდნენ. ეს, სავარაუდოდ, მოიცავს სირიის იმ ნაწილს, სადაც დამყარებულია ირანული არმიის კონტროლი. უკიდურეს შემთხვევაში პირდაპირ ირანის წინააღმდეგ განსაზღვრული ღონისძიებების გატარებასაც ვერ გამოვრიცხავთ.

ის პროცესი, რაც ახლა დაიწყო, მნიშვნელოვანწილად დაუსვამს კითხვის ნიშანს ირანის დასავლეთთან მოლაპარაკებების წარმატების ალბათობას, გამომდინარე იქიდან, რომ ისრაელი არაფრით არ დაუშვებს მოლაპარაკებების გაგრძელებას.

ირანმა დასავლეთის წინააღმდეგ ისედაც გადადგა ნაბიჯები, რაც მისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობითაც იყო განპირობებული, როდესაც რუსეთისთვის იარაღის მიყიდვა დაიწყო, დღეს კი ისე ჩანს, იმ დროს, როდესაც დასავლეთის მთელი ყურადღება მოგილიზებულია ევროპაში არსებულ კრიზისზე, გამოიყენა ეს შესაძლებლობა და ცდილობს საკუთარი პოზიციები განამტკიცოს ახლო აღმოსავლეთში.

რამდენად გამოუვა, ეს საკითხავია, პირადად მე, არა მგონია, გამოუვიდეს...

— **როგორ შეიძლება აისახოს ახალი კონფლიქტი რუსეთ-უკრაინის ომზე?**

— ალბათ, ერთხანს ყურადღება გადავა ისრაელზე, საინფორმაციო ველზე გადაიფარება ომი უკრაინაში, მაგრამ ვითარებას არსებითად, ვფიქრობ, ნაკლებად შეცვლის, რადგან დასავლეთს უკვე აღებული აქვს უკრაინის წინაშე ვალდებულებები, ვგულისხმობ, სამხედრო დახმარებას, უკვე კეთდება ბევრი რამ, თუნდაც იარაღის წარმოების მხრივ. ამიტომაც ძალიან საეჭვოა, ეს პროცესი შეფერხდეს.

ამასთან, ისრაელს არაფერი სჭირს საიმისო, რომ კრიზისის გასამკლავებლად სამხედრო დახმარება გარედან მიაწოდონ. მას აქეთ შეუძლია, ამ პირობებშიც კი, სხვას აღმოუჩინოს სამხედრო დახმარება, თუ საჭირო გახდა. მოკლედ, ჩემი აზრით, ეს უკრაინაში ბრძოლის ველზე ვერაფერს შეცვლის, თუმცა საერთაშორისო ეკონომიკაზე ახალი კონფლიქტი აუცილებლად აისახება ზუსტად ისევე, როგორც საზოგადოდ ახლო აღმოსავლეთის კრიზისები მოქმედებს ხოლმე, ვგულისხმობ, ენერგომატარებლებზე ფასების ზრდას.

დარწმუნებული ვარ, ამას აუცილებლად მოჰყვება ისრაელისგან პასუხი, რომელიც გასცდება ღაზის სექტორს და იმ არაბულ ჯგუფებს, ვინც სისხლის ღვრაზე წავიდნენ. ეს, სავარაუდოდ, მოიცავს სირიის იმ ნაწილს, სადაც დამყარებულია ირანული არმიის კონტროლი

ის, რომ რიგი დასავლური ქვეყნების პოლიტიკურ ძალებში და საზოგადოებაშიც გაჩნდნენ ჯგუფები, რომლებიც უკრაინისთვის დახმარების მასშტაბის გადახედვაზე ალაპარაკდნენ, ბუნებრივი და კანონზომიერი პროცესია. ვიღაცებს, როგორც ჩანს, თავიდან ეგონათ, მარტივად გამოვიდოდა რაღაცები, თუმცა ნათლად ჩანდა, რომ ამ ომში მარტივი არაფერი იქნებოდა. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება რუსეთ-უკრაინის ომი, მით მეტად გაჩნდება სკეპტიციზმი, დაისმება კითხვები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დასავლელი აქტორები, რომელთაც ამ ომში ფუნდამენტური ინტერესები აქვთ, უკან დაიხევენ. ვფიქრობ, პარტნიორები უკრაინას მოსთხოვენ უფრო მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს დონორების მიმართ, მეტად იზრუნოს იმაზე, რომ მოიხსნას კითხვები, თუ რამდენად მიზნობრივად იხარჯება ის დახმარება, რომელსაც უკრაინა იღებს. ასევე მოითხოვენ, რომ რესურსების ალოკაცია უკრაინამ უფრო ეფექტიანად მოახდინოს.

— **გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში, კერძოდ, ოჩამჩირეში რუსული საზღვაო ძალების ახალი, მუდმივი ბაზის გახსნა იგეგმება. ეს ინფორმაცია ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ლიდერმა ასლან ბჟანიამ გაავრცელა. „ჩვენ გავაფორმეთ ხელშეკრულება და უახლოეს მომავალში ოჩამჩირის რაიონში, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მუდმივი ბაზა იქნება“, — განაცხადა ბჟანიამ.**

— ჩვენს რეგიონში ლამის ყოველდღიურად იცვლება ვითარება, თანამედროვე კა-

კვირიდან კვირამდე

დუმილის მსხვერპლი?!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში უმძიმესი მკვლელობის საქმეზე გამოძიება გრძელდება. 28 წლის ალიმ ასლანოვ-სადიგოვს ბრალად ედება არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ცოლის, 14 წლის გოგონას მკვლელობა. ირკვევა, რომ გოგონა ბრალდებულმა მოიტაცა და 2 თვეზე მეტხანს სოფელ ლამბალოში სახლში გამოკეტა. გოგონა იძულებითი ქორწინების წინააღმდეგი იყო და გაქცევას ცდილობდა. ამბობენ, რომ ამის გამო ხშირად ჩხუბობდნენ, რადგან გოგონას გაქცევა ადრეც უცდია. ერთი ვერსიით, მოზარდმა ამჯერადაც სცადა გაქცევა, სწორედ ამ დროს მოძალადემ ცეცხლსასროლი იარაღიდან სამჯერ ესროლა და მოკლა.



ტრაგედია დამნაშავის ბიძის სახლში დატრიალდა, ამ შემზარავ ფაქტს თვითმხილველები ჰყავს — იქ იმ დროს ხალხი იყო შეკრებილი, რადგან ბიძის ოჯახი შვილის ქორწილისთვის ემზადებოდა. როგორც ამბობენ, თავად ბრალდებულსაც ჰქონდა ქორწილი დაგეგმილი 15 დღეში.

ასლანოვების მეზობლები ამბობენ, რომ ბრალდებულს ფსიქიკური პრობლემები აქვს.

28 წლის ბიჭს გოგონა მოტაცებული რომ ჰყავდა, ეს იცოდა მერის წარმომადგენელმა სოფელ ლამბალოში ალიხარ აბდულაევმა, თუმცა ირწმუნება, რომ არ იცოდა გოგონას ასაკი. „იმ ბიჭს შორიდან ვიცნობ. სამი თვე იქნება, რომ გავიგეთ, დმანისელი გოგო მოიტაცაო. ბიჭმა მოტაცებამდე ერთი თვით ადრე დანიშნა. არ ვიცოდი გოგო 14 წლის რომ იყო. ეს არც პოლიციამ იცოდა. როგორც ვიცი, გოგოს ოჯახი არ იყო ამ ქორწინების წინააღმდეგი“.

არაბული სამყარო ააფეთქოს?!

ვკასიის უსაფრთხოების ლანდშაფტი ძალიან დიდი დინამიკით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ამ დიპლომატიური ბეწვის ხიდის რეჟიმს ვერ გავცდით. გვიწევს ძალიან რთულ ვითარებაში მანევრირება, ამიტომაც დღეს გასამმაგებული სიფრთხილე მართებს ყველას, რათა არ დავუშვათ ისეთი შეცდომები, რაც არა მარტო საერთაშორისო იმიჯს დააზიანებს, არამედ მოკლევადიან პერსპექტივაში ძალიან სერიოზულ პრობლემებს შეგვიქმნის.

რაც შეეხება ბაზის საკითხს, ჩემი აზრით, რუსეთმა ეს უპირველესად იმიტომ განაცხადა, რომ აჩვენოს, თითქოს შავ ზღვაზე პოზიციას ინარჩუნებს. არადა, ასე არ არის. მან დაკარგა შავ ზღვაში დომინანტის როლი მას შემდეგ, რაც ომში მისი შავი ზღვის ფლოტის უმნიშვნელოვანესი ნაწილი განადგურდა. მარტო კრეისერ „მოსკვას“ ჩაძირვა რად ღირს... კრემლს შეუძლია იძახოს, რომ ოჩამჩირეში მუდმივ საზღვაო ბაზას აკეთებს, მაგრამ თუ აღარაფერი იქნება იქ დასაყენებელი, იძახებს და ამით დასრულდება ყველაფერი. გარდა ამისა, ჩვენ უნდა მივიღოთ მოცემულობა, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი არ არის მხოლოდ ოკუპირებული რეგიონები, ეს ტერიტორიები, ფაქტობრივად, ანექსირებულია. ის, რომ მათი მიერთება არ გამოუცხადებია კრემლს, სულაც არ ნიშნავს, რომ ამ რეგიონების ბიუჯეტი რუსეთის ფედერალური ცენტრალური ბიუჯეტიდან არ ფინანსდება და თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს რუსეთის მოქალაქეები არ მართავენ. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ინალ არძინბა სხვა არავინაა, თუ არა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკი. აქედან გამომდინარე, არ უნდა გვიკვირდეს მსგავსი გადაწყვეტილებები. პირადად მე არა მგონია, რომ ამით განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება საქართველოს, მაგრამ ეს არის პრობლემა თურქეთისა და დასავლეთისთვის — ნატოს წევრი ქვეყნებისთვის შავი ზღვის აუზში, თუ, რა თქმა უნდა, მართლა რამეს გააკეთებს რუსეთი ამ ბაზაში. რა ვიცი, ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ, დიდ დიღომში კოსმოდრომი გავაკეთეთო, მაგრამ ეს საქართველოს კოსმოსურ სახელმწიფოდ აქცევს?

— პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, ოჩამჩირეში რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზის გახსნა დიდი ნაღმია შავი ზღვის უსაფრთხოების, ხვალინდელი ანაკლიის პორტისა და საქართველოს ევროპული გზისათვის. გარდა ამისა, სამხედრო ექსპერტების ნაწილის აზრით, თუ რუსული ხომალდების ნაწილი მართლაც გადმოვა ოჩამჩირეში, მოსალოდნელია, რომ ისინი უკრაინულ რაკეტებს აქაც ვერ დაემალებიან.

— გამიჭირდება ამ განცხადებების კომენტირება, ბოლოს და ბოლოს, რაღაც ნაწილის დაყენება აქამდეც შეეძლო ამ პორტში რუსეთს. მიმაჩნია, რომ ეს განცხადება მიზანმიმართულად და დემონსტრაციულად გააკეთეს იმიტომაც, რომ საქართველოში ვნებათაღელვა გამოეწვიათ, ჩვენ ხომ ცივი გონებით აზროვნება გვიჭირს. თან როგორ აკეთებენ ამას,

ცალი ხელით აგერ ლავროვი აძეგს ჩვენს ხელისუფლებას, მეორე ხელით კიდევ ასეთ პროვოკაციებს გვიგდებენ. ეს არის ყოვლად არასერიოზული და არასანდო ქვეყანა. მას, როგორც პარტნიორს, ჩალის ფასიც არა აქვს და ეს სომხეთის მაგალითმაც აჩვენა.

უნდა ვიმუშაოთ და ყველაფერი გავაკეთოთ, რომ არ ვიყოთ ამ ქვეყანაზე დამოკიდებული. ნურავის ექნება იმის ილუზია, აი, ჩვენ კარგად მოვიქცევით და რუსები ამის სანაცვლოდ რაღაცას გადმოგვიგდებენო. არ შეიძლება რუსეთის ნდობა!

სამწუხაროდ, ვხედავთ ჩვენი ხელისუფლების რუსეთთან დაკავშირებულ ძალიან გაუგებარ ნაბიჯებს. მე მიმაჩნია, რომ ეს ხელისუფლება პრორუსული კი არ არის, არამედ იმდენად სუსტია, მასთან მცირე დაპირისპირებაც კი აშინებს და ამიტომ იქცევა ასე, თითქოს ძალთა დაბალანსებას ცდილობს, ცდილობს ლავირებას, რაც შეიძლება გავიგოთ კიდეც, მაგრამ სხვა საქმეა, რამდენად სწორად და პროფესიონალურად აკეთებს ამას, თანაც ეს მხოლოდ ხელისუფლების საქმე არ არის. შესაბამისად, პოლიტიკურმა ძალებმა ქვეყანაში თუ უნდათ ერთმანეთი, კეთილინებონ, დასხდნენ და ჩამოაყალიბონ ერთიანი პოზიცია საგარეო საფრთხეებთან გასამკლავებლად. ჩვენი უსაფრთხოების პოლიტიკა საშინლად არაინკლუზიურია, პრაქტიკულად, არა გვაქვს უსაფრთხოების კონცეფცია. ამიტომაც აუცილებელია მუშაობა, რისთვისაც საჭიროა ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსი. ქვეყანაში, რომლის ტერიტორიებიც ოკუპირებულია, არ შეიძლება მოსახლეობის მცირე ნაწილიც კი მიიჩნევდეს, რომ რუსეთი მტერი არ არის. ქვეყნის გარეთ საზოგადოება და სახელმწიფო უნდა ლაპარაკობდეს ერთი ხმით, როგორც ამას აკეთებენ თუნდაც ისრაელელები. ქვეყანაში შეიძლება მართლა უმწვავესად უპირისპირდებიან ერთმანეთს პოლიტიკური ძალები, მაგრამ მტრისადმი განსხვავებული დამოკიდებულება არავის აქვს. ჩვენთან რა ხდება? — პოლიტიკური ძალები, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, საკუთარი პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებაზე ზრუნავენ მხოლოდ და ქვეყნის ინტერესები მათთვის მეორეხარისხოვანია.

წარმოიდგინეთ, ჩვენთან რა მდგომარეობაა — შიდასახელისუფლებო, უწყებრივი დაპირისპირება გვაქვს, რომელიც გამომდინარეობს უპირველესად პიროვნული პრობლემებიდან.

— პრეზიდენტის წინააღმდეგ წამოწყებული იმპიჩმენტის პროცესს გულისხმობთ?

— დიახ, პრობლემა ის არის, რომ სალომე ზურაბიშვილი ჯიუტია, თავისი პოზიცია აქვს და არ უჯერებს მმართველ გუნდს. ამიტომაც ცდილობენ მის შეზღუდვას და არ აძლევენ უცხოეთში ვიზიტით წასვლის ნებას. სულ ეს არის ამ იმპიჩმენტის საფუძველი. არადა, ეს როგორ იკითხება ქვეყნის გარეთ, ამაზე არავინ ფიქრობს. ეს შიდაუწყებრივი, პიროვნულ დონეზე დამყარებული კინკლაობა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს პირდაპირ ანადგურებს.

სამწუხაროდ, ხელისუფლება მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნების პრიზმაში ხედავს ყველაფერს და მთელი მისი მოქმედება, დაწყებული გადატრიალების თემით და კარვების დადგმის აკრძალვით დასრულებული, მხოლოდ მომავალი არჩევნებისთვის მზადებით აიხსნება. ამერიკელი მეცნიერი რიჩარდ ჯექსონი „დაუცველობის დილემას“ უწოდებს ვითარებას, როდესაც ხელისუფლება საკუთარი რეჟიმის არსებობასა და სახელმწიფოს ნაციონალურ უსაფრთხოებას ერთი და იმავე სიბრტყეზე აყენებს. ეს პრობლემა საქართველოს წლებია აქვს, იმიტომ, რომ ჩვენ სუსტი სახელმწიფო ვართ და ხელისუფალიც სუსტი გვყავს. მათ ეშინიათ დემოკრატიული პროცესის, მათი ერთადერთი ამოცანაა დიდხანს დარჩნენ ქვეყნის სათავეში. სად გინახავთ ხელისუფლებაში მოსული ქართველი, რომელსაც წასვლა უნდოდეს?! ამას მე დავარქმევდი ქართველი პოლიტიკოსის სინდრომს, რაც გულისხმობს სავარძლებს ჩაბღაუჭებულ ხალხს.

— როგორ ფიქრობთ, მიიყვანს „ქართული ოცნება“ იმპიჩმენტის პროცესს ბოლომდე? ვიცით, რომ ამ ეტაპზე პარლამენტში ხმების საკმარისი რაოდენობა არა აქვთ.

— რა ვიცი, მრავალფეროვნებისთვის იყოს იმპიჩმენტიც... გვყავს ჩამოგდებული და მოკლული პრეზიდენტი, ასევე დაპატიმრებული თუ მშვიდობით გაშვებული... ახლა გვეყოლება იმპიჩმენტით გასტუმრებული. სიმართლე გითხრათ, ამ ოპოზიციის ხელში არაფერი გამიკვირდება. ჩემი აზრით, საერთოდ არ აინტერესებს ოპოზიციას ეს საკითხი. ზურაბიშვილი მათთვის არც პოლიტიკური მხარდამჭერია და არც ოპონენტი. ზურაბიშვილი საქართველოში პოლიტიკურ გარემოს არსებითად ვერ ცვლის. ქალბატონი სალომე არის ის პრეზიდენტი, რომლის ხელისუფლებაში მოსაყვანადაც ბატონი კობახიძე პლაკატებზე თვითონ პოზირებდა. შესაბამისად, ეს არის პრობლემა კობახიძესა და პრეზიდენტს შორის. ჰოდა, ამ ორმა მიხედოს საქმეს.

სხვა სამარცხვინო თემაა ის, თუ წინასწარ როგორ აბრალებენ ოპოზიციური ძალები ერთმანეთს, რომ მმართველ ძალას მიეყიდებიან. ამაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო.. ჩემი აზრით, ოპოზიციისთვის არაფერი იცვლება სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტად დარჩენით თუ წასვლით. მიუხედავად მისი საერთაშორისო კავშირებისა, სალომე ზურაბიშვილი პოლიტიკურ პარტნიორად ვერ გამოდგება ისევ და ისევ მისი ძალიან ჯიუტი ხასიათის გამო. „ქართულ ოცნებასაც“ ეგონა, რომ მის მართვას შეძლებდა, მაგრამ კარგად ვნახეთ, რა გამოუვიდათ. ჰოდა, ახლა გაბრაზებულ გულზე იმპიჩმენტს უწყობენ.

— გასულ კვირას პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ესპანეთის ქალაქ გრანადაში გამართულ ევროპის პოლიტიკური გაერთიანების რიგით მესამე სამიტში მიიღო მონაწილეობა, რის მერეც განაცხადა, რომ ევროპელები პოზიტიურად აფასებენ იმ პროგრესს, რომელსაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია და რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაში საქართველოს, დიდი ალბათობით, მხარდაჭერა ექნება.

— ჩემი აზრით, სტატუსის მინიჭების საკითხი 50/50-ზეა. ჩვენ ეს სტატუსი უნდა მიგვეღო მაშინ, როდესაც უკრაინასა და მოლდოვას მისცეს. უკრაინა გასაგებია, მაგრამ მოლდოვაზე უარესი არაფრით ვართ. ის, რომ საქართველო გამოყვეს ამ ორისგან, ძალიან დიდი შეცდომა იყო, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მანამდე ურსულა ფონ დერ ლაიენმა გააფორმა შეთანხმება აზერბაიჯანთან ბუნებრივი აირის მიწოდების გაზრდაზე, მაგრამ რომელ ქვეყანაზე უნდა გაიაროს ამ აირმა, ალბათ, ამაზე არ დაფიქრებულან. ევროპას სჭირდება ეს რეგიონი და ქვეყანა, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ კიდევ არ მივიღეთ სტატუსი, ჩვენი მარცხის გარდა, ეს იქნება ევროკავშირის დიდი ჩავარდნა სამხრეთ კავკასიაში.

„დღეს გასამმაგებული სიფრთხილე მართებს ყველას, რათა არ დავუშვათ ისეთი შეცდომები, რაც არა მარტო საერთაშორისო იმიჯს დააზიანებს, არამედ მოკლევადიან პერსპექტივაში ძალიან სერიოზულ პრობლემებს შეგვიქმნის“

ნათია დოლიძე

იცოდნენ თუ არა გოგონას მოტაცების ამბავი სკოლაში, ამის გარკვევა ადგილობრივი რესურსცენტრის წარმომადგენელთან ვცადეთ. ქალბატონი **მაია ხმალაძე** ამბობს, რომ სკოლამ გოგონას გათხოვების ამბავი მისი მკვლელობის შემდეგ გაიგო: „ამ სასწავლო წელს გოგონა სკოლაში არ მოსულა. როგორც სკოლის დირექტორი ამბობს, 23 სექტემბერს დამრიგებელმა მშობელთან დაკავშირება სცადა, მაგრამ ის არ გამოდიოდა კონტაქტზე, 5 ოქტომბერს კი სკოლაში დაიბარეს... გვითხრა, რომ გოგონა გარდაბანში სტუმრად იყო წასული და 2 დღეში სკოლაში მივიდოდა. ძალიან მოწესრიგებული და კარგი გოგონა იყო, შარშან სასწავლო წელი ჩვეულებრივად დაამთავრა და ეჭვიც კი არავის გასჩენია. ჩემი ინფორმაციით, ეს ამბავი ოჯახს გასაიდუმლოებული ჰქონდა, თორემ ჩვენამდე რამე შემაშფოთებელი ინფორმაცია რომ მოდის, მაშინვე ვუგზავნით შეტყობინებას პოლიციას, რეფერირებას, სოციალურ სამსახურს. დირექტორმა ისიც კი მითხრა, მას შემდეგ, რაც პოლიცია დამიკავშირდა და შევიტყვე მკვლელობის ამბავი, მშობელს დავურეკე და ვკითხე, სად არის ბავშვი-მეთქი, ბავშვი უკვე გარდაცვლილი იყო, მშობელმა კი მითხრა, ქორწილშია ნათესავთანო. ამის შემდეგ ვეღარაფერი ვუთხარი, ეტყობა, არ იცოდა, ან იქნებ დამალა ეს ამბავიო“...

„ქორწინება არ მომხდარა ოჯახის თანხმობით, ამიტომ ჩემი შვილი მოიტაცა. ასე მითხრა ბიჭმა, აქ თუ ჩამოხვალ, შენც მოგკლავო“

მოგვიანებით გავრცელდა მოკლული გოგონას დედის კომენტარი, რომელიც ირწმუნება, რომ ოჯახი ამ ქორწინების წინააღმდეგი იყო და ამიტომ გოგონა მოსტაცეს. „ჩემი შვილი მოიტაცეს. ეს არ მომხდარა ოჯახის თანხმობით. მინდოდა იქ წასვლა, მაგრამ ასე მითხრა ბიჭმა, აქ თუ ჩამოხვალ, შენც მოგკლავო. ახლა კი ხედავთ, რა უბედურებაც მოხდა. მან ჩემი შვილი მოკლა, იმიტომ, რომ წამოსვლა უნდოდა. ჩემი გოგო მინდორში წავიდა ხბოს მოსაყვანად, ეს ბიჭი კი იქ დამალული იყო. გოგომ გაქცევა სცადა, მაგრამ დაიჭირა და წიხლები ურტყა, მერე ხეზე მიაბა და ისე სცემა. ნაცემი წაიყვანა სახლში და გოგომ უთხრა: მხოლოდ 14 წლის ვარ, არ მიყვარხარ, თავი დამანებე, თორემ 112-ში დავრეკავ. იმან კი ამოიღო იარაღი და მოკლა. ვითხოვ, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯონ მკვლელს“, — ამბობს მოკლული გოგოს დედა.

რატომ არ მიმართა ოჯახმა პოლიციას, ამ კითხვას მოკლულის დედა არ პასუხობს. მწარე რეალობაა, როგორც ირკვევა, ბევრმა ადამიანმა იცოდა, რომ გოგონა იქიდან წამოსვლას ცდილობდა, მაგრამ არ აღმოჩნდა არც ოჯახი, არც სკოლა, არც მეზობელი და საერთოდ ერთი ადამიანიც კი მის გარშემო, რომელიც გოგონას დაეხმარებოდა. რომ არა ეს გულგრილობა, დღეს გოგონა ცოცხალი იქნებოდა. ბავშვის გატაცება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სექსუალური ხასიათის ქმედება მძიმე დანაშაულია და დამნაშავე აქამდეც ციხეში უნდა ყოფილიყო გამოკეტილი. მაგრამ... ყველა დუმდა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 109-ე მუხლით დაიწყო, რაც გულისხმობს განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში. დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით 16-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

თეა ხურცილავა

ᲠᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲮᲕᲐᲚ?..

ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ

ოკუპირებული აფხაზეთის ლიდერმა ასლან ბჟანიამ რუსულ მედიასთან თქვა, რომ ოჩამჩირეში რუსეთის საზღვაო ძალების მუდმივი ბაზა გაკეთდება და ამ შეთანხმებაზე ხელი უკვე მოწერილი აქვთ. საუბარია სევასტოპოლის რუსული სამხედრო ფლოტიდან ნაწილის ოჩამჩირეში გადმოტანაზე.

„ეს ყველაფერი მიმართულია რუსეთისა და აფხაზეთის თავდაცვისუნარიანობის გაზრდისკენ და ასეთი ტიპის თანამშრომლობა გაგრძელდება, რადგან ეს ემსახურება რუსეთისა და აფხაზეთის ფუნდამენტურ ინტერესებს და უსაფრთხოება ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია“, — ამბობს ბჟანია.

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანი სერგეი შამბა ასლან ბჟანიას განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს შეთანხმება „დღეს არ დადებულა“ და გადაწყვეტილება წინა ერთობლივ შეხვედრებზე მიიღეს. მისივე თქმით, აფხაზეთისთვის ეს არის რუსეთის ფედერაციასთან სამოკავშირეო ხელშეკრულებების მაგალითი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნულთან დაკავშირებით „შეშფოთებას“ გამოთქვამს და აღნიშნავს, რომ მსგავსი ქმედება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაა. ოპოზიციაში კი ხელისუფლებას ადანაშაულებენ და იმ საფრთხეებზე ლაპარაკობენ, რაც ოჩამჩირეში რუსული სამხედრო ფლოტის შექმნას შეიძლება მოჰყვეს.

რა საფრთხეს ქმნის ოჩამჩირეში რუსული სამხედრო ფლოტის გადმოტანა და როგორ იცვლება სამხედრო და გეოპოლიტიკური ძალთა ბალანსი, ამ საკითხებზე საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორს, GIPA-ს პროფესორ თორნიკე შარაშენიძეს და „ჯეოქეისის“ თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორს, გენერალ-მაიორ ვახტანგ კაპანაძეს ვესაუბრეთ:

„რუსეთს თბილისზე დარტყმა თუ უნდა, ოჩამჩირიდან კი არა, ცხინვალიდან წამოვა“

თორნიკე შარაშენიძე: — როდის დასრულდება ამ ბაზის მოწყობა, არ ვიცით, ორი წელი მაინც უნდა, სრულფასოვან ბაზად რომ იქცეს. საქართველოში გავრცელდა გიჟური ვერსია, რომ სევასტოპოლის ბაზა სრულად უნდა გადმოიტანონ, მაგრამ სრულად გადმოტანა როგორ მოხერხდება, როცა ფიზიკურად ვერ დაეტევა? ამის საშუალება რომ ყოფილიყო, აქამდეც ნახევარს სევასტოპოლში დატოვებდა და ნახევარს აქ გადმოიტანდა. რაც შეეხება იმას, თუ ჩვენთვის რას ცვლის, ცოტა კომიკურია, როცა თბილისიდან 40 კილომეტრში მათი ტანკები დგას, ოჩამჩირეში გემების განლაგების ვინმეს მეტად შეეშინდეს. რუსეთს თბილისზე დარტყმა თუ უნდა, ოჩამჩირიდან კი არა, ცხინვალიდან წამოვა. ამიტომაც ჩვენთვის ბევრი არაფერი არ იცვლება.

— გეოპოლიტიკურად და თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ შავ ზღვაში ეყოლება რუსეთს კიდევ ერთი სამხედრო ფლოტი, რამდენად არის მნიშვნელოვანი?

— რეალობას რომ შევხედოთ, ამით რა იცვლება? სევასტოპოლში თუ ჰყავს პირობითად 15 საბრძოლო ხომალდი, ამის მერე სევასტოპოლში ეყოლება, ვთქვათ, 8 და ოჩამჩირეში — 7. გასაგებია, რომ ამით უფრო მანევრირებადი ხდება, მაგრამ განსაკუთრებული ამაში არაფერია. შავ ზღვაში ნატოს ძლიერი წევრი თურქეთია, ის რუსეთთან მშვენივრად თანამშრომლობს. ასე რომ, თურქეთს დიდად არ ადარდებს, რუსეთს გემები სევასტოპოლში ეყოლება თუ ოჩამჩირეში.

ᲐᲛᲐᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲡ ᲠᲐᲚᲐᲪᲐᲡ ᲣᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ, ᲔᲠᲗ ᲞᲝᲠᲢᲡ ᲝᲠᲘ ᲡᲯᲝᲑᲡ — ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲡ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲐ, ᲗᲣ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ, ᲒᲘᲜᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲝᲠᲢᲘ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ, ᲒᲘᲜᲓ ᲝᲠᲘ, ᲒᲐᲡᲐᲕᲚᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲗᲣ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ, ᲔᲡ ᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲘ ᲩᲕᲔᲜ. ᲐᲛᲐᲨᲘᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲝᲛᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ...

— ითქვა, რომ ანაკლიის პორტს შეუშლის ხელს, რადგან საფრთხე იზრდება და ინვესტორები მოერიდებიან იქ ფულის ჩადებას. ამას არ თვლით საფრთხედ?

— აფხაზეთში აქამდე არ იყო რუსეთი? ანაკლიის პორტით ჩინელი ინვესტორების გარდა, არავინაა დაინტერესებული. ჩინელებს ოჩამჩირეში რუსული პორტის არსებობა რომ ადარდებდეთ, მეეჭვება.

ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲐᲥ ᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲞᲐᲜᲘᲙᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲛᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ, ᲠᲐᲛ-

ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚ ᲠᲐᲙᲔᲢᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲛᲐᲚᲔᲑᲘᲐᲜ?

ის, რომ რუსეთ-უკრაინის საზღვაო ომი შავ ზღვაში ნელ-ნელა აღმოსავლეთით ინაცვლებს, უკვე არაერთხელ დავწერეთ მას შემდეგ, რაც უკრაინული საჰაერო დრონები ჩრდილო კავკასიის კრასნოდარის მხარეში მდებარე ნოვოროსიისკის რუსულ სამხედრო-საზღვაო ბაზას დაესხნენ თავს, ხოლო უკრაინულმა საზღვაო კამიკაძე-კატარღებმა უშუალოდ საქართველოს 200-მილიანი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სიახლოვეს იერიში მიიტანეს რუსულ სამხედრო ხომალდებზე.

ასე გამოიყურება დღეს ოკუპირებული ოჩამჩირის მცირე ზომის პორტი, რომელშიც დიდი სურვილის მიუხედავად, ბევრ საბრძოლო ხომალდს რუსი ოკუპანტები მაინც ვერ განათავსებენ...

ამჯერად კი ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ლიდერმა ასლან ბჟანიამ გაავრცელა შემდეგი ინფორმაცია: „ჩვენ გავაფორმეთ ხელშეკრულება და უახლოეს მომავალში ოჩამჩირის რაიონში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მუდმივი ბაზა იქნება. რუსეთთან ჩვენი სამხედრო თანამშრომლობის სფეროში უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული. ეს საკითხი მუდმივადაა დღის წესრიგში... ახლაც, აფხაზეთის დამოუკიდებლობის 30-ე წლისთავის ზეიმის დროს, ჩვენთან შემოვიდა რუსული რაკეტული ხომალდი, რომელიც ახალი აგებულია, ძალიან სერიოზული შესაძლებლობებით... ავედით მის ბორტზე და ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას, რომლის მიხედვით, უახლოეს ხანში ოჩამჩირის რაიონში იქნება რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტის მუდმივი ბაზირების პუნქტი. ყველაფერი მიმართულია ორივე მხარის — აფხაზეთისა და რუსეთის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისაკენ“.

აფხაზი სეპარატისტების ლიდერები დიდი ხანია იწვევდნენ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სარდლობას ოკუპირებული აფხაზეთის პორტში სამხედრო-საზღვაო ბაზის გასახსნელად.

ჯერ კიდევ 2009 წლის 26 იანვარს, ანუ აგვისტოს ომიდან მალევე, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარმა შტაბმა განაცხადა ოჩამჩირის პორტში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო ხომალდების ბაზირების პუნქტის გახსნის შესახებ, სადაც დიდი და მცირე სადესანტო ხომალდები, სარაკეტო კატარღები და საზღვაო მტრალავები შეიძლება განთავსებულიყვნენ, თუმცა დღემდე ეს არ გაკეთებულა.

სამაგიეროდ, იმავე 2009 წლის ბოლოდან ოკუპირებული ოჩამჩირის პორტში გამოჩნდა რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამსახურის სანაპირო დაცვის „სობოლისა“ და „მანგუსტის“ ტიპის ოთხი სწრაფმავალი კატარღა.

აღსანიშნავია, რომ ოჩამჩირეში 1933-35 წლებში წმინდა სამოქალაქო-საზღვაო პორტი აშენდა, მაგრამ 1940 წელს სამოქალაქო ფლოტი ფოთში გადაიტანეს, ხოლო ოჩამჩირე მთლიანად დაუთმეს ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობის ქვეშ არსებული ენ-კა-ვედეს (საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) სასაზღვრო-სადარაჯო კატარღების მე-6 ბრიგადას.

მეორე მსოფლიო ომის დროს ოჩამჩირის სასაზღვრო კატარღების ბრიგადა შავი ზღვის ფლოტის დაქვემდებარეებში გადავიდა და ისინი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ პატრულირებდნენ, ხოლო მდინარე ჯუყმურის ზღვასთან შესართავში, ევკალიპტების ქვეშ, წყალქვეშა ნავების ნავსაყუდელი იყო შეფარებული.

1980-იანი წლების მიწურულს კა-გე-ბეს სასაზღვრო ჯარების საზღვაო ნაწილების მეთაურობას დაგეგმილი ჰქონდა ოჩამჩირის პორტში განთავსებული სასაზღვრო კატარღების რაოდენობის გაზრდა, ხოლო შავი ზღვის ფლოტის ადმირალები კი ოჩამჩირეში საზღვაო რაიონის დაცვის სადარაჯო ხომალდების ბრიგადის ჩაყენებასაც კი ფიქრობდნენ. საბედნიეროდ, ამ გეგმებს არ ეწერა შესრულება საბჭოთა იმპერიის მალე-ვე დაშლის გამო. სამაგიეროდ, აფხაზეთის ომის დროს ოჩამჩირეში დარჩენილი უკვე რუსი მესაზღვრეების კატარღების ეკიპაჟები საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ.

შევარდნაძის ხელისუფლებამ მხოლოდ 1996 წლის აგვისტოსთვის მოახერხა მიეღწია იმისთვის, რომ რუსეთს დაეწყო სასაზღვრო კატარღების გაყვანა ოჩამჩირიდან. ისინი რუსეთმა ოჩამჩირიდან კასპიის ზღვის ფლოტილიაში საბოლოოდ 1998 გადაიყვანა, თუმცა „გრიფის“ ტიპის რამდენიმე კატარღა მაინც დაუტოვა აფხაზ სეპარატისტებს.

ოჩამჩირის პორტის მთავარი ნავმისადგომის სიგრძე 175 მ-ია, რაც მხოლოდ ათიოდე მცირე სასაზღვრო კატარღის ბაზირებას თუ ეყოფა.

ამასთან, ოჩამჩირის ხელოვნური ყურე დროთა განმავლობაში დაისილა და 2009 წლის ოქტომბერში, სანამ იქ რუსი მესაზღვრეების კატარღები დადგებოდნენ, სპეციალური მიწახაპია მცურავი საშუალებით პორტის ფარვატერი 3,8 მ-დან 9 მ-მდე ჩაღრმავდა, რაც უკვე 10 ათას ტონამდე წყალწყვის სავაჭრო გემების და ასევე რუსეთის შავი ზღვის ფლოტის კუთვნილი ნებისმიერი საბრძოლო ხომალდის მიღებას უზრუნველყოფს — 11 ათას ტონამდე სრული წყალწყვის მქონე ფლაგმანი, სარაკეტო ხომალდი „მოსკვა“ უკრაინელებმა რუსებს უკვე ჩაუძირეს, ხოლო დარჩენილი რუსული ფრეგატებისა და დიდი სადესანტო ხომალდების სრული წყალწყვა 4-4,6 ათას ტონას არ აღემატება.

უკრაინულ ფრთოსან რაკეტებს სევასტოპოლიდან გამოქცეულმა რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა თავისი ხომალდები კი „გადამალა“ ფეოდოსიისა და ნოვოროსიისკის სამხედრო-საზღვაო ბაზებში, მაგრამ ისინიც უკრაინის ფრონტის ხაზიდან მხოლოდ 280-325 კმ-ით თუ არიან დაშორებული და უკრაინელებს დიდი გაჭირვებით მაგრამ მაინც შეუძლიათ იქამდე 300 კმ-მდე მფრენი თავისი ფრთოსანი რაკეტების მიღწევა, მაგრამ ოკუპირებულ ოჩამჩირის პორტამდე უკრაინის ფრონტიდან პირდაპირი ხაზით არანაკლებ 620 კმ-ია, რაც გამორიცხავს უკრაინული ფრთოსანი და თვით ბალისტიკური (თუკი ამერიკელებმა, ბოლოს და ბოლოს, მაინც გადასცეს კიევს ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების აერობალისტიკური რაკეტები) რაკეტების მიღწევას, თუმცა... თუმცა ის, რომ უკრაინელების განკარგულებაშია საჰაერო და საზღვაო კამიკაძე-დრონები, რომლებსაც ოკუპირებულ ოჩამჩირეში გადამალულ საბრძოლო ხომალდებამდე მიღწევა მაინც შეეძლებათ ანუ რუსეთ-უკრაინის ომი საქართველოს ტერიტორიაზე, თუნდაც დღეისათვის დროებით ოკუპირებულზე, მაინც შეიძლება გადმოვიდეს.

ირაკლი ალადაშვილი

სამხედრო ფლოტის სევასტოპოლიდან გადმოტანა

დენიმე წლის წინ რუსეთმა „მისტრალები“ რომ იყიდა და აქ პანიკა ატეხეს, ჩვენ დაგვარტყამსო. რად უნდა „მისტრალით“ დარტყმა, როცა 40 კილომეტრში სამხედრო ბაზა უდგას, თან „მისტრალი“ შავ ზღვაში ვერ შემოვიდოდა, რადგან მონტროს კონვენცია არეგულირებს ამ საკითხს.

„ეს ჩვენთვისაა პოლიტიკური პრობლემა, თორემ სამხედრო თვალსაზრისით არაფერი იცვლება“

ვახტანგ კაპანაძე: — ეს არის მძლავრი სამხედრო სისტემების საქართველოსთან ახლოს მოტანა. საბრძოლო ხომალდი რთული პლატფორმაა, რომელზეც არის როგორც სარაკეტო, ასევე საარტილერიო შეიარაღება, ასევე სადაზვერვო, რადიოლოკაციური შესაძლებლობები. ასე რომ,

თუ ბაზა დიდი იქნება, ეს ნიშნავს, რომ ოკუპანტის მნიშვნელოვანი სამხედრო შესაძლებლობები მრავალჯერ გაძლიერდება აფხაზეთში. შესაბამისად, სამომავლოდ აქედან რუსეთის საოკუპაციო ძალების გაყვანა ძალზე გართულდება. რაც უფრო მნიშვნელოვანია, სამხედრო-პოლიტიკურად სამხედრო ბაზის ახლოს არსებობა ანაკლიის მომავალ პორტთან, რა თქმა უნდა, საფრთხის შემცველია ინვესტორების მოზიდვისთვის.

— თეორიულად ჩავთვალოთ, რომ ინვესტორებმა გარისკეს და ჩადეს ფული ანაკლიის პორტის აშენებაში, უკვე აშენებულ პორტს რა საფრთხე შეიძლება შეექმნას?

— გააჩნია, პორტში ვინ შემოვა. თუ პორტს გამოიყენებენ ნატოს წევრი ქვეყნების შემოსვლისთვის, ეს შემაკავებელი ფაქტორიც იქნება ოჩამჩირეში რუსული ბაზის მოქმედებისთვის. თუ მხოლოდ სამრეწველო ანუ ეკონომიკური თვალსაზრისით გამოიყენებენ პორტს, სამხედრო გემების ასეთი სიახლოვე პრობლემებს შექმნის, თუნდაც ტექნიკურად, რადგან სამხედრო ბაზას დასჭირდება სამხედრო წვრთნები, შესაძლოა სრულიად დაკეტონ აკვატორია და ა.შ. ასე რომ, ფსიქოლოგიური ზეწოლა იქნება. იმედია, სავაჭრო ხომალდებს არ დაარტყამენ, მაგრამ ხელის შეშლა გადაადგილებაში შეუძლიათ.

„ცოტა კომიკურია, როცა თბილისიდან 40 კილომეტრში რუსული ტანკები დგას, ოჩამჩირეში გემების განლაგების ვინმეს მეტად შეეშინდეს“

— ნიშნავს თუ არა ეს შავ ზღვაში რუსეთის სამხედრო გაძლიერებას?

— არა. ეს არ იქნება ახალი ბაზა — არსებული ბაზის ნაწილი გადმოაქვთ მეორე წერტილში. ეს ჩვენთვისაა პოლიტიკური პრობლემა, რადგან რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ძლიერდება, თორემ სამხედრო თვალსაზრისით არაფერი იცვლება. ის 700 კილომეტრი, რაც არის ოჩამჩირიდან სევასტოპოლამდე, არ იძლევა შესაძლებლობას, რომ აქ ახალი ბაზა შეიქმნას, რომელიც გააძლიერებს რუსულ შავი ზღვის ფლოტს. ოჩამჩირის ბაზას, ალბათ, უფრო ტექნიკურად გამოიყენებენ, შესავსებად, დასასვენებლად და ა.შ., მაგრამ იმის თქმა, რომ ამით რუსული შავი ზღვის ფლოტი ძლიერდება, მართებული არ იქნება. თურქეთს, რომელიც ნატოს წევრია, შავ ზღვაში გაცილებით ძლიერი სამხედრო ფლოტი ჰყავს. რუსეთს ის დანაკარგი, რაც განიცადა უკრაინასთან ომში, ჯერ არც შეუვსია. ასე რომ, ამ ბაზის არსებობა არაფერს ცვლის.

უხეშად ვამბობ — 5 ხომალდი ერთგან გეყოლება, თუ 700-კილომეტრიანი დაშორებით გადაანაწილებ ორ ადგილზე, რაოდენობაში არაფერი იცვლება. ამას ოპერატიულ-ტექნიკურად შესაძლოა რაღაც შედეგი ჰქონდეს რუსეთისთვის, მაგრამ სხვა მხრივ არაფერი იცვლება.

— საქართველოსთვის რა საფრთხეა, თუნდაც იმ მხრივ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე კიდევ ერთი სამხედრო ბაზა იქნება?

— რუსეთს ხომალდების შემოყვანა აფხაზეთის სანაპიროზე აქამდეც შეეძლო. ახლა ის იცვლება, რომ მისთვის ინფრასტრუქტურა იქნება უფრო მოსახერხებელი, რასაც სჭირდება მომსახურება, დაცვა და ეს გაზრდის რუსულ სამხედრო კონტინგენტს აფხაზეთის ტერიტორიაზე, იმის გარდა, რომ საბრძოლო და სადაზვერვო შესაძლებლობითაც მნიშვნელოვნად იზრდება.

— ისიც ითქვა, რომ გიუმრის ბაზის აქ გადმოსატანად ემზადებიან. რამდენად იქნება ეს შესაძლებელი, რამდენად გაზრდის საფრთხეს და რაც მთავარია, კავკასიაში რუსულ სამხედრო კონფიგურაციას როგორ შეცვლის?

— ამის შესახებ არაფერი ვიცი და ვერ გეტყვით, გიუმრის ბაზის საზღვაო ბაზაზე გადატანა რამდენად რელევანტური იქნება. გიუმრის ბაზის გადატანა თუ დასჭირდათ, შესაძლოა აფხაზეთში ახალი სამხედრო ბაზა გააკეთონ, მაგრამ საკითხავია, აფხაზები ამას როგორ შეხვდებიან. ასეთ შემთხვევაში კი, რა თქმა უნდა, რუსული გავლენა შემცირდება, რადგან ეს იქნება რუსული სამხედრო ბაზების ყოფნა არა მეგობარ სახელმწიფოში, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. რა თქმა უნდა, ეს ჩვენ პრობლემებს გაგვიძლიერებს, მაგრამ იმის თქმა, რომ რუსეთი ამით თავის კავკასიაში ყოფნას გააძლიერებს, უსაფუძვლოა, მით უმეტეს, თავისთავად გიუმრის ბაზის გადატანა რუსეთს მნიშვნელოვნად დაასუსტებს როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკურად.

რუსა მაჩაიძე

„ჰამასი“ ისრაელს თავს ჰაერიდან, ხმელეთიდან და ზღვიდან დაესხა...

2023 წლის 7 ოქტომბრის დილა ისრაელის სამხრეთ ნაწილის მოსახლეობისთვის ტრაგიკულად დაიწყო — ღაზის სექტორიდან ისრაელის ქალაქებისა და სოფლებისკენ გაშვებულმა რამდენიმე ათასმა რაკეტამ ცა თეთრი ინვერსიული ხაზებით დაფარა. თვით მაღალეფექტიანი ისრაელის ანტისარაკეტო სისტემა „რკინის გუმბათიც“ კი უმწეო აღმოჩნდა მოეგერიებინა ისეთი მასირებული სარაკეტო შეტევა, რომლის მაგვარი რუსეთ-უკრაინის ბოლო პერიოდის ყველაზე ფართომასშტაბიან ომშიც კი არავის უნახავს...

სარაკეტო დარტყმების პარალელურად, ღაზის სექტორის მიმდებარე ისრაელის ქალაქების ქუჩებში „ჰამასის“ მობილური ჯგუფები შეიჭრნენ, რაც აქამდე არ მომხდარა...

ისრაელის ქალაქების საცხოვრებელ კორპუსებს შორის პალესტინელების ათეულობით რაკეტის აფეთქების პარალელურად, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ შეიარაღებული მობილური ჯგუფები ღაზის სექტორის მომიჯნავე ისრაელის დასახლებულ პუნქტებში შეიჭრნენ, ხოლო ისრაელის არმიის „ცახალის“ ერთ-ერთი სამხედრო ბაზა დროებით დაიპყრეს კიდეც, საიდანაც გატაცებული დაჭრილი ისრაელის სამხედროები ღაზაში გადაიყვანეს, ქუჩაში დაყარეს და მათზე აღტკინებული ბრბო „მიუშვეს“.

„ჰამასის“ სამხედრო ფრთის მეთაურმა მუჰამად დაფმა შემდეგი მოწოდება გაავრცელა: „მოვიდა დრო ყველა არაბული და ისლამური ძალების გაერთიანებისა, რათა ჩვენი მიწებიდან გავყაროთ ისრაელელი ოკუპანტები. დაიწყეთ შეტევა პალესტინაზე, რათა გავათავისუფლოთ ალ-აქსას მეჩეთი! დაელოდეთ დიდ რევოლუციას, რომელიც ბოლოს მოუღებს ოკუპაციას. ვისაც გაქვთ შაშხანა ლიბანში, ერაყში, სირიაში, იემენში, მიუხედავად საზღვრებისა, აიღეთ ხელში იარაღი, რადგან დრო მოვიდა“.

„ჰამასმა“ განაცხადა, რომ მან 7 ოქტომბრის დილას 5 ათასამდე რაკეტა გაუშვა ისრაელის ქალაქებისკენ და ეს ციფრი ცოტათი გაბერილიც რომ იყოს, მაინც ფაქტია, რომ ისრაელის მრავალრიცხოვან მზვერავებს ღაზაში მაინც გამოეპარათ პალესტინელების ამ, ბოლო დროის ყველაზე მასშტაბური სარაკეტო შეტევის დაწყება... მაგრამ ისრაელის არმიისა და სპეცსამსახურებისთვის ყველაზე მტკივნეული ის უნდა იყოს, რომ „ჰამასმა“ სასაზღვრო ღობის ბულდოზერებით გარღვევის შემდეგ, საზღვრისპირა შვიდი ებრაული დასახლებული პუნქტი დროებით დაიკავა (მათ შორის ქალაქები აშკელონი და სდეროტი) და იქაურობის განადგურება დაიწყო, ხოლო ისრაელის მოქალაქეები მინდვრებში გარბოდნენ თავის გადასარჩენად. ისრაელმა რეზერვისტების მობილიზაცია გამოაცხადა, რაც ნიშნავს, რომ თუკი „ჰამასი“ ამ მოულოდნელი სარაკეტო და სახმელეთო შეტევების შემდეგ ისევ ღაზის სექტორში დაბრუნდება, ისრაელის არმია უმოქმედოდ მაინც არ დარჩება და სასტიკ შურისმაძიებელ მოქმედებებს დაიწყებს ღაზის სექტორის ტერიტორიაზე როგორც სარაკეტო, ისე საარტილერიო მასირებული დარტყმებით, ხოლო თუკი ისრაელის ხელისუფლებამ სახმელეთო-სადამსჯელო ოპერაციის დაწყებაც გადაწყვიტა და ჯავშანტექნიკა შეიყვანა ღაზის სექტორში, ეს უკვე დიდი და სისხლისმღვრელი ახალი ისრაელ-პალესტინის ომის დაწყების მომასწავებელი იქნება...

„ისრაელის მოქალაქეებო, ეს არც ოპერაციაა, არც ორმხრივი სროლები, ეს ომია!“ – ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ

რა არის ღაზის სექტორი

ღაზის სექტორის სტატუსი საბოლოოდ განსაზღვრული არ არის. ის დე იურე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსთან ერთად ნაწილობრივ აღიარებული პალესტინის არაბული სახელმწიფოს ნაწილია. ღაზის სექტორის სიგრძე 40 კმ-ია, სიგანე — 6-12 კმ, საერთო ფართობი კი — 360 კვკმ. 2005 წელს ისრაელმა მთლიანად დატოვა ღაზის სექტორი, გამოასახლა თავისი მოქალაქეები და გამოიყვანა საარმიო დანაყოფები, რის შემდეგაც ღაზის სექტორს ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით გამყოფი კედელი შემოარტყა. ამან შედეგი მოიტანა — ფაქტობრივად, შეწყდა ტერორისტული თავდასხმები ამ სექტორში მცხოვრებ ებრაელებსა და ისრაელის საარმიო პატრულზე, თუმცა ღაზის სექტორიდან სარაკეტო თავდასხმები კვლავ მეორდებოდა. ღაზის სექტორი სამხრეთით ესაზღვრება ეგვიპტეს, სადაც ასევე აგებულია სასაზღვრო გამყოფი კედელი, ხოლო ღაზის სანაპირო ზოლს ისრაელის სანაპირო დაცვა აკონტროლებს.

რა რაკეტებს ესვრის „ჰამასი“ ისრაელის ქალაქებს

ღაზის სექტორში მოქმედი საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებული „ჰამასის“ სარაკეტო არსენალი, ძირითადად, ორი გზით ივსება: ფარულად იმპორტირებული (როგორც წესი, ირანიდან გემებით შეტანილი) და ადგილზე დამზადებული რაკეტების ხარჯზე. თუკი წლების წინ ღაზის სექტორში კერძო საამქროები „ჰამასის“ შეკვეთით კუსტარულად ამზადებდნენ „ქასამის“ ტიპის უმართავ რაკეტებს (თავიდან მათი კორპუსისთვის იყენებდნენ საგზაო ნიშნების მილებსაც კი), ახლა იმპორტირებული მასალისგან ამზადებენ უფრო ხარისხიან რაკეტებს, რომელთა მოქმედების რადიუსი, გაბარიტების მიხედვით, რამდენიმე ათეული კმ-დან 100 კმ-მდე მერყეობს. „ჰამასის“ შეიარაღებაში არის 160 კმ-ზე მფრენი უმართავი რაკეტებიც, რომლებითაც პალესტინელებს ღაზის სექტორიდან ხაიფის პორტის დაბომბვაც შეუძლიათ, რომ არაფერი ვთქვათ თელ-ავივზე, სადამდეც პირდაპირი ხაზით მხოლოდ 60 კმ-ია. ამასთან, „ჰამასი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ მის შეიარაღებაში არის 250 კმ რადიუსის რაკეტებიც, რომლებიც ისრაელის ყველა წერტილს მისწვდება.

ისრაელის აგენტურული და საჰაერო დაზვერვა მუდმივად ნადირობს ღაზის სექტორში მოქმედი რაკეტების დამამზადებელი კუსტარული საამქროების გამოვლენაზე და როგორც კი სიტუაცია იძაბება (როგორც ამჟამად), წერტილოვანი საჰაერო დარტყმებით ერთმანეთის მიყოლებით ანადგურებს მათ. ამ საამქროებისგან განსხვავებით, „ჰამასის“ რაკეტების გამშვები დანადგარები, ძირითადად, მობილური, სატვირთო ავტომობილების ძარებზე დამონტაჟებულია და სარაკეტო ზალპის შემდეგ ამ მანქანებს სახლებისა და კორპუსების ეზოებსა და ფარეხებში მალავენ, რითაც მოსახლეობას დიდ საფრთხეს უქმნიან, რადგან ისრაელის საჰაერო დაზვერვა მყისიერად პოულობს რაკეტების ზალპის ადგილს და საპასუხო ზუსტ დარტყმას ერთი-ორი წუთის შემდეგ აყენებს.

ირაკლი ალადაშვილი

თვალსაზრისი

„რევოლუციას კარვები კი არა, ხელისუფლების სისულელეები იწვევს“

ბოლო დღეების განმავლობაში მთელი ყურადღება საკონსტიტუციო სასამართლოში გამართულ პროცესზე იყო, სადაც კობახიძე ოპონენტების შეურაცხყოფით ცდილობდა პრეზიდენტის დამნაშავედ წარმოჩენას. ამასობაში „ქართულმა ოცნებამ“ აქციებზე კარვებისა და სხვა ატრიბუტიკის გამოყენება აკრძალა და საზოგადოებას ახარა, რადგან ავკრძალეთ, რევოლუციას გადაგარჩინეთო. არის თუ არა კარვების აკრძალვა რევოლუციის პრევენცია და საერთოდ, არის თუ არა ქვეყანაში რევოლუციის და პოლიტიკურად უმართავი პროცესების საფრთხე, რა გავლენა ექნება ამ პოლიტიკურ პროცესებზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც სულ მალე გახდება ცნობილი, ამ საკითხებზე ანალიტიკოს ირაკლი მელაშვილს ვესაუბრეთ:

„არ გამოვრიცხავ, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის ხმები ჰქონდეთ. ამ პარლამენტში ოპოზიციის ნაწილის მხარდაჭერით ისეთი რაღაცებია გასული, ეს გაგიკვირდებათ?“

— რაც არ უნდა კარგი იურისტები იყვნენ, ვინც პარლამენტს წარმოადგენდნენ, კობახიძე იქნება თუ სხვები, კარგად იცოდნენ სხვა ქვეყნების პრაქტიკა, ისინი ვერ ხვდებიან მთავარს, რა საჭიროა კონსტიტუცია და რისთვის შეიქმნა. თავის დროზე, როცა დამფუძნებელმა მამებმა მიიღეს კონსტიტუცია, მიზანი იყო, დაეცვა საზოგადოება იმათგან, ვისაც ძალაუფლება ჰქონდა ხელში და არ ეკეთებინათ ის, რაც სურდათ. საქართველოში კი ამ ხალხს კონსტიტუცია და კანონები პირიქით აქვთ წარმოდგენილი და ჰგონიათ, კონსტიტუცია და კანონები იმისთვის არის, დაიცვას მათი ძალაუფლება საზოგადოებისგან და უპირველესად მათგან, ვისაც მათი საწინააღმდეგო პოზიცია აქვს. მთელი ამ პროცესის განმავლობაში ბატონი კობახიძე ცდილობდა საოცრების დამტკიცებას, რომ ხელისუფლება არის ერთადერთი, ვისაც აქვს უფლება ისაუბროს საგარეო პოლიტიკაზე. ხომ არავინ დაობს იმაზე, რომ საგარეო პოლიტიკის წარმართვა მთავრობის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა და, თუკი პრეზიდენტი მართავს მოლაპარაკებას, დებს ხელშეკრულებას და ა.შ., მას სჭირდება მთავრობის ნებართვა. მაგრამ კობახიძე და საპარლამენტო გუნდი ირწმუნებოდნენ, რომ მთავრობის უნებართვოდ მას არა აქვს უფლება ვინმეს ესაუბროს საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. მე და თქვენ რომ ჩავიდეთ ევროპაში და ვთხოვოთ, რომ მხარი დაუჭირონ საქართველოს, ესეც მთავრობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებაში ჩარევაა? ესენი სწორედ ასე განმარტავდნენ, თურმე მხოლოდ მათ ჰქონიათ ამ საკითხზე საუბრის უფლებამოსილება. მმართველი გუნდი ცდილობს ყველას ბოქლომი დაადოს პირზე და შეიძლება ძალიან სახიფათო პრეცედენტი შექმნას საკონსტიტუციო სასამართლომ, თუკი ის განმარტავს კონსტიტუციას, რომ ნებისმიერი თანამდებობის პირის ნებისმიერი საუბარი საგარეო პოლიტიკაზე, მათ შორის კერძო ვიზიტების დროს, კონსტიტუციის დარღვევაა. კონსტიტუციაში გვიწერია, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და, თუკი მე, რიგით მოქალაქეს, შემიძლია გავავრცელო ინფორმაცია, მაგალითად, როგორ მიმდინარეობს ამ ყბადაღებული 12 პუნქტის შესრულება, პრეზიდენტს ეს უფლება ჩამორთმეული აქვს? პრეზიდენტის უფლებები დისკრიმინირებულია? პრეზიდენტის არა აქვს სახელმწიფოს სახელით ლაპარაკის უფლება, თუ ამის უფლება მთავრობამ არ მისცა, მაგრამ კერძო ვიზიტის დროს პრეზიდენტი რას ილაპარაკებს, რა კობახიძის საქმეა? ამ პროცესში მთავარი ის არის, რომ ხელისუფლება ცდილობს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით ლაგამი ამოსდოს ყველას და საზღვარგარეთ საგარეო პოლიტიკაზე საუბარი მხოლოდ მთავრობის ექსკლუზივად დააწესოს. ეს წარმოუდგენელია დემოკრატიულ სახელმწიფოში და ძალიან დიდი ნაბიჯია ტოტალიტარიზმისკენ. გვეუბნებიან, მხოლოდ მე მაქვს საუბრის უფლებაო.

როცა „ოცნება“ ამბობს, რომ პრეზიდენტი მთავრობის თანხმობის გარეშე წავიდა ვიზიტებზე, არავის არ დაუსვამს კითხვა, რატომ არ მისცა მთავრობამ ზურაბიშვილს ამ ვიზიტების უფლება. სადმე ვნახეთ მთავრობის დასაბუთებული უარი ზურაბიშვილის ვიზიტებზე? თუ მთავრობასა და „ოცნებას“ ასე წარმოუდგენიათ ქვეყნის მართვა, რომ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებები მხოლოდ მათ აძლევს უფლებას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აუკრძალონ პრეზიდენტს ვიზიტები? „ოცნებას“ ამ საკითხზე საერთოდ არ უსაუბრია. რა, მთავრობა მომხრე იყო სტატუსის მონიჭების და ზურაბიშვილი იქ იმისთვის მიდიოდა, რომ ეს ჩაეშალა, ანუ ეწინააღმდეგებოდა მთავრობის გაცხადებულ პოლიტიკას? მთავრობამ ვალდებულადაც არ ჩათვალა თავი აეხსნა პრეზიდენტისთვის თავისი გადაწყვეტილება, ეთქვა მისთვის არგუმენტები, თუ რატომ უკრძალავს ვიზიტს, დაესაბუთებინა თავისი გადაწყვეტილება თუნდაც საზოგადოებისთვის. არ არსებობს მსოფლიოში არც ერთი საღად მოაზროვნე, ცივილიზებულობის პრეტენზიის მქონე იურისტი, რომელიც ამ კონსტიტუციური ჩანაწერებით „მთავრობა ახორციელებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას“, „საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში“ და „პრეზიდენტი მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში“ დაასაბუთებს მთავრობის ქცევის სისწორეს. რა გამოდის, მთავრობას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეუძლია პრეზიდენტს აუკრძალოს უცხოელ კოლეგებთან საუბარი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე? ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს, რომ „ოცნების“ ლიდერებს საკითხი ასე ესმით — მთავრობას კონსტიტუცია აძლევს უფლებას, თუკი არ მოსწონს პრეზიდენტი, აუკრძალოს ვიზიტები. კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ასეთი არაცივილიზებული, ველური გაგება პირველად გავიგე.

— ახლა როგორ გაგრძელდება პოლიტიკური პროცესები, რას ელოდებით?

— წარმოუდგენელია, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება, რომლითაც პრეზიდენტს აუკრძალავს საუბარს, როგორც ითხოვს „ოცნება“. რამდენიმე მოსამართლე რომ მხარს არ დაუჭერს ამას, ვიცი, მაგრამ იქ არის რამდენიმე მოსამართლე, რომლებსაც მთელი სამი დღის განმავლობაში ხმა არ ამოუღიათ. ერთი კითხვა მაინც არ დაებადათ?

„კერძო ვიზიტის დროს პრეზიდენტი რას ილაპარაკებს, რა კობახიძის საქმეა? ხელისუფლება ცდილობს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით ლაგამი ამოსდოს ყველას და საზღვარგარეთ საგარეო პოლიტიკაზე საუბარი მხოლოდ მთავრობის ექსკლუზივად დააწესოს“

— ორივე სცენარი განვიხილოთ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები: თუკი საკონსტიტუციო სასამართლო იტყვის, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია, რა მოხდება? მით უმეტეს, არსებობს არაოფიციალური ინფორმაცია, რომ „ოცნებას“ 103 ხმა უკვე აქვს და იმპიჩმენტს შეძლებს.

— არ გამოვრიცხავ, რომ ხმები ჰქონდეთ. ამ პარლამენტში ოპოზიციის ნაწილის მხარდაჭერით ისეთი რაღაცებია გასული, ეს გაგიკვირდებათ? გადააყენებენ პრეზიდენტს და გახდება მერე კობახიძე ან ვინმე პრეზიდენტი. ეს შეიძლება კარგიც იყოს, რადგან საზოგადოება, ბოლოს და ბოლოს, დაინახავს ამათ სახეს. მაგრამ ამ პროცესში სხვა რამ არის ძალიან საინტერესო: თუ მიაქციეთ ყურადღება, კობახიძემ თქვა, ერთმა სახელმწიფომ შემოგვთავაზა საერთო სამხედრო ნაწილების გაკეთება და ჩვენ რომ ამაზე დისკუსია დაგვეწყო, მაშინვე იტყოდნენ, რომ ჩვენ განვიხილეთ ეს საკითხი — ანუ რაღაც შეთავაზება ჰქონდათ და არა მგონია, ეს გაკეთებულიყო ან სურინამიდან, ან ინდონეზიიდან. წესით, ლაპარაკია ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანაზე, ეს კი ნიშნავს, რომ ხმები რაღაც შეთავაზებაზე, რომელსაც უნდა გაეძლიერებინა საქართველოს თავდაცვისუნარიანობა და უსაფრთხოება და მთავრობა უარყოფდა, გამოდის, მართლაც იყო და მთავრობამ მოგვატყუა. აქ საინტერესოა კობახიძის მიდგომა, მე პასუხი არ გავეცი, საერთოდ გავატარეო — ანუ მას ასე ესმის სახელმწიფო ინტერესები. ერთმა კაცმა გადაწყვიტა, რა ექნა. სახელმწიფომ მიიღო ეს შეთავაზება და ნაცვლად იმისა, ინსტიტუციურად მიეღოთ გადაწყვეტილება, კობახიძემ გადაწყვიტა. მისაღები იყო თუ არა ეს საკითხი, ვერ შევაფასებთ, რადგან დეტალები არ ვიცით. მთავარი ის არის, თუ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი როგორი იყო. ასეთი ნარცისიზმი კატასტროფა და ავტორიტარიზმის ზედონეა. კიდევ ერთი საოცარი რამ თქვა კობახიძემ, არ ვიცი, ამით ღარიბაშვილს დაარტყა თუ არა, მაგრამ თქვა, სტატუსი რომ არ მოგვანიჭონ, სალომე ზურაბიშვილი გადადგებაო? არ გადადგება, რადგან სტატუსის მიღებაზე პასუხისმგებელი არ არისო, მაგრამ მთავრობა ხომ არის პასუხისმგებელი? რომ არ მივიღოთ, ღარიბაშვილს შეახოცავს ხელებს და ეტყვის, გადადექიო? ამას თავი დავანებოთ, კობახიძის ნარცისიზმი იმის დემონსტრირება იყო, რომ ცალკეულმა პირებმა ჩაანაცვლეს სახელმწიფო ინსტიტუტები და როდესაც დაისმება კითხვა, არის თუ არა ქვეყანაში ავტორიტარიზმი, არავის არ უნდა გაუკვირდეს, რადგან ეს მათი ქმედებებიდან და სიტყვებიდან გამომდინარეობს. ეს ძალიან აშკარად გამოჩნდა ამ პროცესზე. პრეზიდენტის გადაყენება სურთ ერთი რამის გამო — ყველა ადამიანი, რომელსაც აქვს განსხვავებული აზრი, რომელიც რაღაცაში ეცილება მათ, მაგალითად, კომპეტენციაში, საერთაშორისო ავტორიტეტში, ყველა უნდა ჩამოიშორონ და იმოქმედონ ერთი პრინციპით „ყველაფერს მე ვწყვეტ, მე ვაკეთებ“. ეს გვიჩვენა ამ სასამართლო პროცესმა, რაც ძალიან საგანგაშოა.

— კობახიძემ ეს ყველაფერი თავისთვის გააკეთა, თუნდაც გარანტირებული ხუთწლიანი მომავლისთვის თუ შესაძლოა, როგორც ხუხაშვილმა ივარაუდა, ამ ადგილს ბიძინა ივანიშვილისთვის ამზადებენ?

— მარჩიელობას ვერ დავიწყებ, რადგან ინფორმაცია არა მაქვს, ჩემთვის ეს პრინციპულიც არ არის. რა ერქმევა იმ კაცს, ვინც ამ თანამდებობაზე იქნება, მნიშვნელობა არა აქვს. ოცდაათი წელია, ეს ქვეყანა გადასულია ზვიადი-ედუარდი, ედუარდი-მიშა, მერე მიშა-ბიძინას ძახილზე. ახლა მიშა-ბიძინას წრეზე ვტრიალებთ. სინამდვილეში პრობლემაა ის, რომ ქვეყანას მართავენ არა ინსტიტუტები, არამედ სხვადასხვა პირი, მათი პირადი ნება და შეხედულებაა უფრო მაღლა, ვიდრე ნებისმიერი დოკუმენტი, სტრატეგია. რასაც კობახიძე ამბობს, სწორედ ამის დასტურია.

— საკონსტიტუციომ რომ თქვას, ზურაბიშვილს კონსტიტუცია არ დაურღვევიაო, ასეთ შემთხვევაში რა მოხდება?

— „ქართული ოცნება“ გამოაცხადებს, აი, ნახეთ, როგორი დემოკრატია გვაქვსო. შესაძლოა ისიც გვითხრან, სპეციალურად გავაკეთეთ, რომ გვეჩვენებინა, როგორი დემოკრატიაა ქვეყანაშიო...

ხელისუფლება ძალიან შეშინებულია. ეს იმაზეც ეტყობათ, რა ფართხაფურთხით მიიღეს აქციებზე აკრძალვების კანონი. ვინმეს თუ მართლა ჰგონია, რომ რევოლუცია კარვების გარეშე ვერ მოხდება, პირდაპირ ფსიქიატრიულშია წასაყვანი. კარვები ჰგონიათ რევოლუციის აუცილებელი ატრიბუტი და დადგმას თუ აკრძალავენ, ამით ქვეყანას გადაარჩენენ, თან ამას ისეთი ზეშთა-

„არც ერთ ლიდერს არა აქვს ხალხის ისეთი ნდობა, რომ მის მოწოდებაზე ქუჩაში გავიდნენ. შესაძლოა ხალხი ძალიან გაბრაზებულია მთავრობაზე, მაგრამ არანაკლებ გაბრაზებულია ოპოზიციაზეც. როდესაც ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლებას მხოლოდ ხალხის 1/3 უჭერს მხარს, ტყუილად აქვს იმედი, რომ დანარჩენს ის გაიყვანს ქუჩაში. 1/3 უჭერს მხარს „ოცნებას“, ამაზე ნაკლები ოპოზიციას და დანარჩენი ე.წ. აბსენტისტია, რომელიც ქუჩაში ოპოზიციას არ გაჰყვება. ქუჩაში გადის ძალიან მოტივირებული ხალხი, რომელსაც სჯერა ლიდერის და რაც მთავარია, სჯერა, რომ თუკი ოპოზიცია მოვა ხელისუფლებაში, უკეთესს გააკეთებს...



ვინმეს თუ მართლა ჰგონია, რომ რევოლუცია კარვების გარეშე ვერ მოხდება, პირდაპირ ფსიქიატრიულშია წასაყვანი. კარვები ჰგონიათ რევოლუციის აუცილებელი ატრიბუტი და დადგმას თუ აკრძალავენ, ამით ქვეყანას გადაარჩენენ, თან ამას ისეთი ზეშთაგონებული სახეებით ლაპარაკობენ, ძალიან სასაცილოა. კარვებზე ასეთივე გართულება ჰქონდა სააკაშვილს, 7 ნოემბერს სწორედ ამიტომ დაგვარბია და მაინც წააგო. შემდეგ მთელი რუსთაველი კარვებით იყო გადავსებული და რა რევოლუცია მოხდა?

გონებული სახეებით ლაპარაკობენ, ძალიან სასაცილოა. კარვებზე ასეთივე გართულება ჰქონდა სააკაშვილს, 7 ნოემბერს სწორედ ამიტომ დაგვარბია და მაინც წააგო. შემდეგ მთელი რუსთაველი კარვებით იყო გადავსებული და რა რევოლუცია მოხდა? რევოლუციებს სინამდვილეში სხვა რაღაცები იწვევს და მთავარი ხელისუფლების სისულელეა. იქ, სადაც ხელისუფლება სულელი არ არის, რევოლუციები არ ხდება.

— **ხელისუფლების სისულელეები არის იმ ზღვრამდე მისული, რომ რევოლუცია მოხდეს?**

— არა, რა თქმა უნდა. გარდა იმისა, რომ საქართველო უკვე აცრილია რევოლუციებზე, რევოლუციას ავტორიტეტიანი ლიდერი სჭირდება. ვერ ვხედავ ოპოზიციაში ისეთ პირს, ვინც შეძლებს ამ ტვირთის აღებას. არც ერთ ლიდერს არა აქვს ხალხის ისეთი ნდობა, რომ მის მოწოდებაზე ქუჩაში გავიდნენ. შესაძლოა ხალხი ძალიან გაბრაზებულია მთავრობაზე, მაგრამ არანაკლებ გაბრაზებულია ოპოზიციაზეც. როდესაც ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლებას მხოლოდ ხალხის 1/3 უჭერს მხარს, ტყუილად აქვს იმედი, რომ დანარჩენს ის გაიყვანს ქუჩაში. 1/3 უჭერს მხარს „ოცნებას“, ამაზე ნაკლები ოპოზიციას და დანარჩენი ე.წ. აბსენტისტია, რომელიც ქუჩაში ოპოზიციას არ გაჰყვება. ქუჩაში გადის ძალიან მოტივირებული ხალხი, რომელსაც სჯერა ლიდერის და რაც მთავარია, სჯერა, რომ თუკი ოპოზიცია მოვა ხელისუფლებაში, უკეთესს გააკეთებს. ჩვენი ოპოზიცია კი თუ მოვა, რას გააკეთებს, კაციშვილმა არ იცის, არც თვითონ იციან და ხალხსაც ვერაფერს ეუბნებიან, გარდა იმისა, ევროპაში გვინდა და „ოცნების“ ლიდერები ბიძინას ზებრები არიანო. ასეთ პირობებში რევოლუციის მოწყობა ძალიან რთული იქნება და არც იმ ჯგუფებით არის შესაძლებელი, ჩვენი უშიშროების სამინისტრო რომ აანონსებს. ვიღაცას თუ ჰგონია, საქართველოში 2003 წელს რევოლუცია „კმარამ“ მოახდინა, ძალიან ცდება. რევოლუციური განწყობა იყო, იყვნენ ლიდერები, „კმარა“ კი იყო ინსტრუმენტი, რომელსაც პოლიტიკოსები იყენებდნენ. მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტი და არამც და არამც რევოლუციის იდეოლოგი და მამოძრავებელი ძალა. კიდევ ვიმეორებ — რევოლუციას სჭირდება მკაფიოდ გამოკვეთილი ლიდერი ან ლიდერთა ჯგუფი, რომელსაც საქართველოში ვერ ვხედავ.

— **თუკი ვერ მივიღეთ სტატუსი, ზურაბიშვილს მოუწყვეს იმპიჩმენტი, ეს არ იქნება საკმარისი ხალხის მოტივაციისთვის? გამორიცხულია ამ მოტივირებულ, სტატუსის ვერმიღებით გაბრაზებულ ხალხს სათავეში ზურაბიშვილი ჩაუდგეს და ამ პროცესმა ხელისუფლება ჩამოშალოს?**

— ამის პოტენციალი ზურაბიშვილს შეიძლება ჰქონდეს. თვითონ მოინდომებს თუ არა, ძნელი სათქმელია, რადგან რთული ადამიანია. როცა პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენეს, თუ გახსოვთ, მაშინ ვთქვი, „ოცნებას“ მისგან ძალიან დიდი სირთულეები ელის-მეთქი. ის უფრო პოლიტიკოსი ქალების წინ წამოწევას ცდილობს და ვნახოთ, რა გამოუვა, როგორი რესურსები და მხარდაჭერა ექნება. მე არ მიყვარს ისეთ რაღაცებზე საუბარი, რაზეც ობიექტური მონაცემები არ გამაჩნია. თუმცა ნამდვილად ობიექტურობაა ის, რომ პატარა პარტიების შეკრება მას ნამდვილად შეუძლია.

— **მელიას მიერ ახალი პლატფორმის შექმნა, რისი მოლოდინიც არსებობს, რას ნიშნავს „ნაცმოძრაობისთვის“ და მეორე მხრივ, შეცვლის თუ არა ოპოზიციის ფლანგზე მდგომარეობას?**

— რა თქმა უნდა, ეს „ნაცმოძრაობისთვის“ არ იქნება სასიამოვნო მოვლენა. მელია, ალბათ, „ნაცმოძრაობის“ რაღაც ხმებს წამოიღებს. თუმცა არა მგონია, ეს „ნაციონალებისთვის“ ტრაგიკული შედეგი იყოს, დიდი დანაკარგი არ ექნებათ. „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველი სააკაშვილის ამომრჩეველია და სააკაშვილი, როგორც მისი განცხადებებიდან ჩანს, მელიას კი არა, ხაბეიშვილისა და ახალი მენეჯმენტის მხარეზეა. თუმცა მელიას შეუძლია გააძლიეროს ოპოზიციური ფლანგი. გამოჩნდება, მელიას რა მხარდაჭერა ექნება. მელიას ჰყავს მომხრეები „ნაცმოძრაობაში“. ამ ხალხს მელია ურჩევნია ხაბეიშვილსა და იმ გუნდს, რომელიც მის უკან დგას, მაგრამ თუკი მელია გავა „ნაცმოძრაობიდან“, რაც უკვე მიშას პარტიასთან რეალურ დაპირისპირებას ნიშნავს, გაჰყვება თუ არა მას არა ხაბეიშვილის, არამედ ენმ-ის წინააღმდეგ ბრძოლაში ხაბეიშვილის მოწინააღმდეგეთა გუნდი, ძნელი სათქმელია. იქნება თუ არა მათთვის მელიას ლიდერობა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ციხეში მყოფი სააკაშვილის ერთგულება? ამას მომავალი აჩვენებს. მელია, ალბათ, შეეცდება, თავის განცხადებებში არ დაარტყას სააკაშვილს, პირიქით პარტიის ახალ მენეჯმენტს დასდოს ბრალი უმოქმედობაში, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ის დაკარგავს იმის პოტენციალს, რომ იმათი ხმები მოიზიდოს, ვისაც ქვეყნის მმართველობაში მიშას მობრუნება არ სურს. ამიტომ ვფიქრობ, მელიას მაინც მოუწევს პარტნიორების მოძებნა ბარიერის გადასალახად. მასაც მოუწევს ფიქრი, რომ რაღაც კოალიციაში შევიდეს, თუ სურს გარანტირებული ჰქონდეს პარლამენტში შესვლა. 5% დაახლოებით ასი ათასი ხმაა და გამოდის, მან „ნაცმოძრაობის“ ხმების 20% მაინც უნდა წამოიღოს, რაც ძალიან ძნელი იქნება. დანარჩენი ამომრჩეველი კი, ვინც ანტინაცია, არა მგონია, მელიასკენ მიბრუნდეს, მას ბევრი სხვა არჩევანი აქვს. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, მელიაც იფიქრებს რაღაც ფლანგის გაძლიერებაზე, არ ვიცი, ეს ვინ იქნება, „ლელო“ თუ კიდევ სხვა. კოალიციების შექმნის დროს ქართული პოლიტიკა უცნაურობებით არის ხოლმე სავსე.

რუსა მაჩაიძე

---

3 დღის განმავლობაში მთელი საქართველო პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს უპრეცედენტო ხმაურიან სასამართლო პროცესს. საკონსტიტუციო სასამართლოს 9 მოსამართლემ უნდა დაადგინოს, დაარღვია თუ არა საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუცია მაშინ, როცა ის მთავრობის თანხმობის გარეშე გერმანიის, ევროსაბჭოსა და საფრანგეთის პრეზიდენტებს შეხვდა. მმართველი პარტიის ოთხი დეპუტატი 80 დეპუტატის სახელით საკონსტიტუციო სასამართლოში შესული საჩივრის დაკმაყოფილებას ითხოვდა. ირწმუნებოდნენ, რომ პრეზიდენტმა დაარღვია კონსტიტუცია, რომელიც მას არ აძლევს უფლებას მთავრობასთან შეუთანხმებლად ქვეყნის გარეთ შეხვდეს სხვა ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირებს. დიდხანს ისაუბრა პროცესზე მოქმედი კონსტიტუციის თანაავტორმა და მმართველი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ, სალომე ზურაბიშვილს კი მოქმედი კონსტიტუციის თანაავტორი და პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი და იურისტი მაია კოპალეიშვილი წარმოადგენდნენ. „52-ე მუხლი არ უნდა იქნეს განხილული იმგვარად, თითქოს პრეზიდენტი სრულიად შეზღუდულია მთავრობის ნების გამოვლენით და მის გარეშე ვერ იმოქმედებს საგარეო ურთიერთობებში“, — ამბობს კოპალეიშვილი და იმოწმებს 49-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, „საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში“. დაირღვა თუ არა კონსტიტუცია, რამდენად დასაბუთებული იყო მხარეების არგუმენტები, დააზიანებს თუ არა ეს პროცესი ჩვენს ქვეყანას, ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე კონსტიტუციონალისტი ვახუშტი მენაბდე გვესაუბრება:

„კონსტიტუცია ფორმალურად დაირღვა, მაგრამ ეს იყო ქვეყნისთვის სასარგებლო ნაბიჯი“

— საქართველოს ისტორიაში ასეთი რამ პირველად მოხდა, აქამდე არც პრეზიდენტისა და არც სხვა თანამდებობის პირის იმპიჩმენტის საკითხი არ წამოწყებულა. კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ეს არის მმართველი გუნდის წამოწყებული პროცესი და არა ოპოზიციის. ამიტომ ამ პროცესების სიმძიმე მთავრობის კისერზე უნდა გადავიტანოთ, რადგან მან არაფრისგან შექმნა პრობლემა, მით უმეტეს მაშინ, როცა ევროკავშირის ძალიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ველოდებით. ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან გეტყვით, რომ პრეზიდენტი მხოლოდ კარგს აკეთებდა ქვეყნისთვის და არაფრის გაფუჭება მას არ შეეძლო. ამას დავამატოთ იმპიჩმენტის წამოწყების პერიოდი — ის დაიწყო ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პერიოდში, არადა, ამ საქმეს არა აქვს ხანდაზმულობა, ნებისმიერ დროს შეიძლებოდა ამის გაკეთება...

პრეზიდენტი ევროინტეგრაციის ხელშესაწყობად იყენებს თავის შესაძლებლობებს და მთავრობა ამის საშუალებას არათუ არ აძლევს, მისი გადაყენების პროცედურას იწყებს — ამას პოზიტიურად არავინ აღიქვამს. ეს იყო ძალიან ცუდად მართული სასამართლო პროცესი. სასამართლომ ისე უნდა წარმართოს პროცესი, ამდენი შესაძლებლობა მხარეს არ უნდა მისცეს. ვფიქრობ, არც სასამართლოს იმიჯზე იმოქმედებს ეს დადებითად. როცა პროცესი მიგყავს, უნდა უზრუნველყო, რომ მხარეები ეთიკის ნორმებს არ გასცდნენ. სასამართლო მეტისმეტად ფამილიარული იყო.

— **თქვენ მოისმინეთ ორივე მხარის არგუმენტები. დაარღვია პრეზიდენტმა კონსტიტუცია?**

— იმპიჩმენტს აქვს პოლიტიკური და სამართლებრივი განზომილება. სამართლებრივ განზომილებას პასუხი უნდა გასცეს სასამართლომ, აქ კი სამართლებრივი არგუმენტების, კონსტიტუციის შინაარსის გარკვევა მიდის. პოლიტიკური კი პარლამენტში გადადის და პარლამენტმა უნდა განსაზღვროს, მიუხედავად იმისა, რომ დაირღვა კონსტიტუცია, პრეზიდენტი იმსახურებს თუ არა იმპიჩმენტს. ძალიან მკაფიოა, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია და აქ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც გადაწყვეტილების მიმღებს, დიდი არჩევანი არა აქვს. თუმცა, მე რომ ვიყო პარლამენტის წევრი, არ დავუჭერდი მხარს პრეზიდენტის იმპიჩმენტს, რადგან მას მნიშვნელოვანი არაფერი დაუზიანებია, პირიქით. კონსტიტუცია ფორმალურად დაირღვა, მაგრამ ეს იყო ქვეყნისთვის სასარგებლო ნაბიჯი. პარლამენტმა სწორედ ეს უნდა გაითვალისწინოს და მხარი არ უნდა დაუჭიროს იმპიჩმენტს. ცხადია, ეს პროცესი უარყოფით გავლენას მოახდენს ევროინტეგრაციის საქმეზე, მაგრამ იმედია, ამას პარლამენტი გამოასწორებს. სასამართლოს შემდეგ პარლამენტს აქვს 2-კვირიანი ვადა ამ საკითხის განსახილველად. თუ ჩააგდო პარლამენტმა საკითხი, პრეზიდენტი შეინარჩუნებს თანამდებობას და თავიდან ამ საკითხის შემოტრიალება არ შეიძლება.

— **იმპიჩმენტის შემთხვევაში რა ხდება, ახალ პრეზიდენტს ახალი წესით აირჩევენ?**

— თუ ასეთი რამ მოხდა და პარლამენტი პრეზიდენტს გადააყენებს, მაშინ 300 წევრისგან შემდგარი კოლეგია აირჩევს ახალ პრეზიდენტს, მათ შორის იქნებიან 150 პარლამენტარი, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატი, საკრებულოს, თვითმმართველობების წარმომადგენლები და, შემდეგ სპეციფიკური ფორმულით გამოანგარიშდება არჩევნების შედეგები. ეს ცვლილება კანონში უკვე ამოქმედებულია და ამისთვის პრეზიდენტის იმპიჩმენტიდან 45 დღეა განსაზღვრული. იმედია, ეს არ მოხდება და პარლამენტი შეაჩერებს ამ პროცესს. თუ ოპოზიციაც მყარად დადგება, ამას შეძლებს, რადგან მმართველ გუნდს არა აქვს 100 ხმა. რაც მთავარია, პრეზიდენტის პოზიცია არ ეწინააღმდეგება მთავრობის საერთო ინტერესს ევროინტეგრაციის შესახებ.

თეა ხურცილავა

მკაფიოა, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია და აქ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც გადაწყვეტილების მიმღებს, დიდი არჩევანი არა აქვს. თუმცა, მე რომ ვიყო პარლამენტის წევრი, არ დავუჭერდი მხარს იმპიჩმენტს, რადგან პრეზიდენტს მნიშვნელოვანი არაფერი დაუზიანებია, პირიქით...

 თვალსაზრისი

„პრეზიდენტის იმპიჩმენტი პუტინის დასანახავად წამოწყებული თამაშია“

არა მგონია, „ქართულ ოცნებას“ 103 დეპუტატი ჰყავდეს მობილიზებული, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ იმპიჩმენტი ჩავარდება. „ოცნების“ დეპუტატებს ზილფიმიანი და ინჯიაც რომ მივათვალოთ, ოპოზიციიდან 10 ხმა მაინც სჭირდება. 10 ხმის ოპოზიციიდან გადმობირება, მოსყიდვა შეუძლებელი მგონია, მით უფრო, „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციას გამოცხადებული აქვს, რომ სხდომაზე არ შევა...

ოგიერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ირწმუნება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უკვე მოისყიდა მათი კოლეგა ოპოზიციონერი დეპუტატები, რათა მათ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტს მხარი დაუჭირონ. კულუარული ვერსიით, ამ საქმისთვის უკვე 103 დეპუტატია მობილიზებული. შეგახსენებთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის საიმპიჩმენტო წარდგინების განხილვა 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. საკითხს საკონსტიტუციო სასამართლოს 9 მოსამართლისგან შემდგარი პლენუმი განიხილავდა. მმართველი გუნდის მიერ ზურაბიშვილის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცესის დაწყების საფუძველი პრეზიდენტის ის საგარეო ვიზიტები გახდა, რაზეც მთავრობამ სალომე ზურაბიშვილს თანხმობა არ მისცა. პრეზიდენტის თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით გადაყენების საკითხი 1-ლ სექტემბერს პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე გადაწყდა. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მოსამზადებლად ერთთვიანი ვადა აქვს. სასამართლოს დადებითი დასკვნის შემთხვევაში, პრეზიდენტის გადასაყენებლად 100 დეპუტატის ხმა არის საჭირო, რაც „ქართული ოცნების“ უმრავლესობას არ გააჩნია, თუმცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, კულუარული ინფორმაციით, საჭირო ხმები უკვე მობილიზებულია. როგორ შეიძლება დასრულდეს ეს პროცესი, როგორ გააგრძელებს პოზიციონირებას სალომე ზურაბიშვილი, თუ ის პრეზიდენტის პოსტს შეინარჩუნებს, ან რა მოხდება იმპიჩმენტის შემთხვევაში, მოსალოდნელია თუ არა პოლარიზაციის გამწვავება, ამ საკითხებზე ანალიტიკოსი ***დავით ზურაბიშვილი*** *გვესაუბრება:*

— ვფიქრობ, საკონსტიტუციო სასამართლო დააკმაყოფილებს ხელისუფლების მოთხოვნას, გასცემს დასკვნას, რომ პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა დაარღვია კონსტიტუცია. ამასთან, შეეცდებიან დასკვნას პოლიტიკისგან გამიჯნული ფორმულირება მისცენ. არა მგონია, „ქართულ ოცნებას“ 103 დეპუტატი ჰყავდეს მობილიზებული, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ იმპიჩმენტი ჩავარდება. „ოცნების“ დეპუტატებს ზილფიმიანი და ინჯიაც რომ მივათვალოთ, ოპოზიციიდან 10 ხმა მაინც სჭირდება. 10 ხმის ოპოზიციიდან გადმობირება, მოსყიდვა შეუძლებელი მგონია, მით უფრო, „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციას გამოცხადებული აქვს, რომ სხდომაზე არ შევა. ამიტომ მგონია, რომ კულუარებში თავად მმართველი გუნდი ავრცელებს ინფორმაციას დემორალიზების მიზნით.

— როგორც პარტია „საქართველოსთვის“ წევრი მისილ დაუშვილი ამბობს, მიუხედავად „ნაციონალური მოძრაობის“ საჯარო განცხადებისა, რომ არ გეგმავენ იმპიჩმენტზე სხდომათა დარბაზში შესვლას, ისინი მაინც აპირებენ ხმა მისცენ პრეზიდენტის იმპიჩმენტს.

— „აღდგომა და ხვალეო“, ყველაფერს მალე გავიგებთ.

არ მჯერა, რომ „ნაციონალებსა“ და „ოცნებას“ შორის გარიგებებია. უბრალოდ, ამ ორი პოლიტიკური გუნდის ინტერესები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ორივეს აწყობს პოლარიზებული დღის წესრიგი და პოლიტიკურ სცენაზე მხოლოდ ორი მოთამაშე.

— როგორ წარმოგიდგენათ, თუ „ქართულ ოცნებას“ წინასწარ მომზადებული, გათვლილი და შესაბამის პირებთან დალაგებულ-შეთანხმებული არ ჰქონდა ყველაფერი, რა იმედით წამოიწყო პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა?

— ამასთან დაკავშირებით უკვე მაქვს ჩამოყალიბებული აზრი. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იმპიჩმენტის პროცედურა ახალი დაწყებული იყო, ბატონმა კობახიძემ განაცხადა, ჩვენ ვიცით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერის გარეშე ამას ვერ გავაკეთებთ, მაგრამ პრეზიდენტის და ოპოზიციის რეალური სახე უნდა გაჩვენოთო. ამ განცხადებამდე ერთი დღით ადრე ბატონმა მდინარაძემ თქვა, ვიცით, იმპიჩმენტისთვის ხმები მაინც არ გვყოფნის და ამიტომ ამ პროცედურის წამოწყებას არ ვაპირებთო. ე.ი. „ქართულმა ოცნებამ“ ერთ დღეში შეცვალა გადაწყვეტილება, რაც ნიშნავს, რომ საქმეში ივანიშვილი ჩაერია. მდინარაძე გუნდთან შეთანხმების გარეშე ვერ გააკეთებდა განცხადებას, როგორც ჩანს, ის რაც თქვა, მმართველი გუნდის პოზიცია იყო, რომლის შეცვლაც მერე ვიღაცამ მოითხოვა.

მმართველი გუნდისთვის ასეთი თამაში წამგებიანია წმინდა პოლიტიკურად იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ 10 ხმის მოსყიდვას მოახერხებს და საბოლოოდ პრეზიდენტის იმპიჩმენტი მოხდება. რატომ? იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში სალომე ზურაბიშვილი ძალიან მარტივად გაფორმდება ოპოზიციის ლიდერად, თანაც იმ ოპოზიციის, რომელშიც „ნაციონალები“ არ შედიან. ხელისუფლებას კი ყველაზე მეტად ისეთი პოლიტიკური მესამე ძალის ჩამოყალიბების ეშინია, სადაც „ნაცები“ არ იქნებიან. თავის მხრივ, სალომე ზურაბიშვილი არაფერს კარგავს არც იმპიჩმენტის და არც პოსტზე დარჩენის შემთხვევაში. შესაბამისად, იბადება ლოგიკური კითხვა, რა ძალა ედგა ხელისუფლებას, თუ ორივე შემთხვევაში წაგებული დარჩება?! ჩემი აზრით, ივანიშვილი კრემლში გზავნის შეტყობინებას, რომ საქართველოს ხელისუფლება არაფერ შუაში არ არის იმ განცხადებებთან, რასაც ზურაბიშვილი აკეთებს.

— ფიქრობთ, რომ ივანიშვილი პუტინთან ანგარიშვალდებულია?

— ივანიშვილსა და პუტინს შორის სუბორდინაციული კავშირი არ არის, პუტინი ნამდვილად არ გასცემს ინსტრუქციებს ივანიშვილისთვის. სხვაგვარ დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე — „ქართულ ოცნებას“ რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მკვეთრად ანტიდასავლური და რუსეთისთვის საამებელი პოზიცია აქვს, შემთხვევითი არ არის, ეს ყველაფერი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის კეთდება. ლოგიკას თუ მივყვებით, ივანიშვილი აუცილებლად შეეცდებოდა რუსეთის ხელისუფლებასთან კავშირის გამონახვას. ბოლო დროს გაირკვა კიდეც, რომ რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებებს შორის დამაკავშირებელი ფიგურა ყოფილი გენპროკურორი ოთარ ფარცხალაძე ყოფილა. ჩემი აზრით, იმპიჩმენტი პუტინის დასანახავად წამოწყებული თამაშია. შეძლო ივანიშვილმა პუტინის დარწმუნება? პუტინი მისი ფსიქოტიპიდან გამომდინარე ვერაფრით ვერ დაიჯერებს, რომ ივანიშვილს მისი დანიშნული პრეზიდენტი არ ემორჩილება. დარწმუნებული ვარ, პუტინი ფიქრობს, რომ ივანიშვილი ორმაგ თამაშს ეწევა — ცდილობს ერთგულად მოაჩვენოს თავი, მაგრამ ზურაბიშვილის საშუალებით დასავლეთსაც ეთამაშება. პუტინს რომ ივანიშვილის არ სჯერა, ამაზე ოჩამჩირეში რუსული ბაზების განთავსების გადაწყვეტილებაც მეტყველებს. რუსები თან ოკუპირებულ აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ახალი მუდმივი ბაზის გახსნას აანონსებენ და თან საქართველოს ხელისუფლებას აქებენ.

— ამ გადაწყვეტილებით რუსეთმა საქართველო, სახელდობრ აფხაზეთი, უკრაინული არმიის სამიზნე გახადა. რისი თქმა შეიძლება, გამოიღო თუ არა ნაყოფი რუსეთთან დათმობის პოლიტიკამ? საინტერესოა ისიც, აფხაზებს რატომ უხარიათ ოჩამჩირეში რუსული ბაზების განთავსება, საფრთხეს ვერ ხედავენ?

— ივანიშვილს ყოველთვის ძალიან ეშინოდა პუტინის. თავად ვიყავი მის გუნდში და კარგად მახსოვს, როგორი წარმოდგენები ჰქონდა მასზე: ავი, ბოროტი და საშიში — ასეთი იყო პუტინი მის წარმოსახვაში. იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ საჭიროების შემთხვევაში არც მკვლელობებს მოერიდებოდა. რაც შეეხებოდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, ყოველთვის ამბობდა, რომ დასავლეთისკენ ისე უნდა წავსულიყავით, რუსეთი არ გაგვეღიზიანებინა. კულუარულად ხშირად გვქონდა ამაზე საუბარი. მე სულ მქონდა იმედი, რომ ბატონ ივანიშვილს პრაქტიკა დაანახებდა, რომ დასავლეთისკენ სვლა რუსეთის გაღიზიანების გარეშე არ გამოვიდოდა და ერთდროულად საქართველოს განვითარებაც და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებაც შეუძლებელი იქნებოდა.

საქართველოს ისტორიის ელემენტარული ცოდნაც საკმარისია ამის მისახვედრად. იმის გაანალიზება მაინც ხომ შეიძლებოდა, რაც შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მოხდა? ორივე პრეზიდენტი შეეცადა რუსეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობის დატკბობით პოლიტიკური დივიდენდები მიეღო, მაგრამ არც ერთს არ გამოუვიდა. როგორც ჩანს, ბატონმა ივანიშვილმა მიიჩნია, რომ ის, რაც შევარდნაძეს და სააკაშვილს არ გამოუვიდათ, მას გამოუვიდოდა. მართალია, ივანიშვილი პრაქტიკული გონების ადამიანია, კარგად იცის, როგორ უნდა ქონების დაგროვება და ძალაუფლების შენარჩუნება, მაგრამ პოლიტიკურ თამაშებში საერთოდ ვერ ერკვევა. ამას თავიდან არც მალავდა, გვეუბნებოდა, მე ამ საკითხში ვერ ვერკვევი და თქვენ მითხარითო. როგორც ჩანს, ახლა მის გვერდით არავინ არის ისეთი, ვისაც ერთდროულად აზრიც მოეკითხება და გულწრფელიც არის.

„ქართული ოცნებისთვის“ უკრაინა „ნაციონალებთან“ არის გაიგივებული და რუსეთთან ომში ზელენსკის გამარჯვებას „ნაციონალების“ გამარჯვებად მიიჩნევენ. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ შუალედური პოზიციის დაჭერა არ გამოდიოდა — ან რუსეთის მხარეს უნდა ყოფილიყავი, ან უკრაინის. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებებს შორის იმთავითვე დაძაბული ურთიერთობა იყო და შემდეგ ამერიკულ-ევროპულ პარტნიორულ ურთიერთობებშიც ბზარი გაჩნდა, ივანიშვილს გაუჩნდა ეჭვი, რომ დასავლეთი მის წინააღმდეგ შეთქმულებას გეგმავდა. ჩემი აზრით, ამ შიშმა აიძულა, რომ რუსეთთან რაღაც ტიპის ვალდებულებები აეღო.

არ არის გამორიცხული, ივანიშვილი რუსეთს იმას დაჰპირდა, რის შესრულებასაც ვერ ახერხებს. შესაბამისად, შესაძლებელია რუსეთი აფხაზეთში გაზეგის განთავსებით არ შემოიფარგლოს და კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე აღმოვჩნდეთ.

რუსეთი ამ ნაბიჯით, ფაქტობრივად, აფხაზეთის ანექსიის გაფორმებას შეეცადა. წესით, ახლა მხოლოდ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კი არა, პრემიერი უნდა აკეთებდეს ძალიან კრიტიკულ განცხადებას. კობახიძისგან იმის თქმა, ჩვენ ვიცით, რასაც ვაკეთებთ და თქვენ მშვიდად იყავითო, სრული სისულელე იყო. თუ მართლა იცი, რას აკეთებ და თუ მეუბნები, რუსეთთან დათმობის პოლიტიკა კარგიაო, მაშინ განმიმარტე კიდეც, რუსეთი რატომ გიხსნის შენს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზას. მტერს რომ არ აღიზიანებ, ამით რაღაც სარგებელი ხომ უნდა მიიღო?! სარგებელია ჩვენთვის აფხაზეთში რუსული ბაზა?! ან კიდევ, რომ მეუბნები, დასავლეთს საქართველოს ომში ჩართვა უნდაო, ამიხსენი, რუსეთი რას აკეთებს ამ ნაბიჯით, ის არ გვითრევს ომში?! ვინმეს ჰგონია, ოჩამჩირეში დაბანაკებულ ბაზას უკრაინული რაკეტები და დრონები არ მისწვდება?! აფხაზებს რა უხარიათ, არ ვიცი, მათი ნაციონალიზმი მხოლოდ საქართველოსგან დამოუკიდებლობაში გამოიხატება, არც რუსეთთან ყოფნა სურთ მაინცდამაინც, მაგრამ ამას მაინც შეეგუებიან.

ახლა აფხაზებს ძალიან ეშინიათ ომში რუსეთის დამარცხების. ფიქრობენ, რომ უკრაინასთან მარცხის შემდეგ მოსკოვს რეგიონიდან გასვლა მოუწევს და საქართველოსთან პირისპირ დარჩებიან. რუსეთი მათთვის საქართველოსგან დაცვის გარანტიაა. კი აცნობიერებენ, რა საფრთხის წინაშეც დადგებიან ოჩამჩირეში რუსული ბაზების განთავსების შემდეგ, მაგრამ სხვა გამოსავალი არა აქვთ, ჩიხში არიან.

ამ ხალხს სულ ცოტა გონიერება რომ ჰქონდეს, რუსეთი პატრონად არ უნდა მიაჩნდეს. სამწუხაროდ, ბოლოდროინდელი მოვლენები მაძლევს იმის ფიქრის საფუძველს, რომ აფხაზები კი არა, ქართველებიც ვერ ხვდებიან, რომ მოძალადეს რაც უფრო მეტად დაუხრი თავს, მით მეტად გაგლახავს. ასეთი მოცემულობის ფონზე ძალიან საშიშია საქართველოს რუსეთთან მარტო დარჩენა.

— თუ პრემიერის ბოლოდროინდელ განცხადებას გავითვალისწინებთ, საქართველოს არც მოუწევს რუსეთთან მარტო დარჩენა. პრემიერმა განაცხადა, რომ მან თითქმის ყველა ევროპელი ლიდერისგან პირობა მიიღო, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას მხარს დაუჭერენ.

— ამის მეც მჯერა. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ დასავლეთი გეოპოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე მიიღებს გადაწყვეტილებას. ახლა ძალიან მნიშვნელოვანია ევროპამ საქართველო მონიშნოს და რუსეთს გაუგზავნოს შეტყობინება, საქართველო შენი არ არისო!

ხათუნა ბახტურიძე

პუტინი მისი ფსიქოტიპიდან გამომდინარე ვერაფრით ვერ დაიჯერებს, რომ ივანიშვილს მისი დანიშნული პრეზიდენტი არ ემორჩილება. დარწმუნებული ვარ, პუტინი ფიქრობს, რომ ივანიშვილი ორმაგ თამაშს ეწევა – ცდილობს ერთგულად მოაჩვენოს თავი, მაგრამ ზურაბიშვილის საშუალებით დასავლეთსაც ეთამაშება. პუტინს რომ ივანიშვილის არ სჯერა, ამაზე ოჩამჩირეში რუსული ბაზების განთავსების გადაწყვეტილებაც მეტყველებს...

როცა უძრავ ქონებას ყადაღა ადევს

„კვირის პალიტრის“ მკითხველების შეკითხვებს უპასუხებს სისხლის სამართლის საქმეების, ასევე სამოქალაქო და ბავშვთა უფლებებში ლიცენზირებული ადვოკატი თამარ ფირცხალავა:

— როცა ფსიქიკური პრობლემები აქვს პირს, მხარდამჭერის სტატუსის მოსაპოვებლად აუცილებლად სასამართლოს უნდა მიმართოს?

— პირი მხარდაჭერის მიმღებად შეიძლება ცნობილ იქნეს, თუ მას აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი, ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისა და მხარდამჭერის დანიშვნის შესახებ განცხადება სასამართლოში შედის და განცხადება შეიძლება შეიტანოს თავად ამ პირმა, მისმა ოჯახის წევრმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, ფსიქიატრიულმა ან სპეციალიზებულმა დაწესებულებამ. პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, უფლება აქვს სახელმწიფოს ხარჯზე ისარგებლოს ადვოკატის უფასო მომსახურებით, დაესწროს სასამართლო პროცესებს და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. თუ ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე მას არ შეუძლია სასამართლო პროცესზე დასწრება, შეუძლია კომუნიკაციის ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით მოითხოვოს სასამართლო პროცესში ჩართვა, ან ჰყავდეს მისთვის სასურველი მხარდამჭერი, კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა და მხარდამჭერის დანიშვნა ერთადერთი საკითხია, რომელიც ითვალისწინებს სავალდებულო დაცვას, ანუ პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, უნდა ჰყავდეს ადვოკატი, მიუხედავად მისი გადახდისუუნარობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა.

— მეუღლესთან ოფიციალურ ქორწინებაში არ ვიყავი, თუმცა გვყავს შვილი, როგორ მოვიქცე, რომ დადგინდეს მამობა?

— დღეს ეს საკითხი სამოქალაქო კოდექსში კარგად არის დარეგულირებული. ბავშვის მშობლის ვინაობა რომ დადგინდეს, სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი ყველაზე ეფექტურ გამოსავლად მშობელთა ერთობლივი განცხადების წარდგენას მიიჩნევს. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მშობელი ადასტურებს, რომ ბავშვი მათი შვილია. თუ არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება, როდესაც მამას არ სურს დადასტურდეს ის ფაქტი, რომ შვილი მისია და ცდილობს აიცილოს ყველა ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც მის მიმართ აქვს, ასეთ დროს დედას საშუალება აქვს მოითხოვოს სასამართლო წესით მამობის დადგენა.

მამობის აღიარებაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. ამ მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლია ერთ-ერთ მშობელს ან ბავშვის მეურვეს, ან თავად ბავშვს, თუ ის არის სრულწლოვანი. ასევე შეიძლება იყოს საპირისპირო შემთხვევაც, როდესაც, პირიქით, ვთქვათ, დედას არ სურს კონტაქტი ჰქონდეს ბავშვის მამასთან და ამის გამო არ შეაქვს მასთან ერთად განცხადება სასამართლოში. ნებისმიერ შემთხვევაში ეს ჩანაწერი ორივე მშობლის უფლებას თანაბრად იცავს და აღიარებს.

როცა წყვილი ქორწინებაში არ იმყოფება, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში დედის მონაცემები მიეთითება დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტისა და დედის განცხადების საფუძველზე, მამობის დადგენა კი არის იურიდიული ფაქტი, რომელიც წარმოშობს მშობელსა და შვილს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს.

ადრე ბავშვის მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებდა ბავშვის დედისა და სავარაუდო მამის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდას, ან რჩენას. დღეს კი შესაძლებელია პირის ბავშვის მამად აღიარება ან უარყოფა გენეტიკური ანალიზის, ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე. დნმ-ი ინახავს ადამიანის ბიოლოგიური წარმომავლობისა და ფიზიკური აგებულების შესახებ სრულ ინფორმაციას. თითოეულ ადამიანს მისი ინდივიდუალური დნმ-ი აქვს. ბავშვს დნმ-ის მეშვეობით მშობლისგან გადაეცემა გენეტიკური ინფორმაცია. შვილი გენეტიკურ ინფორმაციას სანახევროდ დედისაგან და სანახევროდ მამისაგან იღებს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს შვილებისა და მშობლების ურთიერთმსგავსებას. დნმ-ის ექსპერტიზისთვის შეუძლია მიმართოს როგორც დედამ, რომელიც ამტკიცებს, რომ მისი შვილის მამა კონკრეტული პირია, ასევე მამაკაცმა, რომელიც ამტკიცებს, რომ ბავშვის მამაა, ან პირიქით, უარყოფს კონკრეტული ბავშვის მამობას. დნმ-ის ტესტის ჩატარება შესაძლებელია სხვადასხვა გენეტიკური მასალით, სისხლის გარდა შეიძლება გამოიყენებულ იქნეს თმა, ფრჩხილი თუ სხვა მასალა და თითქმის 100% სიზუსტით ადგენს მამის ვინაობას. ასეთ დროს მამის ვინაობის დადგენის მიზეზი უამრავი რამ შეიძლება იყოს: ბიოლოგიური მშობლის პოვნა, სამემკვიდრეო უფლებების მოპოვება, ალიმენტის მოთხოვნა, თუნდაც მამის სურვილი, აღიაროს თავისი შვილის მამობა და ა.შ. იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე მიზეზით ვერ ხერხდება ნიმუშის აღება მამისგან, შესაძლებელია მამის ბიოლოგიური მშობლების, ანუ ბებია-ბაბუების გამოყენებაც. დნმ-ტესტის გასაკეთებლად აუცილებელია ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა. საქართველოში დნმ-ის ანალიზი კეთდება როგორც ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, ასევე კერძო სამედიცინო კლინიკებში. დნმ-ტესტის გასაკეთებლად გაწეულ ხარჯებს მოდავე მხარეები გაინაწილებენ შემდეგი წესით — თავიდან გაიღებს მოსარჩელე, ვთქვათ, დედა. დნმ-ტესტის დადებითი პასუხის შემთხვევაში და ამის საფუძველზე სარჩელის დაკმაყოფილებისას დნმ-ტესტზე გაწეული ხარჯების გადახდა მოუწევს მოპასუხეს, ანუ მამას. მიუხედავად იმისა, რომ კანონმა ანთროპოლოგიური გამოკვლევაც გაითვალისწინა მამობის დადგენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად, დღეს ამ საშუალებას თითქმის არავინ იყენებს. ანთროპოლოგიური კვლევა თავისი შინაარსით ადამიანის სხეულის აგებულებას სწავლობს და მას, ძირითადად, პირის იდენტიფიკაციისათვის მიმართავენ. მეტიც, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და კერძო კლინიკების წამყვანი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ანთროპოლოგიური გამოკვლევა მამობის დასადგენად ძალზე არასარწმუნო და არასანდო მეთოდია. როცა სასამართლოში ასეთი საკითხები განიხილება, ამოსავალი წერტილი ბავშვის ინტერესია. ბავშვის შეხედულებებს მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად სათანადო ყურადღება ეთმობა ხოლმე. ეს დანაწესი უკვე ნათელს ხდის, რომ ყოველთვის წინა პლანზე დგას ის, თუ რა ზეგავლენას მოახდენს კონკრეტული გადაწყვეტილება მოზარდზე, როგორ აისახება ის მის ფსიქიკასა და ნორმალურ განვითარებაზე და ყურადღება ნაკლებად ექცევა მშობლის უფლებას შვილის ყოლაზე. სასამართლომ აუცილებლად უნდა გაიზიაროს მოზარდის აზრი და შეფასება განსახილველ დავაში. სასამართლომ შესაძლოა იხელმძღვანელოს ამ ნორმით მაშინ, როდესაც, მაგალითად, ბავშვი თავის ფაქტობრივ აღმზრდელს, დედის მეუღლეს მიიჩნევს ბიოლოგიურ მამად, რადგანაც ცხოვრობენ ერთ ოჯახად და ბავშვს არ აქვს ცნობა იმის შესახებ, რომ ის მისი ნამდვილი მამა არ არის. ამასთან, ბავშვი შეიძლება იმყოფებოდეს გარდატეხის ასაკში და ასეთმა საკითხმა შესაძლოა გამოუსწორებელი ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენოს. ასეთ შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად აუცილებელია ფსიქოლოგიური კვლევის ჩატარება ბავშვის ფსიქოემოციური მდგომარეობის შესწავლისა და იმის დასადგენად, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მამობის დადგენას. თუ ასეთი კვლევა დაადასტურებს, რომ მამობის დადგენამ შეიძლება ბავშვის ფსიქიკას მძიმე და წარუშლელი კვალი დაამჩნიოს, სასამართლოს შეუძლია მამობის დადგენაზე თქვას უარი.

თეა ხურცილავა

— მოგესალმებით. საქმე არის აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ქონებას ადევს ყადაღა. რა ვადაში ცხადდება აუქციონი და შემიძლია თუ არა მასში მონაწილეობა?

— პირველი ინტერნეტაუქციონი ყადაღის დადებიდან 1 თვის ვადაში ცხადდება, ხოლო საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 2 კვირის ვადაში. თუ ქონება არ გაიყიდა პირველ აუქციონზე, მაშინ პირველი აუქციონის დასრულებისთანავე განმეორებითი აუქციონი გამოცხადდება, რომელზეც ქონების საწყისი ფასი 0 ლარს შეადგენს. ყველა პირს, ვინც დარეგისტრირდება საიტზე, შეუძლია აუქციონში მონაწილეობა, აუქციონში გამარჯვებული პირი კი ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში სრულად დაფაროს ქონების ღირებულება. თუკი ვერ შეძლებს ამ თანხის დაფარვას, მაშინ დაკარგავს აუქციონის ჩატარების დღეს გარანტიის სახით შეტანილ თანხას. ეს თანხა გადავა აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში. თუ გამარჯვებულმა თანხა არ დაფარა, მაშინ აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას შედეგების გაუქმებაზე და განკარგულების გამოცემიდან 3 კალენდარულ დღეში, ის ხელახალ აუქციონს ჩაატარებს, რომელიც არ ჩაითვლება განმეორებით აუქციონად. ასევე, იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, სააღსრულებო ფურცლის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ მოთხოვნას, ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. ასე რომ, თუ თქვენ აპირებთ აუქციონში მონაწილეობას, უნდა გაიაროთ ვებგვერდზე რეგისტრაცია და საგარანტიო თანხის გადახდას შეძლებთ პლასტიკური ბარათით.

— აქვს თუ არა კერძო აღმასრულებელს აუქციონის ჩატარების უფლება?

— ასეთ დროს ის მიმართავს აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადით, სააღსრულებო ბიუროს წარუდგენს სააღსრულებო დოკუმენტაციას, თავის მიერ დამოწმებულ ასლებს და ასევე სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე შეაქვს ამ მომსახურებისათვის დადგენილი საფასური. სააუქციონო მომსახურების გაწევის შესახებ განაცხადის მართვის ავტომატური საშუალებებით წარდგენის შემთხვევაში, სააღსრულებო წარმოების მასალები დამოწმებას არ საჭიროებს. თუ კერძო აღმასრულებლისთვის სააუქციონო მომსახურების გაწევისას ქონებას აქვს დადებული ყადაღა და მოხდება ამ ქონების რეალიზაცია, მაშინ კერძო აღმასრულებლის მიერ დადებულ ყადაღას თავად კერძო აღმასრულებელი მოხსნის. აქვე განგიმარტავთ, თქვენ შეგიძლიათ კერძო აღმასრულებელთან სააღსრულებო საქმის წარმოების ნებისმიერ დროს შეწყვეტა და იმავე სააღსრულებო ფურცლის აღსრულების ეროვნულ ბიუროში შემოტანა.

კოლორიტი

„თბილისელობა საპატიო წოდებაა, საპატიო თბილისელობა კი ორმაგი პატივია“

ჩვენი ქალაქი ყოველთვის გამოირჩეოდა კოლორიტული ოჯახებით. ერთ-ერთი ასეთია ბალაშვილების ოჯახი, სადაც წლების განმავლობაში არაერთი სალამო, შეხვედრა თუ წვეულება გამართულა. თუ ვინმე გამორჩეული მოღვაწე იყო, ყველა მათ სახლში იყრიდა თავს. მამის და მისი საოცარი მეგობრების გარემოცვაში იზრდებოდა პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და უკვე თბილისის საპატიო მოქალაქეც ბატონი გია ბალაშვილი, რომელთანაც საუბარი ყოველთვის საინტერესოა.

— გილოცავთ თბილისელის საპატიო მოქალაქის წოდებას! რას ნიშნავს იყო თბილისელი და რას ნიშნავდა თბილისი და თბილისელობა თქვენთვის და თქვენი ოჯახისათვის?

— დიდი მადლობა მოლოცვისთვის. თბილისის საპატიო მოქალაქეობა ყველაზე დიდი ჯილდოა, რომელიც შეიძლება მიიღოს ამ ქალაქის მკვიდრმა. როდესაც შენი მშობლიური ქალაქი ამხელა პატივს დაგდებს, რა თქმა უნდა, ამაღელვებელია. თბილისელობა საპატიო წოდებაა, საპატიო თბილისელობა კი ორმაგი პატივია. ამაყი ვარ, რომ ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე. მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ თბილისს არც ერთზე არ გავცვლი. თბილისელობა ჩემთვის არის სითბო, სიყვარული და ზრუნვა საკუთარ ქალაქსა და ქვეყანაზე. კიდევ არის დანაპირების შესრულება და საკუთარ სიტყვაზე პასუხისმგებლობის აღება.

— თქვენი ოჯახი ყოველთვის კოლორიტული იყო, რა განაპირობებდა ამას?

— თავად ამ სიტყვის ეტიმოლოგიაც მიგვანიშნებს, რომ ადამიანს მაშინ უწოდებენ კოლორიტულს ან სხვაგვარად „ქალაქის კოლორიტს“, როდესაც ის თავისი ცხოვრების წესითა და საქციელით ამშვენებს ქალაქს. მამაჩემი მართლაც გამორჩეული თბილისელია, ღირსეული პიროვნება და ამასთან, დიდი ხელოვანი. ჩემთვის ყოველთვის სამაგალითო იყო და არის. ბედნიერი ვარ, რომ ასეთმა მშობლებმა აღმზარდეს. იგივე შემიძლია ვთქვა ჩემს ერთადერთ და საფიცარ დაზე, ჩემს თეონაზე, რომელიც უდიდესი დასაყრდენი და საუკეთესო მეგობარია.

თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება რომ გადმომცეს, მაშინ გავიაზრე, საპატიო თბილისელთაგან რამდენი იყო ჩემ ირგვლივ სულ პატარა ასაკიდან. დავიწყოთ იმით, რომ მამაჩემი გახლავთ თბილისელის საპატიო მოქალაქე, თბილისის საპატიო მოქალაქე იყო ჩემი ნათლია, ალექსანდრე ბასილაია, თბილისის საპატიო მოქალაქეები არიან თეიმურაზ წიკლაური, ვახტანგ ტატიშვილი, ვის თვალწინაც ვიზრდებოდი; ბატონი ანზორ ერქომაიშვილი, ბატონი ჯემალ ჭკუასელი — ჩვენი უახლოესი ადამიანები. ერთსაც დავძენ, მგონი, მხოლოდ მე მხვდა წილად ბედნიერება, რომ ვყოფილიყავი ხელმძღვანელი 10 საპატიო თბილისელისა — ბუმბერაზი მსახიობების მუსიკალური ხელმძღვანელი ვიყავი. ისინი საპატიო თბილისელებად თავის დროზე სწორედ იმიტომ დაასახელეს, რომ გამორჩეული იყვნენ არა მარტო პროფესიული თვისებებით, არამედ პიროვნული ღირსებითაც და ამშვენებდნენ ჩვენს ქალაქს, მთელ საქართველოს. რომელი ერთი გავიხსენო: ქალბატონი სოფიკო ჭიაურელი, ბატონი კოტე მახარაძე, რამაზ ჩხიკვაძე, თენგიზ არჩვაძე, ჯემალ ღაღანიძე, გურამ საღარაძე, კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი და ა.შ. სინამდვილეში მე ვიყავი მათი შეგირდი, მათგან ვსწავლობდი პროფესიის სიყვარულს, მაყურებლის პატივისცემას... მიუხედავად მათი განსხვავებული ხასიათებისა, რამდენიმე საერთო თვისება ჰქონდათ — თავმდაბლობა და პატივისცემა სხვისი ღირსებისა. ეს დიდებული პიროვნებები უდიდეს პატივს სცემდნენ და აღიარებდნენ სხვის ნიჭიერებას... გარდა ამისა, რამაც მოიტანა დღევანდელ დღემდე თბილისი თავისი მართლაც განუმეორებელი კოლორიტით, ეს არის მეხსიერება ქალაქისა, რომელსაც ახსოვს ის ღირსეული თბილისელები, რომელთაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ამ ქალაქის ცხოვრებაში. დიდი მიხეილ თუმანიშვილის თქმის არ იყოს: „რა აზრი აქვს გამოცდილების დაგროვებას, თუკი მას არავის გადასცემ“. თბილისი ყოველთვის გადასცემდა ზეპირ მეხსიერებაში შემონახულ ამბებს მომავალ თაობას საიმისოდ, რომ წინა თაობების ღირსეული ნამოქმედარი არ დაკარგულიყო.

თბილისის საპატიო მოქალაქეობა ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდოა, რომელიც შეიძლება მიიღოს ამ ქალაქის მკვიდრმა. როდესაც შენი მშობლიური ქალაქი ამხელა პატივს დაგდებს, რა თქმა უნდა, ამაღელვებელია... მამაჩემიც გამორჩეული თბილისელია, ღირსეული პიროვნება და ამასთან, დიდი ხელოვანი. ის ჩემთვის ყოველთვის სამაგალითო იყო და არის...

ჩემი შვილები ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები არიან ჩემს ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ მართლაც უაღრესად დატვირთული ვარ, მაინც მაქვს საშუალება, რომ ჩემი დროის უდიდესი ნაწილი ჩემს შვილებს დავუთმო. ბედნიერი ვარ იმით, რომ მათთვის მამა საუკეთესო მეგობარი და დასაყრდენია...

— რომელიმე ისტორია გაიხსენეთ თბილისური ცხოვრებიდან...

— 1981 წელია, 10 წლის ვხდები და ჩვენთან მოვიდა ალექსანდრე ბასილაია. სულ ვცდილობდი ნათლიაჩემის გვერდით ვყოფილიყავი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინსტრუმენტს მიუჯდებოდა. ორი წელია გასული პირველი თბილისობის შემდეგ, თბილისობის მაშინდელმა ორგანიზატორებმა ალექსანდრე ბასილაიასა და მამაჩემს სთხოვეს შეექმნათ სიმღერა თბილისობაზე. იმ დღეს ბასილაია, რომელსაც ყველა ბუთხუზს ეძახდა, ჩვენთან შუადღისას მოვიდა. 5 საათზე სამხატვრო საბჭოს კრებაზე უნდა ჩაებარებინა ახალი სიმღერა. სიმღერა თითქმის დასრულებული ჰქონდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იყო ერთი მონაკვეთი, რომელსაც საინტერესო გაგრძელება ვერ მოუძებნა. ასეთ დროს უყვარდა ხოლმე ჩვენთან შემორბენა და ინსტრუმენტთან განმარტოება. როდესაც სახლში შემოვიდა, დედაჩემი სუფრას შლიდა, მამაჩემმა სასმელი გამოიტანა და ნათლიაჩემი მიიპატიჟა. ბუთხუზმა უპასუხა, პატარა საქმე მაქვს, მალე შემოვალო და ფორტეპიანოს მიუჯდა. მე, რა თქმა უნდა, იქვე სავარძელზე ჩამოვჯექი და სმენად ვიქეცი. ბუთხუზმა თბილისობისადმი მიძღვნილი ახალი სიმღერის მელოდია დაუკრა და როცა იმ ადგილას მივიდა, ჯერ კიდევ დასამთავრებელი რომ ჰქონდა, გაჩერდა... ახლიდან დაიწყო დაკვრა... მეორედაც გაჩერდა იმავე ადგილას... უკმაყოფილო ხმით რაღაც ჩაიბურტყუნა და მივხვდი, რომ გამოსავალს ვერ პოულობდა. ამასობაში მამაჩემმა გამოსძახა სამზარეულოდან, დროზე, ბიჭო, გაცივდა ყველაფერიო. კი, კი, მალე მოვალო, დაუბრუნა ბუთხუზმა პასუხი და უცბად დაიწყო მელოდიის დაკვრა, რომელმაც პირველივე აკორდებიდან მომაჯადოვა. ეს იყო 1981 წელი. მიუზიკლი „არგონავტები“ ორი წლის შემდეგ დაიდგა, მაგრამ, როგორც ჩანს, ალექსანდრე ბასილაიას სიმღერა „არგოს“ ცნობილი ლაიტთემა, დღეს რომ ნახევარმა მსოფლიომ იცის, მაშინ უკვე შექმნილი ჰქონდა და სწორედ მისი პირველი აკორდების მისადაგება სცადა ლექსისთვის, რომელიც მამაჩემმა თბილისობის ახალი სიმღერისთვის დაწერა. მალევე გაჩერდა და ჩაილაპარაკა, ამაზე ხომ არ გავხარჯავ ამ მელოდიასო. ამიტომ ისევ სიმღერის პირვანდელ ვერსიას დაუბრუნდა, სწრაფად მონახა მელოდიის განვითარების მოხდენილი გზა და ჩაილაპარაკა, იყოს ასე, არაფერი უჭირსო. ასე შეიქმნა მშვენიერი სიმღერა „თბილისობაა, თბილისობაა“, რომელსაც ბრწყინვალედ ასრულებდა თემურ წიკლაური ანსამბლ „ივერიის“ სხვა სოლისტებთან ერთად. ასე რომ, ორი კარგი რამ ერთდროულად მოხდა — თბილისობაზე ახალი სიმღერაც დაიბადა და გადარჩა ლაიტთემა, რომელიც რამდენიმე წელიწადში იქცა სიმღერად „არგო“.

— ძველი თბილისი ახალს არ ჰგავს, როგორ ფიქრობთ რატომ?

— ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია და ის, დროის შესაბამისად იცვლება. ერთი რამ, რაც ყოველთვის ახასიათებდა თბილისს და დღესაც გამოარჩევს, არის მულტიკულტურული გარემო. ამის შედეგად იბადებოდა თვითმყოფადი, უნიკალური კულტურა, რაც თბილისს აყალიბებდა ამიერკავკასიის კულტურულ ცენტრად. ამასთან, ქალაქი მნიშვნელოვნად გაზრდილია და არ არის გასაკვირი, რომ ძირძველ თბილისელს ადრინდელივით არ ჰქონდეს შინაურული განცდა ყველა უბნისა.

— ყველაზე მეტად რა გენატრებათ იმ ძველი თბილისიდან?

— დღეს მოღიმარ ადამიანს იშვიათად დაინახავ. მახსოვს, როცა სტუმრად ჩამოდიოდნენ მამაჩემის მეგობრები მაშინდელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან, ყველა ამბობდა, რა თავისუფლად ვსუნთქავთ თქვენს ქალაქშიო. რეჟისორ ევგენი გინზბურგის ფილმში „არგონავტები“, რომელიც ალექსანდრე ბასილაიასა და ჯემალ ბალაშვილის მიუზიკლის მიხედვით შეიქმნა და სადაც „ივერიელები“ თამაშობდნენ მთავარ როლებს, რამდენიმე მოწვეული მსახიობი იყო და ერთ-ერთი მათგანი გახლდათ მაშინდელი საბჭოთა კინოს ვარსკვლავი ალექსანდრ აბდულოვი. ერთ ინტერვიუში ასეთი რამ თქვა, თბილისში მე ვისწავლე მშობლიური ქალაქის სიყვარული და ქალაქელობის ცნებაო.

— დღეს როგორია ჩვენი ქალაქი?

— ვფიქრობ, ბევრი რამ სწორედ ცივილიზაციამ შეცვალა, რომელსაც მრავალ სიკეთესთან ერთად, აქვს უნარი შეცვალოს ურთიერთობები, ატმოსფერო და ხშირად არცთუ სასიკეთოდ. ჩვენი უსაყვარლესი ბატონი ნოდარ დუმბაძე ტელეინტერვიუში ტკივილით ამბობდა, იზოლირებული კი არის ჩვენი ბინები და უკეთესი ყოფითი პირობები გვაქვს, მაგრამ აღარ არის ის ერთიანი სივრცე, როდესაც კარი არ იკეტებოდა, საერთო ეზო გვქონდა, საერთო იყო ტკივილიცა და სიხარულიც. აი, ეს ერთიანობის განცდაა ბედნიერების მომტანიო. ყველანი ჩვენს ბინებში შევიკეტეთ, გვაქვს ჭუჭრუტანები, საიდანაც ვუცქერთ სტუმარს, თუ მოგვეწონება, კარს გავუღებთ და თუ არადა, არაო. დღეს ამ ჭუჭრუტანებს დაემატა გაჯეტებში განმარტოება და ნამდვილი, უშუალო ურთიერთობების ვირტუალურად გადაქცევა. თუმცაღა, თუკი რამე შეიძლება ამ ყველაფერს დაუპირისპირო, ეს არის სიყვარული და მოგონება იმ ღირსეული ადამიანებისა, რომლებიც გამორჩეულ თბილისურ ატმოსფეროს ქმნიდნენ.

— დღეს რა გვჭირს ქართველებს, ასეთი სიძულვილი, ორპირობა რომაა ყველგან?

— ვფიქრობ, სიძულვილისა და ორპირობის მატება გამოიწვია ღირებულებათა სისტემის რღვევამ, სულიერ ფასეულობებზე წინ მატერიალურის დაყენებამ. რწმენის დეფიციტმა, როგორც ილია ამბობდა, „ჩვენ“-ზე წინ „მე“-ს წამოწევამ.

— მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, თუ გრჩებათ დრო შვილებთან ურთიერთობისთვის.

— ჩემი შვილები ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები არიან ჩემს ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ მართლაც უაღრესად დატვირთული ვარ, მაინც მაქვს საშუალება, ჩემი დროის უდიდესი ნაწილი მათ დავუთმო. ბედნიერი ვარ იმით, რომ მათთვის მამა საუკეთესო მეგობარი და დასაყრდენია.

— რას უნდა ველოდოთ ახალს გია ბალაშვილისაგან?

— 9 ოქტომბერს, ნიუ-იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტში გაიმართება ჩემი ლექცია თემაზე, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჰარვარდის უნივერსიტეტში წავიკითხე: „საქართველო ღვინისა და მრავალხმიანობის აკვანი“. დაგეგმილი მაქვს ლექციები ესპანეთში, საბერძნეთში, პოლონეთსა და ესტონეთში; ამასთან, გრძელდება ყოველდღიური მუშაობა სატელევიზიო გადაცემაზე „ჩვენი შოუ“; ინტენსიურად ვმუშაობთ ტრადიციად ქცეულ „იუმორინას“ საახალწლო კონცერტზე. გარდა ამისა, ინტენსიურად ვმუშაობ ჩემს მონოგრაფიაზე, რომელიც ქართული მუსიკალური ფოლკლორის ესთეტიკის საკითხებს ეძღვნება.

რუსუდან შაიშმელაშვილი

„მინდოდა ედიტ პიაფისა და ჟანა დ'არკის სახეები შემექმნა... მაგრამ ჩემი ოცნება ოცნებად დარჩა“

ამბობენ, რომ ეკრანს ყველა სახე არ უყვარს და ეს სიმართლეა: შეიძლება ცხოვრებაში ადამიანი ძალიან მომხიბლავიც იყოს, მაგრამ ეკრანზე დაიკარგოს, არ გამოჩნდეს... ეკრანს ხელოვნურად შექმნილი სახის ნაკვთები არ უხდება. დღეს ეკრანებზე ნაოჭები და ბუნებრივი ნაკვთები უფრო ფასობს, ვიდრე ხელოვნური...

„დედაჩემს, ინოლა გურგულიას სურდა, რომ მსახიობი გავმხდარიყავი. მართალია, მაშინ ინოლა უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ მის სურვილს გვერდი ვერ ავუარე. 10 წლის ვიყავი, როდესაც ინოლა ამ ქვეყნიდან წავიდა, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას! ის ყოველთვის მოუცლელი იყო, მაგრამ როცა სახლში რჩებოდა, შეეძლო განუმეორებელი, სითბოთი და სიყვარულით სავსე გარემო შეექმნა. ისეთ ემოციებს გვჩუქნიდა, რომელიც არ შეიძლება დაგავიწყდეს!“

„ყველა თეატრს ვგულშემატკივრობ, ყველას წარმატება მახარებს, მაგრამ მარჯანიშვილის თეატრი ჩემთვის ყველაფერია“, — გვითხრა მსახიობმა ***ია შულლიაშვილმა,*** *რომელსაც მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ვესაუბრეთ:*

— მსახიობობა რომ გადავწყვიტე, უკვე სკოლას ვამთავრებდი. ბევრ ინტერვიუში მითქვამს, რომ ეს დედას სურვილი იყო: სწორედ დედაჩემს — ინოლა გურგულიას სურდა, რომ მსახიობი გავმხდარიყავი. მართალია, მაშინ ინოლა უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ მის სურვილს გვერდი ვერ ავუარე. საკმაოდ ჩაკეტილი ბავშვი ვიყავი, ეს პროფესია გახსნის და უფრო ხალისიანს გახდისო, ამბობდა დედა. ეს სიტყვები გულში ჩამრჩა და როგორც ანდერძი, ისე შევასრულე. ხშირად ამბობენ, მსახიობებს რა უჭირთო, მაგრამ რეალურად ასე არ არის: ამ პროფესიას არა აქვს დადგენილი დრო, როდის უნდა გახვიდე სცენაზე და როდის ხარ საჭირო, წინასწარ არასდროს იცი. ეს შენზე არ არის დამოკიდებული. არანაკლებ რთულია როლზე მუშაობაც, მაგრამ საოცრად საინტერესო პროფესიაც არის, სულ ძიებასა და შემოქმედებით წვაში ხარ, რაც ენით უთქმელი ემოციებით გავსებს.

— საოცნებო როლები თუ გაქვთ?

— ასაკთან ერთად ერთი კარგი ჩვევა გამოვიმუშავე: რა როლსაც მაძლევენ, იმის მადლობელი ვარ და ვცდილობ ამ როლისთვის ბოლომდე დავიხარჯო. ამოჩემებული როლიც არა მაქვს, თუმცა ახალგაზრდობაში ძალიან მინდოდა ედიტ პიაფისა და ჟანა დ'არკის სახეები შემექმნა. ამ როლებს ახალგაზრდული ასაკი სჭირდება, ასე რომ, ჩემი ოცნება ოცნებად დარჩა.

— ფინანსური სიდუხჭირის გამო არაერთმა მსახიობმა დათმო სცენა. თქვენც ხომ არ გიფიქრიათ პროფესიის შეცვლაზე?

— არა მგონია, მსახიობობა ვინმემ თავისი სურვილით მიატოვოს. რასაკვირველია, რთულია სცენას უერთგულო, როცა მწირი ანაზღაურება და უამრავი ყოფითი პრობლემა გაქვს, როცა იცი, რომ შენს კოლეგებს საზღვარს იქით სულ სხვა ცხოვრება აქვთ. ქართველი მსახიობები, ალბათ, შევეგუეთ, რომ ენთუზიაზმზე უნდა ვიმუშაოთ, თავი დავარწმუნეთ, რომ ხელოვანს მატერიალური გათვლები არ უნდა ჰქონდეს.

— პოლიტიკაში წასულ მსახიობებზე რას ფიქრობთ?

— ეს ორი სხვადასხვა სამყაროა და თუ მსახიობი პოლიტიკაში მიდის, ის უკვე პოლიტიკოსია და არა მსახიობი. ვფიქრობ, მსახიობი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ თავისი აზრი ჰქონდეს. თუ მსახიობს რამის გაკეთება სურს, ისევ სცენიდან, თავისი საქმით უნდა ეცადოს.

— დავუბრუნდეთ საქმეს, რომელიც კარგად გამოგდით: ნათქვამია, ადამიანმა სცენის მტვერი ერთხელ თუ ჩაისუნთქა, მერე ამ საქმეს ვერ მოეშვებაო.

— როლზე მუშაობა, სცენის ხიბლი და სპექტაკლის ბოლოს ფეხზე წამომდგარი მაყურებლის ტაში — სწორედ ესაა მსახიობის ჯილდო: შრომობ, შრომობ და როცა ხედავ, რომ შენი მაყურებელი გახარებულია, როცა ცდილობს თავისი მადლიერება ოვაციით გამოხატოს, როცა შენი პროფესია გავსებს და გაბედნიერებს, ამაზე კარგი რა უნდა იყოს? აი, სწორედ ეს არის „სცენის მტვერი“, რომელიც თუ გადაყლაპე, მერე ამით შეპყრობილი ხდები და ვეღარ ღალატობ! სამწუხაროდ, არის მეორე შემთხვევაც: შეიძლება არ გაგიმართლოს და ცხოვრებისეული სიტუაციის გამო სცენის დატოვებამ მოგიწიოს — თუ მოწოდებით მსახიობი ხარ, ეს უმძიმესი გადაწყვეტილებაა!

— ქალბატონო ია, მოგწონთ სერიალებში თამაში? ბევრი ფიქრობს, რომ ეს თეატრის მსახიობისთვის მეორეხარისხოვანია...

— ვერ ვიტყოდი, რომ მეორეხარისხოვანია. როლზე ყველგან ერთნაირი დატვირთვით ვმუშაობ: სპექტაკლშიც, მხატვრულ ფილმშიც და სერიალშიც. ზოგადად, სერიალებს არ ვუყურებ, იმიტომ კი არა, რომ ეს ჟანრი არ მომწონს, უბრალოდ, მითრევს და ამდენი სერიის ყურების დრო აღარ მაქვს. მირჩევნია, რამდენიმე მხატვრული ფილმი ვნახო, ვიდრე გაუთავებელი სერიალი. მიუხედავად ამისა, ქართული სერიალებიც მაქვს ნანახი და უცხოურიც, ბევრი მათგანი მომწონს.

— როგორი სახე უხდება ეკრანს — ბუნებრივი თუ ხელოვნური?

— ეკრანს ყველა სახე არ უყვარს: შეიძლება ცხოვრებაში ადამიანი ძალიან მომხიბლავიც იყოს, ლამაზიც, მაგრამ ეკრანზე დაიკარგოს, არ გამოჩნდეს... ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც რეჟისორს მსახიობი მოსწონებია, სინჯებზეც მიუწვევია, მაგრამ ის არ გამოსულა, რაც უნდა ყოფილიყო. პლასტიკურ ჩარევას რაც შეეხება, მე ბუნებრიობა მომწონს. როგორც ყველა ქალს, კოსმეტიკა მეც მიყვარს, მაგრამ პლასტიკური ჩარევა ჯერ არ დამჭირვებია. იმედია, არც დამჭირდება, რადგან ეკრანს ხელოვნურად შექმნილი სახის ნაკვთები არ უხდება. დღეს კინოში ბუნებრიობა სჭირდებათ, რადგან ფილმებს ისეთ თემებზე იღებენ, სადაც ბუნებრივი გამომეტყველება და მიმიკებია საჭირო.

— როგორ გეხმარებათ ოჯახი, მეუღლე, როცა თეატრში დატვირთული რეჟიმი გაქვთ?

— როდესაც ასეთი რეჟიმი მაქვს, მაშინ ვხვდები, რატომ უხდიან „ოსკარის“ თუ სხვა სერიოზული პრიზების გადაცემის დროს მადლობას დედას, მამას, ოჯახის წევრებს: იმიტომ, რომ ამ დროს ყოფითი, ყოველდღიური პრობლემები მათ ზურგზე გადადის. მეც, როცა სერიოზული სამუშაო მაქვს, ჩემი მეუღლე, თემურ მაისაშვილი, მაქსიმალურად მეხმარება. ისიც ხელოვანია, მუსიკოსი და ზუსტად ესმის, ხელშეწყობა როდის მჭირდება. სამაგიეროდ, როცა მას დიდი მუსიკალური პროექტები აქვს, მეც ყველანაირად ვცდილობ კომფორტული გარემო ჰქონდეს. ქალის და კაცის საქმე ჩვენს ოჯახში არ არსებობს: თუ საჭიროა, მეც ვითავსებ კაცის საქმეს, ჩემი მეუღლეც მშვენივრად უძღვება „ქალის საქმეებს“.

— აუცილებლად უნდა გკითხოთ ადამიანზე, რომელიც მთელ საქართველოს უყვარდა — როგორ გახსენდებათ დედა, ინოლა გურგულია?

— 10 წლის ვიყავი, როდესაც ინოლა ამ ქვეყნიდან წავიდა, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას! ის ყოველთვის მოუცლელი იყო, მაგრამ როცა სახლში რჩებოდა, შეეძლო განუმეორებელი, სიყვარულით სავსე გარემო შეექმნა. ისეთ ემოციებს გვჩუქნიდა, რომელიც არ შეიძლება დაგავიწყდეს! ძალზე ტკბილად მახსენდება მასთან ერთად გატარებული დასვენების დღეები. შაბათ-კვირა მთელი კვირის დანაკლისს გვივსებდა. საოჯახო საქმის კეთება ძალიან უყვარდა, მაგრამ ოჯახისთვის ვერ იცლიდა. სამაგიეროდ, თავის მსმენელს ისეთ სიმღერებს ჩუქნიდა, რომელიც დღემდე პოპულარულია. ინოლას სიმღერები მისი შინაგანი სამყაროს, მისი გრძნობების ანარეკლია, ალბათ, ამიტომაც არის ასე თბილი, ახლობელი და სულში ჩამწვდომი!

ხათუნა ჩიგოგიძე

ახალი პროექტი იწყება!
15 წიგნი 15 წლის შემდეგ.

15 წლის წინ დაიწყო ყველასთვის საყვარელი პროექტი **„50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“**. 15 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის შეიცვალა მკითხველის გემოვნება, მოთხოვნები, ინტერესები. სწორედ ამიტომ თქვენთან ერთად ვიწყებთ ახალ პროექტს **„კიდევ 15 წიგნი, რომელიც ერთხელ მაინც უნდა წაიკითხო“.**

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 3000-ზე მეტმა ადამიანმა.
გიზიარებთ შუალედური შედეგების განახლებულ შედეგებს:

- ჯორჯ მარტინი - ცეცხლი და სისხლი
- ნაირა გელაშვილი - დედის ოთახი
- ანა ფრანკი - ანა ფრანკის დღიური
- ალექსანდრე დიუმა - ქალი ხავერდის ყელსაბამით
- კაზუო იშიგურო - არასოდეს გამიშვა
- ჯეინ ოსტინი - ემა

შენი აზრის დასაფიქსირებლად დაასკანერე QR კოდი ან დაგვიკავშირდი ნომერზე: 2 47 00 45

პალიტრა L

თვალსაზრისი

„არც ნატო და არც ევროკავშირი ქართველებისთვის გრაალი არ არის, აქამდეც გვიცხოვრია და ვიცხოვრებთ“

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე მსახიობსა და პოლიტიკოს ზაზა პაპუაშვილს ვესაუბრეთ. მან შეაფასა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებული კადრები და დაანონსებულ „რევოლუციურ სცენართან“ დაკავშირებული განცხადება. ასევე, ისაუბრა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ, რომელსაც საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი დაჩქარებული წესით განიხილავს. ზაზა პაპუაშვილმა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის საკითხსა და საკონსტიტუციო სასამართლო პროცესებზეც ისაუბრა:

„საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც თავისუფლებამ მთლად გადააჭარბა ყველაფერს და გადავიდა უზრდელობაში, განუკითხაობაში. ვინ ვის რას უკრძალავს, მომიტანეთ, დამანახეთ. ქვეყანას არ დაგამხობინებთ და არ გადაგატრიალებინებთ, ესაა თავისუფლების შეზღუდვა?“

„პრეზიდენტს იმდენი თავმოყვარეობაც არ გააჩნია, ადგეს, გაიხუროს კარი და წავიდეს“

— სალომე ზურაბიშვილთან დაკავშირებით არც არაფერი არ მინდა ვთქვა, იმიტომ, რომ მეც მივიღე მის არჩევაში მონაწილეობა. ადამიანი, რომელიც ქვეყანაში უნდა ყოფილიყო სიმშვიდის, გონიერების, ქვეყნის სიყვარულის გარანტი, აღმოჩნდა, რომ უჭკუობის, არეულობისა და ღალატის გზას დაადგა. მგონი, ასე ადამიანი არც საკუთარ ოჯახში არ უნდა იქცეოდეს და მით უმეტეს, თანამდებობაზე. მისი ეს ე.წ. სიჯიუტე სახლში შეინახოს, ამხელა თანამდებობის პირია, ხომ უნდა გაუწიოს საზოგადოებას ანგარიში, მაგრამ საზოგადოებამ და ამომრჩეველმა მას 30 აპრილს (რესპუბლიკის მოედანზე აქცია, სახელწოდებით „მოვდივარ“ გაიმართა) საკადრისი პასუხი გასცა, როდესაც სახალხო ლეგიტიმაცია ჩამოერთვა. მას ამომრჩეველი აღარ ჰყავს. ქალმა როგორ უნდა მოახერხო, რომ ვინც გაგინებდა და გწყევლიდა, იმათთან ზიხარ მოლაპარაკების მაგიდასთან. სამწუხაროდ, ჩვენ ჩვენი იდეალისტობა და მაქსიმალისტობა გვლუპავს, ადამიანს იმაზე მეტი ვალდებულება არ უნდა დააკისრო, ვიდრე იმსახურებს. პრეზიდენტს იმდენი თავმოყვარეობაც არ გააჩნია, ადგეს, გაიხუროს კარი და წავიდეს. ქვეყნისთვის უკვე საშიში ხდება მისი გადაწყვეტილებები და ქცევა. სასამართლოში არგამოცხადება სისტემის შეურაცხყოფაა. როდესაც ასეთ ეშმაკურ ნაბიჯებს დგამ, მთავრობას სთხოვ წასვლას, ის კი არ გაძლევს უფლებას, მაგრამ მაინც მიდიხარ, საკუთარ ფულს ხარჯავ — ეს უკვე გაცნობიერებული ნაბიჯია. რატომ არ მოჰკიდა ხელი ბიუჯეტის ფულს? ეს უკვე ლუსტრაციაა, იცის, რას არღვევს და რატომ, იცის, რა შფოთი უნდა შემოიტანოს. ადრე, როდესაც მიდიოდა და მთავრობისგან თანხმობას იღებდა სამართლებრივად, მისი გამგზავრების ხარჯებს ბიუჯეტი აფინანსებდა. ახლა როდესაც მიდის და ლაპარაკობს საქართველოს სახელით, იმ დროს, როდესაც პრემიერისა და მთავრობისგან არ ეძლევა კონტრასიგნაცია, არ აიღო ბიუჯეტის თანხები, რომ აეღო, პირდაპირ კრიმინალი იქნებოდა, სისხლის სამართლის დანაშაული, ამიტომ გამოიყენა საკუთარი სახსრები და ეგ კიდევ საკითხავია, რა არის საკუთარი სახსრები. ასე რომ, მან კარგად იცის, რა გააკეთა და როგორ. თუ თავს გაიშტერებს, თავისთვის გაიშტეროს.

— მინდა გკითხოთ, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ. თქვენ წინა ხელისუფლების დროს აქტიურად მონაწილეობდით საპტოტესტო აქციებში, იცით, რა დანშნულებაც აქვს თუნდაც კარავს. ხომ არ ფიქრობთ, რომ კანონი რაღაც ფორმით შეზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას?

— მე ვიყავი აქციებზე, თუმცა არასოდეს გამიშლია კარავი და არ შევსულვარ შიგნით. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც თავისუფლებამ მთლად გადააჭარბა ყველაფერს და გადავიდა უზრდელობაში, განუკითხაობაში. ვინ ვის რას უკრძალავს, მომიტანეთ, დამანახეთ. ქვეყანას არ დაგამხობინებთ და არ გადაგატრიალებინებთ, ესაა თავისუფლების შეზღუდვა? ლამის პარლამენტში შეცვივდნენ. ეს მათთვის გაკეთდა, რომ არ მოხდეს უბედურება და პირიქით, ვინც იქ არიან, ადამიანების, იმათ დასაცავად არის ეს ყველაფერი. კარავზე ნუ გადაგაქვთ აქცენტი, კარავზე არ არის ლაპარაკი. აქ ლაპარაკია ისინი სისტემურად რასაც სჩადიან, რითი შეიძლება მოახდინონ ის, რაც აქვთ ჩაფიქრებული, კარავიც შეიძლება შედიოდეს და კიდევ სხვა რაღაცებიც, ამიტომ მე კონკრეტული ვითარებისთვის, აუცილებლობისთვის, რათა კარავი არ დაგადგმევინო, მჭირდება ეს კანონი.

„ჩემს ქვეყანაში დაანონსებულია რევოლუცია, ამიტომ მე კანონის დონეზე ადეკვატური ნაბიჯები უნდა გადავდგა, რომ არ შედგეს ქვეყნისთვის დამანგრეველი აქტი“

— ევროპის არაერთ ქვეყანაში დგას მთავარ საკანონმდებლო ორგანოსთან კარავი, თუმცა ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მათ ქვეყნის გადატრიალება უნდათ?

— აქ სხვა ვითარებაა, ჩემი ქვეყნის ომში ჩათრევა უნდათ, მუშაობს როგორც გარე, ასევე შიდა მტერი. ჩემს ქვეყანაში დაანონსებულია რევოლუცია, ამიტომ მე კანონის დონეზე ადეკვატური ნაბიჯები უნდა გადავდგა, რომ არ შედგეს ქვეყნისთვის დამანგრეველი აქტი. არანაირად არ იზღუდება გამოხატვის თავისუფლება.

— სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულ კადრებზეც გკითხავთ...

— ჩვენი ამ ვაიპოლიტიკოსების ჩამორჩენილობა ის არის, რომ ვერ გარკვეულან, რა ხდება მსოფლიოსა და სამეზობლოში, რა იარაღზეა ლაპარაკი, ვინ დგას თითოეული განცხადების უკან, რა ქვეტექსტებია, რა ბიზნეს-პროექტები, რა ძალა რა ძალას ებრძვის, როგორი პოლიტიკა უნდა გაატაროს ქვეყანამ. აკეთებენ რაღაც ხისტ განცხადებებს — რუსული კანონი, რუსული ხელისუფლება, ჩვენ ნატო გვინდა — ეს იმხელა ჩამორჩენილობა და ოროსნობაა პოლიტიკაში. ეს არც განათლებასა და არც საქმის ცოდნასთან ახლოს არ არის. დავანებოთ თავი ამ ჩამორჩენილ, არასოდეს რომ არ მიგვიღებენ იმ ნატოზე ლაპარაკს, არც ამ ევროკავშირზე ლაპარაკს. ეს გადმოგდებული ძვალია, რომ ჩვენ შიგნით დავჭამოთ ერთმანეთი. არც ნატო და არც ევროკავშირი ქართველებისთვის გრაალი არ არის, აქამდეც გვიცხოვრია და ვიცხოვრებთ, ამიტომ ადამიანები და „მეგობრები“ თუ ჩვენს გადაჩეხას აპირებენ თავიანთი ამოცანების შესასრულებლად და ამაზე უარს ვამბობთ, რა ძნელი გასაგებია. სამეზობლოში ცეცხლია გაჩენილი, პრაგმატული პოლიტიკა გვჭირდება. არ უნდა გადავყვეთ ვიღაცას საფლავში, არ შეიძლება პოლიტიკაში რომანები, სიმპათია და ანტიპათიებით ლაპარაკი, ყველა მუშაობს პრაგმატულად თავისი ქვეყნის სასარგებლოდ. ეს არის ბრძოლა თავმოყვარეობასა და უთავმოყვარეობას შორის.

— თქვენი კოლეგები ამბობენ, რომ ამერიკის საელჩო შეცდომაშია შეყვანილი. თქვენი აზრი გვაინტერესებს აშშ-ის საელჩოსა და USAID-ის განცხადებების შესახებ.

— ეს არის უკვე აშკარა რევოლუციური სცენარები და ამ დროს შენ უნდა გაჩუმდე, ხელი უკან წაიღო და მისცე საშუალება ქვეყანა გადაგიტრიალონ? ასეთი თავხედობა, თან დაუმალავად, წარმოუდგენელია პირდაპირ. მე როგორც ერთ მოქალაქეს მომბეზრდა ასეთი ფარისევლური „ხვევნა-კოცნა, მტლაშამტლუში“. ადრე რთული იყო ძალის მოკრება, იმიტომ, რომ ნაომარ, გაპარტახებულ, გაძარცულ, სიღარიბეში მყოფ ქვეყანას აღარ ჰქონდა იმხელა ძალა, რომ ღირსეულად ეპასუხა რაღაც საქციელებზე. ახლა ვიკრებთ ძალას. პირდაპირ გეუბნები, თუ მეგობარი ხარ, მემეგობრე. ჩემი კეთილდღეობა უნდა გინდოდეს და არა ჩემი დაქცევა. თუ შენ ყველა ნაბიჯზე ჩემს ქვეყანაში არეულობას მიანონსებ, როგორ განვვითარდე, რა ჯანდაბად მინდა ეგეთი მეგობრობა?! ჩვენ ყველასთან შეგვიძლია მეგობრობა, ამის მაგალითია საქართველო. ნახეთ, რამდენი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს ჩვენთან. ქართველს ღირსებაზე არ უნდა მიაწვე, თორემ დედას გიტირებს.

ეს არის უკვე აშკარა რევოლუციური სცენარები და ამ დროს შენ უნდა გაჩუმდე, ხელი უკან წაიღო და მისცე საშუალება ქვეყანა გადაგიტრიალონ? ასეთი თავხედობა, თან დაუმალავად, წარმოუდგენელია. მე როგორც ერთ მოქალაქეს მომბეზრდა ასეთი ფარისევლური „ხვევნა-კოცნა, მტლაშამტლუში“. პირდაპირ გეუბნები, თუ მეგობარი ხარ, მემეგობრე. ჩემი კეთილდღეობა უნდა გინდოდეს და არა ჩემი დაქცევა. თუ შენ ყველა ნაბიჯზე ჩემს ქვეყანაში არეულობას მიანონსებ, როგორ განვვითარდე, რა ჯანდაბად მინდა ეგეთი მეგობრობა?!

სოფო კაჭარავა



9 ოქტომბრიდან ახალი სერია

ბაისანი დიდი ადამიანები

ხუთტომეული ყველა დროის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეების ცხოვრებისა და მემკვიდრეობის შესახებ

თითოეული ტომში ხუთი განსაკუთრებული ამბავია ხუთი დიდი მოღვაწის შესახებ – გზა ბავშვობიდან ისტორიაში დამკვიდრებამდე. გაიარე ეს გზა მათთან ერთად და დაიმახსოვრე მათი საქმეები.

ტომი 4

გიორგი ბერწყინვალე ვაჟა-ფშაველა ქაქუცა ჩოღოყაშვილი
ექვთიმე თაყაიშვილი სულხან-საბა ორბელიანი

სპეციალური ფასი: 15 ₾
ასაკი: 8+

1. წიგნის შესაძენად ეწვიეთ ბიბლუსის ფილიალებსა და პრესის გავრცელების წერტილებს. წიგნის შეძენას გამოსვლიდან ერთი კვირის განმავლობაში სპეციალურ ფასად შეძლებთ!
ან გახდით გამომწერი:
2. დაგვიკავშირდით ნომერზე: **322 47 00 45**, გამოიწერეთ 5 ტომეული და ჩვენ თითოეულ ტომს ყოველთვიურად სასურველ დროსა და ადგილზე მოგიტანთ.
3. გამოიწერეთ ონლაინ, საიტიდან **www.palitral.ge**. აირჩიეთ თქვენთვის სასურველი გადახდის თარიღი და პირობები და მიიღეთ თქვენი რჩეული წიგნები ყოველთვიურად.
სატელეფონო და ონლაინ გამოწერის შემთხვევაში, საკურიერო მომსახურების ფასი მთელი საქართველოს მასშტაბით მხოლოდ 2 ლარია.

პალიტრა L

„ჩვენი თვალი დედაქვეყნისკენ იმედით არის მიპყრობილი. ხშირად ტყუილად, მაგრამ მაინც საქართველოს იმედი გვაქვს“

ჩვენ არაერთხელ დაგვიწერია ჰერეთსა და ჰერელებზე და მუდმივი ტკივილით: როგორც საუკუნის წინ თანამედროვენი წერდნენ, აზერბაიჯანისათვის ჰერეთის მიკუთვნებულობის ხელშეკრულება მოსკოვისაკენ მიმავალ მატარებელში, ქართველი ბოლშევიკის, სერგო ორჯონიკიძის ხელით მარტივად გაფორმდა! დიახ, ფაქტს ვერ შეცვლი, ვერც კითხვას, ასეთმა რა ძალის ბოროტებამ შეიძლება გაიღვიძოს ადამიანში, რომ მამული გაასხვისებინოს. თუმცა, საბედნიეროდ, არც ჰერები იცვლებიან, არაერთი დამპყრობლისაგან ამოწყვეტილები ისე მომრავლდნენ, როგორც გადაჩეხილ ხეზე ყლორტები, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ძალიან ხშირად, საუბედუროდ, ჰერების პრობლემებს ყურსაც არ ათხოვებს. ამიტომ ამ საუბარში ჰერ ნენე ყულოშვილთან მხოლოდ პრობლემებზე არ ვისაუბრებთ, გეტყვით, დროდადრო როგორი სიძლიერით განახლდება ხოლმე ჰერში თვითგადარჩენის ძალა.

თუ აზერბაიჯანს გადააქვს საქართველოში აზერბაიჯანული წიგნები, საქართველოს რატომ არ შეუძლია აზერბაიჯანში ქართული წიგნები ჩამოიტანოს?! მაგრამ საქართველოს მთავრობას ეს რომ არ ეფიქრება და არ აწუხებს, გული იმიტომ გვტკივა. სოფლიდან წასულმა ხალხმა ითავა, ფული შეაგროვა და ქართული წიგნები ჩამოგვიტანა. ნეტავ გენახათ, როგორ უხაროდათ, ამ დედაენის ცქერა არა მარტო ბავშვებს, არამედ მთელ სოფელს. წელს ქართულ სექტორზე პირველ კლასში უკვე 2 ბავშვით მეტი შევიდა, – შარშან 9 პირველკლასელი გვყავდა, წელს უკვე 11 გვყავს

— ჰერების პრობლემები ჰერეთში ყველამ ვიცით, თუნდაც ბოლო სამი წლის განმავლობაში აზერბაიჯან-საქართველოს სახმელეთო საზღვრის დაკეტვა და მხოლოდ საჰაერო მიმოსვლა რამხელა დაბრკოლებაა. ამის მიუხედავად, ჰერეთი ვითარდება. საქართველოს სხვა კუთხეებზე მეტად მოვლილი სოფლებიც გაქვთ, რაც მხოლოდ მე არ მახარებს.

— პრობლემებზე გრძელ საუბარს მეც არ ვაპირებ, მით უფრო ახლა, როდესაც ირგვლივ მძიმე პოლიტიკური სიტუაციაა. მეც მიხარია, რომ ქართველს თვალში ხვდება ჰერების წელგამართულობა. ამის მიზეზი ის არის, რომ ყველა ჰერი თავჩაღუნული შრომობს. გამოთქმაც კი გვაქვს: „ჩონ თავ ჩაგიღუნი ვმუშობთ, ჩონბე უჩუმრა“. აი, სწორედ ასეა, ჰერები ჩვენთვის, თავჩაღუნული ვშრომობთ. ჩვენთან სოფელში ოჯახს ვერ ნახავ, რომელსაც ძროხა, კამეჩი, ცხვარი და 50 ფრთა ქათამი მაინც არ ჰყავდეს. არ გვინდა ბაზარში ვიაროთ და შვილებისთვის ქიმია ვიყიდოთ. ჩვენი მიწაა ჩვენი პატრონი და მას ვენდობით. ისე, ჩვენი კაცები წელიწადში რამდენიმე თვე რუსეთში მიდიან მშენებლობაზე და მათ მოტანილ ფულს ჩვენსას ვამატებთ. აი, ასე დგას ჩვენი ოჯახები. ყველას თხილის პლანტაციები გვაქვს. მე სოფელ ითათალაში ვცხოვრობ, აქ ახლა 700 კომლი მაინც არის და ყველას აქვს თხილის ბაღი. თვალისჩინივით ვუვლით, ვყიდით და სახელმწიფოც იბარებს. ასე რომ, ლუკმას სხვას არ ვთხოვთ, იმის შიში ჩვენთან არ არის, მშიერი დავიხოცებით.

— 700 კომლი! ეს ლამის მთელი ქალაქია.

— დიახ, ბევრნი ვართ და არც გვშია, მაგრამ შვილები კი გვედარდება.

— ალბათ, განათლებაზე ამბობთ.

— საქართველოში, ალბათ, გული გაუსკდებოდათ მშობლებს, ბავშვები სკოლაში დაგლეჯილი წიგნებით რომ დადიოდნენ და

თანაც ამ წიგნებში ასოებიც არ იკითხებოდეს. ისტორიას კი ფიზკულტურის მასწავლებელი ასწავლიდეს, რადგან სხვა მასწავლებელი არ არის. ამან ზოგი მშობელი ისე შეაშინა, აზერბაიჯანულ სექტორზე დაიწყო შვილების შეყვანა. თუმცა მერე მაინც ყველა ერთად გამოვფხიზლდით, მთელი სოფელი, არ მიგვატოვა ქართულმა სულმა: სოფლიდან წასულმა ხალხმა ითავა, ფული შეაგროვა და ქართული წიგნები ჩამოგვიტანა — ანუ ჩვენ აღარავის დავუცადეთ, მათ შორის არც საქართველოს მთავრობას, რომელსაც აზრადაც არ მოსვლია ჩვენთვის დედაენის შეძენა. ნეტავ გენახათ, როგორ უხაროდათ, ამ დედაენის ცქერა არა მარტო ბავშვებს, არამედ მთელ სოფელს.

— საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე როგორ გადაიტანეთ წიგნები?

— თუ აზერბაიჯანს გადააქვს საქართველოში აზერბაიჯანული წიგნები, საქართველოს რატომ არ შეუძლია აზერბაიჯანში ქართული წიგნები ჩამოიტანოს?! მაგრამ საქართველოს მთავრობას ეს რომ არ ეფიქრება და არ აწუხებს, გული იმიტომ გვტკივა. სამაგიეროდ, წელს უფრო მეტი თანხა შევაგროვეთ და ქართულ სექტორზეც პირველ კლასში უკვე 2 ბავშვით მეტი შევიდა, — შარშან 9 პირველკლასელი გვყავდა, წელს უკვე 11 გვყავს.

„საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მინდა ვუთხრა – ასე როგორ მიატოვეთ ჰერეთი, რომ აქეთ გამოხედვაც არ გინდათ?!“

— რა სასიხარულოა ასეთი მიზანსწრაფულობა და ძლიერება.

— სხვა რა ძალა გვაქვს?! პრობლემა უამრავი გვაქვს, მასზე ხშირად გვითქვამს, გვიტირია და საქართველოს შველასაც შევხვეწნივართ. ჩვენი თვალი ჩვენი დედაქვეყნისკენ იმედით არის მიპყრობილი. მართალია, ხშირად სულ ტყუილად, მაგრამ მაინც საქართველოს იმედი გვაქვს. იმასაც ვხედავთ, რომ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი ქვეყანა ძლიერდება და ეს გვაცოცხლებს. ჩვენი სოფლიდან ხალხი თბილისში მშენებლობაზე სამუშაოდაა წამოსული, თანაც როგორი მუშაობა ვიცით, საქმეს რომ მივადგებით, სანამ ბოლომდე მშვიდობით არ მივიყვანთ, არ შევისვენებთ.

— სახმელეთო საზღვარი რომ ჩაკეტილი გაქვთ, როგორ გადმოდიხართ საქართველოში?

— თვითმფრინავით, ოღონდ იშვიათად, რადგან ძვირი ღირს. არა უშავს, ის დღეც აუცილებლად დადგება, ასე აღარ იქნება. საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას კი მინდა ვუთხრა — ისე როგორ მიატოვეთ ჰერეთი, რომ აქეთ გამოხედვაც არ გინდათ?! ნეტავი იცოდეთ, როგორ ძალას გვაძლევს იმის დანახვა, რომ საქართველოს ვახსოვართ. ნუ გეშინიათ, ოღონდ მოდით, მატერიალურს არაფერს მოგთხოვთ. ხომ ხედავთ, ფეხზე ვდგავართ და მომავალშიც ასე ვიქნებით.

ეთერ ერაძე



პალიტრა L

დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე: 599 08 62 99

ოთხფეხა მეგობრები

როგორ და რატომ იქცა ქართული ნაგაზი კავკასიურ ნაგაზად

მიუსაფარ ცხოველთა თემა ჩვენი ყოფის პრობლემებს უფრო წარმოაჩენს, ვიდრე ცხოველების. თუ მათ ადრე „უბრალოდ“ ხოცავდნენ და ასე იშორებდნენ თავიდან, დღეს უკვე ქუჩაში ტოვებენ. ძნელი სათქმელია, ქუჩაში მიტოვებულ ცხოველებში არის თუ არა ქართული ნაგაზი. სპეციფიკური თვისებების გამო ქართულ ნაგაზს ნებისმიერი ვერ იყოლიებს. აქედან გამომდინარე, ქუჩაშიც იშვიათად უნდა აღმოჩნდეს.

*ქართული ნაგაზი ქართველების მონაპოვარია, საუკუნეების განმავლობაში ის ერთგულად გვემსახურებოდა. **პაატა ჩაგელიშვილი** ერთ-ერთი იშვიათია მათგან, ვინც ქართული ნაგაზის ჯიშს ათეული წლებია პატრონობს და ამრავლებს უფრო სიყვარულის გამო, ვიდრე კომერციის: სრულფასოვნად ქართული ნაგაზის მოვლა და შენახვა იმდენად ძვირი ჯდება, რომ ამ საქმეში კომერციას მცირე ადგილი რჩება:*

„ქართული ნაგაზი მრისხანე დამცველია, თუმცა არა დაუნდობელი: ის ძალიან აგრესიულ, ცუდი განზრახვით მოსულ ადამიანსაც კი მაშინვე დასაკბენად არ მიეტანება, არამედ ცდილობს წინ გადაუდგეს და შეაჩეროს. მშვენივრად გრძნობს, ვინ რა განზრახვით გიახლოვდებათ და შემოდის თქვენს ტერიტორიაზე. ის ცუდ საქმეზე მოსულის ცუდ აურას რეცეპტორებით შეიგრძნობს და თუ ის ადამიანი არ დაემორჩილება, ვერც აღვწერ, რაც მოხდება

— თქვენ ლეკვების სილამაზით შესაძლოა ადამიანს სუნთქვა შეუგუბდეს, მაგრამ ასეთი ქართული ნაგაზის გამოზრდას ისეთი კვება და მოვლა სჭირდება, სიყვარული რომ არ გქონდეთ, გაგიჭირდებათ.

— მოდი, ასე დავიწყოთ: დღეს საუკუნეების განმავლობაში გამოყვანილი შეუდარებელი ქართული ნაგაზის ორი განშტოებაა: სუფთა, უძველესი ჯიში, ჩვენს დიდ მცველად და მოდარაჯედ გამოყვანილი. რომელიც ამავე სახით არის ჩვენში, მაგალითად, ყაზბეგში ან სხვაგან, და მეორე: კავკასიური ნაგაზი, რომელიც ასევე ქართული ჯიშის გაგრძელებაა. თუმცა საუკუნოვანი ქართული ნაგაზისაგან ვიზუალურად განსხვავდება შედარებით დიდი ზომითა და ასევე გრძელი, საოცრად ლამაზი თივთიკივით ბეწვით. კავკასიურ ნაგაზს აქვს სიფხიზლის, ძალისა და სიამაყის ის თვისებები, რაც საუკუნოვან ქართულ ნაგაზს. ორივე სახეობა იმდენად მიყვარს, რომ მთელ ოჯახს მათ გარეშე არ შეგვიძლია, ამიტომაც ვზრდით. ალბათ, მკითხავთ, როგორ განშტოვდა კავკასიური ნაგაზი ქართული ნაგაზისაგან. ეს მოხდა რუსი კინოლოგების ინიციატივით, რომლებმაც 1990-იანი წლებიდან ქართული ნაგაზი „კავკასიური ნაგაზის“ სახელით გაიყვანეს მსოფლიო კინოლოგიაში.

— 1990 წლებიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც ჩვენ დაგვაქციეს, რუსებმა ქართული ნაგაზით კომერცია დაიწყეს?

— დიახ, ასეა. დღეს უკვე რუსეთში, მათ შორის, დიდ ქალაქებთან ახლოს, კავკასიური ნაგაზის უამრავი საშენია, საიდანაც ის მსოფლიოში ვრცელდება. ამ ჯიშს ყიდულობენ აფრიკაში, ამერიკაში, ერაყსა და მსოფლიოს კიდევ მრავალ კუთხეში. თუ რატომ შეარჩიეს რუსებმა სუფთა ქართული ნაგაზი მსოფლიოში გასავრცელებლად, ალბათ, გასაგებია: პატრონის ასეთი ერთგული, ამაყი და შეუდრეკელი ჯიში იშვიათია. წინააღმდეგ შემთხვევაში, კავკასიაში სხვა ჯიშებიც არსებობს და მათ შეარჩევდნენ. სომხებსა და აზერბაიჯანელებსაც ჰყავთ ისტორიული ნაგაზის ჯიშები.

— კავკასიური ნაგაზი ვიზუალურად განსხვავდება სუფთა ქართული ნაგაზისაგან.

— დიახ, გრძელი ბეწვით, წონით. თუმცა კავკასიურ ნაგაზს შენარჩუნებული აქვს ყველა ის თვისება, რაც ქართულ ნაგაზს: სიფხიზლით, ძლიერებითა და პატრონის ერთგულებით მას ვერავინ შეედრება. კავკასიურ ნაგაზს დაყნოსვისა და რამის მოცუნცულების ბრძანებას ასე იოლად ვერ მისცემ, ვერც აკადრებ მისი სიამაყის გამო და პრინციპში არც გააკეთებს ამას. ის სულ სხვა მიზნებით არის შექმნილი. ის თავისი დნმ-ით სულ სხვა რამისთვის არის შექმნილი და არა ჯოხის ყნოსვისთვის.

კავკასიური ნაგაზი ბევრს ჰყავდა და ჰყავს, ვისაც მასში საკმაოდ დიდი ფულის გადახდა შეეძლო და შეუძლია. ეს ჯიში ძალზე ძვირი ღირს, ევროპაში 2.000 ევროდ არის შეფასებული.

— ისე, გასაკვირია, ქართული ჯიშის ამ პოპულაციას რუსებმა თუნდაც „კავკასიური ნაგაზი“ რომ დაარქვეს და არა „რუსული ნაგაზი“.

— გასაკვირი არ არის, იმიტომ, რომ მათაც იციან, რა კოდია ჩადებული სიტყვა „კავკასიაში“. სწორედ კავკასიაა ბრძოლისა და ღირსების სიმბოლო — ასეთ „ბრენდად“ იცნობს მას მსოფლიო. რუსი მეცნიერები ვერც დღეს მალავენ, რომ კავკასიური ქართული ჯიშისაა, ამას ოფიციალურადაც აფიქსირებენ. სხვათა შორის, როდესაც კავკასიური ნაგაზი ასევე სუფთა სისხლის კავკასიურ ნაგაზს ეჯვარება, ზოგჯერ რომელიმე ლეკვი სუფთა ქართულ ნაგაზს იმდენად ემსგავსება, რომ გაოცდებით...

„რუსი მეცნიერები ვერც დღეს მალავენ, რომ კავკასიური ქართული ჯიშისაა, ამას ოფიციალურადაც აფიქსირებენ“

— ესე იგი ამ დროს ქრომოსომები საუკუნოვანი ქართული ჯიშის სასარგებლოდ მუშაობს.

— დიახ, რა თქმა უნდა, თუმცა, მაგალითად, ყაზბეგურ ქართულ ნაგაზთან შედარებით, რომლის წონა 70 კილოგრამამდეა, კავკასიური ნაგაზის წონა 100 კილოგრამსაც აღწევს. ყაზბეგური ნაგაზი უფრო სწრაფად მოძრაობს და მუშაობს, მაგალითად, ცხვარში, მაგრამ პატრონს, მის ტერიტორიასა და ოჯახს კავკასიური ნაგაზიც თავგამეტებით იცავს. ამ საქმეში უნიკალურია, საუკეთესო ყნოსვა და სმენა აქვს, პატრონის ავტომანქანის ხმასაც ასეულ მეტრიდან არჩევს და სიხარულით იწყებს ყეფას. სუნზეც გამაოგნებლად რეაგირებს: მქონია შემთხვევა, როდესაც ჩემგან 2 თვის ლეკვი წაუყვანიათ და ერთი წლის შემდეგ ვუცნივარ, მოვარდნილა და ალერსი დაუწყია. ის მრისხანე დამცველია, თუმცა არა დაუნდობელი: ქართული ნაგაზი ძალიან აგრესიულ, ცუდი განზრახვით მოსულ ადამიანსაც კი მაშინვე დასაკბენად არ მიეტანება, არამედ ცდილობს წინ გადაუდგეს და შეაჩეროს. მშვენივრად გრძნობს, ვინ რა განზრახვით გიახლოვდებათ და შემოდის თქვენს ტერიტორიაზე. ის ცუდ საქმეზე მოსულის ცუდ აურას რეცეპტორებით შეიგრძნობს და თუ ის ადამიანი არ დაემორჩილება, ვერც აღვწერ, რაც მოხდება. ამასთანავე, კავკასიური ნაგაზი ძალიან ლამაზია, ულამაზესი. არა მგონია, არსებობდეს ადამიანი, რომელიც მას შეხედავს და არ მოინუსხება მისი სილამაზით. ძაღლი სულაც რომ არ უყვარდეს, მაინც მოეფერება. ამიტომაც ველოლიავებით მე და ჩემი ოჯახი ათეული წლების განმავლობაში ქართული ნაგაზის ჯიშს. თორემ ამ ლეკვების შენახვა ძალიან ძვირი ჯდება, ლეკვი ძუძუს რომ მოსწყდება, თვე-ნახევრის შემდეგ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის საკვები უნდა მისცე, რომელიც კილოგრამი 20 ლარი ღირს და სულ 5-6 დღეს ჰყოფნის. ეს მაშინ, როდესაც კავკასიურს ხშირად 7 ლეკვი ჰყავს. იმიტომაც არის, რომ უცხოეთში ძალზე ძვირად იყიდება — დაახლოებით 2.000 ევროდ და კიდევ მეტად. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ფასად მას ევროპელები საქართველოში კი არა, რუსეთში ყიდულობენ, სადაც სწორედ ასეთი თანხის გამოა კავკასიური ნაგაზის უამრავი ძაღლსაშენი.

ჩვენი ძვეყნიდან ამ ჯიშით ევროპასთან ვაჭრობა ვერ ხერხდება. მიზეზი რეგულაციებია: ევროპა ითხოვს, რომ „კავკასიური ნაგაზის“ ჯიში მხოლოდ 6 თვის ასაკში გავიყვანოთ გასაყიდად, როდესაც უკვე აცრა და სათანადო პროცედურები აქვს ჩატარებული. ამასობაში ამ ძაღლის შენახვა საქართველოში იმდენად

„მქონია შემთხვევა, როდესაც ჩემგან 2 თვის ლეკვი წაუყვანიათ და ერთი წლის შემდეგ ვუცნივარ, მოვარდნილა და ალერსი დაუწყია“

რთულია, რომ მისი 6 თვემდე მიყვანა შეუძლებელია. ამდენად, ვინც ამ ჯიშს ამრავლებს, 500 დოლარად თუ გაყიდა ადგილობრივად, ესეც დიდი მიღწევაა.

— მითხარით, რომ „კავკასიური ნაგაზი“ ხშირად 7 ლეკვს შობს. ნუთუ დედას ჰყოფნის რძე ამდენი ღორმუცელა ლეკვის გამოსაზრდელად?

— აბა, რატომ არის ქართული ნაგაზი ასეთი ბომბორა და თანაც ერთგული დედა! მოგიყვებით, რა ქნა ახალნამშობიარებმა კავკასიურმა ნაგაზმა, როდესაც ძუძუები დაუჩირქდა და ლეკვები ველარ წოვდნენ! მოკლედ, იმხანად უჯარმაში ვზრდიდი ერთ ძალიან ლამაზ კავკასიურ ნაგაზს, რომელმაც 7 ლეკვი გააჩინა. ერთხელაც, როდესაც დილით მშვენიერ ხასიათზე იყო, საღამოს მოულოდნელად დაწვა და ველარ ადგა. მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც სტკიოდა. მივედი, მოვუსინჯე და ძუძუ უკვე ისე დაჩირქებული და გაქვავებული ჰქონდა, რომ ცხადია, ტემპერატურისა და ტკივილისაგან იტანჯებოდა. მაშინვე ანალგინის ამპულა გავუკეთე, რის შემდეგაც სიცხემ დაუწია და ღონე მიეცა. თბილისში ექიმს დავურეკე, რა ვუშველო-მეთქი და მითხრა, ეგ ისეთი ძნელი რამ არის, შესაძლოა ძაღლი ძალიან ცუდად გაგიხდეს და ვერაფერი უშველო, ამიტომ თბილისში ჩამოიყვანე, გაქვავებული ადგილი უნდა ამოვაჭრათო. მოკლედ, დილამდე ძლივს გავათენე, დილით კი რას ვხედავ, ლეკვები მისხდომიან და ძუძუს სწოვენ. თურმე ძაღლს გაქვავებული ადგილი თავისით ამოუჭრია კბილებით, დაახლოებით 5 სანტიმეტრზე. ასე რომ, შიგ ჩირქი აღარც ჰქონდა. არ ვიცი, ეს როგორ გააკეთა. ალბათ, მთელი ღამე ეწვალა კბილებით, რომ ლეკვებისთვის ძუძუ მიეცა. გაოცებული დავყურებდი ამ საოცრებას, აღარც მისი ექიმთან წაყვანა დამჭირვებია, მხოლოდ წყალბადის ზეჟანგი წავუსვი ჭრილობაზე, რომელიც ძალიან სწრაფად შეუხორცდა.

აქვე ერთ ამბავსაც გეტყვით: ჩემი ერთ-ერთი ნაგაზი ეზოში ლეკვებს ზრდიდა, როდესაც მეზობელი ქალი გვესტუმრა და ეზოში ჩამოჯდა სასაუბროდ. მოგეხსენებათ, არც ერთ ძაღლს, მით უფრო ქართულ ნაგაზს არ უყვარს, როდესაც ლეკვობისას ვინმე ახლოს მივა, მით უფრო ჩამოუჯდება და საუბრობს. მაგრამ ჩვენი ლეკვებიანი ნაგაზი მეზობლის შემოსვლაზე „თავის სახლში“ იმდენად მიყუჩდა, რომ მისი ლეკვიანობის აღნიშვნა საჭიროდ არ ჩავთვალეთ და საუბარი გავაგრძელეთ. მხოლოდ წასვლისას ვუთხარი, ჩვენს ძაღლს ლეკვები ჰყავს-მეთქი. ამის გაგონებაზე მეზობელი შეწუხდა, ვერ მითხარით, თუ ლეკვები ჰყავდა, აქ არ გავჩერდებოდიო. ამ დროს რა მოხდა? გამოვიდა ჩვენი კავკასიური, მიადო თავი ჩვენს სტუმარს უკან და ჭიშკრისკენ სულ ბიძგებ-ბიძგებითა და მიწოლით წაიყვანა, ჩემს ლეკვებთან ახლოს რატომ მოხვედიო! ქალსაც ისღა დარჩენოდა, რომ ჭიშკარი გამოეღო და წასულიყო! წარმოიდგინეთ, ამას რა სიყვარულით და ღიმილით ვუცქერდით, მათ შორის ჩვენი სტუმარიც.

— სწორედ ამ თვისებების გამოა დარდი ქართული ნაგაზის ჯიშის შენარჩუნებაზე. ვხედავთ, რაც ხდება: მეცხვარეობა შემცირდა, მწყემსებს ქართული ნაგაზი იშვიათად სჭირდებათ, შენახვაც ძვირი ღირს. შესაძლოა ბევრმა ქუჩაშიც გაუშვას. რა ელის ქართულ ნაგაზს?

— ამ მხრივაც ნამდვილად რთული დროა. ქუჩაში გამოშვებული ქართული ნაგაზი, სულ მცირე, გადაჯიშდება და დავკარგავთ. ერთადერთი, რაც ქართულ ნაგაზს ქუჩაში გამოგდებისა და გადაჯიშებისაგან იცავს, მისი ძვირად შენახვის პროცედურაა. მთაში, მეცხვარეებთან, კვების პრობლემა არ არის, მაგრამ სხვაგან მის გამოკვებას უმრავლესობა ვერ შეძლებს. ამიტომაც არის, რომ ქართულ ნაგაზს ბევრი არც იყიდის და არც შინ მიიყვანს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ქართული ჯიშის შენარჩუნებისათვის სპეციალური ღონისძიებებია მოსაფიქრებელი. თორემ ხომ ვიცით, რაც მოხდა, ქართული ჯიში მსოფლიოში კავკასიურის სახელით გაიტანეს და ახლაც არა ვართ დაცული სხვა სიურპრიზებისაგან.

ეთერ ერაძე

„არც ერთ ძაღლს, მით უფრო ქართულ ნაგაზს არ უყვარს, როდესაც ლეკვობისას ვინმე ახლოს მივა, მით უფრო ჩამოუჯდება და საუბრობს. მაგრამ ჩვენი ლეკვებიანი ნაგაზი მეზობლის შემოსვლაზე „თავის სახლში“ იმდენად მიყუჩდა, რომ მისი ლეკვიანობის აღნიშვნა საჭიროდ არ ჩავთვალეთ და საუბარი გავაგრძელეთ. მხოლოდ წასვლისას ვუთხარი, ჩვენს ძაღლს ლეკვები ჰყავს-მეთქი. ამის გაგონებაზე მეზობელი შეწუხდა, ვერ მითხარით, თუ ლეკვები ჰყავდა, აქ არ გავჩერდებოდიო. ამ დროს რა მოხდა? გამოვიდა ჩვენი კავკასიური, მიადო თავი ჩვენს სტუმარს უკან და ჭიშკრისკენ სულ ბიძგებ-ბიძგებითა და მიწოლით წაიყვანა, ჩემს ლეკვებთან ახლოს რატომ მოხვედიო! ქალსაც ისღა დარჩენოდა, რომ ჭიშკარი გამოეღო და წასულიყო! წარმოიდგინეთ, ამას რა სიყვარულით და ღიმილით ვუცქერდით, მათ შორის ჩვენი სტუმარიც

ჩანართი გამოდის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით

№41 (507) 9 – 15 ოქტომბერი, 2023 წელი

გეკონი – ყველაზე უწყინარი და „სიმპათიურიც“

იხილეთ გვ. 18

ელიწადის თბილ სეზონზე სახლის კედლებსა თუ ნაპრალებში ყველას უნახავს პატარა და ძალიან სწრაფი ცხოველი, რომელსაც სპეციალისტები გეკონს უწოდებენ. ამ საინტერესო ხვლიკზე დაწვრილებით გვესაუბრება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **დავით თარხნიშვილი.**

„გეკონი ძალიან ადვილად ცოცავს ვერტიკალურ ზედაპირზე. მეცნიერები გაოცებული არიან ამ უნარით – გეკონს შეუძლია პრიალა, გლუვ ზედაპირზე აცოცდეს და ჭერზეც გაირბინოს“

ენგკაღა ანუ ბორნეოს ავოკადო

იხილეთ გვ. 17

ბოჰორიშვილების ღორუკა კაბისტონიანი ხვანჭკარით

ხატია წვერავა პედაგოგია, თუმცა დღეს ამბროლაურის ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრში მუშაობს, იმავდროულად კი მეუღლესთან, ზაზა ბოჭორიშვილთან ერთად სოფელ ძირაგეულში მცირე საოჯახო მეურნეობას უძღვება. ოჯახი წინაპრების ტრადიციებს დიდი სიყვარულითა და სიამოვნებით განაგრძობს — ამზადებენ რაჭულ ლორს, როგორც თავად უწოდებენ, ლორუკას, და ხვანჭკარასაც აყენებენ.

იხილეთ გვ. 16,17

რატომ უნდა მივაქციოთ ყურადღება თაფლის სახეობების თავისებურებებს

მისტიკა, რომელიც ფუტკრის შრომას ახლავს, ლამის მის ზებუნებრიობაზე მეტყველებს. ყველა სიკეთესთან ერთად, თაფლს ერთი უნიკალური თვისებაც აქვს: სხვადასხვა სახეობის თაფლი ერთმანეთისაგან არა მარტო გემოთი და არომატით განსხვავდება, არამედ იმის მიხედვითაც, კონკრეტულად რომელი დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის არის განკუთვნილი. საქართველოში, რომელსაც ყველაზე ძველი და იმავდროულად, მსოფლიოში ყველაზე გრძელხორთუმა ფუტკარი ჰყავს, არაერთი სახეობის თაფლი მზადდება, ოღონდ თაფლის სახეობების თავისებურებებს ყურადღებას ბევრი არ აქცევს, არადა, მისი ყველა სახეობა ერთმანეთისგან განსხვავდება. მეტიც, კონკრეტული დაავადებების პროფილაქტიკისთვის კონკრეტული თაფლია შესაფერისი. ამ განსხვავების შესახებ გურიიდან **ბეჟან თევდორაძე** *გვესაუბრება.*

იხილეთ გვ. 16

ბოჰორიშვილების ღორუკა

(დასაწყისი გვ. 15)

ხატია წვერავა:

— 2017 წელს შევუღლდით. იმ დროისთვის ორივე უმუშევარი ვიყავით. ამ სახლში რომ მოვედი, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს აქ დიდხანს ვცხოვრობდი. ეს ჩემი მეუღლის წინაპრების — ბაბუების და დიდი ბაბუების კარ-მიდამოა. პირველ სართულზე ბუხარი 1928 წელს ამოუშენებიათ... მოკლედ, სახლი 100 წელზე მეტი ხნის არის. მეორე სართული მოჩუქურთმებულია და ძველი ნივთებით არის გაწყობილი. უახლოეს მომავალში გვინდა მეორე სართული ეთნოგრაფიულ მუზეუმად ვაქციოთ.

ეზოში მარანი მიწისძვრის დროს დაზიანებულა და გაახლებულია, თუმცა იქ განთავსებული ნივთები ასევე საუკუნის და მეტისაცაა. მარანში ორი საუკუნოვანი საწნახელია, ათი ძველი ქვევრი, მათგან ორს ვიყენებთ კიდეც.

— ესე იგი, მარანშიც გრძელდება ოჯახის ტრადიცია, იწურება ყურძენი...

— ბოჭორიშვილების ოჯახი მეღვინეობით იყო ცნობილი. მეუღლის ბაბუები მეღვინეები იყვნენ. რაიონში თუ ვინმე საპატიო სტუმარი ჩამოდიოდა, ამ სახლში მოჰყავდათ, რადგან იმ დროისთვის ძლიერი ოჯახი იყო.

გვაქვს როგორც ძველი ვენახები, ასევე ახალშენებიც ნახევარ ჰექტარზე, ძირითადად, ხვანჭკარის ჯიშებია. გვაქვს გამორჩეული ჯიშის ვაზიც, შავი კაბისტონი, რომელიც რაჭაში მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი. ჩვენი ხვანჭკარის შემადგენლობა ასეთია: ალექსანდროული, მუჯურეთული და შავი კაბისტონი. ყველა აღნიშნავს, რომ განსხვავებული და განსაკუთრებული გემო აქვს. ამას იწვევს სწორედ მასში შერეული შავი კაბისტონი.

— გამოდის, ამ ოჯახში მოსვლისთანავე დაინახეთ ეზო-კარის პერსპექტივა?

— დავინახე, რამხელა პერსპექტივა გვქონდა და გადავწყვიტე გამოგვეყენებინა. ღვინისთვის, რომელსაც ჩემი მეუღლე წურავდა და ნათესავებში, ახლობელ-მეგობრებში არიგებდა, ბიზნესის სახე მიგვეცა. ამიტომ ღვინის ჩამოსხმა დავიწყეთ, ჯერ მცირე რაოდენობით, რადგან ჩამოსასხმელი აპარატი არ გვქონდა... მერე ვიფიქრეთ, სტუმარს რომ მივიღებდით, რაჭული ხვანჭკარა რასთან შეიძლებოდა ეფექტიანი ყოფილიყო და რაჭულ ლორზე შევჩერდით. მეზობელ სოფელში ღორების ფერმაა, პატრონს ტყეში ჰყავს გაშვებული და მისგან შევიძინეთ. ღორები ტყეში მხოლოდ პანტით და ვაშლით იკვებებიან. ფერმერი საბუთს გვაძლევს, რომ მისგან ვყიდულობთ. მოკლედ, იქვე იკვლება და გასუფთავებულ ხორცი სახლში მოგვაქვს. შემდეგ ძველი ტრადიციული მეთოდით რაჭული ლორი გამოგვყავს.

— როგორ, გაგვიმხელთ ამ მეთოდს?

— დასამალი არაფერია. 10-15 ღორზე მეტი ჯერ ვერ დავკალით. აქედან გამოდის 30 გვერდი (ფეშხო ანუ საკლავის ნახევარი — ლ.ფ.). ყოფილა შემთხვევა, საახალწლოდ შეკვეთები რომ გაგვიცია, ჩვენ აღარც დაგვრჩენია... ჩვენი რაჭული ლორი, ისევე როგორც რაჭული ხვანჭკარა, განსაკუთრებული და განსხვავებულია. უკვე ვხვდებით, რომ ბიზნესი გასაზრდელია, რადგან მოთხოვნა დიდია, მიუხედავად იმისა, რომ ყოველმა მეორე-მესამე ოჯახმა რაჭული ლორის წარმოება დაიწყო. ბევრი მომხმარებელი გვყავს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. შეკვეთა იმდენად ბევრია, რომ 20 ღორზე ნაკლებს არ დავკლავთ.



„ლორი სიცივესა და ყინვაში უნდა გამოიყვანო. გასუფთავებულ ხორცს ვამარილებთ, ვაწყობთ ერთი კვირის განმავლობაში და მხოლოდ სხვადასხვა მხარეს ვაბრუნებთ, რათა მარილი კარგად გაუჯდეს. შემდეგ სამი დღით ვკიდებთ ჩამოსაწურად. ორი კვირის განმავლობაში ძლიერი ცეცხლი დღედაღამ სჭირდება. შემდეგ ნაკვერჩხალზე ვკიდებთ და კვამლზე იბოლება. კვამლი ნელ-ნელა უჯდება, რაც არომატსა და გემოზე გავლენას ახდენს. ეს პროცესიც ორ კვირას გრძელდება, ოღონდ კვამლზე მხოლოდ დღის გამავლობაში უნდა იყოს, ღამით აღარ სჭირდება“

რატომ უნდა მივაქციოთ ყურადღება თაფლის სახეობების თავისებურებებს

(დასაწყისი გვ. 15)

— არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც თაფლის სახეობას იმის მიხედვით მოიხმარდეს, რომელიც უფრო სასარგებლოა მისი ჯანმრთელობისთვის, უპირატესობას უფრო არომატსა და გემოს ანიჭებენ. რაზეა დამოკიდებული თაფლის სახეობების განსხვავება, ან არომატის, ან სამკურნალო თვისების მიხედვით?

ბეჟან თევდორაძე: — თაფლი იმდენად უნიკალური პროდუქტია, იმდენად კარგად ვიცით, რომ სასარგებლოა, გასაკვირიც არ არის, რომ მაინცდამაინც კონკრეტული სახეობების სამკურნალო სარგებელს კი არ დავეძებთ, არამედ მხოლოდ მის ნატურალურობასა და არომატს. თუმცა ყველა სახეობას იმდენად გამოკვეთილი განმასხვავებელი სამკურნალო თვისებები აქვს, რომ ისევ ჩვენთვის იქნება კარგი, თუ გვეცოდინება, მით უფრო, რომ საქართველოში, ასე ვთქვათ, აღიარებული თაფლის სახეობების გარდა (წაბლის, აკაციის, ცაცხვისა და ალპური თაფლი), მცირე რაოდენობით, მაგრამ არაერთი სხვადასხვაგვარი თაფლი გვაქვს. მათი სარგებლიანობა ჯერ არავის განუსაზღვრავს. არადა, დარწმუნებული ვარ, მათი პროდუქცია სწორედაც შეუცვლელი იქნება სამკურნალოდაც, თუნდაც გემოთი ოდნავ განსხვავებული იყოს ჩვენში აღიარებული თაფლისაგან.

აღიარებული თაფლის სახეობების გარდა (წაბლის, აკაციის, ცაცხვისა და ალპური თაფლი), მცირე რაოდენობით, მაგრამ არაერთი სხვადასხვაგვარი თაფლი გვაქვს. მათი სარგებლიანობა ჯერ არავის განუსაზღვრავს. არადა, დარწმუნებული ვარ, მათი პროდუქცია სწორედაც შეუცვლელი იქნება სამკურნალოდაც, თუნდაც გემოთი ოდნავ განსხვავებული იყოს ჩვენში აღიარებული თაფლისაგან

სხვათა შორის, ევროპაში „პატარ-პატარა თაფლების“ შესწავლის ეტაპი დასრულებულია და ხალხიც დანიშნულებით ყიდულობს. ამ დროს ჩვენ გურიაში შეგვიძლია დავამზადოთ თუთუბოს, ოქროწკეპლასა და სხვა მცენარეების თაფლი. მე პირადად შარშან წყავის თაფლი მოვიწიე, რომელიც მხოლოდ იმიტომ ვერ გავიტანე ბაზარზე, რომ მისი დადებითი თვისებები არ ვიცი. საქმე ის არის, რომ ენციკლოპედიაში წყავის შემადგენლობაში ტოქსიკურ ნივთიერებებზე წერია და ამიტომაც ჩავიქნიე ხელი, რეალურად კი ფუტკარი სწორედ წყავის ნექტარმა გამოაჯანმრთელა და წამოსწია წინ. ჰოდა, რა გამოდის, ტოქსიკურია გველის შხამი, მაგრამ ამ დროს მისგან დიდი სამკურნალო ღირებულების წამლები მზადდება. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი იმ მცენარეების ნექტრისგან დამზადებული თაფლის შესწავლა, რომელსაც აქტიურად არ მოვიხმართ. თუნდაც ოქროწკეპლა, რომელიც დიდი ღირებულების სამკურნალო მცენარეა. შესაძლოა მას ოდნავ განსხვავებული გემო ჰქონდეს პოპულარულ თაფლთან შედარებით, მაგრამ ბევრისთვის ეს გემოც მისაღები აღმოჩნდება.

— ისევე როგორც ბევრს წაბლის თაფლის მომწარო გემო მოსწონს და ბევრად ურჩევნია აკაციის თაფლსაც.

— დიახ, ასეა. თუმცა ბევრიც სწორედ ამ სპეციფიკური გემოსა და მუქი ფერის გამო არ მოიხმარს წაბლის თაფლს. ამ დროს ასეთ გემოსა და ფერს მას წაბლის ყვავილი აძლევს, რომლის ნექტრისგან დამზადებული თაფლი ბევრად მარგებელია, ვიდრე სხვა სახეობები. ამას ლაბორატორიულად წაბლის თაფლში შემავალი ამილაზას (იგივე დიასტაზა) ფერმენტი ადასტურებს. ამ ფერმენტის მაღალი დოზა განსაზღვრავს, რამდენად მდიდარია თაფლი ყველა სხვა სასარგებლო ნივთიერებით და რამდენად ნაკლებია მასში შხამები. ევროპული სტანდარტებით, ამილაზას მინიმალური ნომერი თაფლში 8 მაინც უნდა იყოს, ქართულ თაფლში კი ის ბევრად მეტია. წაბლის თაფლი ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა ჯანმრთელობას, ზრდის სისხლში ჰემოგლობინის დონეს, ამცირებს ქოლესტერინს, სამკურნალოდ მოქმედებს კუჭის წყლულზე და სხვა — რომელი ერთი მოგახსენოთ. სხვათა შორის, წაბლის ყვავილის მომწარო არომატი არც თავად ფუტკარს მოსწონს და წაბლის ნექტრის შეგროვებისას ბევრად აგრესიულია, ვიდრე აკაციის, მაგრამ იმასაც „ხვდება,“ რომ წაბლის თაფლი სასარგებლოა, ამიტომაც ამზადებს.

— თავის მხრივ, აკაციის თაფლსაც ხომ აქვს უნიკალური სამკურნალო თვისებები?

— რაღა თქმა უნდა. ბევრი საერთო აქვს წაბლის თაფლთან, მაგრამ ბევრიც განსხვავებული, რაც სასურველია ვიცოდეთ და ყველა ინტერნეტის საშუალებით იოლად შეისწავლის. თუმცა ერთ კონკრეტულად განსხვავებულ თვისებას გეტყვით, — აკაციის თაფლს მკვეთრად გამოხატული ანტისეპტიკური თვისებები აქვს. იმდენად, რომ კანის დაავადების სამკურნალოდაც გამოიყენება.

— რაზეა დამოკიდებული, ფუტკარი რომელ თაფლს ამზადებს?

— იმაზე, რამდენი მოიმარაგა მან თაფლი თავისთვის და რამდენი გადაბეჭდა, ანუ დარჩა „ზედმეტი“ ადამიანის სასარგებლოდ. აი, ამ „ზედმეტ“ თაფლს გვაძლევს, რომელშიც შეიძლება იყოს იმისგან განსხვავებული და ამავე დროს უნიკალური თვისებების თაფლი, ვიდრე ჩვენ მოვიხმართ და ან შეჩვეული ვართ გემოს.

— რომელი თაფლი ითვლება მსოფლიოში ეგზოტიკურად?

— მანუკას თაფლი ანტიბაქტერიული და ანტიმიკრობული თვისებების გამო. ის მხოლოდ ახალ ზელანდიაში მზადდება და ისეთი მუქია, როგორიც ჩვენი წაბლის თაფლი. სკებს მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა ადგილებში დგამენ. ასე რომ, ნუ მოვერიდებით მუქ, შავ ფერს, ის შეიძლება უფრო მარგებელი აღმოჩნდეს თქვენთვის, ვიდრე ოქროსფერი, რომელიც ყველას გვიყვარს.

— ნამდვილი თაფლი როგორ შევამოწმოთ?

— ბევრი ხერხი არსებობს. თუ მაინცდამაინც დარწმუნებული არა ხართ და ეჭვი გეპარებათ, ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი იოდის მეთოდია: მცირე რაოდენობით თაფლი წყალში გახსენით, შემდეგ კი იოდის წვეთი ჩაამატეთ. თუ ხსნარი ოდნავადაც კი გალურჯდა, ესე იგი, ნატურალური თაფლი არ გქონიათ და გამყიდველს მიმართეთ.

ეთერ ერაძე

კაბისტონიანი ხვანჭკარით

სახლი 100 წელზე მეტი ხნის არის. მეორე სართული მოჩუქურთმებულია და ძველი ნივთებით არის გაწყობილი. უახლოეს მომავალში გვინდა მეორე სართული ეთნოგრაფიულ მუზეუმად ვაქციოთ

ღორები ნოემბრის ბოლოს იკვლება, რადგან ლორი სიცივესა და ყინვაში უნდა გამოიყვანო. გასუფთავებულ ხორცს ვამარილებთ, ვაწყობთ ერთი კვირის განმავლობაში და მხოლოდ სხვადასხვა მხარეს ვაბრუნებთ, რათა მარილი კარგად გაუჯდეს. შემდეგ სამი დღით ვკიდებთ ჩამოსაწურად. ორი კვირის განმავლობაში ძლიერი ცეცხლი დღედაღამ სჭირდება. ჩემმა მეუღლემ იცის, ცეცხლი რამდენ ხანში ჩაქრება, ამიტომ მაღვიძარა აქვს დაყენებული, ღამით დგება და ცეცხლს ხელახლა ანთებს. ორი კვირის მერე ნაკვერჩხალზე ვკიდებთ და კვამლზე იბოლება. შეკვამლვისთვის შეშად კარგია კენკროვანი ხეები, საუკეთესოა ტყემალი. კვამლი ნელ-ნელა უჯდება დაკიდებულ მასას, რაც არომატსა და გემოზე გავლენას ახდენს. ეს პროცესიც ორ კვირას გრძელდება, ოღონდ კვამლზე დღის გამავლობაში უნდა იყოს, ღამით აღარ სჭირდება.

— ანუ გამოყვანას სულ ერთი თვე სჭირდება.

— კი, მაგრამ ზოგჯერ არ არის ისეთი ყინვა, როგორიც საჭიროა და მაშინ ცოტა მეტი დრო უნდა. რაჭული ღვინოც და ლორიც ემიგრანტებისთვის იგზავნება. უცხოელებიც ინტერესდებიან, ისინი, ვისაც ჩვენი ემიგრანტები გაასინჯებენ და შეკვეთა მათგანაც მოდის. ცხადია, ჩვენს პროდუქტს საქართველოშიც ვყიდით. ჩვენი ცნობადობის გაზრდას ხელი შეუწყო სხვადასხვა ფესტივალმა. ადგილობრივი ხელისუფლება ძალიან გვეხმარება.

2020 წელს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო „საქართველოსგან“ მცირე გრანტი გადმოგვეცა დახლ-მაცივრის შესაძენად. ის ზაფხულში ლორის შესანახად აუცილებელია. ახლა ჩვენი ბიზნესის გაფართოებისთვის „აწარმოე საქართველოს“ გრანტიც მივიღეთ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ღვინო საზღვარგარეთ დიდი რაოდენობით გავა. ვაპირებთ საოჯახო სასტუმროს გახსნას, შემდგომში კოტეჯის აშენებაც გვინდა.

მყავს სამი წლის ბიჭი, რომელსაც უმნიშვნელოდ გამოხატული აუტიზმი აქვს. კოტეჯის აშენება იმისთვის მინდა, რომ მივიღო მშობლები, რომელთაც აუტისტი შვილები ჰყავთ. გვეყოლება ფსიქოლოგიც, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მათ დაეხმარება.

ვაწარმოებთ საშობაო ლიქიორსაც. ამას ჩვენი წინაპრებიც ამზადებდნენ — 12 სახეობის ხილი მინის ბოცაში იყრება, ვდგამთ მეორე სართულის აივანზე და მთელი ზაფხულის განმავლობაში მზეზე შაქართან ერთად დუღდება. ყურძენს რომ მოვიწევთ და რთველს დავასრულებთ, შაქარში დადუღებული მასიდან ხილს ვიღებ და ვწურავ. ცალკე ხილი რჩება და ცალკე წვენი. ცოტა ხანს ასე ვაჩერებ, შემდეგ წვენში არაყს ვურევ და ბოთლებში ვასხამ. ბოთლებში ჩამოსხმული საშობაო ლიქიორი ჩვენ გარდა ჯერ არავის აქვს. პროდუქტი ეტიკეტირებულია და ჩემი მეუღლის ხელმოწერა აქვს.

— ხილსა და შაქარს როგორ განაზავებთ დადუღებისთვის?

— სასურველია, წითელი ხილი იყოს. რამდენ ხილსაც ჩავყრი, იმდენ კილოგრამ შაქარს დავაყრი. ერთი რომ დადუღდება, მერე სხვა ხილს ვუმატებ შაქართან ერთად. დაშაქრულ ხილს კი, რომელიც ამ მასიდან ამომაქვს, ტორტებსა და ნამცხვრებში ვიყენებ.

სამი ბიჭი მყავს და მინდა ეს ჩემი ოჯახისთვის მნიშვნელოვანი ტრადიციები, რომელთაც მე და ჩემი მეუღლე ვიცავთ, ჩვენმა შვილებმაც გააგრძელონ.

ლალი ფაცია

ენგკალა ანუ ბორნეოს ავოკადო

ენგკალა, კანგკალა, ბორნეოს ავოკადო, იგივე პანგალაბანი მარადმწვანე ხეა დაფნისებრთა ოჯახიდან. მას კიდევ ათეულობით სახელი აქვს როგორც ინდონეზიაში (კალანკალა, მედანგი, მალაი, კელიმა, ბუა ტალალი, ვი ლაჰალი), ისე მალაზიაში (ტაანგი, პენგალაბანი, ტებულუსი, პონგ ლაბონი), აგრეთვე ფილიპინებსა (კუპა, პიპი, ბაგნოლო) და ტაივანში (ლან იუ მუ ჯიანგ ზი). ალბათ ნათელია, რომ მცენარის მშობლიური არეალი თითქმის ემთხვევა ამ ქვეყნებს. ევროპელებმა კი ის პირველად კუნძულ ბორნეოზე აღმოაჩინეს.

ენგკალას მწიფე ნაყოფი ♦ „მტევანი“ ხეზე ♦ ენგკალას რბილი, რძისებური რბილობი მეტად ყუათიანია ♦ გასაყიდი ხილი ბაზარში ♦ ენგკალას თესლი არ იჭმება ♦ უმად მორთმეული ხილი ♦ პატარა ყვავილები

ენგკალა (Litsea garciae) ველურად იზრდება მარადმწვანე ფართოფოთლიან ტყეებში, გვხვდება ზღვის დონიდან მხოლოდ 200 მეტრ სიმაღლემდე. ის ხშირად ხარობს მდინარეების გასწვრივ, ამჯობინებს გორაკებს ქვიშიანი და თიხიანი ნიადაგებით. თაკარა მზეს ნაწილობრივ დაჩრდილული ადგილები ურჩევნია. ვერ იტანს სიცივეს. სიმაღლით ენგკალას ხე 10-დან 26 მეტრამდე იზრდება. ფოთლების სიგრძე 25-40 სანტიმეტრს აღწევს. პაწაწინა თეთრ-ყვითელი ყვავილების თავები დაახლოებით 15 მმ-ია. მსხმოიარობას ენგკალა ხუთი წლის ასაკში იწყებს.

მკვახე ნაყოფის კანი მოთეთრო-მომწვანოა, დამწიფებისას კი ღია ვარდისფერი, მეწამული ან წითელი ხდება, გლუვი, ზომით 2-3 სანტიმეტრი. ის თითქოს დასმულია თასის ფორმის ბუნებრივ მწვანე ჯამზე, რომელიც ყუნწით არის მცენარეზე დამაგრებული. ნაყოფის კრემისებრი, ნაზი რბილობი თეთრია. ზოგჯერ მომწვანო ელფერი დაჰკრავს. ნაყოფი შეიცავს ერთ დიდ ყავისფერ თესლს, რომელიც არ იჭმება.

ენგკალას გემოთი ხშირად ადარებენ ავოკადოს, მის შორეულ ნათესავს და ერთ-ერთ მეტსახელად ბორნეო ავოკადოსაც უწოდებენ, თუმცა მისი გემო გაცილებით ნაზია და რძისებური, თითქოს დიდი კოვზით არაჟანი ან დო გეჭამოთ. ხილი ძალიან მაწიერია და ამ თვალსაზრისით შესაძლოა ზოგისთვის ზედმეტად ნოყიერიც კი იყოს. თუმცა ვისაც ლაქტოზის მიუღებლობა აქვს, ასევე ვეგანებისთვის, ენგკალა ფასდაუდებელი რძის შემცვლელია, თანაც ვარდისფერი „შეფუთვით“.

ნაყოფს ჭამენ როგორც ნედლად, ისე მოხარშულს. ნედლად მიღების წინ ცოტათი დაბეჟავენ არომატის გამოსათავისუფლებლად. ყველაზე პოპულარული მეთოდია ნაყოფის ხუთი წუთით მდუღარე წყალში ჩაძირვა, ამოღების შემდეგ კი ცოტა მარილის მოყრა. ზოგჯერ ენგკალათი და ბრინჯით კერძებს ორთქლზე ამზადებენ. მკვახე ნაყოფს ამწნილებენ ან აკეთებენ ძმრიან მარინადს.

ენგკალა შეიცავს C ვიტამინს, კალიუმს, ანტიოქსიდანტებს, ბოჭკოს, სტეარინის მჟავას. ბორნეოზე ის ერთ-ერთი ტრადიციული საკვებია. ხილი ხშირად იყიდება რეგიონის ქვეყნების სასურსათო ბაზრებზე.

თესლისგან ხდიან ზეთს სანთლებისა და საპნისთვის. ხეტყე გამოიყენება მშენებლობაში. მცენარეს ფართოდ იყენებენ ხალხურ მედიცინაშიც, ენგკალას ქერქისა და დურიანის ქერქის ნახარშს გველის ნაკბენის ანტიდოტად მიიჩნევენ. ნაყოფს მიაწერენ ანტიბაქტერიულ თვისებებს, ქერქს იყენებენ დამწვრობის საწინააღმდეგოდ.

მართალია, ეს ხილი ჯერ ნაკლებად არის ცნობილი საერთაშორისო ბაზარზე, თუმცა მეცნიერები მას კარგ რეკომენდაციებს აძლევენ.

მამუკ-დედული

გეკონი – ყველაზე უწყინარი და „სიმპათიურიც“

(დასაწყისი გვ. 15)

♦ კასპიის შიშველთითა გეკონი ♦ ტოკი ♦ ლეოპარდისებრი გეკონი ♦ გეკონი მარჯვედ ეჭიდება გლუვ ზედაპირზე თვალით უხილავ უსწორმასწორობებს

დავით თარხნიშვილი:

— გეკონისებრნი — ასე უწოდებენ ქვეწარმავლების, კერძოდ, ხვლიკების ერთ-ერთ ოჯახს, რომელიც ცალკე გამოყოფილი და ხვლიკებს შორის ყველაზე პრიმიტიულად არის მიჩნეული. ნამდვილი ხვლიკები ერთმანეთთან უფრო ახლოს არიან და უფრო ჰგვანან ერთმანეთს. რით არის ეს ცხოველი საინტერესო? — გეკონს სხვა ცოცხალი არსებებისგან რამდენიმე თვისება გამოარჩევს. კერძოდ, ის ძალიან ადვილად ცოცავს ვერტიკალურ ზედაპირზე. მეცნიერები გაოცებული არიან ამ უნარით — გეკონს შეუძლია პრიალა, გლუვ ზედაპირზე აცოცდეს და ჭერზეც გაირბინოს. როგორ? — გეკონი თავისი მოქნილი კიდურებით მარჯვედ ეჭიდება გლუვ ზედაპირზე თვალით უხილავ უსწორმასწორობებს, მის კიდურებზე ასობით უმცირესი, თვალით უხილავი ბუსუსია. ამის წყალობით მინაზეც თავისუფლად გადაადგილდება.

— როგორ გამოიყურება საქართველოში გავრცელებული გეკონი?

— ჩვენთან ერთადერთი სახეობა გვხვდება — კასპიის შიშველთითა გეკონი, რომელიც ბუნებრივად არის გავრცელებული აღმოსავლეთ აზერბაიჯანში, თუმცა მთელ კავკასიაშიც გვხვდება. კასპიის გეკონი უფრო ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ბინადრობს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გეკონი XX საუკუნის პირველ ნახევარში უკვე ნანახი ჰყავდათ თბილისში.

ახლა ეს ცხოველი საქართველოს ყველა ქალაქში ბინადრობს: თბილისში, ქუთაისში, ფოთში და სხვ. მოკლედ, ჩვენთან ეს ცხოველი თითქმის ყველგან გვხვდება, ოღონდ მხოლოდ ქალაქებში.

ისინი ბინადრობენ სახლების კედლებში, ძველ შენობებსა და ნანგრევებში. სოციალურ ქსელებში ხშირად ნახავთ სტატუსებს, რომელთაც გეკონის ფოტო ახლავს, ავტორი კითხულობს, რა ცხოველია და სად უნდა გავუშვათო. მეც მწერენ და ყოველთვის ვპასუხობ, რომ არსად არ უნდა გაუშვან, იქვე, კედელზე დატოვონ, რადგან ეს პატარა სიმპათიური ხვლიკი ადამიანის საცხოვრებელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული: გეკონი ადამიანის საცხოვრებელს ძალიან კარგად იყენებს საბინადროდ.

— როგორ გამოიყურება ჩვენთან გავრცელებული კასპიის შიშველთითა?

— გეკონი ღამის ცხოველია, რომელსაც ვერტიკალური თვალის გუგები აქვს — დაახლოებით ისეთი, როგორიც კატებს. ქუთუთოები არა აქვს და როცა მისი თვალები დამტვერიანდება, ენას გამოყოფს და თავისივე ენით ისუფთავებს. ამ პატარა ხვლიკს არც კბენა შეუძლია და არც რამე ზიანის მოტანა — სავსებით უწყინარი ქვეწარმავალია. იკვებება მხოლოდ მწერებითა და ობობებით, სიამოვნებით მიირთმევს ბუზებს, ტარაკნებსა და სხვა აბეზარ მწერებს, რითაც, პირიქით, სარგებელიც კი მოაქვს.

— როგორ ზრდიან გეკონები ნაშიერებს?

— მდედრი გეკონი მხოლოდ ორ კვერცხს დებს, სადმე კედლის ნაპრალში. 1-1,5 თვეში, ზაფხულის მიწურულს ან შემოდგომაზე კვერცხიდან პატარა გეკონები იჩეკებიან. ისინი ზრდასრულები რამდენიმე თვეში ხდებიან. იკვებებიან სიცივეების დაწყებამდე, ზამთარში კი გეკონი საკვების მიღებას წყვეტს, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეწარმავალი და იძინებს. გაზაფხულზე კი ისევ იღვიძებს, მთელი სეზონის განმავლობაში იკვებება და მხოლოდ მეორე ან მესამე ზამთრის შემდეგ აღწევს გამრავლების ასაკს.

— ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ კასპიის გეკონი მცირე ზომისაა.

— დიახ, ზრდასრული გეკონის ზომა 10 სანტიმეტრია, უკუდოდ — 5-6 სანტიმეტრი. არსებობს ამ ცხოველის ტროპიკული სახეობა — ტოკი, რომელიც 30 სმ სიგრძისა იზრდება. ის მხოლოდ ტროპიკებში ცხოვრობს, მაგრამ ძალიან ხშირად ჰყავთ ტერარიუმებშიც. ეს სახეობა მწარედ იკბინება და უჩვეულო ხმებს გამოსცემს. ცენტრალურ აზიაში, მაგალითად, ირანში, არიან გეკონები, რომლებიც უდაბნოში, ქვიშაზე ცხოვრობენ.

ძალიან საინტერესო სახეობაა ლეოპარდისებრი გეკონი, რომელსაც გამსხვილებული კუდი აქვს და მასში საკვები ნივთიერებები აქვს დაგროვილი. ამის გამო გამორჩეული შეხედულება აქვს. ცნობილია, რომ საფრთხის შემთხვევაში გეკონი მტერს თავის კუდს უტოვებს და თვითონ გარბის, რითაც სხვა ხვლიკებს ჰგავს, მაგრამ შუა აზიაში ბინადრობს სინკისებური გეკონი, რომელსაც ძალიან გლუვი კანი აქვს და საშიშროების დროს თავდამსხმელს მთელ კანს უტოვებს: მისი კანი სკდება, თავად კი მტაცებელს გაურბის, ასევე ადამიანსაც, რომელიც მის დაჭერას შეეცდება. სულ გეკონის 480-მდე სახეობაა ცნობილი და ისინი მთელ მსოფლიოშია გაფანტული.

— რით განსხვავდება თანამოძმეებისგან „ჩვენი“, კასპიის გეკონი?

— პირველ ყოვლისა, იერით: გეკონისებრთა ოჯახის ბევრ წარმომადგენელს ძალიან ლამაზი შეფერილობა აქვს, ჩვენებური კი სადა ყავისფერი ან ნაცრისფერია. გარდა ამისა, კასპიურ შიშველთითა გეკონს ჭერზე გაჩერება ან გლუვ ზედაპირზე სირბილი არ შეუძლია, მხოლოდ შენობების კედლებზე დაცოცავს. ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, ხმელთაშუა ზღვისპირეთში ან ტროპიკულ ქვეყნებში შეიძლება ნახოთ გეკონები, რომლებიც ჭერზე დარბიან და იქიდან არ ცვივდებიან. ეს მეც მინახავს იქაურ სასტუმროებში, განსაკუთრებით, ვიეტნამში, სადაც ეს ხვლიკები ნათურის ირგვლივ სხედან, იქ მოფარფატე მწერებსა და პეპლებს იჭერენ და ასე იკვებებიან. გეკონის რამდენიმე სახეობა ცხოვრობს იტალიაში, ესპანეთში, თურქეთში, ირანსა და ცენტრალურ აზიაში... ჩრდილოეთის ქვეყნებში გეკონი არ ბინადრობს, რადგან მას თბილი ზამთარი სჭირდება, რომ გადარჩეს. საქართველოში გეკონი ბუნებაში არ გვხვდება, მხოლოდ ადამიანთა დასახლებებში ბინადრობს. მთელი სხეული ქერცლით აქვს დაფარული, თვალის ქუთუთოებიც არა აქვს, რის გამოც ვინმემ შეიძლება ჯოჯოს მიამსგავსოს, თუმცა ამ უკანასკნელისგან მკვეთრად განსხვავდება.

— ბატონო დავით, გეკონი დიდ ობობებსაც ჭამს?

— თუ გეკონი პატარაა, ობობა კი — დიდი, პირიქით შეიძლება მოხდეს: ობობამ დაიჭიროს და მისი ხორცით გემრიელად ისაუზმოს.

— გამოდის, გეკონი არც ისეთი საშიში არსებაა, როგორიც ჩანს.

— როგორც გითხარით, კასპიის გეკონი ადამიანთან მჭიდროდაა დაკავშირებული, მის საცხოვრებელს თავშესაფრად იყენებს. საშიში სულაც არ არის, პირიქით, ძალიან უწყინარი და საყვარელი ცხოველია, რომელიც ადამიანს არანაირ საფრთხეს არ უქმნის, სასარგებლოც კია. მას კარგად განვითარებული ფეხები აქვს და ძალიან სწრაფად მოძრაობს, ხოლო მის კუდს სწრაფი აღდგენის უნარი აქვს. გეკონისებრთა სხეული მეტწილად რუხი ან ყავისფერია, თუმცა, როგორც ვთქვით, ტროპიკებში გვხვდება ლამაზი, მკვეთრად შეფერილი სახეობებიც. რაც მთავარია, ეს ცხოველი არ იკბინება და უწყინარი ქვეწარმავლების რიცხვს მიეკუთვნება.

— გეკონისებრთა ერთ-ერთი საინტერესო თვისებაა მიმიკრია ანუ გარემოსთან უჩვეულო შეხამება...

— ეს თვისება ყველაზე მკვეთრად გამოხატულია მადაგასკარის ბინადარ გეკონებში: ბევრი მათგანი კარგად ეხამება ხის ზედაპირსა და მის ფოთლებს. გეკონი მიმიკრიის დიდოსტატია, ზოგიერთის შეფერილობა ზუსტად ემთხვევა ხის ქერქისას, ხოლო ფოთლისებრკუდა გეკონი ძალზე ოსტატურად ეხამება მწვანე ფოთლებს. ამ თვისების წყალობით ხეებზე გეკონის დანახვა პრაქტიკულად შეუძლებელია. გეკონი ზუსტადაა შეხამებული იმ ადგილებს, სადაც ცხოვრობს, თანაც ყველა სახეობას თავისი არეალი აქვს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი გამორჩეული, ლამაზი და საინტერესო ცხოველია ქვეწარმავლებს შორის.

ხათუნა ჩიგოგიძე

კომოდოს ვარანი



დავით თაქთაქიშვილი (თბილისის ზოოპარკის დირექტორის მოადგილე): — ყველაზე დიდი და საშიში ხვლიკი კომოდოს ვარანი საქართველოში არ გვხვდება. ის ინდონეზიის კუნძულებზე ბინადრობს. სხვაგვარად მას დრაკონსაც ეძახიან. აქვს შხამიანი ჯირკვალი და მისი ნაკბენი, თუ ყურადღებას დროულად არ მიაქცევენ, სიკვდილს იწვევს. ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი მას ცოცხალ დინოზავრსაც უწოდებს. კომოდოს ვარანის სიგრძე 3 მეტრს აღწევს, ხოლო წონა საშუალოდ 90 კილოგრამია. სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია ინდივიდი, რომლის წონაც 166 კგ-ს აღწევდა. ეს უზარმაზარი ცხოველი ყველაფერს ჭამს — ლეშს, ძვლებს, ინელებს ტყავსაც კი. ვარანებს ხშირად ნახულობენ ნაპირიდან შორს — ღია ოკეანეში. ადამიანებს თავს იშვიათად ესხმიან, თუმცა ნადირობენ დიდ ცხოველებზე, მაგალითად კამეჩზე ან ირემზე.

ვარანები ეპარებიან თავიანთ მსხვერპლს და ფეხში ჰკბენენ. მათ ნერწყვში 50-მდე სახის ბაქტერიაა, მათ შორის 7 სასიკვდილოა, ხოლო ნერწყვი სისხლის შედედებას უშლის ხელს. ამიტომ ნაკბენ ცხოველს სისხლი გამუდმებით მოსდის, თანაც საშიში ბაქტერიები მის სისხლში აღწევენ. ვარანი რამდენიმე დღის განმავლობაში დასდევს ნაკბენ ცხოველს, რომელსაც სისხლი ეწამლება და თანდათან უუნარო ხდება. ბოლოს მას ბრძოლა უკვე აღარ შეუძლია და მიწაზე ეცემა, გარშემო სხვა ვარანებიც იკრიბებიან, მსხვერპლს გლეჯენ და უზარმაზარ ნაფლეთებს ყლაპავენ. მიუხედავად იმისა, რომ შხამიანი, სასიკვდილო ნერწყვი აქვთ, გამრავლების პერიოდში მამრები ერთმანეთს ჰკბენენ, მაგრამ მათი შხამი ერთმანეთზე არ მოქმედებს — ვარანის სისხლში აღმოჩენილია ანტისხეულები, რომლებიც ამ შხამის ზემოქმედებას ანეიტრალებს. მდედრი ვარანი 30-მდე კვერცხს წინასწარ ამოთხრილ ორმოში დებს და როდესაც ნაშიერები იჩეკებიან, მათ ყურადღებას არც აქცევს. პირიქით, ამ დროს ძალიან ხშირია კანიბალიზმი, დიდი ვარანები და მათ შორის დედაც კვერცხებს გემრიელად მიირთმევენ. ამიტომ პატარა ვარანები ცდილობენ ხეებზე აცოცდნენ, რათა საფრთხისგან თავი დაიცვან. როცა გაიზრდებიან და მოძლიერდებიან, ხეებიდან ჩამოდიან და ისევე ცხოვრობენ, როგორც სხვა ვარანები.

მოდაშია „ოლდ მანი“

„სამოსი უფორმო და უსქესო აღარ არის. სილუეტი გამოკვეთილია“

რა ფერები ავირჩიოთ, როგორი ფეხსაცმელი ან აქსესუარებია მოდური 2023 წელს, ამის შესახებ ქართველი დიზაინერი ავთანდილი გვესაუბრება:

„ე.წ. ოლდ მანი შეეხო აბსოლუტურად ყველაფერს – ჩანთებს, რომლებიც მინიმალისტურადაა გაწყობილი, ლოგოს გარეშე, მყვირალა, ე.წ. თამაშის ფერები გაქრება. გააქტიურებულია ტრიკოტაჟის გამოყვანილი სამოსი, რომელიც სხეულს სილუეტს არ უკარგავს. დაფიქსირდა წელი, თეძო, ქალური სილუეტი უფრო წინ წამოვიდა“

— მოდის ინდუსტრიაში გლობალური ცვლილებებია, ვფიქრობ, ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. აბსოლუტურად შეიცვალა სტილისტიკა. გაქრა ლოგომანია, წინა პლანზე წამოვიდა ე.წ. ოლდ მანი. ამაზე დიდხანს საუბრობდნენ და ეტყობოდა კიდეც მოდის ტენდენციებს, რომ აქეთ წავიდოდა ყველაფერი.

— „ოლდ მანი“ — ანუ წელს მოდურია სტილი, რომელიც ელეგანტურობისა და კლასიკის გამომხატველია. ის პრიორიტეტს ანიჭებს ხარისხსა და დახვეწილობას და არა მდიდრულ, თვალისმომჭრელ ელემენტებს....

— დიახ, ასეა. ერთადერთი ფერი, რაც აქცენტირებულად შემოვა, ეს არის მაჯენტა, ბორდოსფერსა და წითელს შორის. დანარჩენი აქტუალურია მხოლოდ მინიმალისტური მოდელები, ბუნებასთან მიახლოებული, ნატურალური ფერები...

ყოველი 6 თვის ბოლოს რეიტინგული მოდელების შესყიდვების სია კეთდება და მასში უმრავლესობა სადა მოდელია. უკვე დაიწყო და შემოდგომიდან დავაკვირდებით წამყვანი დიზაინერების ჩვენებებს, სარეკლამო კამპანიებს, რომლებშიც მინიმალისტურად გადაწყვეტილი სილუეტები იქნება. ასე რომ, შემოდგომიდან უახლოესი 5 წლის განმავლობაში უნდა გამოიყურებოდე სადად და ძვირფასად.

ე.წ. ოლდ მანი შეეხო აბსოლუტურად ყველაფერს — ჩანთებს, რომლებიც მინიმალისტურადაა გაწყობილი, ლოგოს გარეშე, მყვირალა, ე.წ. თამაშის ფერები გაქრება უახლოესი 3-4 სეზონის განმავლობაში მაინც. გააქტიურებულია ტრიკოტაჟის გამოყვანილი სამოსი, რომელიც სხეულს სილუეტს არ უკარგავს. დაფიქსირდა წელი, თეძო, ქალური სილუეტი უფრო წინ წამოვიდა.

მამაკაციც უკვე სოლიდურია, ჯინსიც ნატურალურია ანუ ხარშვის გარეშე, სწორი სილუეტით შეკერილი. გამოკვეთილ სილუეტზე გრძელი ლაბადა, რომელიც ფრიალებს სიარულისას და ჰაერს ატარებს, ძალიან ტრენდულია.

— როგორც ჩანს, ოვერსაიზების მზე დიდი ხნით ჩაესვენა...

— წინა სეზონის სილუეტები მთლად არ გაქრება, მაგრამ გრძელი, ფართო ლაბადა კი მოდურია, შიგ უკვე გამოყვანილი კაბით — ანუ სამოსი უფორმო და უსქესო აღარ არის. სილუეტი გამოკვეთილია. ან თუ დიდი პიჯაკი გაცვია, წელი 2 ქამრითაა დაფიქსირებული.

ამ სეზონზე ძალიან აქტუალურია 2-2 ქამარი, წვრილი და ოდნავ მსხვილი, რა თქმა უნდა, ორივე ძალიან ნაზი, ყოველგვარი ლოგოს გარეშე. ამ სეზონზე დიდი პიჯაკის ქვეშ ჰუდი, განიერი შარვალი, ძალიან უხეში ფეხსაცმელი და დიდი ზომის ჩანთა შეგიძლიათ დაივიწყოთ. წელს დიდ პიჯაკს მოვირგებთ როლინგზე, სწორ შარვალსა და დაბალ ფეხსაცმელზე.

„მამაკაციც უკვე სოლიდურია, ჯინსიც ნატურალურია ანუ ხარშვის გარეშე, სწორი სილუეტით შეკერილი. გამოკვეთილ სილუეტზე გრძელი ლაბადა, რომელიც ფრიალებს სიარულისას და ჰაერს ატარებს, ძალიან ტრენდულია...“

— ძალიან მოდური იყო შარვლის ოდნავ დამოკლებული ტოტები, კოჭი რომ ჩანდა. ახლა როგორი სიგრძე იქნება მოდური?

— არავითარი კოჭების გამოჩენა. შარვალს წელიც წელის ადგილას უნდა ჰქონდეს, მაღალწელიანი და დაბალწელიანი არ არის ტრენდული. აქსესუარებშიც აქტუალურობას არ კარგავს ორნამენტებიანი და ნახატებიანი შარფები, ოღონდ ლოგოების გარეშე.

„მთავარია, ჩაცმულობით ჩანდეს თქვენი პიროვნება“

— რაც შეეხება ვარცხნილობას, მგონი, აღარ ივლიან მწვანე და წითელი თმით...

— ეგ უფრო პროტესტანტი ბავშვები არიან, ან გამორჩეული ადამიანები, მათთვის არაფერს ნიშნავს მოდის ტენდენციები. მათ თავისი სტილი და მოდის თავისებური ხედვა აქვთ. ეს ნებისმიერი ადამიანის არჩევანია. რაც შეეხება ტრენდს, ეს არის ნატურალური ტუჩი, ნატურალური წარბი, მოწესრიგებული ვარცხნილობა ყოველგვარი მოგონილი ვარცხნილობების გარეშე. თუმცა აქაც აქვს ყველას პერსონალური არჩევანი. ვის რა უხდება და ვის რა უნდა.

ტყავის ლაბადები ან ტყავის შემცვლელი აქტუალურობას კარგავს და მინიმალურად შეგვიძლია გამოვიყენოთ მთლიან ლუქში. აქსესუარები უმჯობესია უფრო ოქროსფრისა და ვერცხლისფრის შეხამებით, სადა, მაგრამ მასიური.

— ფეხსაცმელი როგორი ჯობს?

— მაქსიმალურად კლასიკური, ზედმეტი დეტალების გარეშე. ნორმალური სიმაღლისა და ცხვირიანი. დიდი კვადრატები და ძალიან მომრგვალებული ცხვირები, ძალიან მაღალი პლატფორმები აღარ არის აქტუალური. ამ სეზონზე მაღალი ქუსლი მოდურია. ასევე აქტუალურია 60-იანი წლების კედები და ბოტასები. საერთოდ, ადამიანმა უნდა ატაროს ის, რაშიც თავის მეს არ კარგავს. თუ პლატფორმები არ არის მოდური და ადამიანს უხდება, რატომ არ უნდა ჩაიცვას? მთავარია, ჩაცმულობით ჩანდეს თქვენი პიროვნება.

— ანუ შენ კი არ უნდა მოერგო მოდას, მოდა უნდა მოირგო შენ!

— სწორედაც.

ეკა სალაღაია

დაზოგე 30 ლარი

„პალიტრა L“-ის წიგნზე

„მსოფლიო ლიდერების მიმართვები, რომლებმაც ეპოქა შეცვალა“



იმედის ჩასახვა, გრძნობების გაღვივება, მომავლის ჭვრეტით აწმყოზე მსჯელობა, უკეთესი სამყაროსკენ სწრაფვა და გამარჯვებისკენ დაუცხრომელი ლტოლვა – ასეთია მამოძრავებელი იმპულსები იმ ბრწყინვალე მიმართვებისა, რომლებშიც ხორცშესხმულია მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე განვლილი ეპოქის სულისკვეთება. ამ მიმართვებში ასახულია განცდები და გრძნობები, რომლებიც თან სდევს ჩვენი სამყაროს უწყვეტ განვითარებას. კრებულში თავმოყრილი ოცდათვრამეტი მიმართვა მკითხველს შესაძლებლობას მისცემს, უფრო სიღრმისეულად ჩასწვდეს ეპოქას, ყურად იღოს გამოთქმული აზრები და მიჰბაძოს ამ სიტყვების ავტორთა მაგალითებს.

სუპერკუპონი

ამოჭერი, შეაგროვე, ააწყვე!

„კვირის პალიტრა“ თავის მკითხველს წიგნების დიდი ფასდაკლებით შეძენის ახალ საშუალებას სთავაზობს – ეს სუპერკუპონია. იგი შედგება 4 ნაჭრისგან (კუპონისგან), რომლებიც ქმნის წიგნის ყდის ერთიან სურათს. კუპონები შეგიძლიათ იპოვოთ გაზეთის ნომრებში, პირველ გვერდზე, ქვედა მარცხენა კუთხეში. თითოეულ კუპონს თავისი ნომერი აქვს. იმისთვის, რომ მიიღოთ სუპერფასდაკლება, საჭიროა შეაგროვოთ ოთხივე კუპონი (N1, N2, N3 და N4) და წარადგინოთ „ბიბლუსის“ ნებისმიერ მაღაზიაში.

ამ ნომერში თქვენ იპოვით სუპერკუპონის N1 კუპონს. იგი საჭიროა გამომცემლობა „პალიტრა L”-ის წიგნზე - **„მსოფლიო ლიდერების მიმართვები, რომლებმაც ეპოქა შეცვალა“**. ოთხივე კუპონის წარდგენის შემთხვევაში, 60 ლარის ნაცვლად, მხოლოდ 30 ლარს გადაიხდით. ამგვარად, დაზოგავთ 30 ლარს. იყავით ყურადღებით და ამოჭერით კუპონები სპეციალურად მონიშნული პუნქტირის მიხედვით.

დემნა გვასალია: „უხეში სილუეტები ჩემს კოლექციაში გამოხატავს იმას, რაც ცხოვრებაში გამოვიარე“

პარიზში მოდის სახლ Balenciaga-ს 2024 წლის გაზაფხულ-ზაფხულის კოლექციის ჩვენება გაიმართა. კოლექცია წარადგინა Balenciaga-ს კრეატიულმა დირექტორმა დემნა გვასალიამ, რომლის ჩვენებებიც გამოიჩევა ექსტრავაგანტური სტილით და ხშირად შთაგონებულია 90-იანი წლების საქართველოს ცხოვრებით... წლევანდელი კოლექცია საინტერესო იყო იმითაც, რომ ის დემნას ოჯახის წევრებმაც წარადგინეს — შოუ დემნას დედამ, ელამ გახსნა და დემნას ქმარმა, ლოიკ გომესმა საპატარძლო კაბით დახურა...

დემნა ქმართან, ლოიკ გომესთან ერთად

„ვერ ვბრუნდები საქართველოში, რადგან მოკვლით მემუქრებიან. ერთ-ერთი მათგანი ბიძაჩემია... ისეთ ქვეყანაში ვიზრდებოდი, სადაც ვერ ვიტყოდი, რომ გეი ვიყავი, ვცდილობდი, ისეთ მკაცრ ბიჭს დავმსგავსებოდი, რომელიც გადარჩებოდა იმ უბნებში, სადაც მე ვცხოვრობდი, მაგრამ შინაგანად ასეთად არ ვგრძნობდი თავს...“

სოხუმიდან „ბალენსიაგამდე“

ეროვნებით ქართველი გერმანიის მოქალაქე დემნა გვასალია დაიბადა სოხუმში 1981 წლის 25 მარტს. ბავშვობიდან იყო დაინტერესებული ხატვითა და ტანსაცმლის დიზაინით, მაგრამ დემნას ნიჭს განვითარება არ დასცალდა — 1992 წელს აფხაზეთში ომი დაიწყო და მისი ოჯახი დევნილად იქცა... დემნამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. სტუდენტობისას ოპერატორად მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში. 2000 წელს კი მისი ოჯახი გერმანიაში წავიდა და დიუსელდორფში დასახლდა. *„ოჯახში გაჩნდა იდეა, რომ ბანკში დამეწყო მუშაობა, თუმცა მე გადავწყვიტე მაინც ის გამეკეთებინა, რაც რეალურად მინდოდა. სწორედ ამიტომ ხელოვნების აკადემიაში, Royal Academ Of Fine Arts-ში, ბელგიაში, ანტვერპენში დავიწყე სწავლა“* — იხსენებს ის.

ხელოვნების სამეფო აკადემიაში 800 მსურველიდან 70 მიიღეს, მათ შორის იყო დემნაც. პირველი კურსის ბოლოს კი 16 რჩეულ სტუდენტში მოხვდა. სწავლის დასრულების შემდეგ დემნას პროფესორმა ვალტერ ვან ბეირენდონკმა თავის ბრენდში მამაკაცის ხაზის ტანსაცმლის დიზაინერობა შესთავაზა... პირველი კოლექცია დემნა გვასალიამ 2007 წელს ტოკიოს მოდის კვირეულზე წარადგინა. შემდეგ Margiela-ს ქალისა და მამაკაცის ხაზის წამყვან დიზაინერად სამი წელი იმუშავა. 2012 წელს ხელმძღვანელობდა „H&M & Margiela-ს გახმაურებულ კოლაბორაციას. 2013 წელს დემნა „ლუი ვიტონის“ ქალის ხაზის უფროს დიზაინერად დაინიშნა, სადაც მაღალი ანაზღაურება და კარგი სამუშაო პირობები ჰქონდა. 2014 წელს ძმასთან, გურამთან ერთად შექმნა საკუთარი ბრენდი „Vetements“. ეს იყო პოპულარული ქუჩის სტილი, რაც თავად დიზაინერს მოსწონდა. მისი ძმა გურამი კომპანიის ფინანსურ საკითხებს განაგებდა. 2015 წლის ოქტომბერში გვასალია დანიშნეს Balenciaga-ს კრეატიულ დირექტორად, თუმცა Vetements-შიც აგრძელებდა დიზაინერად მუშაობას (მოდის სახლი Balenciaga 1919 წელს ესპანელმა დიზაინერმა კრისტობალ ბალენსიაგამ დააფუძნა. 1937 წელს ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ატელიე პარიზში გადავიდა)...

ბალადა სიყვარულზე...

2017 წელს დემნა გვასალია ფრანგ მუსიკოს ლოიკ გომესზე დაქორწინდა და შვეიცარიაში გადავიდა საცხოვრებლად. ლოიკი წარმოშობით ფრანგია, მაგრამ, როგორც დემნამ აღნიშნა, ისინი თავს ყველაზე კარგად შვეიცარიაში გრძნობენ და საფრანგეთში არ იცხოვრებენ, რადგან მთავრობისთვის კოლოსალური კომუნალური გადასახადების გადახდა არ სურთ...

ლოიკ გომესი დემნაზე 12 წლით უმცროსია. დემნა გახდა ვეგეტარიანელი, დაიწყო ვარჯიში და ცხოვრების სტილი შეიცვალა. *„შვეიცარიელები ნაკლებად განგსჯიან. აქ თავს უსაფრთხოდ ვგრძნობ, უსაფრთხოება კი ჩემს ცხოვრებაში მთავარია“.* ამბობს Vogue-თან ინტერვიუში დიზაინერი.

ქორწინების შესახებ ინფორმაცია წლების წინ დემნამ თავად გაავრცელა, როდესაც ინსტაგრამზე დადო ნიშნობის ბეჭდების ფოტო წარწერით: „და მე ვთქვი კი“.

NYT Styles Magazine-მა დემნა გვასალიას გულახდილი ინტერვიუ გამოაქვეყნა. ინტერვიუში დიზაინერი ამბობს, რომ საქართველოში ჩამოსვლის შიში აქვს, რომელიც მისი ორიენტაციით არის გამოწვეული, ერთ-ერთი მიზეზი ბიძამისის მუქარაა, რომელიც დემნას მოკვლით ემუქრება. *„ვერ ვბრუნდები საქართველოში, რადგან მოკვლით მემუქრებიან. ერთ-ერთი მათგანი ბიძაჩემია... ისეთ ქვეყანაში ვიზრდებოდი, სადაც ვერ ვიტყოდი, რომ გეი ვიყავი, ყოველთვის ვცდილობდი, ისეთ მკაცრ ბიჭს დავმსგავსებოდი, რომელიც გადარჩებოდა იმ უბანში, სადაც მე ვცხოვრობდი, მაგრამ შინაგანად ასეთად არასდროს ვგრძნობდი თავს“...*

დემნამ თავის ქმარს სიყვარული საჯაროდ აუხსნა, როდესაც პარიზში „ოტ კუტიურ“ კოლექციის ჩვენებაზე პოდიუმიდან ფრანგულ ენაზე სასიყვარულო ბალადა მიუძღვნა. მისი გულშემატკივრების აზრით, ეს ლექსი აფხაზეთსა და საქართველოს ეძღვნებოდა, თუმცა მოგვიანებით დემნამ განმარტა, რომ ლექსი არა სამშობლოს, არამედ ხელოვნებასა და ქმარს მიუძღვნა...

ლოიკი ბოლო დროს დემნას ჩვენებებისთვისაც ქმნის მუსიკას. რაც შეეხება საკუთარ კარიერას, ლოიკი BFRND-ის სასცენო სახელით მოღვაწეობს და ძალიან წარმატებული კარიერა აქვს.

„ყოველი დღე ბრძოლის ველს ჰგავს, საკუთარი იდენტობის დასაცავად. და რაც უფრო მეტად ვცდილობ ვიყო ის, ვინც ვარ, მით უფრო მეტად მხვდება სახეში მუშტი... არასოდეს არ ჰქონდა მოდას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა. მე მიყვარს ამის კეთება, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, სულერთია. მე ისეთი რამე მინახავს, მასთან მოდა უადგილო ჩანს... არ მომწონს, რომ ფუფუნება მიზნად ისახავს იმის თქმას, რომ მდიდარი ხარ, მირჩევნია ისეთი ჩანთა მეჭიროს, რაც არ დამამსგავსებს ბურჟუაზიულ ძუკნას...

დემნა და გურამ გვასალიები *გურამ გვასალია და კეიტ მოსი*

„New York Time – **სთან გურამ გვასალია ამბობს, რომ დემნაზე უფრო წინ არის, დემნას ეპოქა ნელ-ნელა დასასრულისკენ მიდის და ახლა მისი დროა. ცოტა ხნის წინ დემნას ძმა ისევ მოექცა ყურადღების ცენტრში – მან სოცქსელში ბრიტანელ სუპერმოდელ კეიტ მოსთან ერთად გამოაქვეყნა ფოტო, წარწერით: „მიყვარხარ, კეიტ“**

„დემნა რევოლუციონერია და ამას მსოფლიო აღიარებს“

დემნა გვასალიას ბოლო კოლექციაზე მოდის ექსპერტი **დალი ჩიტალაძე** გვესაუბრება: — დემნამ დაარღვია მსოფლიო მოდის სტანდარტები და ახალი სიტყვა თქვა მოდის ინდუსტრიაში, მან აბსოლუტურად შეცვალა ქალის დაკანონებული ფორმები. თავის დროზე, კრისტობალ ბალენსიაგამაც მოახდინა რევოლუციური ძვრები მოდის ინდუსტრიაში, დემნაც რევოლუციონერია და მას მსოფლიო აღიარებს.

როცა პირველი ჩვენება ჰქონდა, მაშინვე ვთქვი, რომ ის თავის სიტყვას იტყოდა. მე მისი ფანი ვარ და მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ქართველია, მომწონს, როცა ხელოვანს თავისი ხელწერა აქვს. მოდის ინდუსტრიაში არსებობს შანელის, დიორის, ივ სენ ლორანის სტილი, დემნამ შექმნა თავისი სტილი. მოდაში შენი ხელწერა დატოვო, რომელიც სხვა დიზაინერებისგან მკვეთრად გამოგარჩევს, ამას მხოლოდ ერთეულები ახერხებენ.



— **როგორ შეაფასებდით ბალენსიაგას 2024 წლის გაზაფხულ-ზაფხულის ჩვენებას?**

— მისი ყოველი ჩვენება დატვირთულია გარკვეული პერფორმანსით, რომლითაც ამჟღავნებს შინაარსს. შოუ სხვა არის და მაღაზიის პროდუქცია — სხვა, შოუ გადმოსცემს ხელოვანის ფიქრს, აზრს, სიტყვას, განწყობას. დემნა ამას გენიალურად აკეთებს. რა თქმა უნდა, არის აზრთა სხვადასხვაობა, მისი ხელწერა იმდენად უნიკალურია, რომ ზოგს არ მოსწონს და ასეც უნდა იყოს. მაგალითად, მისი ერთ-ერთი ნამუშევარი, სადაც მოდელს ორი კოსტიუმი აცვია, ჩემი აზრით, გადმოსცემს ადამიანის სხვადასხვა ხასიათს... არ დამავიწყდება დემნას ჩვენება წყალში. ეს თოვლში, სიცივეში გაკეთებული შემზარავი შოუ სოხუმელების სუსხიანი გზაა, რომელიც გამოიარეს. და გამახსენდა მაშინ, როდესაც უკრაინის ომი დაიწო... მის სამოსს პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს... დემნა კიდევ ბევრჯერ გაგვაოცებს.

„უკრაინაში ომის დაწყებიდან 10 დღეში დემნას ჩვენება ჰქონდა პარიზში, რომლის კონცეფციაც კლიმატური ცვლილებები უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეიცვალა უკრაინის მხარდამჭერი კონცეფციით. როგორც დემნა განმარტავს, უკრაინაში არსებული მდგომარეობა კარგად ესმის: „უკრაინის ომმა წარსულის ტრავმები გამახსენა, რომელიც 1993 წლიდან მომყვება და რომელმაც სამუდამოდ ლტოლვილად მაქცია. სამუდამოდ, რადგან ეს არის ის, რაც შენში რჩება – შიში, სასოწარკვეთილება, იმის გაცნობიერება, რომ არავის სჭირდები

დიზაინერი „წესების გარეშე“

„იშვიათი დიზაინერი, რომელსაც შეუძლია მოდის ინდუსტრიაში არსებული წესები დაარღვიოს“ — წერს ჟურნალი Vogue. დემნას სტილს ათასობით იმიტატორი და თაყვანისმცემელი ჰყავს.

2016 წლის Fashion Award-ის დაჯილდოებაზე დემნამ წლის მზა ტანსაცმლის საერთაშორისო დიზაინერის ჯილდო მიიღო, Vetements-იკი გახდა წლის საერთაშორისო ქალაქური ლუქს-კლასის ბრენდი.

Met Gala 2021-ზე, რომელიც ნიუ-იორკში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და ვარსკვლავური მოვლენაა, ცნობილი ადამიანების უმრავლესობა დემნას სამოსით იყო წარმოდგენილი. მათ შორის: კიმ კარდაშიანი, მომღერალი რიანა, ტრეისი ელის როსი, იზაბელ იუპერი, ელიოთ პეიჯი და სხვ.

ჟურნალ Time-ს ყოველწლიური რეიტინგის მიხედვით, გასულ წელს დემნა გვასალია 100 ყველაზე გავლენიან ადამიანთა სიაში მოხვდა.

2022 წელს უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ დემნა მესამე ხარისხის ღირსების ორდენით დააჯილდოვა. დიზაინერი უკრაინის ფინანსური დახმარების ფონდის, United 24-ის ელჩი გახდა.

„მოდი, ყველას მივცეთ საშუალება, იყვნენ ისინი, ვინც არიან. შევქმნათ სიყვარული და არა ომი“

ცნობისთვის: უკრაინაში ომის დაწყებიდან 10 დღეში დემნას ჩვენება ჰქონდა პარიზში, რომლის კონცეფციაც კლიმატური ცვლილებები უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეიცვალა უკრაინის მხარდამჭერი კონცეფციით. როგორც დემნა განმარტავს, უკრაინაში არსებული მდგომარეობა კარგად ესმის და ამ ფაქტმა მას სოხუმთან დაკავშირებული წარსულის ტრავმები გაახსენა.

„უკრაინის ომმა წარსულის ტრავმები გამახსენა, რომელიც 1993 წლიდან მომყვება და რომელმაც სამუდამოდ ლტოლვილად მაქცია. სამუდამოდ, რადგან ეს არის ის, რაც შენში რჩება — შიში, სასოწარკვეთილება, იმის გაცნობიერება, რომ არავის სჭირდები“ — ამბობს დიზაინერი NYT Styles Magazine-თან ინტერვიუში.

2022 წელს დემნა გვასალიას საპატიო თბილისელის სტატუსიც მიენიჭა.

სკანდალი...

რა თქმა უნდა, დემნას ცხოვრებაში იყო სკანდალებიც. Balenciaga კრიტიკის ქარცეცხლში მას შემდეგ გაეხვია, რაც ბრენდის სადღესასწაულო კამპანიის ფოტოები გავრცელდა. ბრენდის საჩუქრების მაღაზიის სარეკლამო კამპანიაში ბავშვები მონაწილეობდნენ, მათ ხელში ეჭირათ პლუშის დათვები გამჭვირვალე სამოსითა და ტყავის აღჭურვილობით, რაც საზოგადოებაში გარყვნილებასთან ასოცირდება. ამის გამო დემნამ ბოდიში საჯაროდ მოიხადა...

დემნასეული 90-იანები

დემნას კოლექციის ნახვის შემდეგ ბევრს უჩნდება კითხვა, საიდან მოდის ეს გიჟური იდეები?! ქართველმა დიზაინერმა თამამად მონიშნა საქართველოს ადგილი მოდის ინდუსტრიაში მაისურებზე დაპრინტული ქართული ლექსებითა თუ ციტატებით — „საქართველო“, „უფალო შეგვიწყალე“, „სოხუმი“, „კმარა“. მის კოლექციებში ხშირად გადმოცემულია 90-იანების ჩაცმის სტილი, ერთმანეთში არეული კრიმინალური და რელიგიური შინაარსის ტატუებით.

2019 წლის Vetements-ის გაზაფხულ-ზაფხულის კოლექცია დიზაინერმა სამშობლოს მიუძღვნა. დემნამ საზოგადოებას თავისი ბავშვობის ისტორია გააცნო. კოლექციის შთაგონების წყარო იყო 90-იანების საქართველოს მძიმე დრო, რომელშიც გაიზარდა. *„ეს პერანგი უბრალოდ მოხატული არ არის, საქართველოში ასეთი ტრადიციაა — სკოლადამთავრებული ახალგაზრდები ბოლო ზარის დღეს, საზეიმო თეთრ პერანგებზე ერთმანეთს სურვილებს აწერენ და შემდეგ ამ სამოსს, როგორც სუვენირს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სათუთად ინახავენ“.*

2020 წელს Balenciaga-მ შემოდგომა-ზამთრის კოლექცია წარადგინა. ჩვენება პარიზის მოდის კვირეულზე გაიმართა და მასში ნეოგოთიკური ესთეტიკა ჭარბობდა. „დემნა გვასალიამ პოდიუმი დატბორა“ — წერდა გარდიანი. როგორც ჩვენების შემდეგ დიზაინერმა განაცხადა, ეს ყველაზე დემნასეული ჩვენება იყო, რაც აქამდე გაუმართავს და აღნიშნა, რომ კოლექცია ყველაფერ იმას განასახიერებდა, რაც საქართველოში ცხოვრებისას უყვარდა...

2023 წლის ზაფხულის ჩვენებას „ტალახის შოუ“ ეწოდა. მოდელები, რომლებიც კოლექციას წარადგენდნენ, ტალახში დააბიჯებდნენ. *„ადამიანს გამბედაობა და შეუპოვრობა სჭირდება, რათა მიიღოს საკუთარი იდენტობა და იყოს ის, ვინც არის. ყოველი დღე ბრძოლის ველს ჰგავს, საკუთარი უნიკალური იდენტობის დასაცავად. და რაც უფრო მეტად ვცდილობ ვიყო ის, ვინც ვარ, მით უფრო მეტად მხვდება სახეში მუშტი. თუმცა დიდებულია, ვიყოთ განსხვავებულები... გადავწყვიტე, სიტყვიერად აღარ ავხსნა ჩემი კოლექციები, არამედ, გამოვხატო გონების მდგომარეობა. მოდა ვიზუალური ხელოვნებაა და მისი მხოლოდ სხვისი თვალით დანახვაა საჭირო. საუკეთესო შემთხვევაში, მოდას არ სჭირდება ისტორია, რომელსაც ვინმეს მიჰყიდი. ამ შოუში შექმნილი გარემო ჭეშმარიტების ძიებისა და მიწიერებასთან სიახლოვის მეტაფორაა. მოდი, ყველას მივცეთ საშუალება, იყვნენ ისინი, ვინც არიან. შევქმნათ სიყვარული და არა ომი* — განაცხადა დემნამ ამ კოლქციის შესახებ და დასძინა — *ჩემთვის არასოდეს არ ჰქონდა მოდას დიდი მნიშვნელობა. მე მიყვარს ამის კეთება, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, სულერთია. მე ისეთი რამე მინახავს, მასთან მოდა უადგილო ჩანს... არ მომწონს, რომ ფუფუნება მიზნად ისახავს იმის თქმას, რომ მდიდარი ხარ, მირჩევნია ისეთი ჩანთა მეჭიროს, რაც არ დამამსგავსებს ბურჟუაზიულ ძუკნას, რომელსაც ყველაფრის შეძენა შეუძლია... უხეში სილუეტები ჩემს კოლექციაში გამოხატავს იმას, რაც ცხოვრებაში გამოვიარე. უფრო ადვილია ტკივილის ან სიხარულის გამოხატვა ჩემი ნამუშევრების მეშვეობით, ვიდრე ამის ხმამაღლა თქმა“.*

ძმა ძმის კვალში...

სიურპრიზებით იყო სავსე Balenciaga-ს 2024 წლის გაზაფხულ-ზაფხულის ჩვენებაც, რომელიც თავად დემნას დედამ, ელამ გახსნა. ჩვენებაში მონაწილეობდა დემნას მეგობარი, ამერიკელი მოდელი და ბიზნესლედი კიმ კარდაშიანიც. შოუ დემნას მეუღლემ დახურა, რომელმაც ბრენდის წინასაკოლექციო 7 საქორწინო კაბის ერთად შეკრული ვერსია მოირგო. შოუს ესწრებოდა დემნას მამაც. წარმოდგენას ნამდვილად ექნებოდა „ოჯახური სახე“, რომ არა ერთი ფაქტი — ჩვენებაზე არ მიიწვიეს დემნას ძმა. *„ვამაყობ, რომ შოუ დედაჩემმა გახსნა. ძალიან სამწუხაროა, რომ მე არ მიმიწვიეს. ვლოცულობ ჩემი ძმისთვის, ღმერთმა დალოცოს“* — წერს გურამ გვასალია სოცქსელში.

ძმებს შორის დაპირისპირება განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც New York Time-სთან გურამმა ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა. ამბობს, რომ დემნაზე უფრო წინ არის, დემნას ეპოქა ნელ-ნელა დასასრულისკენ მიდის და ახლა მისი დროა.

ცოტა ხნის წინ გურამ გვასალია ისევ მოექცა ყურადღების ცენტრში — მან სოცქსელში ბრიტანელ სუპერმოდელ კეიტ მოსთან ერთად გამოაქვეყნა ფოტო, წარწერით: „მიყვარხარ, კეიტ“... ნიშნავს თუ არა დემნას ძმის პოსტი ახალი რომანის დაწყებას, თუ ამ ნაბიჯით დიზაინერს საზოგადოების ყურადღების მიპყრობა სურს, ჯერჯერობით უცნობია. საინტერესოა ისიც, მოახერხებს თუ არა გურამი ძმის ჩრდილიდან გამოსვლას...

გვანცა ახვერდაშვილი

როდის არის გადაუდებელი გლანდების ოპერაცია



რომელი პერიოდია ოპერაციის დასაგეგმავად კარგი და რომელ ასაკში ჯობს დავგეგმოთ გლანდების ამოჭრა? — ამ და გლანდების შესახებ სხვა მნიშვნელოვან შეკითხვებზე ექიმი ზაზა ხუციშვილი უპასუხებს:

— გლანდები ანუ სასის ტონზილები ლიმფური სისტემის ერთ-ერთი ნაწილია, რომელიც ადამიანის იმუნური სისტემის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს. მისი პირველი რგოლი და ამოცანაა გამაღიზიანებელი ფაქტორებისგან, მათ შორის ვირუსების, ბაქტერიებისგან და ა.შ. ორგანიზმის დაცვა.

— რატომ ხდება ხოლმე მისი ამოჭრა საჭირო?

— თვითონ ტონზილები პირველი დაცვითი რგოლია იმიტომ, რომ სხვა გზებით შესულ ინფექციას პირველ რიგში სასის ტონზილები, ცხვირ-ხახის ადენოიდები და ცხვირის ღრუ ბლოკავს.

როცა ორგანიზმზე ხშირია სხვადასხვა ვირუსულ-ბაქტერიული შეტევა, თანდათანობით სასის ტონზილები ამდენი ბრძოლისგან ფუნქციას კარგავს და ორგანიზმისთვის არასასურველი ხდება — ანუ თვითონ ხდებიან ტოქსინები ადამიანის ორგანიზმისთვის. შესაბამისად, იწყება უმიზეზო ანთებები, მუდმივი დისკომფორტი, სასის ტონზილებში ჩირქის გაჩენა. ამას მოჰყვება ზოგადი სისუსტე, დაღლა, გულის ფრიალი, სახსრების ტკივილი და ა.შ., რაც იძულებულს ხდის ადამიანს მიმართოს ექიმს.

მედიცინა არ არის შაბლონური მეცნიერება. შეიძლება ვიღაცას, 5-ჯერ ჰქონდეს ანგინა გადატანილი, ვიღაცას კი არაფერი აწუხებდეს, თუმცა არის ნიშნები, რომლებიც მიუთითებს, რომ სასის ტონზილებს უჭირს ფუნქციის შესრულება, რაც შემდგომში იმუნურ სისტემას აქვეითებს და საოპერაციო ხდება. ამ დროს ხშირია დაბალი ტემპერატურა, რომელიც მერყეობს 37-დან 37,5 გრადუსამდე.

— როგორც ვაკვირდები, ბავშვობის ასაკში უფრო ხშირად იკეთებენ ამ ოპერაციას.

— ბაღისა და სკოლის პერიოდში სხვადასხვა ტიპის ინფექციებთან კონტაქტი უფრო ხშირია. ამ დროს განსაკუთრებით აქტიურდება სხვადასხვა ბაქტერია, სხვადასხვა ვირუსით იმუნიტეტი ქვეითდება, პირველივე გარე გამღიზიანებელზე ეწყება გაუთავებელი მაღალი სიცხე, ყელის ტკივილი და ა.შ., მშობელი იძულებულია მოაცილოს გლანდები.

— მართალია, რომ მოზრდილებთან შედარებით, ბავშვები უფრო ადვილად იტანენ ამ ოპერაციას?

— რასაკვირველია. სასის ტონზილები მოთავსებულია პირის ღრუში, იქ, სადაც განვითარებულია სისხლძარღვოვანი ქსელი და კისრის მუსკულატურა. შესაბამისად, რაც უფრო ნაზი და თხელია ქსოვილები და ხშირი ანთებებისგან არ არის ფიბროზული ქსოვილები ჩამოყალიბებული, ჭრილობა უფრო ელასტიკურია და იოლად ხორცდება, განსხვავებით უფროსებისგან. თუმცა, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს შეხორცების უნარს, ოპერაციის გაკეთების ტექნიკას და ა.შ.

— ყველაზე დაბალ ასაკში როდის აკეთებენ ამ ოპერაციას?

— ჩემი აზრით, ოპერაცია ჯობს გაკეთდეს იმ ასაკში, როცა ბავშვი კონტაქტურია, მეტყველებს და აზროვნებს გამართულად, ნებისმიერ პრობლემას ადეკვატურად გაწვდის, რათა ექიმმა აქედან გამომდინარე იმოქმედოს. ამ ოპერაციას ახასიათებს რთული პოსტოპერაციული პერიოდი, რომელიც დაახლოებით 3 კვირა გრძელდება. ამ პერიოდში ყურადღებაა საჭირო, პატარა პრობლემაც არ უნდა გამოგვეპაროს. ერთ-ერთი ხშირი გართულებაა სისხლდენა და შესაბამისად, ბავშვმა უნდა გადმოგცეთ, თუ იგრძნო ახალი სითხის გაჩენა პირის ღრუში. არიან ყურადღებიანი მშობლები, რომლებიც პროფილაქტიკის მიზნითაც მოდიან. თუკი გლანდები გამართულად მუშაობს, ნორმალური ექიმი მის ამოჭრას არ ურჩევს, რადგან სასის ტონზილებს დიდი დაცვითი როლი აკისრიათ.

— რა გართულება შეიძლება გამოიწვიოს, თუ ოპერაცია დროულად არ ჩაუტარდათ?

— სასის ტონზილებზე ოპერაცია ტიპური გეგმური ოპერაციაა, რომელიც შეგიძლია გაიკეთო 2 დღეში, 2 თვეში და 2 წელიწადში, გააჩნია, რამდენად დამთრგუნველად მოქმედებს ის ადამიანის ორგანიზმზე. შესაბამისად, ოპერაციის გაკეთების დროულობაც აქედან არის გამომდინარე. თუ ადამიანი ყოველ ორ თვეში ერთხელ ავადობს მაღალი სიცხით, უჩირქდება, სჭირდება ანტიბიოტიკური თერაპია, რასაკვირველია, ჯობს ოპერაცია დროულად გაიკეთოს. თუმცა ბავშვთა ასაკში ძირითადად არანაირი გამოხატული პრობლემა არ ყალიბებდა, თუ არ ჩავთვლით ადგილობრივ ანთებით ცვლილებებს.

— რას გულისხმობთ?

— არ ხდება, რომ ბავშვთა ასაკში ჩამოყალიბდეს გულის მანკი, მწვავე რევმატიზმი, შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები... ალბათობა, რა თქმა უნდა, არსებობს, თუმცა ამას არა აქვს სისტემატური ხასიათი. შესაბამისად,

როცა ადამიანს სასის ტონზილები მთელი ცხოვრება აწუხებს და არ იცილებს, შესაძლებელია ჩამოუყალიბდეს როგორც რევმატიული ართრიტი, ისე გულის სხვადასხვა დაავადება, შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები...

— განსაკუთრებით მომღერლები უფრთხილდებიან ხოლმე გლანდებს.

— ოპერაციის შემდეგ საკმაოდ დიდი ნაწიბურები ყალიბდება, რაც მეტ-ნაკლებად ცვლის ხმის ინტონაციას, იწვევს პირის სიმშრალეს და, რასაკვირველია, თუკი მომღერალი ხარ, მაქსიმალურად ერიდები ოპერაციას. მითი, რომ იოგები დაგიზიანდება ოპერაციისგან, არასერიოზული მიდგომაა, თუმცა იმის რისკი, რომ ხმის ტემბრი ან ტონალობა შეიცვალოს, ან სიმშრალე მოგვემატოს და იოგებს დამატებითი ჯაფა დაადგეს, არსებობს. ამიტომ მაქსიმალურად ცდილობენ, თუ რაღაც სასწაული არ ხდება, არ გაიკეთონ.

— ყველაზე კარგი პერიოდი ოპერაციის დასაგეგმავად როდისაა?

— ნებისმიერ პერიოდში შეგიძლია დაგეგმო.

— პროცენტულად რამდენს სჭირდება გაკეთება?

— ზუსტი პასუხი არ მაქვს. ერთს ვიტყვი — ყველა ქვეყნის მედიცინას აქვს თავისი მიდგომა. უცხოეთში, განვითარებულ ქვეყნებში, პაციენტს შეუძლია წლობით სვას ანტიბიოტიკები და სხვა მედიკამენტები ექიმის მეთვალყურეობით, იყოს შავ დღეში, მაგრამ არ გაიკეთოს ოპერაცია, იმიტომ, რომ ექიმი არ ეუბნება. საქართველოში ამას ვერ აუხსნი და დაუსაბუთებ, იმიტომ, რომ ის წუხდება და არც ფინანსურად აქვს საშუალება ყოველ მეორე თვეს ანტიბიოტიკების კურსი ჩაიტაროს, მერე კი ანტიბიოტიკებისგან გამოწვეულ პრობლემებს ებრძოლოს. ასე რომ, ჩვენს ქვეყანაში ხშირია ეს ოპერაცია. ყველას ვურჩევ მაქსიმალურად გაუფრთხილდეს ჯანმრთელობას. ბავშვებს ვურჩევ იშვიათად სვან გაზიანი სასმელი და არ ჭამონ თხილეული, ჩიფსები... ეს იმ დიდებსაც ეხებათ, ვისაც ყელის ზოგადი სისუსტე აქვთ.

ეკა სალაღაია

16 ოქტომბრიდან
ახალი სერია
#გადავიკითხოთ

სურამის ციხე
დანიელ ჭონქაძე

თითოეულ წიგნს ერთვის ამათუ იმ ცნობილი და ავტორიტეტული ლიტერატორის ან მკვლევრის წინათქმა, რომლის მიზანიც არის, მიგვანიშნოს ხელახლა წაკითხვისას აღმოსაჩენ აქცენტებზე.

თითოეული წიგნი უხვად ილუსტრირებულია ყველაზე საკვანძო სიუჟეტების მიხედვით.

ილუსტრატორი: ხატია ჩიტორელიძე
ყდა: მაგარი, შემოსაკრავი სუპერით, ცარცირებული გვერდებით
სპეციალური ფასი 15₾

წიგნების შესაკვეთად დაგვიკავშირდით ნომერზე: 322 47 00 45
და ისარგებლეთ საკურიერო მომსახურებით

პალიტრა L

ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ ᲤᲘᲚᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲐ ᲘᲡ

ამერიკის პლასტიკური ქირურგიის საზოგადოების 2018 წლის ანგარიშის თანახმად, წლის ყველაზე პოპულარულ კოსმეტიკურ პროცედურებად ბოტოქსი და ფილერის ინიექციური შემავსებლები აღიარეს. 2018 წელს ამერიკაში 7,4 მილიონი ბოტოქსი და 2,6 ფილერის ინიექცია გაკეთდა. ამერიკაში ბოტოქსის პროცედურის ღირებულება დაახლოებით 400 დოლარს შეადგენს, ფილერის შემავსებლის ერთი ინიექციის კი 500-დან 900 დოლარამდეა, თუმცა ფასი პრეპარატისა და მოცულობის მიხედვით იცვლება. ფილერის საშუალებით შესაძლებელია სახეზე ნაოჭებისა და ხაზების შევსება-გასწორება, ტუჩისა და ყვრიმალების გადიდება, ასევე ცხვირ-ტუჩის ღარის შევსება და კიდევ სხვადასხვა სახის კორექცია. ჩვენს კითხვებს კოსმეტოლოგი სოფიო თოიძე უპასუხებს.

„თანამედროვე ფილერი მზადდება ლაბორატორიულად სინთეზირებული ჰიალურონის მჟავით, გადის შემოწმებას სხვადასხვა ენდოტოქსინზე და არის ბიოთავსებადი პროდუქცია, თითქმის არ იწვევს ალერგიას. ფილერი დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროცედურაა, ის დაახლოებით 2-3 თვიდან წლამდე, 2 წლამდეც ძლებს



„ტუჩისა და ყვრიმალების გადიდება კოსმეტოლოგიაში პოპულარობის პიკი გახდა, თუმცა ამ ტენდენციას ჰქონდა უარყოფითი შედეგებიც, რასაც დღესაც ვხვდებით, როდესაც სინთეტიკურ ფილერებს, კონკრეტულად კი ბიოპოლიმერს იყენებენ. ვინც ტუჩი ბიოპოლიმერით გაიდიდა და არ გაურთულდა, ნამდვილად გაუმართლა, რადგან ბიოპოლიმერს ახასიათებს სხვადასხვა გართულება: ტუჩის მიგრაცია, გაბერვა, შეშუპება, დაკიდება. ასეთ დროს გარდაუვალია ოპერაცია, რომელიც ბიოპოლიმერის ამოღების ერთადერთი საშუალებაა“

— რა არის ფილერი?

— ფილერი არის ინიექციური შემავსებელი, გელისებური მასა, რომელიც მოიხმარება სახეზე ასაკობრივი ცვლილებების დროს სხვადასხვა კოსმეტიკური ხარვეზის აღმოსაფხვრელად. საინტერესოა რომ XIX საუკუნეში პირველად იქნა გამოყენებული აუტოლოგიური ცხიმის მასა დეფორმაციების აღმოსაფხვრელად, თუმცა ეს პროცედურა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. ჯერ კიდევ არ არსებობდა მეთოდი, რითიც გაახანგრძლივებდნენ ტრანსპლანტაციას ანუ შედეგს.

— პირველად როდის გამოიყენეს ფილერი?

— პირველად ფილერი ნახსენები იყო 1875 წელს, როდესაც ადამიანის ორგანიზმში ვაზელინი შეიყვანეს, რის შედეგადაც ქსოვილმა დეფორმაცია განიცადა. 1900 წელს ექიმებმა იმავე მიზნით პარაფინი გამოიყენეს. ეს პრეპარატები სინთეტიკური იყო, პარაფინისა და სილიკონისგან შედგებოდა. მისი გამოყენება 1940-იან წლებამდე გაგრძელდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა აზიაში. 1940-იანი წლების შემდგომ თხევადი სილიკონის გამოყენება დაიწყეს. შესაბამისად ფილერის, იმავე შემავსებლის, ისტორიას თუ გადაავლებთ თვალს, ნახავთ რომ ცდებით, როცა ფიქრობთ, რომ ფილერის პოპულარობა XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისს უკავშირდება. ამ პერიოდში ფილერის გამოყენებით უკვე შესამჩნევ ეფექტს იღებდნენ. ტუჩისა და ყვრიმალების გადიდება კოსმეტოლოგიაში პოპულარობის პიკი გახდა, თუმცა ამ ტენდენციას ჰქონდა უარყოფითი შედეგებიც, რასაც დღესაც ვხვდებით, როდესაც სინთეტიკურ ფილერებს, კონკრეტულად კი ბიოპოლიმერს იყენებენ.

— რა არის ბიოპოლიმერი და რატომ ურჩევენ კოსმეტოლოგები ფილერს ბიოპოლიმერის ნაცვლად?

— ბიოპოლიმერი იყო ყველაზე აქტუალური პრეპარატი, რომელსაც ცხვირ-ტუჩის შესავსებად იყენებდნენ. ადრე ბიოპოლიმერით იდიდებდნენ ტუჩებს. ის სამუდამოდ რჩება ტუჩის ქსოვილში, რადგან სინთეტიკურია. ვინც ტუჩი ბიოპოლიმერით გაიდიდა და არ გაურთულდა, ნამდვილად გაუმართლა, რადგან ბიოპოლიმერს ახასიათებს სხვადასხვა გართულება: ტუჩის მიგრაცია, გაბერვა, შეშუპება, დაკიდება. ასეთ დროს გარდაუვალია ოპერაცია, რომელიც ბიოპოლიმერის ამოღების ერთადერთი საშუალებაა. ასეთი ოპერაცია ხანგრძლივ რეაბილიტაციას საჭიროებს. ბიოპოლიმერი ქსოვილიდან ბოლომდე არ გაიწოვება. ადამიანის ორგანიზმი ასეთ შემავსებელს იღებს როგორც უცხო სხეულს და იწყება განდევნის პროცესი, შესაბამისად, ვითარდება ანთება, მიგრაცია და ფიბროზები. ეს უარყოფითი შედეგები პაციენტებში დგება ბიოპოლიმერის გაკეთებიდან რამდენიმე წლის შემდეგ.

— დღეს რა შემადგენლობა აქვს ფილერს?

— ამერიკის შეერთებული შტატების საკვებისა და წამლის მარეგულირებელმა ფედერალურმა სააგენტომ ფილერი 1981 წელს აღიარა და ამით დაიწყო კოსმეტოლოგიაში ახალი ეპოქა. რა თქმა უნდა, ბაზარზე გამოჩნდა სხვადასხვა მწარმოებლის ახალ-ახალი ფილერი, სუფთა ფორმით, ხარის კოლაგენით. თავიდან შეიქმნა ნაწილობრივ გამწოვი გელები. რა თქმა უნდა, მეცნიერები მუშაობდნენ ისეთი ფილერის შექმნაზე, რომელსაც ორგანიზმი აითვისებდა ან ბიოთავსებადი იქნებოდა, რომელიც მოგვცემდა გაახალგაზრდავების ეფექტს ალერგიისა და სხვადასხვა ფიბროზული წარმონაქმნის გარეშე. 2003 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საკვებისა და წამლის მარეგულირებელმა ფედერალურმა სააგენტომ აღიარა სუფთა ჰიალურონის დერმალური ფილერი, რომელიც ბევრად მსუბუქი და ეფექტური იყო, ვიდრე მისი წინამორბედი შემავსებლები. მას თითქმის არ სჭირდებოდა ტესტირება ალერგიაზე.

თანამედროვე ფილერი არის შემავსებელი, რომელიც ავსებს დეფიციტს ქსოვილის კანზე. ის მზადდება ლაბორატორიულად სინთეზირებული ჰიალურონის მჟავით, გადის შემოწმებას სხვადასხვა ენდოტოქსინზე და არის ბიოთავსებადი პროდუქცია, თითქმის არ იწვევს ალერგიას. ფილერი დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროცედურაა, ის დაახლოებით 2-3 თვიდან წლამდე, 2 წლამდეც ძლებს.

— ტუჩის გადიდების მიზნით ადრე გამოიყენებოდა ბიოპოლიმერი, დღეს ფილერით იზრდიან მოცულობას. რას ურჩევთ იმ პაციენტებს, ვისაც ტუჩის მოცულობის გაზრდა სურთ?

— 19-20 წლის გოგონებს ხშირად არ მოსწონთ საკუთარი თავი, სურთ გარეგნობის ცვლილება, და მათ მინდა ვუთხრა, თქვენ გაქვთ უდიდესი რესურსი — ახალგაზრდობა და ნუ დაიწყებთ ინიექციების გაკეთებას ახალგაზრდობიდანვე. თუმცა არიან გოგონები, რომელთაც გარეგნობის კომპლექსი აქვთ, ძირითადად, გარდატეხის ასაკში. ასეთ დროს სხვა სამუშაოა საჭირო, აუცილებელია თვითშეფასების ამაღლება. არსებობენ ასევე პაციენტები, რომლებსაც ასაკის მიუხედავად, გარეგნობაში ცვლილების შეტანა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე სჭირდებათ. გოგონებს ვურჩევ, თავდაპირველად მიმართონ სპეციალისტს, არ გაიდიდონ ტუჩი E ვიტამინით, რადგან ის არ არის განკუთვნილი ტუჩისთვის და შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული გართულებები. დღეს ესთეტიკური მედიცინის ბაზარზე შემოსულია მეხუთე თაობის პრეპარატები, რომელთაც გვერდითი მოვლენები თითქმის არა აქვთ, არ იწვევს ალერგიას და სხვადასხვა გართულებას. გახსოვდეთ, აირჩიეთ მაღალი ხარისხის პრეპარატი და მხოლოდ სპეციალისტს მიანდვეთ თქვენი სილამაზე.

ნინო წიფურია

სკანვორდი ფრაგმენტებით







1. განაყოფიერების უნარს მოკლებული
2. მუდმივი, უცვლელი
3. „არ ვიცი ... რამ შემაყვარა“
4. პატრონი, მესვეური
5. უმეცარი, უვიცი
6. ექსპრეზ. ... კაჩინსკი
7. უკრედთაშორისი უფერული სითხე
8. ჭრილობა
9. დღედამის გასაყარი
10. განიერი
11. „სიცილის დედოფალი“ – კვირიკაშვილი
12. ფათერაკი, განსაცდელი
13. დედაქალაქია მანაგუა
14. მონღოლთა მომთ. ტომის ბანაკი
15. წმენდილი შაქარი
16. დაყოფა, დაქუცმაცება
17. ბნელში შემოსული სინათლის სხივი
18. გამოუწვავი აგური
19. სისხლის გამცემი
20. ამერ. მომღ. დაიანა ...
21. მეტსახელი
22. ფრანგული შოკოლადის ფუნთუშა
23. ... უინფრი
24. ინგლ. მსახიობი კეიტ
25. სამრეწველო რაიონი გერმანიაში
26. ქართ. ანბანის I ასო
27. სასიყვარულო ურთიერთობა
28. ჩამონათვალი
29. მფრინავი ძუძუმწოვარი
30. თვალმარგალიტით შემკ. თავსამკული
31. დიდი მორბენალი ფრინველი
32. აშშ-ის კოსმ. კვლევის ცენტრი
33. ფურთში – კარგი ... და კარგი ორიანი
34. კორეული ავტომობილი
35. პეტენზია, საჩივარი (კომერც.)
36. „არის ... ქვეყანა“
37. ბამბის ბადურა ქსოვილი
38. უგონო მდგომარეობა
39. ამერ. მსახ. და მომღ. ... მინელი
40. გეომეტრიული სხეული
41. ცილისა და შაქრის ნამცხვარი
42. ს. თაყაიშვილი „დათა თუთაშხიაში“
43. ვნებიანობა
44. არტერიის ავადმყოფ. გაგანივრება
45. შოტლანდიური ნაგაზი
46. ირლ. პოეტი უილიამ ... იეიტსი
47. მოხდენილი, მშვენიერი
48. ძველრომაელთა სამოსი
49. ... კარნეგი
50. ამერ. მსახ. ... ჰარისი
51. ინდუიზმის ღვთაება
52. რ. ჩხეიძის ფილმი „ჩვენი ...“
53. უარყოფითი პასუხი თხოვნაზე
54. ავსტრიის დედაქალაქი
55. დედაქალაქია დოჰა
56. აუარებელი
57. ხასიათი, ბუნება
58. დაქცევა, განადგურება
59. მანგაძის ფილმი „ ... შეკაზმავს ცხენს“
60. პედრო ალმოდოვარის ფილმი

№28 სკანვორდის პასუხები:

პანდემია; 2. თხა; 3. პერიფერია; 4. რენე; 5. ელფი; 6. გლეხი; 7. გოგია; 8. ანიმატორი; 9. ოლე; 10. გროში; 11. იარანგი; 12. გრუნტი; 13. ტაპირი; 14. ტრემბიტა; 15. საქსოფონი; 16. პინტა; 17. მარაო; 18. შელია; 19. ქვაბი; 20. რამპა; 21. ირემი; 22. პიანო; 23. ტორი; 24. ვატი; 25. რეფსი; 26. ბაო; 27. ოტო; 28. ბროლ; 29. როკაპი; 30. თორიუმი; 31. თარი; 32. ფიორდი; 33. ალაბამა; 34. ანდორა; 35. მესტი; 36. როდის; 37. ცა; 38. დონა; 39. იო; 40. მეთუნე; 41. ბილ; 42. პატეფონი; 43. იუდეა; 44. მასალები; 45. ჯაბუა; 46. ანაბასისი; 47. არმანი; 48. მალამუტი; 49. მანე; 50. ასტრა; 51. რაჯ; 52. ბანა; 53. რომან; 54. ტრასა; 55. სპა; 56. ნიუ.

სურათებზე: 1. ბედუინი; 2. ბელმონდო; 3. ველორბოლა; 4. კასრაძე; 5. ორქიდეა.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა მაია შველიძემ

„ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ ᲓᲐᲒᲕᲐᲜᲐᲮᲝᲜ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲨᲔᲓᲘᲐᲜ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ, ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲙᲘ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ“ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ“

„ნაცებსა“ და „ქოცებს“ ფარული მოლაპარაკება აქვთ და ერთობლივად ცდილობენ ჩვენი გუნდის ჩათრევას პრეზიდენტის იმპიჩმენტის ირგვლივ მიმდინარე პოლიტიკურ თაღლითობაში, რათა პასუხისმგებლობა გადააბრალონ სხვას — გამოწვევა მიღებულია და დაელოდეთ პასუხს“, — აცხადებს პარტია „საქართველოსთვის“ წევრი მიხეილ დაუშვილი. მისი აზრით, მიუხედავად „ნაციონალური მოძრაობის“ საჯარო განცხადებისა, რომ არ გეგმავენ იმპიჩმენტზე სხდომათა დარბაზში შესვლას, ისინი მაინც აპირებენ ხმა მისცენ პრეზიდენტის იმპიჩმენტს. უფრო ვრცლად, თუ როგორ აპირებენ „ნაციონალები“ ხმის მიცემას პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის, რა გამოწვევა მიიღო გახარიას გუნდმა და როგორი იქნება პასუხი, პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ დაუშვილი გვესაუბრება:

„მათ ფარული მოლაპარაკება აქვთ პრეზიდენტის იმპიჩმენტის თაობაზე და ერთობლივად ცდილობენ ჩვენი გუნდის ჩათრევას ამ პოლიტიკურ თაღლითობაში“

— საკონსტიტუციო სასამართლო იმ გადაწყვეტილებას მიიღებს, რომელიც „ოცნებას“ აწყობს. შეიძლება ითქვას, არგუმენტები ორივე მხარეს აქვს, მაგრამ არ ღირს ამ საკითხის სამართლებრივ ჭრილში განხილვა.

— გავრცელდა მოსაზრება, რომ თუ ზურაბიშვილი ძველ პოზიციას დაუბრუნდება და „ოცნების“ კრიტიკას შეწყვეტს, შესაძლოა იმპიჩმენტის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნას.

— არ არის გამორიცხული, შეიძლება „ოცნებამ“ მართლაც შეიცვალოს პრეზიდენტის იმპიჩმენტზე აზრი, მაგრამ არა იმიტომ, რომ აღარ უნდა, ან იმის იმედი აქვს, რომ ზურაბიშვილი ძველ პოზიციას დაუბრუნდება, არამედ იმიტომ, რომ შეიძლება „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ გარიგება ჩაიშალოს და „ოცნებამ“ ვეღარ შეძლოს „ნაციონალების“ მოსყიდვა. დიახ, მე ვთქვი, რომ „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“, ფარული მოლაპარაკება აქვთ პრეზიდენტის იმპიჩმენტის თაობაზე და ერთობლივად ცდილობენ ჩვენი გუნდის ჩათრევას ამ პოლიტიკურ თაღლითობაში. ცდილობენ ისე დაგვანახონ, თითქოს არაფერ შუაში არიან, რომ საერთოდ არ შედიან სხდომაზე და ა.შ., ფარულად კი მათ შორის სხვა მოლაპარაკება მიმდინარეობს. ორივე გუნდი ცდილობს პასუხისმგებლობა სხვას აჰკიდონ, ჩვენზე აქვთ აქცენტი გაკეთებული, თითქოს ჩვენ ვაპირებთ „ოცნებას“ დავეხმაროთ იმპიჩმენტში. ასეთი შანსიც კი არ არსებობს, რომ ვინმემ ჩვენგან ხმა მისცეს იმპიჩმენტს.

„ჩვენი ამოცანაა ყველაფერი, რაც კულუარებში ხდება, საჯარო გავხადოთ“

— ასეთი განცხადება კონკრეტულ არგუმენტებზე დაყრდნობით გააკეთეთ თუ უბრალოდ „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ პოზიციონირებამ გაგიჩინათ ასეთი განცდა?

— ᲐᲛ ᲔᲢᲐᲞᲖᲔ ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲕᲘᲙᲐᲕᲔᲑ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲫᲕᲘᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲡ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲛᲐ“ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢ ᲛᲣᲠᲣᲡᲘᲫᲔᲡ. ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲔᲕᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ ᲓᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲜᲔᲜ.

— გასაგებია, მაგრამ „ნაციონალები“ ამბობენ, რომ დარბაზში არ შევლენ.

— ვინ ენდობა მაგათ სიტყვას?! ერთხელ შეუცვლიათ პოზიცია თუ ორჯერ? საკითხი საერთოდ არ დგას ასე, ვინ შევა და ვინ არა დარბაზში, მთავარია, წარმატებით დასრულდება თუ არა ფარული მოლაპარაკება „ნაციონალებსა“ და „ოცნებას“ შორის.

— რისი მიცემა შეუძლია მმართველ გუნდს „ნაციონალებისთვის“ იმპიჩმენტის მხარდაჭერის სანაცვლოდ?

— არ მიმაჩნია ამაზე საუბარი მიზანშეწონილად. რაზე შეთანხმდნენ მაშინ, როდესაც „ნაციონალებმა“ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში „ოცნების“ კანდიდატს დაუჭირეს მხარი? ფაქტია, მაშინ რაღაცაზე შეთანხმდნენ და რატომ არის გამორიცხული ახლაც შეთანხმდნენ?

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ �პᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲨᲕᲔᲚᲘ ᲠᲒᲝᲚᲘᲐ, ᲮᲐᲜ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲡ ᲐᲗᲘᲮᲝᲕᲔᲑᲡ, ᲮᲐᲜ ᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ... ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲨᲘᲪ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘᲗᲔᲚ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ „ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡᲐ“ „ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ წინ ᲛᲝᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲡ ᲢᲐᲠᲘᲤᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲐᲖᲔ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ. ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲮᲨᲘᲠᲘᲐ.

— თქვენ და თქვენი თანაგუნდელები ამბობთ, რომ პარტია „საქართველოსთვის“ „ნაცმოძრაობისა“ და „ოცნების“ შეთანხმების ჩასაშლელად ყველაფერს გააკეთებს. ამისთვის რა რესურსი გაქვთ?

— ჩვენ „ნაციონალებსა“ და „ოცნების“ წარმომადგენლებს ვერც კარს ავუჭედავთ და ვერც ერთმანეთთან მოლაპარაკებას დავუშლით. პრობლემა არც მოლაპარაკების გამართვაა და არც შეთანხმება, ცუდი ის არის, რომ ისინი საკუთარ მოქალაქეებს ატყუებენ. დაუფარავად რომ ლაპარაკობდნენ, რატომაც არა, ამომრჩეველი დაინახავდა, ვის რა პოზიცია აქვს. ჩვენი ამოცანაა ყველაფერი, რაც კულუარებში ხდება, საჯარო გავხადოთ. ამის მერე ხალხმა თავად გადაწყვიტოს, ვის დაუჭერს მხარს.

— გიორგი ვაშაძე ამბობს, რომ სინამდვილეში თქვენ გინდათ დაუჭიროთ მხარი იმპიჩმენტს და შეთანხმების ამბავი თავის სამართლებლად გამოიგონეთ.

— ძალიან სასაცილოა.

— ერთი ვერსიით, ივანიშვილი და ზურაბიშვილი მოქმედებენ შეთანხმებით...

— ასეთ შეთანხმებას მიზანი ხომ უნდა ჰქონდეს?

— იმავე ვაშაძის თქმით, მათი შეთანხმების მიზანი საბოტაჟია ევროინტეგრაციის გზაზე.

— მთავარი ის კი არ არის, ვინ ვისთან შეიძლება გარიგდეს, მთავარია პრინციპი. ჩვენ იმპიჩმენტის მხარდაჭერაზე იმიტომ კი არ ვამბობთ უარს, რომ კონკრეტულ პირს ვიცავთ, „ოცნებამ“ სახელმწიფო ინსტიტუტები პარტიულ ორგანიზაციებად გადააქცია, ჩვენი მიზანი კი მათი დაცვაა.

— კულუარული ინფორმაციით, პრეზიდენტის იმპიჩმენტი შედგება და ზურაბიშვილი გახარიას პარტიასთან დაიწყებს თანამშრომლობას.

— კონკრეტული პირები საკუთარი მიზნებისთვის სხვებზე ჭორებს ავრცელებენ.

— ვის ინტერესებში შედის ასეთი ჭორი?

— არგუმენტების გარეშე გამიჭირდება ამის თქმა. ჩვენი ერთადერთი ამოცანაა იმპიჩმენტი წარმატებით არ დასრულდეს, პრეზიდენტმა მისთვის განკუთვნილ ვადაში მოახერხოს უფლება-მოვალეობის შესრულება.

— მმართველი გუნდის ლიდერები, კერძოდ, გია ვოლსკი ამბობს, რომ გახარიას გუნდი უსუსურ მოსაზრებებს იზიარებს, რათა „ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ ერთიანად შეუტიონ და მესამე პოლუსზე ყოფნის მტკიცებულება წარმოადგინოს.

— ყველა სათავისოდ ცდილობს ეს ფაქტი მისთვის სასურველ ამბად გაყიდოს, მაგრამ არ მესმის, რა არის იმაში ცუდი, თუ ჩვენ გვინდა ხალხს სიმართლე დავანახოთ და ამომრჩეველი ჩვენკენ მოვიმხროთ?

— ე. ი. თქვენთვის ხელსაყრელია „ნაციონალებისა“ და „ოცნების“ გაშავება...

— გაშავების რა მოგახსენოთ, სიმართლის თქმა ნამდვილად ხელსაყრელია.

„...ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲐ“

„სტრატეგია აღმაშენებლიდან“ და „ნაციონალური მოძრაობიდან“ შანსი ნულია, რომ იმპიჩმენტს ვინმემ ხმა მისცეს — გახარიას პარტიაში იმდენს ლაპარაკობენ, მგონი, თვითონ აქვთ დაგეგმილი ხმის მიცემა, რაც მაფიქრებინებს, რომ გახარია-ბიძინას თამაშია“, — ამბობს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲫᲔ.

„ვინმემ აუხსენით ამ ადამიანებს, რომ ამდენი ლაპარაკით თავს იწვავენ“

— კენჭისყრაზე შესვლას არ ვაპირებთ და როგორ უნდა შევძლოთ იმპიჩმენტისთვის ხმის მიცემა? გახარიას პარტია, დაუშვილები და სხვები იმდენს ლაპარაკობენ, მგონი, თვითონ აქვთ დაგეგმილი ხმის მიცემა — ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ გახარია ბიძინას თამაშია. „სტრატეგია აღმაშენებლიდან“ და „ნაცმოძრაობიდან“ ნულია შანსი, რომ ვინმემ ხმა მისცეს იმპიჩმენტს. თუ ხმის მიცემა გინდათ, სხვას ნუ აბრალებთ, წადით და მიეცით ხმა. ხალხი გაიგებს, რომ ბიძინას თამაშში თქვენც ხართ. ვინმემ აუხსენით ამ ადამიანებს, რომ ამდენი ლაპარაკით თავს იწვავენ.

— თქვენი აზრით, როგორი შეიძლება იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა?

— მთელი ეს პროცესი ფარსია და ყველაფერი ფიასკოთი დამთავრდება.

— რას გულისხმობთ?

— იმას, რომ ბიძინამ შოუ დადგა — ერთ მხარეს მსახიობი კობახიძე ჰყავს, მეორე მხარეს მსახიობი ზურაბიშვილი, შუაში კი მარიონეტი ღარიბაშვილი. ყველა ერთად ცდილობს ევროინტეგრაციის პროცესის ჩაშლას. „ქართულ ოცნებას“ საგარეო კურსის შეცვლა რუსეთის მიმართულებით სურს და ამისთვის საფუძველი სჭირდება, ხალხს უნდა უთხრან, რომ ევროპამ კარები საბოლოოდ მოგვიხურა და რუსეთის იქით სხვა გზა აღარ გვაქვს. თავიდანვე გათვალეს ყველაფერი, შემდგომი პრეზიდენტი პირდაპირი წესით არ აირჩევა. მას ირჩევენ ფარცხალაძის მცველი „ქოცი“ ხმოსნები — დეპუტატები, საკრებულოს წევრები და ა.შ. ხალხს წაართვეს არჩევანის უფლება. აბა, პირდაპირი არჩევანი იყოს, თუ გაბედავდნენ საერთოდ იმპიჩმენტის წამოწყებას. მე მათ გული უნდა გავუტეხო და ვუთხრა — ვერ ეღირსებიან თავიანთი ოცნების ასრულებას, საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებს. სულ ტყუილად იწვალა ფარცხალაძის მცველმა ქალბატონმა სალომემ.

„ბიძინამ შოუ დადგა – ერთ მხარეს მსახიობი კობახიძე ჰყავს, მეორე მხარეს მსახიობი ზურაბიშვილი, შუაში კი მარიონეტი ღარიბაშვილი. ყველა ერთად ცდილობს ევროინტეგრაციის პროცესის ჩაშლას... სულ ტყუილად იწვალა ფარცხალაძის მცველმა ქალბატონმა სალომემ – ზუსტად ისეთივე რუსული გადაწყვეტილება მიიღო, როგორიც თურნავამ...“

— რატომ ფიქრობთ, რომ სალომე ზურაბიშვილი ფარცხალაძეს იცავს?

— სხვა რა უნდა დავარქვათ ფარცხალაძისთვის მოქალაქეობის შენარჩუნებას?

— პრეზიდენტის განმარტება, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ფარცხალაძე უნდა დაისაჯოს სწორედ ისე, როგორც საქართველოს მოქალაქე, სარწმუნოდ არ მიგაჩნიათ?

— აბსურდია ასეთი განმარტება. იმ ადამიანებმაც კი ვერ მიიჩნიეს ეს განმარტება სარწმუნოდ, ვისაც პრეზიდენტის მიმართ პოზიტიური განწყობა აქვთ. როგორც ეროვნულმა ბანკმა შეცვალა ერთ ღამეში ფარცხალაძის ანგარიშების დაყადაღებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, ზუსტად ისე მოიქცა პრეზიდენტი ზურაბიშვილიც. უბრალოდ, მას ერთი ღამის ნაცვლად სამი დღე დასჭირდა. პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ზუსტად ისეთივე რუსული გადაწყვეტილება მიიღო, როგორიც ნათია თურნავამ და ფარცხალაძე დატოვეს პრივილეგირებულ სიტუაციაში.

— რატომ უნდა აწყობდეს სალომე ზურაბიშვილს, როგორც თქვენ ამბობთ, ბიძინა ივანიშვილის სპექტაკლში მონაწილეობა?

— იმიტომ, რომ ივანიშვილის მარიონეტია. რატომ ასრულებს კობახიძე ივანიშვილის მითითებებს? იმავე ითქმის ზურაბიშვილზეც. რა დავალებასაც იღებენ, იმ დავალებას ასრულებენ.

— ამ დავალების ფასი რა შეიძლება იყოს?

— ამ დავალების ფასი ივანიშვილმა წინასწარ გადაუხადა ზურაბიშვილს — პრეზიდენტად დასვა. ყველამ ვიცით, რომ ზურაბიშვილი ივანიშვილის მხარდაჭერის გარეშე პრეზიდენტი ვერ გახდებოდა!

— ზოგიერთმა პოლიტიკურმა და აპოლიტიკურმა ფიგურამაც გააჟღერა მოსაზრება, რომ ზურაბიშვილის იმპიჩმენტის შემთხვევაში პრეზიდენტის პოსტისთვის ირაკლი კობახიძე ემზადებოდა, თუმცა კობახიძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტი აპოლიტიკური თანამდებობაა და მას ასეთი პოსტი არ აინტერესებს.

— რატომ გამორიცხავთ, რომ პრეზიდენტად თავად ივანიშვილი დაჯდეს?! სანქციების დაწესების შემთხვევაში მისთვის ეს პოსტი თავდაცვის საუკეთესო შემთხვევაა.

— ზურაბიშვილს სად მოიაზრებთ. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, შეიძლება ის ოპოზიციის ლიდერი გახდეს.

— უკანონო არჩევნებით პრეზიდენტად დასმულ ზურაბიშვილთან „სტრატეგია აღმაშენებელსა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ საერთო არა აქვთ. ზურაბიშვილი პოლიტიკაში დარჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილისგან მიიღებს ასეთ დავალებას. ეს ხალხი მე მადანაშაულებს პოპულიზმსა და ათას უბედურებაში და ნახეთ, თავად რა დღეში არიან.

— პოპულიზმში არჩილ თალაკვაძემ დაგადანაშაულათ, მიზეზი კი ის იყო, რომ თქვენ ბიუჯეტში შესული ფულის მხოლოდ პენსიონერებზე გადანაწილება მოსთხოვეთ და წლების წინანდელი ამბავი შეგახსენათ, როდესაც პრემიერი სესხების განულების გამო გააკრიტიკეთ. მართლაც წლების წინ სესხების განულება რატომ იყო მოქალაქეების მოსყიდვა და ახლა რატომ არის ბიუჯეტში შესული ფულის მხოლოდ პენსიონერებზე გადანაწილება კეთილშობილური საქმე?

— თალაკვაძეს შევახსენებ, რომ ჯიბეში აიდი-პასპორტი უდევს, მისი თანაგუნდელები კი იუსტიციის სახლში დაჩქარებული წესით იფორმებენ სხვადასხვა ქონებას. ყველა ეგ რეფორმა ჩემი გაკეთებულია. თალაკვაძე პარლამენტის თავმჯდომარე იყო და მაგის გაკეთებული საქმე არავის უნახავს. რაც შეეხება საპენსიო სესხებს, პრემიერმა სესხები არჩევნების წინ მოუხსნა ხალხს და ეს ნამდვილად იყო მოსყიდვა. დღეს არჩევნები არ არის, ერთი წლის შემდეგ იქნება, პენსიონერები კი უმძიმეს დღეში არიან. ეს უსამართლობაა. როდესაც მმართველი გუნდი ამბობს, რომ ბიუჯეტში დამატებითი თანხა გაჩნდა, რატომ არ შეიძლება ამ ერთხელ მაინც არ დახარჯონ ეს ფული თავიანთ კორუფციულ სქემებზე და პენსიონერებს 80 ლარით გაუზარდონ შემოსავალი? იმის მაგივრად ხალხზე იფიქრონ, მოქალაქეებს ეუბნებიან, ბოლომდე უნდა ამოგქოლო, რათა პროტესტის უფლება არ გქონდეთო.

— რას გულისხმობთ?

— „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს. ამ კანონპროექტის იურიდიული განმარტება აბსურდია. რატომ? იმიტომ, რომ პირველი — „რუსული კანონი 2“-ია; მეორე — ამის მიზანი ჩვენი აქციები კი არ არის, ამის მიზანია ჭიათურელი და ტყიბულელი მაღაროელები, რათა გაფიცვა და აქციები არ გამართონ, კახელი მევენახეები, გურიაში, სამეგრელოში თხილის მეურნეობაში ჩაბმული გლეხები. საქართველოს მოქალაქეებს ეუბნებიან, უნდა ამოგქოლოთ, რათა პროტესტის უფლება არ გქონდეთო...

მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ

თვალსაზრისი

პრეზიდენტი განაჩენის მოლოდინში, დიდი ეჭვიანობა ოპოზიციაში და საქართველოსთან მოახლოებული ფრონტის ხაზი

ბოლო დღეების მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართული პოლიტიკური ელიტა აცდენილია იმ საკითხებს, რომელთა სასწრაფოდ მოგვარება ქვეყანას სჭირდება. კითხვა — რას ვშვრებით, თუ საქართველოს ახლომახლო მორიგი „გეოპოლიტიკური ბომბი“ აფეთქდა — ჰაერშია გადმოკიდებული. იმიტომ, რომ ამაზე არ ვმსჯელობთ. არ ვმსჯელობთ, თუ როგორ უნდა გაძლიერდეს ქვეყნის უსაფრთხოების სისტემები, როგორ უნდა ამაღლდეს თავდაცვისუნარიანობა და საერთოდ, რისთვის ვართ მზად. სამწუხაროდ, რაღაც ერთგვარ ტრადიციად ჩამოგვიყალიბდა — რაღაც საშინელება მოხდება და შემდეგ ყველანი ვგოდებთ, თუ რატომ ვერ ავიცილეთ თავიდან, ერთმანეთში ვეძებთ დამნაშავეებს და... გადავერთვებით სხვა თემაზე. ასე ვცხოვრობთ მორიგ საშინელებამდე. არადა, დროზე თუ არ გამოვფხიზლდით, შეიძლება ძალიან გვიანი იყოს. საქართველო კი არა, აგერ ხედავთ, ისრაელი, რომლის მთავარ კონცეფციას თავდაცვა და საკუთარი მოქალაქეების დაცვა წარმოადგენს, როგორ შეაბანზარა ტერორისტების მოულოდნელმა თავდასხმამ. ეს ისე, ლირიკისთვის... გასული კვირის მთავარი თემები იყო საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის საიმპიჩმენტო წარდგენის განხილვა და რუსეთის გადაწყვეტილება (რომელიც მთავარმა აფხაზმა მარიონეტმა ასლან ბჟანიამ გაახმოვანა) ოჩამჩირეში რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობის შესახებ.

შეძლებს თუ არა „ოცნება“ პრეზიდენტის გადაყენებას ან სურს თუ არა საერთოდ ამ მიზნის მიღწევა?!

დიახ, გასულ კვირას საკონსტიტუციო სასამართლოში ისტორიულ პროცესს ვადევნებდით თვალს. აქამდე საქართველოში პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი ასე ღრმად არ შესულა. პრინციპში ვერც შევიდოდა — ზვიადი დავამხვეთ, ედუარდს რევოლუცია მოვუწყვეთ, მიშას კი ვინ გაუბედავდა იმპიჩმენტს — 2012 წლამდე მთელი საპარლამენტო ოპოზიცია ჯიბეში ჰყავდა, 2012 წლის შემდეგ კი კოაბიტაცია იყო.

ყველანი ველოდებით საკონსტიტუციო სასამართლოს ვერდიქტს. იმედი გვაქვს, რომ ეს ორგანო დამოუკიდებელია ყოველგვარი პიროვნული თუ სახელისუფლებო გავლენებისგან. საინტერესო ის არის, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა მედიასაშუალება ავრცელებდა ინფორმაციას, თითქოს „ოცნებამ“ მოახერხა ოპოზიციონერთა გარკვეული ნაწილის გადაბირება და უკვე 103 ხმა აქვს პარლამენტში. შეგახსენებთ, რომ მმართველ პარტიას 100 ხმა სჭირდება სალომე ზურაბიშვილის გადასაყენებლად.

ქართულ პოლიტიკაში ისეთი უცნაურობები ხდება, რომ ნამდვილად არ გაგვიკვირდება, „ოცნებამ“ შეძლოს 103 კი არა, მეტი ხმის მობილიზება, თან სულაც არ არის საჭირო გადაბირებულებმა (ვიმეორებთ, ვეყრდნობით სხვადასხვა მედიასაშუალების ინფორმაციას) დამალონ თავიანთი პოზიცია. აგერ მიხეილ სააკაშვილი დღეში რამდენიმე ფბ-პოსტს აქვეყნებს და აქედან 2 პოსტი ეძღვნება იმას, რომ იმპიჩმენტის პროცესი რეალურად ბიძინა ივანიშვილისა და სალომე ზურაბიშვილის თამაშია. სააკაშვილის მომხრეები კი ამას უფრო ავრცობენ — მათი ლოგიკით, თუ სალომე ზურაბიშვილი არ შეიწყალებს სააკაშვილს, ყველა სხვა ქმედება ივანიშვილთან შეთანხმებული თამაშია. შესაბამისად, თუ ვინმეს უნდა იმპიჩმენტისთვის ხმის მიცემა, დაეყრდნობა „ნაცმოძრაობის“ სულიერ ლიდერ მიხეილ სააკაშვილს და იტყვის, რატომ არ უნდა მივცე იმპიჩმენტს ხმა, თუ პრეზიდენტი მაინც ივანიშვილის თამაშს თამაშობს და არც მიშას იწყალებსო. მათ ირიბად თავად სააკაშვილისგან აქვთ მწვანე შუქი ანთებული და თუ ოპოზიციის ნაწილი ღალატში დაადანაშაულეს, ხელს მიშასკენ გაიშვერენ.

აგერ ზოგიერთი ტელევიზია ამ ივანიშვილ-ზურაბიშვილის შეთქმულების თეორიის დასადასტურებლად იმ დონეზე მივიდა, რომ პრეზიდენტს გაეკიდა, რომელიც ძაღლს ასეირნებდა სკვერში, რომელიც ივანიშვილის რეზიდენციასთან ახლოსაა. ჰოდა, გამოცხვა ვერსია, როგორ „მიიპარება“ პრეზიდენტი ძაღლთან ერთად ივანიშვილთან შესახვედრად.

მეორე მხრივ, შესაძლოა „ოცნებას“ სულაც არ ჰქონდეს 100-ზე მეტი ხმა მობილიზებული, მაგრამ სპეციალურად „აგდებდეს“ ასეთ ვერსიას საინფორმაციო სივრცეში. ამას შესაძლოა ორი მიზანი ჰქონდეს — პრეზიდენტზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება და ოპოზიციაში შფოთის გამოწვევა. პრეზიდენტის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ თუ ოპოზიციაში დიდი ეჭვიანობის გამოწვევა ჰქონდა ჩაფიქრებული „ოცნებას“, მიზანს ნამდვილად მიაღწია.

გახარიას პარტიამ სკანდალური განცხადება გააკეთა — „ნაცმოძრაობასა“ და „ოცნებას“ ფარული მოლაპარაკებები აქვთო. საპასუხოდ, „გამარჯვების პლატფორმად“ გადაქცეულმა „ნაცმოძრაობამ“ იქით დაადანაშაულა გახარიას პარტია „ნაცმოძრაობასთან“ ალიანსში.

ყველაზე საინტერესო თავად ოპოზიციური პარტიის ტაქტიკაა — იმპიჩმენტის კენჭისყრის დროს (თუ საკონსტიტუციო სასამართლომ სალომე ზურაბიშვილი დამრღვევად ცნო) სხდომათა დარბაზში არ შევალთ, რათა სპეკულაციები გამოვრიცხოთო. უცნაური პოზიციაა. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გაბრალებენ, თითქოს კონკრეტული მაღაზიიდან ტკბილეულის მოპარვა გინდათ ანუ პოტენციური ქურდი ხართ. თქვენ კი თქვენი სიმართლის დასამტკიცებლად იმას კი არ ამბობთ, მე შევალ მაღაზიაში და დაგიმტკიცებთ, რომ ქურდობას ტყუილად მაბრალებთო, არამედ ამბობთ, საერთოდ არ შევალ იმ მაღაზიაშიო. გარე მაყურებელთა ნაწილი აუცილებლად იფიქრებს, მაღაზიაში იმიტომ არ შედის, რომ საკუთარი თავის იმედი არა აქვს და ეშინია, ხელი არ წაუცდეს და შოკოლადები ჯიბეში არ ჩაიტენოსო. დიახ, არ ეწყინოს საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს, თუ ამომრჩეველთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სხდომათა დარბაზში იმიტომ არ შედიან, მაინცდამაინც არ არიან დარწმუნებული თანაგუნდელების პრინციპულ პოზიციაში.

ამ ისტორიაში მთავარი ის არის, აწყობს თუ არა „ქართულ ოცნებას“ სალომე ზურაბიშვილის გადაყენება არსებული პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით. შეაძლოა არც აწყობდეს შიდა და საგარეო პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე. კერძოდ, არაერთხელ დაგვიწერია იმის შესახებ, რომ არსებული ინფორმაციით, სალომე ზურაბიშვილის გადაყენების შემთხვევაში პარტიების გარკვეული ნაწილი („ნაცმოძრაობის“ გარდა) შეეცდება ხალხის ქუჩაში გამოყვანას და ზურაბიშვილი საზოგადოებას მოევლინება როგორც ახალი ოპოზიციური პოლიტიკური ლიდერი. მნიშვნელოვანი დეტალი — ამ ოპოზიციონერ ლიდერს დასავლეთის პოლიტიკური მხარდაჭერა ექნება. ექსპერტების იმაზე მსჯელობა, არის თუ არა მზად მოქალაქეების ნაწილი ქუჩაში გამოსასვლელად, ჭიქა ყავაზე მკითხაობას ჰგავს. ფართომასშტაბიან აქციებს ყოველთვის სჭირდება რაღაც ბიძგი. არ არის გამორიცხული, ეს პრეზიდენტის იმპიჩმენტი იყოს. ამას ვერც „ქართული ოცნება“ გამორიცხავს.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკურ ფაქტორს, სალომე ზურაბიშვილისთვის იმპიჩმენტის მოწყობის შემთხვევაში ის წამებულის მანტიას მოისხამს და უცხოური ვიზიტები მერე ნახეთ. მერე ნახეთ თქვენ ევროპარლამენტარების განცხადებები და დასავლური პრესის სათაურები, რომ „პრორუსულმა“ მმართველმა გუნდმა „პროდასავლელი“ პრეზიდენტი გადააყენა“. მერე ნახეთ თქვენ სალომე ზურაბიშვილის მწვავე განცხადებები, რომლებიც დიდი დოზით იქნება გაჯერებული ხელისუფლების შიდაკულუარული ამბებით. აწყობს ეს ყველაფერი „ოცნებას“?! თქვენი მონა-მორჩილი რომ იყოს სახელისუფლებო ძალის წარმომადგენელი, ნამდვილად არ მოისურვებდა მოვლენების ასეთი სცენარით განვითარებას.

თუმცა ალილო და ხვალეო... ვნახოთ... ქართული პოლიტიკის არარაციონალურობიდან გამომდინარე, შესაძლოა მართლაც ძალიან სურს „ოცნებას“ მაინცდამაინც ახლა სალომე ზურაბიშვილის შეცვლა და უნდა პროცესი ბოლომდე მიიყვანოს.

ოჩამჩირე – სევასტოპოლიდან გამოქცეული რუსული გემების თავშესაფარი

რუსები ოჩამჩირეში სამხედრო-საზღვაო ბაზის აშენებას აპირებენ, სადაც იმ სამხედრო ხომალდებს განათავსებენ, რომელთა გამოყვანაც უკრაინელთა გახშირებული თავდასხმების გამო სევასტოპოლიდან მოუხდათ. ეს ძალიან სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის.

ჩვენი პოლიტელიტაც ისე მოიქცა, როგორც ამ ბოლო პერიოდში ვართ მიჩვეული. კი ბატონო, ოფიციალურმა თბილისმა დაგმო რუსეთის ეს გადაწყვეტილება, მაგრამ, ალბათ, ჯობდა, განცხადებების გაკეთების პარალელურად, სასწრაფოდ დაწყებულიყო კონსულტაციები ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან თუნდაც მოსალოდნელი საფრთხეების გათვალისწინებისთვის. ორიგინალური იყო ზოგიერთი ოპოზიციონერიც — მათ მოუწოდეს მოქალაქეებს, წინ აღუდგნენ ამ საფრთხეს. არ დაუზუსტებიათ და ძალიან გვაინტერესებს, რიგითი მოქალაქეები როგორ შეიძლება აღუდგნენ წინ ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ფლოტის განთავსებას?!

აფხაზეთში რამდენიმე დიდი რუსული სამხედრო ბაზაა. თუმცა გემების განთავსება ზრდის საფრთხეს, რადგან ისინი უშუალოდ მონაწილეობენ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ ბარბაროსულ ომში. შესაბამისად, რუსული სამხედრო ხომალდების ჩაძირვა ან სერიოზულად დაზიანება უკრაინელი სამხედროებისა და მათი მოკავშირეებისთვის პრიორიტეტულია. გემებზე შეტევა კი ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც ისინი თავიანთი ბაზირების ადგილებზე იმყოფებიან.

შესაბამისად, ოჩამჩირის ბაზა შესაძლოა გახდეს უკრაინელთა პოტენციური სამიზნე. აფხაზეთის ტერიტორია დე იურე საქართველოს იურისდიქციაშია. ამიტომაც ფორმალურად საქართველოს ტერიტორიაც შეიძლება იქცეს საბრძოლო მოქმედებების არეალად.

ასევე, თუ ოჩამჩირის ბაზაზე უკრაინელებმა დრონებით დაიწყეს შეტევა (რასაც ერთჯერადი ხასიათი ნამდვილად არ ექნება), საინტერესოა, რა ბედი ეწევა ანაკლიის პორტის პროექტს? ვინმე მოინდომებს მილიარდების დახარჯვას პროექტში (რა მნიშვნელობა აქვს ჩინური ინვესტიცია იქნება თუ ევროპული), რომლისგანაც სულ რამდენიმე ათეულ კილომეტრში საბრძოლო მოქმედებების პოტენციური ზონაა? ასე რომ, თავსატეხი იმაზე მეტია, ვიდრე წარმოგვიდგენია.

P.S. ეს სტატია დღის სინათლეს 9 ოქტომბერს იხილავს და შესაბამისად, ძნელია პროგნოზირება, როგორი მდგომარეობა იქნება ისრაელში. ფაქტია, ამ სახელმწიფოზე თავდამსხმელი ტერორისტული ორგანიზაციის წევრები ამაზრზენ ბარბაროსობას სჩადიან (თუმცა იმ ფონზე, რასაც რუსები აკეთებენ უკრაინაში, აღარაფერი გვიკვირს). მშვიდობასა და გამძლეობას ვუსურვებთ ისრაელს, ჩვენს მოძმე ებრაელ ხალხს და ამ ქვეყანაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს.

გიორგი კვიტაშვილი

საჯარო შეტყობინება ალექსანდრე ჩიპლიევისა და ზურაბ მალაზონიას საყურადღებოდ! შპს მისო „რიკო ექსპრესი“ გატყობინებთ, რომ ალექსანდრე ჩიპლიევთან დადებული იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თქვენი ვალდებულება დარღვეულია, თუ არ გადაიხდით დავალიანებას არაუგვიანეს 23.10.2023 წლისა, ჩვენ ცალმხრივად შეეწყვეტთ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას, რისთვისაც მივმართავთ სათანადო ორგანოებს თანხის დაკისრებისა ან/და იპოთეკის საგნის აუქციონზე იძულებით რეალიზაციის შესახებ.

საჯარო შეტყობინება ნანი ლომიძის საყურადღებოდ! შპს მისო „რიკო ექსპრესი“ გატყობინებთ, რომ ჩვენს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თქვენი ვალდებულება დარღვეულია. თუ არ გადაიხდით დავალიანებას არაუგვიანეს 23.10.2023 წლისა, ჩვენ ცალმხრივად შეეწყვეტთ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას, რისთვისაც გამოვითხოვთ ნოტარიუსისგან სააღსრულებო ფურცელს და მოვახდენთ აღსრულებას.

გაფრთხილების წერილი. მარინა ჭელიძე 42001033462. გვსურს შეგახსენოთ, რომ თქვენს სახელზე არსებული მოძრავი ქონება – ჰიუნდაი ელანტრა, გამოშვების წელი 2013, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი BK737KB, საიდენტიფიკაციო ნომერი 5NPDH4AE5DH385950: დაგირავებულია ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ სასარგებლოდ ქეთი ლატარიას (58001033833) სესხის უზრუნველსაყოფად. ბანკსა და ქეთი ლატარიას შორის გაფორმებულია საკრედიტო და გირავნობის ხელშეკრულება 0270.5309011.002, რომელზეც დარღვეულია თანდართული გრაფიკით დადგენილი თანხების გადახდა. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი 14 კალენდარული დღის ვადაში არ დაფარავს მიმდინარე დავალიანებას, იძულებულნი ვიქნებით შევწყვიტოთ საკრედიტო ხელშეკრულება და მოვითხოვოთ სესხის სრულად გადახდა. აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 -ე მუხლის შესაბამისად მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საგენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას მოგირავნეს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაკოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა. აქვე გატყობინებთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გირავნობის საგნის სს ლიბერთი ბანკზე გადმოცემის შემდგომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოხდება დაგირავებული ნივთის რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 2601 მუხლის შესაბამისად გირავნობის საგანი გადმოვა სს ლიბერთი ბანკის საკუთრებაში.

დამგირავებელს ლიკა კოპლატაძეს პ/ნ 62011004293 /მის: თბილისი, ნუცუბიძის მეორე პლატო ბესარიონ ჟღენტის მეორე ჩიხი კორპუსი 8 ბინა 16 / შეტყობინება: გირავნობით დატვირთული საგნის მოგირავნისათვის ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალსა“ და თქვენს შორის გაფორმებული თ 3.3032313.001-001 სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ ითხოვს აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად, გირავნობით დატვირთული გირავნობის საგნ(ებ)ის სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ მფლობელობაში გადმოცემას (საფუძველი: TBL3.3032313.001-001 სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულება TBL3.3032313.001/01). გირავნობის საგნ(ებ)ის მახასიათებლებია: – მარკა მოდელი: KIA OPTIMA HIBRYD, სახელმწიფო ნომერი: PP193PB; გამოშვების წელი 2014; ფერი შავი, საიდენტიფიკაციო ნომერი KNAGM4AD5F5082683, სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი: AJ0290329; თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოთ კომპანიის მოთხოვნა; ა გირავნობის საგნის მფლობელობაში გადმოცემის თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. მოთხოვნის ორი კვირის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 პრიმა მუხლის მიხედვით, მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საგენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. აქვე განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც მოგირავნეს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა. ამასთან, 283-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კომპანიის მიერ განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260 პრიმა მუხლის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალება გადმოვა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ საკუთრებაში ან კომპანიის მხრიდან გამოყენებული იქნება ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ღონისძიება ან/და უფლება.სს მისო „კრისტალის“ წარმომადგენელი.

გაცნობებთ, რომ სს "საქართველოს ბანკსა" და გელა არაბიძეს პ/ნ 01006018993 შორის 30/04/2019 გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება №9148492, რომლის საფუძველზე გაიცა №6142272 სესხი, 68700 ლარის ოდენობით, 60 თვის ვადით, წლიური 14.5%-ის დარიცხვით. პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულება უზრუნველყოფილია სს „საქართველოს ბანკსა“ და გელა არაბიძეს შორის 2021 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებული №9148492-12648706-02 გირავნობის ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც დაგირავდა ავტომანქანა JAGUAR XF (გამოშვების წელი 2015, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი QZ529QQ, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი SAJBE4BVXGCY02902). გირავნობის ხელშეკრულება რეგისტრირებულია ს.ს.ი.პ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საგენტოში. 2023 წლის 04 ნოემბრის მდგომარეობით გელა არაბიძის დავალიანება ბანკის წინაშე სესხზე - LND6142272 შეადგენს: – ძირი თანხა – 21,723.36 ლარი. პროცენტი – 1,146.34 ლარი. ჯარიმა - 1,317.84 ლარი. სულ – 24,187.54 ლარი. ზემოაღნიშნული სბანკო მომსახურების ხელშეკრულების დანართის, სბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების დაზღვევასთან დაკავშირებული დამატებითი შეთანხმების საფუძველზე, გირაოს დაზღვევაზე. 2023 წლის 03 ნოემბრის მდგომარეობით თქვენი დავალიანება ბანკის წინაშე სესხზე LND8764702 შეადგენს: ძირი თანხა – 162,374.13 აშშ დოლარი. პროცენტი – 4,429.63 აშშ დოლარი. ჯარიმა – 3,272.88 აშშ დოლარი. სულ - 170,076.64 აშშ დოლარი. ზემოაღნიშნული სბანკო მომსახურების ხელშეკრულების დანართის, სბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების დაზღვევასთან დაკავშირებული დამატებითი შეთანხმების საფუძველზე, გირაოს დაზღვევაზე. 2023 წლის 03 ნოემბრის მდგომარეობით თქვენი დავალიანება ბანკის წინაშე სესხზე -LND8764703 შეადგენს: 11,373.32 ლარს/ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბანკი მოითხოვს, რომ წინამდებარე წერილობითი გაფრთხილების მიღებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში: ა) სრულად და ჯეროვნად დაფაროთ საკრედიტო დავალიანება ან ბ) გირავნობის საგანი და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი მფლობელობაში გადმოსცეთ ბანკს.წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი მიმართავს ზემოაღნიშნული საკრედიტო და გირავნობის ხელშეკრულებებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებას, მათ შორის მოგირავნე უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საგენტოს, გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნით და დამგირავებლის დამატებითი თანხმობის გარეშე მიიღოს გირავნობის მოწმობა მოგირავნის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით აღსასრულებლად მისაქცევად.

ავტომობილის მესაკუთრეს ირაკლი ნარსიას პ/ნ 62002004465 / მის: თბილისი სამგორი ვ. კუპარაძის ქ. N 72 კორ. 25 (კორპუსი N25). შეტყობინება: გირავნობით დატვირთული საგნის მოგირავნისათვის ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალსა“ და ნატო ეგიბიას შორის გაფორმებული TBL4.2307245.001-001 სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ ითხოვს აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად, თქვენს სახელზე რიცხული, გირავნობით დატვირთული გირავნობის საგნ(ებ)ის სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ მფლობელობაში გადმოცემას (საფუძველი: TBL4.2307245.001-001 სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულებათ 4.2307245.001/02).გირავნობის საგნ(ებ)ის მახასიათებლებია:- მარკა მოდელი: Mercedes-Benz ML 350, სახელმწიფო ნომერი: WV179WW; გამოშვების წელი 2011; ფერი რუხი 1/8; საიდენტიფიკაციო ნომერი 4JGBB8GB3BA746590, სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი: AM1250243; თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოთ კომპანიის მოთხოვნა; ა გირავნობის საგნის მფლობელობაში გადმოცემის თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. მოთხოვნის ორი კვირის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 პრიმა მუხლის მიხედვით, მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საგენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. აქვე განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც მოგირავნეს უფლება აქვს უფლებამოსილ ორგანოს მოსთხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა. ამასთან, 283-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კომპანიის მიერ განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260 პრიმა მუხლის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალება გადმოვა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ საკუთრებაში ან კომპანიის მხრიდან გამოყენებული იქნება ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ღონისძიება ან/და უფლება.სს მისო „კრისტალის“ წარმომადგენელი.

დამგირავებელს ნატო ეგიბია პ/ნ 01027038827/მის: თბილისი დავთი გურამიშვილის გამზ. N 17b b. 12 / შეტყობინება: გირავნობით დატვირთული საგნის მოგირავნისათვის ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალსა“ და თქვენს შორის გაფორმებული TBL4.2307245.001-001 სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ ითხოვს აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად, გირავნობით დატვირთული გირავნობის საგნ(ებ)ის სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ მფლობელობაში გადმოცემას (საფუძველი: TBL4.2307245.001-001 სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულებათ (4.2307245.001/02). გირავნობის საგნ(ებ)ის მახასიათებლებია: - მარკა მოდელი: Mercedes-Benz ML 350, სახელმწიფო ნომერი: WV179WW; გამოშვების წელი 2011; ფერი რუხი 1/8; საიდენტიფიკაციო ნომერი 4JGBB8GB3BA746590, სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი: AM1250243; თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოთ კომპანიის მოთხოვნა; გირავნობის საგნის მფლობელობაში გადმოცემის თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. მოთხოვნის ორი კვირის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 პრიმა მუხლის მიხედვით, მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საგენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. აქვე განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც მოგირავნეს უფლება აქვს უფლებამოსილ ორგანოს მოსთხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა. ამასთან, 283-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კომპანიის მიერ განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260 პრიმა მუხლის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალება გადმოვა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ საკუთრებაში ან კომპანიის მხრიდან გამოყენებული იქნება ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ღონისძიება ან/და უფლება.სს მისო „კრისტალის“ წარმომადგენელი.

ავტომობილის მფლობელს გია ფერაძეს პ/ნ 18001068788 /მის: ზესტაფონი, წიფლავაკე. შეტყობინება :გირავნობით დატვირთული საგნის მოგირავნისათვის ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალსა“ და ვახტანგ კაპანაძეს შორის გაფორმებული TBL2.3135730.003-001 სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ ითხოვს აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად, თქვენს სახელზე რიცხული, გირავნობით დატვირთული გირავნობის საგნ(ებ)ის სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ მფლობელობაში გადმოცემას (საფუძველი: TBL2.3135730.003-001 სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულება TBL2.3135730.003/01). გირავნობის საგნ(ებ)ის მახასიათებლებია:- მარკა მოდელი: Mercedes-Benz GL 350 BLUETEC, სახელმწიფო ნომერი: CS810CC ; გამოშვების წელი 2010; ფერი – თეთრი; საიდენტიფიკაციო ნომერი 4JGBF2FE-8BA645848, სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი: AJA0939184; თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოთ კომპანიის მოთხოვნ; ა გირავნობის საგნის მფლობელობაში გადმოცემის თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. მოთხოვნის ორი კვირის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 პრიმა მუხლის მიხედვით, მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საგენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. აქვე განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც მოგირავნეს უფლება აქვს უფლებამოსილ ორგანოს მოსთხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა. ამასთან, 283-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კომპანიის მიერ განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260 პრიმა მუხლის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალება გადმოვა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ საკუთრებაში ან კომპანიის მხრიდან გამოყენებული იქნება ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ღონისძიება ან/და უფლება.სს მისო „კრისტალის“ წარმომადგენელი.

ბატონ ალიკო საგინაძე(პ/ნ 28101120748) როგორც მოგეხსენებათ, თქვენი მხრიდან ადგილი აქვს შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ (ს/კ 405307332) მიმართ 2021-09-29 წ. დადებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება № 71338 - ით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, კერძოდ, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში არ გადაგიხდიათ მიმდინარე ფულადი ვალდებულება. ვინაიდან, თქვენ გადააცილეთ ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულებას ხელშეკრულებით განსაზღვრულზე მეტი ვადით, ხელშეკრულების საფუძველზე მოვითხოვთ დაფაროთ შპს „ტექნო კრედიტ პლიუსის“ მიმართ არსებული მიმდინარე დავალიანება ან მფლობელობაში გადმოგვცეთ შპს „ტექნო კრედიტ პლიუსის“ სასარგებლოდ გირავნობით დატვირთული თქვენს საკუთრებაში არსებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: NISSAN FUGA; სარეგისტრაციო ნომერი: TA001SH, საიდენტიფიკაციო ნომერი: PNY50350429, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AM9709019; იმ შემთხვევაში, თუ არ/ვერ უზრუნველყოფთ ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულებას, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ იტოვებს უფლებას, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიმართოს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საგენტოს გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნით და უზრუნველყოს დაგირავებული ავტოსატრანსპორტო საშუალების გამსესხებლის მფლობელობაში იძულებით გადაცემა ან გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ღონისძიება ან/და უფლება. ავტომანქანის გამსესხებლის მფლობელობაში გადაცემის შემდეგ, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ უფლებამოსილია განახორციელოს ავტომანქანის კომპანიის სახელზე გადაფორმება, მოახდინოს მისი რეალიზაცია უშუალოდ (პირდაპირი მიყიდვის გზით. გასსვისოს მის მიერ დამოუკიდებლად შერჩეულ მესამე პირზე). დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ნომერზე: 0322 24 25 26; პატივისცემით, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი.“

ბატონ გორა კუპრაშვილი(პ/ნ 09001023177) როგორც მოგეხსენებათ, თქვენი მხრიდან ადგილი აქვს შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ (ს/კ 405307332) მიმართ 2020-11-23 წ. დადებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება № 46880- ით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, კერძოდ, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში არ გადაგიხდიათ მიმდინარე ფულადი ვალდებულება. ვინაიდან, თქვენ გადააცილეთ ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულებას ხელშეკრულებით განსაზღვრულზე მეტი ვადით, ხელშეკრულების საფუძველზე მოვითხოვთ დაფაროთ შპს „ტექნო კრედიტ პლიუსის“ მიმართ არსებული მიმდინარე დავალიანება ან მფლობელობაში გადმოგვცეთ შპს „ტექნო კრედიტ პლიუსის“ სასარგებლოდ გირავნობით დატვირთული თქვენს საკუთრებაში არსებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: HONDA CR-V; სარეგისტრაციო ნომერი: MJ422JM, საიდენტიფიკაციო ნომერი: JHLRD18671C013602, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: DV3629360; იმ შემთხვევაში, თუ არ/ვერ უზრუნველყოფთ ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულებას, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ იტოვებს უფლებას, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიმართოს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საგენტოს გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნით და უზრუნველყოს დაგირავებული ავტოსატრანსპორტო საშუალების გამსესხებლის მფლობელობაში იძულებით გადაცემა ან გამოიყენოს ხეშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ღონისძიება ან/და უფლება. ავტომანქანის გამსესხებლის მფლობელობაში გადაცემის შემდეგ, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ უფლებამოსილია განახორციელოს ავტომანქანის კომპანიის სახელზე გადაფორმება, მოახდინოს მისი რეალიზაცია უშუალოდ (პირდაპირი მიყიდვის გზით. გასსვისოს მის მიერ დამოუკიდებლად შერჩეულ მესამე პირზე). დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ნომერზე: 0322 24 25 26; პატივისცემით, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“

გაგრძელება გვ. 28

მიმართვა, აუქციონი

დასაწყისი იხ. გვ. 27

საჯარო შეტყობინება ულკარ ანვერდიევას, ბაქრ და მეხტი ანვერდიევების საყურადღებოდ! შპს მისო „რიკო ექსპრესი“ გატყობინებთ, რომ თქვენთან დადებული იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თქვენი ვალდებულება დარღვეულია, თუ არ გადაიხდით დავალიანებას არაუგვიანეს 23.10.2023 წლისა, ჩვენ ცალმხრივად შევწყვეტთ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას, რისთვისაც მივმართავთ სათანადო ორგანოებს თანხის დაკისრებისა ან/და იპოთეკის საგნის აუქციონზე იძულებით რეალიზაციის შესახებ.

საჯარო შეტყობინება დიდი ნიკოლაშვილის საყურადღებოდ! შპს მისო „რიკო ექსპრესი“ გატყობინებთ, რომ ჩვენს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თქვენი ვალდებულება დარღვეულია. თუ არ გადაიხდით დავალიანებას არაუგვიანეს 23.10.2023 წლისა, ჩვენ ცალმხრივად შევწყვეტთ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას, რისთვისაც გამოითხოვთ ნოტარიუსისგან სააღსრულებო ფურცელს და მოვახდენთ აღსრულებას.

ბატონ იაკობი ვლასოვი(პ/ნ 01919092567) როგორც მოგეხსენებათ, თქვენი მხრიდან ადგილი აქვს შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ (ს/კ 405307332) მიმართ 2019-10-22 წ. დადებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება № 19995-ით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, კერძოდ, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში არ გადაგიხდიათ მიმდინარე ფულადი ვალდებულება. ვინაიდან, თქვენ გადააცილეთ ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულებას ხელშეკრულებით განსაზღვრულზე მეტი ვადით, ხელშეკრულების საფუძველზე მოვითხოვთ დაფაროთ შპს „ტექნო კრედიტ პლიუსის“ მიმართ არსებული მიმდინარე დავალიანება ან მფლობელობაში გადმოგვცეთ შპს „ტექნო კრედიტ პლიუსის“ სასარგებლოდ გირავნობით დატვირთული თქვენს საკუთრებაში არსებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: honda edix; სარეგისტრაციო ნომერი: XX032NN, საიდენტიფიკაციო ნომერი: BE31005706, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AM0132592; იმ შემთხვევაში, თუ არ/ვერ უზრუნველყოფთ ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულებას, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ იტოვებს უფლებას, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიმართოს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საagენტოს გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნით და უზრუნველყოს დაგირავებული ავტოსატრანსპორტო საშუალების გამსესხებლის მფლობელობაში იძულებით გადაცემა ან გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ღონისძიება ან/და უფლება. ავტომანქანის გამსესხებლის მფლობელობაში გადაცემის შემდეგ, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ უფლებამოსილია განახორციელოს ავტომანქანის კომპანიის სახელზე გადაფორმება, მოახდინოს მისი რეალიზაცია უშუალოდ (პირდაპირი მიყიდვის გზით. გაასხვისოს მის მიერ დამოუკიდებლად შერჩეულ მესამე პირზე). დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ნომერზე: 0322 24 25 26; პატივისცემით, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი.“

ქალბატონ ბალიკო ბალიაშვილი (პ/ნ 43601047984) როგორც მოგეხსენებათ, თქვენი მხრიდან ადგილი აქვს შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ (ს/კ 405307332) მიმართ 2021-05-31 წ. დადებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება № 57608-ით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, კერძოდ, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში არ გადაგიხდიათ მიმდინარე ფულადი ვალდებულება. ვინაიდან, თქვენ გადააცილეთ ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულებას ხელშეკრულებით განსაზღვრულზე მეტი ვადით, ხელშეკრულების საფუძველზე მოვითხოვთ დაფაროთ შპს „ტექნო კრედიტ პლიუსის“ მიმართ არსებული მიმდინარე დავალიანება ან მფლობელობაში გადმოგვცეთ შპს „ტექნო კრედიტ პლიუსის“ სასარგებლოდ გირავნობით დატვირთული თქვენს საკუთრებაში არსებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: TOYOTA PRIUS; სარეგისტრაციო ნომერი: AA758AR, საიდენტიფიკაციო ნომერი: JTDKB20U977655339, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: 8919959; იმ შემთხვევაში, თუ არ/ვერ უზრუნველყოფთ ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულებას, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ იტოვებს უფლებას, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიმართოს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საagენტოს გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნით და უზრუნველყოს დაგირავებული ავტოსატრანსპორტო საშუალების გამსესხებლის მფლობელობაში იძულებით გადაცემა ან გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ღონისძიება ან/და უფლება. ავტომანქანის გამსესხებლის მფლობელობაში გადაცემის შემდეგ, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ უფლებამოსილია განახორციელოს ავტომანქანის კომპანიის სახელზე გადაფორმება, მოახდინოს მისი რეალიზაცია უშუალოდ (პირდაპირი მიყიდვის გზით. გაასხვისოს მის მიერ დამოუკიდებლად შერჩეულ მესამე პირზე). დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ნომერზე: 0322 24 25 26; პატივისცემით, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“.

ბატონ ზამან ხატოევი (პ/ნ 01029014882) როგორც მოგეხსენებათ, თქვენი მხრიდან ადგილი აქვს შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ (ს/კ 405307332) მიმართ 2022-10-27 წ. დადებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება № 117174-ით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას, კერძოდ, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში არ გადაგიხდიათ მიმდინარე ფულადი ვალდებულება. ვინაიდან, თქვენ გადააცილეთ ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულებას ხელშეკრულებით განსაზღვრულზე მეტი ვადით, ხელშეკრულების საფუძველზე მოვითხოვთ დაფაროთ შპს „ტექნო კრედიტ პლიუსის“ მიმართ არსებული მიმდინარე დავალიანება ან მფლობელობაში გადმოგვცეთ შპს „ტექნო კრედიტ პლიუსის“ სასარგებლოდ გირავნობით დატვირთული თქვენს საკუთრებაში არსებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: SMART FORFOUR COUPE; სარეგისტრაციო ნომერი : SS985HS, საიდენტიფიკაციო ნომერი: WME4503321J113938, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: J2610486; იმ შემთხვევაში, თუ არ/ვერ უზრუნველყოფთ ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულებას, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ იტოვებს უფლებას, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიმართოს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საagენტოს გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნით და უზრუნველყოს დაგირავებული ავტოსატრანსპორტო საშუალების გამსესხებლის მფლობელობაში იძულებით გადაცემა ან გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ღონისძიება ან/და უფლება. ავტომანქანის გამსესხებლის მფლობელობაში გადაცემის შემდეგ, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი“ უფლებამოსილია განახორციელოს ავტომანქანის კომპანიის სახელზე გადაფორმება, მოახდინოს მისი რეალიზაცია უშუალოდ (პირდაპირი მიყიდვის გზით. გაასხვისოს მის მიერ დამოუკიდებლად შერჩეულ მესამე პირზე). დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ნომერზე: 0322 24 25 26; პატივისცემით, შპს „ტექნო კრედიტ პლიუსი.“

გაფრთხილების წერილი. ვასილ მაჭარაშვილი 21001000099. გვსურს შეგახსენოთ, რომ თქვენს სახელზე არსებული მოძრავი ქონება - BMW X5 XDRIVE 35I, გამოშვების წელი 2011, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი OO 020 OQ (HH248AA), საიდენტიფიკაციო ნომერი 5UXZV4C56CL746493: დაგირავებულია ს.ს. ლიბერთი ბანკის სასარგებლოდ გიორგი მაჭარაშვილის (21001000227) სესხის უზრუნველსაყოფად. ბანკსა და გიორგი მაჭარაშვილს შორის გაფორმებულია საკრედიტო და გირავნობის ხელშეკრულება 0610.3360738.003, რომელზეც დარღვეულია თანდართული გრაფიკით დადგენილი თანხების გადახდა. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი 14 კალენდარული დღის ვადაში არ დაფარავს მიმდინარე დავალიანებას, იძულებულნი ვიქნებით შევწყვიტოთ საკრედიტო ხელშეკრულება და მოვითხოვთ სესხის სრულად გადახდა. აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 -ე მუხლის შესაბამისად მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საagენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას მოგირავნეს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა. აქვე გატყობინებთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გირავნობის საგნის სს ლიბერთი ბანკზე გადმოცემის შემდგომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოხდება დაგირავებული ნივთის რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 2601 მუხლის შესაბამისად გირავნობის საგანი გადმოვა სს ლიბერთი ბანკის საკუთრებაში.

გაფრთხილების წერილი. გივი გიგაური 20001008522. გვსურს შეგახსენოთ, რომ თქვენს სახელზე არსებული მოძრავი ქონება bmv 530 I, გამოშვების წელი 2003, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი MN909MM (DU450UD), საიდენტიფიკაციო ნომერი WBADT63443CK35138: დაგირავებულია ს.ს. ლიბერთი ბანკის სასარგებლოდ ნუგზარ აბრამიშვილის (20001018990) სესხის უზრუნველსაყოფად. ბანკსა და ნუგზარ აბრამიშვილს შორის გაფორმებულია საკრედიტო და გირავნობის ხელშეკრულება 0127.0469062.001, რომელზეც დარღვეულია თანდართული გრაფიკით დადგენილი თანხების გადახდა. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი 14 კალენდარული დღის ვადაში არ დაფარავს მიმდინარე დავალიანებას, იძულებულნი ვიქნებით შევწყვიტოთ საკრედიტო ხელშეკრულება და მოვითხოვთ სესხის სრულად გადახდა. აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 -ე მუხლის შესაბამისად მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საagენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას მოგირავნეს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა. აქვე გატყობინებთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გირავნობის საგნის სს ლიბერთი ბანკზე გადმოცემის შემდგომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოხდება დაგირავებული ნივთის რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 2601 მუხლის შესაბამისად გირავნობის საგანი გადმოვა სს ლიბერთი ბანკის საკუთრებაში.

ქალბატონო/ ბატონო, აკაკი ჩხაბერიძეს (პ/ნ 53001042757). გაცნობებთ, რომ გოჩა ზურაბიანსა პ/ნ (53001000843) და შპს „იუნაითედ კაპიტალს“ შორის (ს/კ 405477452) 23.12.2021 წელს გაფორმდა სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება 102, რის საფუძველზეც სესხის უზრუნველსაყოფად, გირავნობის უფლებით დაიტვირთა ემ სალიას (პ/662001010679), ხოლო ამჟამად თქვენს საკუთრებაში არსებული მექანიკური ავტოსატრანსპორტო საშუალება. შპს „იუნაითედ კაპიტალსა“ და გოჩა ზურაბიანს შორის 23.12.2021 წელს გაფორმებული საკრედიტო და გირავნობის ხელშეკრულება 102-დან გამომდინარე დარღვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი 14 კალენდარული დღის ვადაში არ დაფარავს მიმდინარე დავალიანებას, იძულებულნი ვიქნებით შევწყვიტოთ საკრედიტო ხელშეკრულება და მოვითხოვთ სესხის სრულად გადახდა. აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 -ე მუხლის შესაბამისად მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების საagენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას მოგირავნეს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა. აქვე გატყობინებთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გირავნობის საგნის სს ლიბერთი ბანკზე გადმოცემის შემდგომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოხდება დაგირავებული ნივთის რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 2601 მუხლის შესაბამისად გირავნობის საგანი გადმოვა სს ლიბერთი ბანკის საკუთრებაში.

გიგა ჯიმშერაძეს (პ/ნ 12001093750) შპს „ი ბი ეი მედიაციის და არბიტრაჟის ცენტრი“ გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება. საარბიტრაჟო მოსარჩელე – სს „ბაზისბანკი“, საარბიტრაჟო მოპასუხე – გიგა ჯიმშერიძე. შპს „ი ბი ეი მედიაციის და არბიტრაჟის ცენტრი“ გატყობინებთ, რომ 2023 წლის 13 ოქტომბერს, 10:30 საათზე ჩანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა და გთავაზობთ დაესწროთ აღნიშნულ სხდომას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ 40, მეცხრე სართული

განცხადებები

მკურნალობა

ოსტეოქონდროზის, ხერხემლის თიაქრის, სმენის დაქვეითების, თავის ტკივილის, უძილობის, უსალისობის, სისუსტის, თავბრუსხვევის, ტრემორის, პარკინსონის, კუჭ-ნაწლავის, სახსრების დაავადებების, ჰორმონალური დარღვევის, უნაყოფობის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, შარდის შეუკავებლობის, წითელი ქარის, ჰეპატიტის, დიაბეტის, წყლულების, სიმსივნის, რადიკულიტის, შეუხორცებელი ჭრილობების და სხვა მრავალი დაავადების მაღალეფექტური მკურნალობა, წამლების, აპარატურის და ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. ოქტომბრის თვეში 50%-იანი ფასდაკლებით 1 ვიზიტის ღირებულება იქნება 15 ლარი. პაციენტთა მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 599 97 85 46. მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალო, ზ. ჟვანიას მოედანი, ს. კანდელაკის ქ № 2. სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევან სეხნიაშვილი.

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება: დამოკიდებულების მოხსნა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციების აღდგენა, კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება, წონის მომატება, იმუნიტეტის გაძლიერება, ქოლესტერინისგან გაწმენდა და გონებრივი შესაძლებლობების აღდგენა. შიშები, აგრესია, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, მოუსვენრობა, მუდმივი შფოთვა, უძილობა, იმპოტენცია. გაჯანსაღება გარანტირებულად, ანონიმურობით. საჭირო კვლევები უფასოა. მის: თბილისი, წერეთლის გამზირი 142. I სართული, კაბინეტი 6. ქონი: ქეთევანი. მობ. 577293741, 2340238

სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად 3-25 წლამდე მოზარდებისთვის. 3-6 სმ-ის მომატება კურსით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის და ქონდროზის დროსაც, მცენარეული ვიტამინებისა და ძვლის მკვებავი მინერალების ნაკრებით +ვარჯიშებით, ინდივიდუალური პროგრამა-დანიშნულებებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებულად. მრავალწლიანი გამოცდილებით შედეგები იდეალურია, კურსის გამორეკა შეგიძლიათ სასურველ შედეგის მისაღებად. მის: თბილისი, წერეთლის გამზირი 142. I სართული, კაბინეტი 6. ქონი: ქეთევანი. მობ. 599913765, ტელ.2340238

მამაკაცებისთვის: მხოლოდ ჩვენთან ისარგებლეთ უფასო კვლევებით და მოიგვარეთ ნებისმიერი მამაკაცური პრობლემა სწრაფად და ეფექტურად: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი (წინამდებარე ვეირკვლის ანთება), ადენომა(ავთვისებიანიც), და მისგან გამოწვეული გართულებები (გაბრიერული და უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება - შეუკავებლობა, სუსტი და გაორებული ნაკადი), ენურეზი (ბავშვებსა და მოზარდებში), ვირუსული, ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ტკივილი, ქავილი). რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა, შენარჩუნება. კენჭის დადნობა თირკმელებში უმტკივნეულოდ –წარმომქმნელი მიზეზების აღმოფხვრით. უკუშედეგების გარეშე, გარანტირებულად. მის: თბილისი, წერეთლის გამზირი 142. I სართული, კაბინეტი 6. ქონი: მარიამი. მობ. 599722148, 2475883

ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პროფილაქტიკა დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში. ტკივილების, დაჭიმულობების, დაბუჟების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრებისა. წონის დაკლებით თვეში 5-20კგმდე. წნევების დარეგულირებით. მრავალწლიანი გამოცდილებით. გარანტირებულად. მის: თბილისი,წერეთლის გამზირი 142. I სართული, კაბინეტი 6. ქონი: ქეთევანი. მობ. 599722138, ტელ: 2475883.

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს, ნაოჭებს, ლაქებს, სუფთა ბუნებრივი მალამოებით, ნიღბებით. მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს ერთი პროცედურით. მოგირჩენთ ჰაიმორიტს თუნდაც ქრონიკულს. მოვარჩენ დამწვრობას სწრაფად, ლაქებისა და ნაოჭების გარეშე, მოგაშორებთ დარჩენილ ლაქებს და ნაწიბურებს. მოგირჩენთ ნაწოლებს და დაჩირქებულ ჭრილობებს. სოკოვან დაავადებებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, არასასიამოვნო სუნს და ოფლიანობას ფეხიდან. ბუასილს, დიზბაქტერიოზს. მის: ო. ჭილაძის 166, კორპ 10. ტელ: 599 16 10 82, 593 99 62 52 ლამარა თოდუა.

ქირავდება

რუსთაველის კინოთეატრთან ფურცელაძის ქუჩაზე ოროთახიანი სტუდიოს ტიპის სუფთა ბინა ავეჯითა და ტექნიკით. ცენტრალური გათბობა და კონდიციონერი. სახინძელ ოთახს აქვს ავანი და საგარდერობო ოთახი. ვარ ბინის მეპატრონე. ფასი 500 დოლარი. დეტალებზე შეგიძლია დამიკავშირდეთ 558 495 979 ან 599 90 31 38.

თამარ მეფის გამზირზე, მაღალსართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ოროთახიანი კეთილმოწყობილი, გარემონტებული სუფთა ბინა დამოუკიდებელი სამზარეულოთი. ბინაში არის ავეჯი და საოჯახო ტექნიკა. ცხელი წყალი. ფასი 1000 ლარი. ვარ ბინის მესაკუთრე. დამიკავშირდით: 597 59 50 74 ან 599 59 50 74 დათო.

იყიდება

1000 კვმ მიწის ნაკვეთი სოფ. გლდანში, ნატუსების ქუჩაზე (ტრასიდან ორბელიანის ქუჩის შესახვევში). შეცვანილია ყველა კომუნიკაცია. ასმეტელის მეტროდან მანქანით დაახლ. 7-10 წუთის სავალზე. იყიდება მთლიანად. ფასი შეთანხმებით. ტელ: 593-17-93-98. ლერი.

სხვადასხვა

„მათ ვისაც შეიძლება ეხებოდეს / ჩემს სანოტარო ბიუროში შემოსულია განცხადება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული საagენტოდან, სადაც ითხოვენ აწ გარდაცვლილი მოქ. გურამ გიგინეიშვილის (გარდაცვლილი 2014 წლის 20 თებერვალი) საკუთრებად აღრიცხულ უძრავ ქონებაზე მდებარე ქ. თბილისში, მიხეილ ბუხაიძის ქ. №14-ში ს/კ №01.16.06.044.006.01.525, როგორც უმკვიდრო ქონებაზე, მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემას, სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირების მიზნით. თუ ვინმეს პრეტენზია გაგაჩნიათ აღნიშნულ ქონებაზე, გთხოვთ, მობრძანდეთ თბილისში, საბურთალო, მერაბ კოსტავას ქუჩა №76-ში, I სართულზე მდებარე სანოტარო ბიუროში. ნოტარიუსი ნანა ბაკურაძე.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ

მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობა ხორბლის მწარმოებლებს დაეხმარება, რადგან მსოფლიო ბაზარზე არასტაბილური მდგომარეობიდან გამომდინარე, მათ დამატებითი პრობლემები შეექმნათ. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის განმარტებით, საუბარია ფქვილზე საიმპორტო საფასურის გაზრდაზე 200-დან 250 ლარამდე (1 ტონაზე), ქატოსა და ქერზე კი ახალი საფასურის დაწესებაზე, ტონაზე 100 ლარის ოდენობით. ეს რეგულაცია 2024 წლის 1-ლ მარტამდე იმოქმედებს. მთავრობა ხაზგასმით აცხადებს, რომ ღონისძიება მიმართულია მეხორბლეების დასახმარებლად და პურის ფასი არ გაიზრდება. რა სისტემური პრობლემები აქვთ მეხორბლეებს და როგორია ეკონომისტების ხედვა ამ პრობლემასთან დაკავშირებით, ამ საკითხებზე მარცვლეულის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ ბენიაიძესა და ეკონომიკის დოქტორ ვახტანგ ჭარაიას ვესაუბრეთ.

„10 ოქტომბრიდან 1 ტონა ფქვილზე 200-დან 250 ლარამდე გაიზარდა გადასახადი, ქერსა და ქატოზე დაწესდა დამატებითი გადასახადი. საუბარია იმაზე, რომ პური არ უნდა გაძვირდეს, და შესაბამისად, ეს არ უნდა აისახოს, ასე ვთქვათ, პურის მომხმარებლის ფასზე. დაწესდა 1 კილოგრამზე 70 თეთრი, რათა ფერმერებმა ნიადაგის დამუშავება გააგრძელონ. 70 თეთრიც არ არის საკმარისი, თვითღირებულება 80 თეთრამდე დაჯდა, მაგრამ ამაზეც თანახმა ვართ, მთავარია, სწრაფად გაიყიდოს და ნიადაგის დამუშავება შეძლონ ფერმერებმა...

„ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲒᲐᲣᲧᲘᲓᲐᲕᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲐ“

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲔᲜᲘᲐᲘᲫᲔ: — იმის გამო, რომ მოწეული პროდუქცია ფერმერებმა ვერ გაყიდეს, ვეღარ ახერხებენ ნიადაგის სრულფასოვნად დამუშავებას. აგროვადები ძალიან შემჭიდროებულია და თუ დამუშავებას ვერ მოასწრებენ, ხორბალი აღარ გვექნება, ამდენი ხალხიც შემოსავლის გარეშე დარჩება.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲥᲕᲡ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘ, ᲓᲐᲣᲒᲠᲝᲕᲓᲐᲗ, ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲗ, „ᲡᲕᲘᲤᲢᲘᲓᲐᲜ“ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲗᲘᲨᲣᲚᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲒᲠᲝᲑᲐᲜᲙᲘᲪ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲐᲤᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘ. ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ ᲘᲐᲤᲐᲓ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲣᲬᲔᲕᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲐᲡ.

ჩვენთვის მთავარი პრობლემა გაუყიდავი მარცვლეულია. პრობლემაა შემოსული ხორბლის დაბალი ფასი, რომელიც ჩვენი ხორბლის თვითღირებულების ნახევარია.

— რა შეიძლება გაკეთდეს მეხორბლეების პრობლემის მოგვარებისთვის?

— მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და 10 ოქტომბრიდან 1 ტონა ფქვილზე 200-დან 250 ლარამდე გაიზარდა გადასახადი, ქერსა და ქატოზე დაწესდა დამატებითი გადასახადი და როგორც თქვეს, კიდევ გაატარებენ ღონისძიებებს იმის მიხედვით, თუ როგორ წავა პროცესი. როგორც მთავრობამ გვითხრა, საუბარია იმაზე, რომ პური არ უნდა გაძვირდეს, და შესაბამისად, ეს არ უნდა აისახოს, ასე ვთქვათ, პურის მომხმარებლის ფასზე. დაწესდა 1 კილოგრამზე 70 თეთრი, რათა ფერმერებმა ნიადაგის დამუშავება გააგრძელონ. 70 თეთრიც არ არის საკმარისი, თვითღირებულება 80 თეთრამდე დაჯდა, მაგრამ ამაზეც თანახმა ვართ, მთავარია, სწრაფად გაიყიდოს და ნიადაგის დამუშავება შეძლონ ფერმერებმა.

ერთი გადაწყვეტილებით ვერაფერი იმუშავებს, მუდმივი მონიტორინგია საჭირო, რადგან ისე სწრაფად იცვლება მოვლენები და ისეთი გაუთვალისწინებელი რაღაცები ხდება ბაზარზე, სიტუაციების მიხედვით არის საჭირო სწრაფი რეაგირება.

— სახელმწიფოს მიერ მარაგების გაკეთება იქნებოდა თუ არა თქვენთვის არაერთჯერადი გამოსავალი?

— შენახვა პრობლემა არ არის, წლობით შეიძლება. სხვა სახელმწიფოებს აქვთ სახელმწიფო მარაგები, ჩვენც გვაქვს, მაგრამ ძალიან მცირეა. ვფიქრობ, ეს წისქვილებმა უნდა გააკეთონ და შესაძლებელია სახელმწიფო ამაში დაეხმაროს. მცირე რეზერვები აქვთ, მაგრამ, გაზრდა შესაძლებელია, მე თუ მკითხავთ, აუცილებელიც.

„ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲛᲝ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲖᲠᲣᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲤᲐᲡᲗᲐ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲧᲝᲡ, ᲓᲐᲑᲐᲚᲐᲜᲡᲓᲔᲡ“

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲭᲐᲠᲐᲘᲐ: — ჩვენ ხორბლის გარკვეული რაოდენობით მწარმოებლები ვართ. მართალია, როდესაც მსოფლიო მასშტაბით მცირე მწარმოებელი ხარ, არა გაქვს ე.წ. მასშტაბის ეკონომიის შესაძლებლობა, რათა შენს ხორბალზე დაბალი ფასი დასვა, მაშინ შესაძლოა დაბალი ფასით იმპორტირებული ხორბალი გჯობნიდეს. თავისუფალი ბაზრის პირობებში ასეთი რამ ხშირად ხდება, მაგრამ ასეთი რაღაც დასაშვები და ნაკლებად მტკივნეულია არა პირველადი მოხმარებისა და სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტებზე. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაიცავს ადგილობრივ მწარმოებლებს და არა მარტო დაიცავს, არამედ განავითარებს მათ, რათა ქვეყანა ადგილობრივი წარმოებით მინიმალურად მაინც იყოს უზრუნველყოფილი. ეს შეიძლება იყოს მოხმარებული პროდუქციის თუნდაც 1/3. ეს არ არის გადამწყვეტი წილი მთლიანი მოხმარების კონტექსტში, მაგრამ თუნდაც 30% რომ გვქონდეს ეროვნული წარმოება, დიდი შეღავათი იქნებოდა ქვეყნისთვის პრობლემის შექმნის შემთხვევაში. ახლო წარსულში ვნახეთ, რომ პანდემია შეიძლება იყოს ასეთი რისკ-ფაქტორი; სამეზობლოში ომი შეიძლება იყოს ასეთი ფაქტორი, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჩვენს სასურსათო უსაფრთხოებას; შეიძლება ეს იყოს პოლიტიკური გადაწყვეტილებაც, რომელმაც შეიძლება ხელი შეგვიშალოს და ვერ მივიღოთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი პროდუქტები დროულად. ფაქტია ისიც, რომ ყოველ ჯერზე, როდესაც ეს პრობლემები დგებოდა, ხორბლისა და ხორბლის პროდუქციის დეფიციტი არ გვქონია, თუმცა ფასი ძალიან სენსიტიურია, სისტემატურად იზრდება და მათ შორის, პურზეც. შესაბამისად, თუ ფასს მაინც ვზრდით, მაშინ მნიშვნელოვანია და სწორიც იქნება, რომ ადგილობრივ წარმოებასაც შევუწყოთ ხელი.

„ᲩᲕᲔᲜ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲤᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲖᲝᲛᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲝᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ �გᲔᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗᲐᲪ“

ჩვენ ვუყურებთ მხოლოდ ფასს და თუ საქართველოში წარმოებული ხორბალი ღირს, სიტყვაზე, 100 დოლარი და იმპორტირებული ღირს 90, ხშირად გვგონია, რომ 90-დოლარიანი უფრო კონკურენტუნარიანია. როდესაც ბიზნესმენი ხარ, კი ბატონო, ნედლეულის 90 დოლარად შეძენა უკეთესია, მაგრამ ქვეყნისა და ეკონომიკის ჭრილში რომ შევხედოთ, ის 100-დოლარიანი შესაძლოა 10 დოლარით კი არის ძვირი, მაგრამ ის 10 დოლარი საბოლოოდ იმაშია გადახდილი, რომ ჩვენს ქვეყანაში იქმნება ეროვნული პროდუქცია, საქმდება საქართველოს მოქალაქე, გადასახადები მიდის ბიუჯეტში, უამრავი სხვა დარგი ხეირობს ხორბლის მოყვანით და საერთო ჯამში, გვაქვს უფრო მეტი, ვიდრე მაშინ, როდესაც 10 დოლარით იაფად შემოვიტანთ სხვა ქვეყნიდან. ამიტომ, რა თქმა უნდა, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ ფასთა სხვაობა, რომელიც შეიძლება იმპორტირებულსა და ადგილობრივს შორის იყოს, დაბალანსდეს და ეროვნული წარმოება არ გაქრეს. თუ ეროვნული წარმოება გაქრება, ჩვენ მივიღებთ ერთი წლის ჭრილში უფრო იაფ ნედლეულს საზღვარგარეთიდან, მაგრამ მრავალი წლის ჭრილში თუ გადავხედავთ, ვკარგავთ სამუშაო ადგილებს გრძელვადიანად; ვკარგავთ საბიუჯეტო შემოსავლებს გრძელვადიანად, რაც ადგილობრივი წარმოების შემთხვევაში ბევრად მეტია, ვიდრე იმპორტის შემთხვევაში; ვკარგავთ თუნდაც ამ პროდუქციის მოყვანის კომპეტენციებს; ვკარგავთ სტრატეგიულ მნიშვნელობას, მეტად დამოკიდებული ვხდებით უცხოურ ბაზარზე. შესაბამისად, ბევრი რამ დგას სასწორზე და ამიტომ მარტო ფასი არ უნდა იყოს გადამწყვეტი.

ბევრ ქვეყანაში არის ისეთი სისტემები შემოღებული, რომ თუ ადგილობრივი მწარმოებელი ნედლეულს მეორე ადგილობრივი მწარმოებლისგან ყიდულობს, მას აქვს შეღავათები. ჩვენს შემთხვევაში ასეთი შეღავათები არ მუშაობს და ბიზნესმენი იძულებულია — და მიაჩნია, რომ ასეა სწორი — იყიდოს იაფი იმპორტირებული და არა უფრო ძვირი ადგილობრივი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უფრო ძვირი ადგილობრივი ჩვენს ეკონომიკას შესაძლოა უფრო მეტს აძლევდეს, ვიდრე ის შედარებით იაფი იმპორტირებული. ამიტომაც სათანადო უწყებებმა უნდა დაითვალონ, შესაბამისი პოლიტიკა შეიმუშაონ და წარმართონ. სადაც შეღავათია საჭირო, შეღავათი მისცენ, სადაც წახალისებაა საჭირო, წაახალისონ.

მთავარია, სასურსათო, სოციალური, ეკონომიკური და საერთოდ, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის აუცილებელია გვქონდეს ჩვენი ეროვნული წარმოება და განსაკუთრებით ხორბლის. გასაგებია, რომ 100%-იან უზრუნველყოფას ვერ მოვახდენთ, მაგრამ სადღაც 30%-ც რომ იყოს და უკეთეს შემთხვევაში, თუ 50% იქნება, ეს სტაბილურობის გარანტიას მოგვცემს.

— სათანადო პოლიტიკაში კონკრეტულად რას გულისხმობთ? მხოლოდ სუბსიდირება საკმარისია?

— სუბსიდია არ არის გამოსავალი. უფრო უპრიანი იქნება, იყოს საგადასახადო შეღავათები. ასეთი რამის გაკეთებაც შეიძლება — სახელმწიფომ, მაგალითად, ჯარისთვის იყიდოს ადგილობრივი წარმოების პროდუქცია, თუ ფასებს შორის თუნდაც 10%-იანი სხვაობაა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი 10%-ით ძვირი იქნება, უპირატესობა ადგილობრივი წარმოების პროდუქციას მიანიჭოს, რადგან საბოლოოდ ეს ჩვენს ეკონომიკას მეტს შემატებს, ვიდრე უფრო იაფი იმპორტირებული.

— საგადასახადო შეღავათების დაწესება რამდენად იქნება შესაძლებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების გათვალისწინებით, მათ შორის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, რომელიც იმპორტზე ხელოვნური ბარიერების დაწესებას, ფაქტობრივად, კრძალავს?

— ზეპირად ამაზე მსჯელობა ძალიან რთულია, მაგრამ ეს შესაძლებელია. ევროკავშირი ძალიან აქტიურად იყენებს დამცავ მექანიზმებს თავისი სოფლის მეურნეობისთვის და თუ ეს ევროკავშირისთვის დაშვებულია, შესაბამისად, ჩვენთვისაც. ხშირ შემთხვევაში პრობლემა მხოლოდ ფასი კი არ არის, არამედ ხარისხი ხდება გადამწყვეტი. ხორბლის შემთხვევაში შეგვიძლია მივაქციოთ ყურადღება, თუ რა ხარისხის ხორბალი და რამდენად ადეკვატური ფორმით შემოდის, რამდენად არის უზრუნველყოფილი თუნდაც გადაზიდვის სტანდარტები და ა.შ. როცა არ კითხულობენ, შესაძლოა შემოვიდეს უფრო დაბალი ხარისხის ფქვილი ან ხორბალი, რომელიც კონკურენციაში შედის უფრო მაღალი ხარისხის ხორბალთან, რომელსაც მწარმოებელი ფიზიკურად ვერ დაადებს დაბალ ფასს და ფასის გამო არჩევანი კეთდება დაბალხარისხიან იმპორტირებულზე. ამიტომ ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია. რეგულარული შემოწმებებია საჭირო, რაც უფრო სამართლიანს გახდის ჩვენს ბაზარს.

— რამდენი წელია ევროკავშირთან ასოცირების, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების საფუძველზე მიმდინარეობს კანონმდებლობების დაახლოება. ამ მხრივ რის გაკეთება შეიძლება, რომ კანონით იყოს გარანტირებული ჩვენი ბაზრის დაცვის მექანიზმები?

— თუ ვხედავთ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტს ექმნება პრობლემა, ჩვენ გვაქვს უფლება ეს მიმართულება დავიცვათ. მაგალითად, თუ ვხედავთ, რომ ჩვენს მეღვინეობას ექმნება პრობლემა, გვაქვს ყველანაირი უფლება და შესაძლებლობა დავიცვათ მეღვინეობის დარგი. მხოლოდ იმის თქმა, რომ თავისუფალი ბაზარია და ჩვენი მეღვინეები თუ ვერ გაქაჩავენ, უნდა შეწყვიტონ საქმიანობა არ არის სწორი მიდგომა. რადგან ეს ჩვენთვის სტრატეგიული მიმართულებაა, შესაბამისად, უფლება გვაქვს ჩვენი ეროვნული წარმოება დავიცვათ, იქნება ეს, ვთქვათ, სატარიფო ბარიერებით თუ სხვა სახის შეზღუდვების დაწესებით, სუბსიდირებით ან საგადასახადო შეღავათებით. ვიცით, რომ მეღვინეობის დარგში ეს კეთდება კიდეც. ასევე შეიძლება ხორბალზეც და სხვა რამეზეც.

— ღვინის დაცვა გასაგებია, მაგრამ ხორბალსა და მსგავს დარგებზე, სადაც ჩვენი წარმოება არ არის თვითკმარი, ეს მიდგომა გამოდგება?

— სადაც არა გვაქვს 100%-ის წარმოების შესაძლებლობა, უნდა ვაწარმოოთ იმდენი, რამდენიც შეგვიძლია, ოღონდ ეს წარმოებაც არსებითი უნდა იყოს — ანუ თუ მხოლოდ 1%-ის წარმოება შეგვიძლია, ამის გამო თავის გაგიჟება არ ღირს, მაგრამ როდესაც ხორბალზეა საუბარი, რომელიც მოთხოვნის 15%-ს აკმაყოფილებს და შეგვიძლია ეს მინიმუმ გავაორმაგოთ, ასეთ სფეროს აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჩვენ ხორბალი არა მარტო ფულად განზომილებაში უნდა განვიხილოთ, არამედ გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობითაც. სავსებით მისაღებია უფრო ძვირი გადაიხადო, რათა უსაფრთხოდ იყო.

რუსა მაჩაიძე

რა იქნება ხვალ?

არის თუ არა საქართველოში ე.წ.

ამდენიმე დღის წინ პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონი. ცვლილებაზე მსჯელობა დაჩქარებული წესით ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. კანონპროექტმა საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. პოლიტიკური ოპოზიცია მას ე.წ. რუსული კანონის გაგრძელებად და გამოხატვის თავისუფლების დასამარებად მიიჩნევს, მმართველი პარტია კი კანონში ცვლილებებს სუსის 18 სექტემბერს გაკეთებული განცხადებით ასაბუთებს, რომლის მიხედვითაც საქართველოში ოქტომბერ-დეკემბერში გადატრიალება იგეგმება. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ხელისუფლების დაანონსებულ რევოლუციებზე, გადატრიალებებსა და ლამის აპოკალიფსებზე არაერთგზის გვსმენია. რატომ და რა შემთხვევაში გვაშინებს ყველა ხელისუფლება რევოლუციით, არის თუ არა საზოგადოებაში დღეს რევოლუციური მუხტი, ამ საკითხებსა და საზოგადოდ, რევოლუციების ანატომიაზე საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი ლაშა ძებისაშვილი გვესაუბრება:

— მოსალოდნელ რევოლუციაზე განცხადების გათვალისწინებით, ხელისუფლებას მართლაც ეშინია, რომ საზოგადოების ნაწილში გაჩნდება უკმაყოფილების მუხტი, რომელიც შემდგომში შეიძლება რევოლუციურ ტალღაში გადაიზარდოს, მოიცვას მთელი საზოგადოება და ხელისუფლებისთვის კატასტროფულად დამთავრდეს. არავინაა მიამიტი და ვიცით, რომ ყველა საზოგადოებაში, რომელსაც ავტორიტარული რეჟიმი უზის სათავეში, ყოველთვის არსებობს დიდი უკმაყოფილების მუხტი. ჩვენთანაც რომ ასეა, არც არის დაფარული, მაგრამ რამდენად მზადდება გადატრიალება, ამის ნაკლებად მჯერა. რევოლუციებს, როგორც წესი, თვითონ ავტორიტარული რეჟიმები იწვევენ ხოლმე თავიანთი არაადეკვატური საქციელით — როცა ყველგან საფრთხე და მოწინააღმდეგე ელანდებათ, აწესებენ შეზღუდვებს, ამკაცრებენ კანონებს, იჭერენ მოქალაქეებს და ა.შ., რაც უფრო ზრდის რეჟიმით უკმაყოფილებას, ზრდის მუხტსაც და ხდება ესკალაცია (რომლისგან გაქცევაც რეჟიმს სურს), ანუ პირიქით, თავს საფრთხეში იგდებს. როცა იციან, რომ საზოგადოებაში უკმაყოფილებაა, ნებისმიერ ხელისუფლებას სჭირდება თავისი მოქმედების ლეგიტიმაცია. ის, რომ მან გამოიყენა ძალა ან ძალისმიერი მეთოდებით „გაწმინდა“ პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი სივრცე თუ „დაწყნარა“, ყველა შემთხვევაში სჭირდება ერთგვარი გამართლება-ლეგიტიმაცია. ამიტომაც ხდება საინფორმაციო ბაზარზე ისეთი „პროდუქტების გამოგდება“, თითქოს სადღაც შეთქმულებაა, რომელსაც შიდაპოლიტიკური ძალები „აცხობენ“ გარედან ძლიერი დამხმარეებით. წესით, არც ერთი რევოლუცია არ არის შედეგიანი, თუ საზოგადოებაში ამის პოტენციალი და მზადყოფნა არ არის. რაც უნდა ამზადოთ და ატრენინგოთ რევოლუციონერები, გამოიყენოთ ასობით რევოლუციონერი, თუ ხალხი არ არის შინაგანად მზად და მასში მუხტი არ არის, ბუნებრივია, ტრენინგი თუ სამზადისი ნაყოფს ვერ გამოიღებს. ამავე დროს, შეიძლება ხელისუფლების ერთი არასწორი ნაბიჯი გახდეს ნაპერწკალი იმ დიდი ხანძრის, რასაც მერე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ამბოხი, ან რევოლუცია მოჰყვება. ჩემი გადმოსახედიდან, ჩვენ გვაქვს ასეთი სიტუაცია — ხელისუფლება გრძნობს საზოგადოების უკმაყოფილებას და ის წინმსწრებად ემზადება.

— სერბების საქმეც ე.წ. გამოგდებული პროდუქტია?

— ნებისმიერ დემოკრატიაში ადამიანს სრული უფლება აქვს ჩაატაროს ტრენინგი იმაზე, თუ როგორ შეიძლება საპროტესტო პროცესების მართვა ან საპროტესტო პოლიტიკის გატარება, პოლიტიკური კოორდინირება და სხვა. ეს საპროტესტო მასების მართვის ჩვეულებრივი საკითხია. ბუნებრივია, ასეთი ტრენინგების დროს არავინ ამბობს, რომ ხელისუფლება უნდა დაემხოს, ეს ალეგორიულიც არის, მაგრამ, როგორც წესი, ასეთი ტრენინგების დაუწერელი ამოცანაა ხელისუფლების იძულება, რომ მან ადეკვატური ნაბიჯები გადადგას, წავიდეს დათმობაზე ან მოუსმინოს ხალხს. ძალისმიერი მეთოდებით რევოლუციის მოსაწყობად, მით უმეტეს, ხელისუფლების გადასაგდებად, სულ სხვა მეთოდები არსებობს, ეს ტრენინგების გავლას არ საჭიროებს.

„რევოლუციების პირველი ავტორები თავად ის რეჟიმები არიან, რომელთაც რევოლუცია სპობს. ისინი თვითონ არიან დიდწილად დამნაშავეები, რომ რევოლუცია ხდება – ასე იყო ყოველთვის. ეს კი ხდება იმ შემთხვევებში, როცა ზედა ფენები ვეღარ მართავენ და ქვედა ფენებს აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება. ეს მარტივი ფორმულაა. ამ დროს ორი ფაქტორი უნდა დაემთხვეს: მმართველი რეჟიმის მიერ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარების აღქმის არაადეკვატურობა და 2. საზოგადოებაში პროტესტის მუხტი, რომელიც შეიძლება იმ მომენტში რევოლუციის გამოსაწვევად არ იყოს საკმარისი, მაგრამ ხელისუფლების არაადეკვატურობაა ხოლმე ის მთავარი „ინგრედიენტი“, რომელსაც ეს მუხტი რევოლუციურ ტალღამდე მიჰყავს

— სუს-ს თუ აქვს იმის მტკიცებულებები, რომ დესტაბილიზაცია და სამოქალაქო არეულობა იგეგმება, წესით, უნდა წარმოადგინოს. გამოძიებისგან რას ელით?

— უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოში ძალოვანმა სტრუქტურებმა, განსაკუთრებით მათ, ვისაც ქვეყნის შიდაუსაფრთხოება ევალება, კარგა ხანია დაკარგეს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის სტატუსი. ეს უწყებები ყველა ხელისუფლების დროს (განსაკუთრებით წინა ხელისუფლების) პოლიტიკური პარტიისა და მთავრობის მარჯვენა ხელია, ასრულებენ პოლიტიკურ დაკვეთას მაშინ, როცა პოლიტიკურად აბსოლუტურად ნეიტრალური უნდა იყვნენ და მოქმედებდნენ ეროვნული, სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად. სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ არის. ჩვენს ძალოვან სტრუქტურებში ძალიან ბევრია კვალიფიციური და პატრიოტი თანამშრომელი, მაგრამ როგორც ინსტიტუცია, არ ასრულებს იმას, რაც კონსტიტუციით ევალება, ის პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებლად გადაიქცა და ასეთ შემთხვევაში მის კეთილსინდისიერებასა და გამოძიებაში ბევრს ექნება ეჭვის შეტანის უფლება.

— ხელისუფლებამ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის დაჩქარებული წესით მიღებაც დაანონსებული რევოლუციის თავიდან აცილებით დააასაბუთა. ევროკავშირის სტატუსის მოლოდინში მსგავსი კანონის მიღება იქნება თუ არა საქართველოს ევროინტეგრაციისთვის დამაბრკოლებელი?

— რა თქმა უნდა, ეს არის ნაწილი იმ პრევენციული ღონისძიებებისა, რასაც ხელისუფლება მიმართავს, რათა მაქსიმალურად შეზღუდოს პროტესტის ტალღა, თავიდანვე აღკვეთოს და საზოგადოებაში გააჩინოს შიში, ხომ ხედავთ, ყველაფერს ვაკეთებ, რომ არ დავუშვათ სიტუაციის კონტროლიდან გამოსვლაო. ამავე დროს ეს საზოგადოებისთვის მკაცრად თითის დაქნევაა, რომ არაფერი გაბედოს და თუ გაბედავს, რეაგირება იქნება. ახლა აბსოლუტურად არარელევანტურია, დაიდგმება თუ არა კარავი სავალ ნაწილზე, პატარა იქნება ის თუ დიდი და სხვა. დღეს, როცა ეს შეზღუდვები არ არის ამოქმედებული, აქციაზე ცარიელი ფურცლებით მდგომ მოქალაქეებს აკავებენ, ადმინისტრაციულ სასჯელს უწესებენ და წარმოიდგინეთ, როცა სასჯელი გამკაცრდება და ვინმე თუ კარვით დააპირებს მისვლას, ამას მთავრობის როგორი რეაგირება მოჰყვება.

 აშკარაა, ხელისუფლება გადადის უფრო მეტ რეპრესიულ ფორმატში და სურს ეს სამართლებრივადაც „გაიპრავოს“. ამიტომაც დაჩქარებული წესით შეიტანა ეს კანონი. ჩემი აზრით, ეს არის მკაფიო სიგნალი, რომ ხელისუფლება უფრო ავტორიტარული ხდება, უკან არ დაიხევს, რაც საზოგადოებისთვის კიდევ უფრო მეტი მოტივაციის მიმცემი უნდა იყოს გაერთიანებისთვის.

მან მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს, რომ ასეთი ნაბიჯები აბსოლუტურად მიუღებელია და მზად იქნება ამას თავისი ერთიანობა დაუპირისპიროს. ავტორიტარულ საზოგადოებას აქვს ერთი ძალიან ცუდი თვისება — ბუნებრივი ინერტულობის გამო გვიან რეაგირებს, მით უმეტეს, ისეთი საზოგადოება, რომელიც პოლიტიკურად არ არის ჩამოყალიბებული (ანუ ჩვენი). ავტორიტარული რეჟიმი მცოცავი სამართლებრივი ნორმებით თანდათან ზღუდავს საზოგადოებას და ერთ მშვენიერ დღეს საზოგადოება, რომელმაც თავის დროზე რეაგირება არ ან ვერ მოახდინა, იღვიძებს უკვე ტოტალიტარულ, შეზღუდულ, დახურულ საზოგადოებაში. ავტორიტარულ რეჟიმს ახასიათებს საზოგადოების ე.წ. მცოცავი ოკუპაცია, ხელისუფლება პოლიტიკური და საზოგადოებრივი სივრცის სრულ ოკუპირებას ახდენს — „აგენტების შესახებ“ კანონი იქნება ეს, მანიფესტაციებისა და კარვების შეზღუდვა თუ სხვა რამ. ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ მანამდე თვალსა და ხელს შუა ადმინისტრაციული კანონის გამკაცრება შემოგვაპარეს (ადრე თუ მოქალაქე 500 ლარით ჯარიმდებოდა, ახლა 2000-ით) ვერც გავიგეთ, ისე. ბუნებრივია, ასეთი ნაბიჯები სრულიად მიუღებელია. ეს კანონი უკან გადადგმული ნაბიჯია და ევროკავშირმა ეს შეიძლება შეაფასოს როგორც 12 პუნქტის პირდაპირი ტორპედირება (იქ არის რამდენიმე პუნქტი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას ეხება).

— რატომ არის ყველა ხელისუფლება კარვებზე „აცრილი“ — თითქმის ყველა ებრძოდა, ისინიც, ვინც კარვებით მოდიოდნენ სათავეში. თუმცა ისიც გვახსოვს, მსგავსი შეზღუდვები უკუეფექტს იწვევდა ხოლმე საზოგადოებაში...

— ამით „ოცნება“ უპირველესად საკუთარ თავს აყენებს დარტყმას, მათ შორის მორალურსაც. ხელისუფლებას, რომელიც პროტესტის ტალღით მოვიდა და რომელსაც ჰქონდა ეს ფუფუნება, ეწინააღმდეგებოდა ძალადობას საზოგადოებაზე და შეზღუდვებს, განსაკუთრებით სააკაშვილის ხელისუფლების ბოლო წლებში (და რომელიც საბოლოოდ მართლა ავტორიტარულ რეჟიმად ჩამოყალიბდა) და როცა სრულიად იდენტურ ნაბიჯებს დგამს, ორმაგად მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე წინა ხელისუფლებას. მან თუ შეცდომა დაუშვა და შენ იმავეს სჩადიხარ, ეს ნიშნავს, რომ წინაზე ორჯერ უარესი ხარ — იცი, რომ შეცდომა დაუშვა და შენ, ამის მცოდნე, იმავეს იმეორებ. ეს უკვე შეცდომა აღარაა, მიზანმიმართული ქმედებაა, ესაა სწორედ ავტორიტარული რეჟიმების დამახასიათებელი — ისინი თავის გადარჩენის რეჟიმში გადადიან. რადგან ხალხის მხარდაჭერა შესუსტდა, ერთადერთი გზა რჩება — ძალოვანი მეთოდები და ძალოვანი სტრუქტურების გამოყენებით საზოგადოებასთან ურთიერთობის გამკაცრება. ეს არის ის გზა, რაც ბოლო 30 წლის განმავლობაში გამოიარა როგორც კომუნისტურმა ხელისუფლებამ, ასევე შევარდნაძის თუ სააკაშვილის ხელისუფლებებმა. გვიხილავს ისეთი რეჟიმები, რომელთა სისასტიკეს ანალოგი არ მოეძებნება (სადამ ჰუსეინის, მუამარ კადაფის, ჩაუშესკუს), მაგრამ საბოლოოდ დამხობილან. ასეთი ხელისუფლება მორალურად კარგავს სახესა და ლეგიტიმაციას.

რაც უფრო ხალხის საწინააღმდეგო არაადეკვატურ ნაბიჯებს გადადგამს, მით უფრო დაკარგავს მორალურ სახეს, რაც არის გარანტირებული საფუძველი იმისა, რომ პოლიტიკურ ძალაუფლებასაც დაკარგავს.

— ყველა ხელისუფლება რევოლუციური სცენარებით გვაშინებდა და გვაშინებს, რაც

რევოლუციის საფრთხე



ერთგვარი დაუსრულებელი დრამატურგიაა... როდის ამბობს ხელისუფლება, „რევოლუცია მოდისო“, როცა თავადაა შეშინებული? რა განსხვავებაა ხელისუფლებების გამოგონილ რევოლუციებს შორის?

— ბუნებრივია, ნებისმიერ ხელისუფლებას, რომელსაც ჰყავს პოლიტიკური ოპოზიცია, უნდა ჰქონდეს შიში იმისა, რომ ის ოდესღაც დაკარგავს ძალაუფლებას, ოდესმე მოუწევს პოლიტიკურ ოპოზიციაში გადასვლა — ეს აქსიომაა. თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ ნებისმიერი ოპოზიცია მან რევოლუციონერად მონათლოს და გამოიყენოს ძალისმიერი ნაბიჯები. თუ ხელისუფლება სახალხო და პოლიტიკურ პროტესტს ან ოპოზიციას რევოლუციონერს, რევოლუციის მოსურნეს უწოდებს, რაც რეალურად ასე არ არის, მერე არაადეკვატურ ძალას იყენებს და ანადგურებს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს (ავტორიტარულ და ტოტალიტარულ რეჟიმებს ასეთი ლოგიკა აქვთ). ჩვენს შემთხვევაში საინტერესოა, რომ დაბალი პოლიტიკური კულტურის გამო პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ხელისუფლებაში ან ოპოზიციაში არიან, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ფოკუსში უყურებენ — ანუ ხარ ხელისუფლებაში, ყველაფერი გაქვს და ხარ ყველაფერი, ან არა ხარ და კარგავ ყველაფერს და, როგორც წესი, ციხეში მიდიხარ ან ქვეყნიდან უნდა გაიქცე. სამწუხაროდ, საქართველოში ეს ძალიან დაბალი პოლიტიკური კულტურისა და პოლიტიკური ინსტიტუტების არარსებობის შედეგია. ეს შიში ერთიორად იზრდება მაშინ, როცა ხელისუფლება მოსულია არსაიდან, რომელიც თავის დროზე არაფერს წარმოადგენდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა იმ ძალად, რომელმაც მთლიანად შთანთქა სახელმწიფო ინსტიტუტები.

როგორც ლუდოვიკო XIV-ს აქვს ნათქვამი, „სახელმწიფო ვარ მე“, „ქართულ ოცნებას“ ახლა შეუძლია თქვას, „საქართველო და საქართველოს ინსტიტუტები ვართ ჩვენ“.

ხელისუფლება, რომელსაც უზურპირებული და მონოპოლიზებული აქვს სახელმწიფო ინსტიტუტები, არ სარგებლობს მაღალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მხარდაჭერით და, ბუნებრივია, ჩაფლულია კორუფციაში — ყველა ის წამყვანი პოლიტიკური ფიგურა, რომლებიც ადრე არაფერს წარმოადგენდნენ, დღეს ხელისუფლებას წარმოადგენს და რაც გააჩნიათ, მხოლოდ თანამდებობის შედეგად აქვთ. ბუნებრივია, ხელისუფლებაში მათი არყოფნა ნიშნავს, რომ ისინი კარგავენ როგორც პოლიტიკურ, ასევე ყველა იმ პრივილეგიას, რაც მათ ამასობაში მოიპოვეს.

ერთი მხრივ, მათ სხვანაირად არ შეეძლოთ გაეკეთებინათ იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ არ იყო მწყობრი პოლიტიკური ორგანიზაცია მკაფიო იდეოლოგიით, ჩამოყალიბებული პარტიული ინტერესით, სტრუქტურით, შიდაპარტიული დემოკრატიით და ა.შ. ეს იყო ერთი პირის გარშემო გაერთიანებული კონგლომერატი, რომელსაც მხოლოდ ერთი ინტერესი ჰქონდა — „ნაციონალური მოძრაობა“ გაეშვა ხელისუფლებიდან, რასაც მიაღწია, მაგრამ საბოლოოდ „ოცნება“ რადაც ჩამოყალიბდა, ამას ვხედავთ.

ამ ხელისუფლების პრობლემა ისაა, რომ რაც მეტი დრო გადის, უფრო შეერწყა სახელმწიფო ინსტიტუტებს. მათ უკვე ვეღარ წარმოუდგენიათ პოლიტიკურ ოპოზიციაში ყოფნა, რადგან იციან, ხელისუფლებაში ყოფნის დროს იმდენი ნეგატიური რამ აქვთ ნამოქმედარი, მათი უსაფრთხოდ ყოფნის ერთადერთ გარანტიას მხოლოდ ხელისუფლება წარმოადგენს.

გამოგონილ რევოლუციებს შორის განსხვავება მარტივია — ერთი, რომ დღეს სრულიად განსხვავებული გეოპოლიტიკური ვითარებაა. 90-იანი წლებიდან ჩვენი ვექტორი ყოველთვის მკაფიოდ პროდასავლური იყო და ძირითად საფრთხეს რუსეთი წარმოადგენდა, ანუ ნებისმიერი გადატრიალების მცდელობა, სამხედრო თუ სამოქალაქო დაპირისპირება ყოველთვის და ობიექტურად რუსეთის ჩართულობას უკავშირდებოდა. დღეს აბსოლუტურად შეტრიალებულია ეს ბრალდებები — ხელისუფლება რევოლუციის მოწყობასა და გადატრიალებაში ადანაშაულებს იმ დასავლეთს, ვისი ნაწილიც გვინდა გავხდეთ. საქართველოს ხელისუფლებას კარგა ხანია ახასიათებს ზედაპირული და ფორმალური მედასავლეთეობა — საქართველოს ხელისუფლება აშკარად და თამამად ვერ ამბობს უარს დასავლეთზე, რადგან იცის, რომ ყველანაირი გამოკითხვით საქართველოს მოსახლეობის 90% მხარს უჭერს დასავლეთში ინტეგრაციას. მან იცის, რომ ამის აღიარება საბოლოოდ გამოიწვევს ნეგატიურ პროცესებს. ეს არის ის ერთადერთი საკითხი, რაზეც ის ვერ იტყვის უარს. ამავე დროს, მან აირჩია პოლიტიკა, როცა ფორმალურად, მხოლოდ ქაღალდზე აცხადებს თანხმობას ევროკავშირზე, 12 პუნქტზე... რეალურ პოლიტიკაში კეთდება ის, რაც ანტიდასავლურს უკავშირდება.

— რევოლუციას მუხტი სჭირდება. დღეს ხედავთ ამ მუხტს საზოგადოებაში და რა დროს და რა ვითარებაში აღმოცენდება ხოლმე?

— მუხტი ყოველთვის შეიძლება გაჩნდეს და ძალიან სწრაფადაც მოხდეს მისი ესკალაცია. ჩვენ არასდროს ვიცით, რა იქნება ის საკითხი, რომელიც ჩვენს ნერვს შეეხება. ადრე, პირობითად, ეს იყო გავრილოვის სავარძელში ჩაჯდომა — მარტო ამ ინფორმაციამ 20 ათასი კაცი გამოიყვანა ქუჩაში. შემდგომ, როცა უკრაინაში ომი დაიწყო, რამდენიმე დღის განმავლობაში ვხედავდით, რომ 50-60 ათასამდე კაცი გამოდიოდა სოლიდარობისა და ევროკავშირში გაწევრების სურვილის გამოსახატად. ვნახეთ მარტის მოვლენებიც, როცა რამდენიმე დღის განმავლობაში ხალხი ჯიუტად მოდიოდა, აქცია ვერ დაშალეს და საბოლოოდ ხელისუფლება მიხვდა, რაც მეტად გამოიყენებდა პოლიციას, მით უფრო ორგანიზებულად დახვდებოდა ხალხი მეორე დღეს. ასე რომ, საზოგადოებაში ყოველთვის არის გარკვეული დოზით მუხტი, რომელიც რაღაც მომენტში რაღაც ფაქტორიდან გამომდინარე შეიძლება დიდი უკმაყოფილების ტალღად იქცეს. რევოლუციების პირველი ავტორები თავად ის რეჟიმები არიან, რომელთაც რევოლუცია სპობს. ისინი თვითონ არიან დიდწილად დამნაშავეები, რომ რევოლუცია ხდება — ასე იყო ყოველთვის. ეს კი ხდება იმ შემთხვევებში, როცა ზედა ფენები ვეღარ მართავენ და ქვედა ფენებს აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება. ეს მარტივი ფორმულაა. ამ დროს ორი ფაქტორი უნდა დაემთხვეს: მმართველი რეჟიმის მიერ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარების აღქმის არაადეკვატურობა და 2. საზოგადოებაში პროტესტის მუხტი, რომელიც შეიძლება იმ მომენტში რევოლუციის გამოსაწვევად არ იყოს საკმარისი, მაგრამ ხელისუფლების არაადეკვატურობაა ხოლმე ის მთავარი „ინგრედიენტი“, რომელსაც ეს მუხტი რევოლუციურ ტალღამდე მიჰყავს.

ნანა ფიცხელაური

„ჩვენ აქციების მუდმივი თანაავტორები ან მხარდამჭერები ვართ და თავს არანაირ შეზღუდვას არ დავუწესებთ“

2 ოქტომბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმად, გარკვეული ძალები საქართველოში „რევოლუციური სცენარის“ განსათამაშებლად ემზადებიან. სუს-ის ინფორმაციით, 26-29 სექტემბერს USAID-ის დაფინანსებითა და „კანვას საქართველოს“ ორგანიზებით ჩატარებულ ტრენინგზე მიმდინარეობდა „საპროტესტო მუხტის წარმოქმნის მეთოდიკისა და ძალადობრივი აქციების ჩატარების ტაქტიკის სწავლება“. როგორც სუს-ი აცხადებს, ტრენინგებს ატარებდნენ სერბი ტრენერები, სინისა სიკმანი, იელენა სტოისიჩი და სლობოდან ჯინოვიჩი, რომლებიც, უწყების განმარტებით, დაკავშირებული არიან 2003 წელს საქართველოში განვითარებულ რევოლუციურ მოვლენებთან. სუს-ის ინფორმაციით, ამ პირების საქართველოში ჩამოსვლის გაცხადებული მიზეზი იყო კულტურის სფეროში მომუშავე ჯგუფებისთვის ტრენინგების ჩატარება, სახელწოდებით „სტრატეგიული არაძალადობრივი ბრძოლა“, თუმცა როგორც სუს-ი აცხადებს, „ვიზიტის რეალური დანიშნულება იმ ახალგაზრდებსა და გავლენიან არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის დამყარება იყო, რომლებიც საქართველოში მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაგეგმილი დესტრუქციული მოქმედებებისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ბირთვი უნდა გახდნენ“.

„როცა გეუბნებიან, მოღალატე ხარ, ქვეყნის გადატრიალება გინდაო, რაღაც არგუმენტი, საბუთი ხომ უნდა გქონდეს? დიდი ალბათობით, საკონსტიტუციო სასამართლოში წავიღებ საქმეს...“

სერბი ტრენერები სუს-ის გამომძიებლებმა გამოჰკითხეს... გამოკითხვაზე ასევე დაიბარა „კანვას საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ნინო გოგიბერიძე და ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიორგი მელაძე.

გიორგი მელაძე: „დაკითხვის დროს ვერ ვიტყვი, რომ ზეწოლა იყო, ჩემთვის თვითონ პროცესია მთლიანად ზეწოლა. გაუთქმელობის აქტზე ხელი არ მომიწერია, ამას აზრი არც აქვს, გაუთქმელობის ვალდებულებას მაინც გაკისრებენ. მაგრამ მაინც არ მოვაწერე, რადგან მინდა საქმე გავასაჩივრო. გაუთქმელობის ვალდებულებას ვიღებ, როგორც დროებით მოცემულობას, გასაჩივრებამდე. მანამდე კი შემიძლია ჩემი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ — იქ ისეთი თემები ირჩეოდა, რაც თავისუფალ საზოგადოებაში უნდა ირჩეოდეს. თქვენც უნდა შეშფოთდეთ, ჟურნალისტი ხართ და შეიძლება ერთ დღეს ვიღაცამ დაგიბაროთ და გკითხოთ, „დარწმუნებული ხარ, რომ კრიტიკული უნდა იყო? ამით საზოგადოებას გონებას ხომ არ ურევ?“ ამ ქვეყანაში კონსტიტუციურ წესრიგს წყალი შეუდგა...

„რაც ახლა ხდება, ეს პოლიტიკური დევნაა“

— თქვენი აზრით, რას უკავშირდება სუს-ის დაანონსებული რევოლუცია?

— შეიძლება რაღაცის გადაფარვაც სურთ, მაგალითად, ფარცხალაძის საქმის. შეიძლება სტატუსზეც იყოს საუბარი. ხომ ხედავთ, პრესკონფერენციებზე რას ამბობენ, ჩვენ ვემზადებით არეულობისთვის, რომელსაც სტატუსის არმოცემის შემთხვევაში გეგმავენო, და მერე ჩვენ გვადებენ ხელს.

— რას აპირებთ?

— ფაქტობრივად, მე ანტიკონსტიტუციური ქმედება მომაკერეს. როცა გეუბნებიან, მოღალატე ხარ, ქვეყნის გადატრიალება გინდაო, რაღაც არგუმენტი, საბუთი ხომ უნდა გქონდეს? დიდი ალბათობით, საკონსტიტუციო სასამართლოში წავიღებ საქმეს. რაც შეეხება, „კანვასს“, ის გააგრძელებს თავის საქმეს. კვლევებსაც გავაგრძელებთ. ჩვენს საქმიანობაში დანაშაულებრივი არაფერია. რაც შეეხება აქციებს, ჩვენ მუდმივი თანაავტორები ვართ ან მხარდამჭერები და თავს არანაირ შეზღუდვას არ დავუწესებთ. ჩვენი ორგანიზაციის მიზანია არაძალადობრივი სტრატეგიული სამოქალაქო კამპანიების შესახებ ცოდნის გავრცელება. ჩვენ ვეხმარებით აქტიურ ადამიანებს, რათა გაიაზრონ, თუ რა სურთ, როგორ აპირებენ ამის მიღწევას, რა მოხდება, თუ, მაგალითად, მათი პირველი ნაბიჯები არ იქნება წარმატებული, როგორ დაგეგმონ შემდეგი ნაბიჯები და ა.შ.

— რა მიზანს ემსახურებოდა ტრენინგზე შეკრებილ კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან გესაუბრათ რევოლუციაზე, ბულდოზერით პარლამენტის შენობის აღებაზე...

— დავიწყებ იმით, რომ ტექსტები კონტექსტიდან ამოჭრილია. ხანდახან შესაძლოა მარტო თეორია არ იყოს გასაგები და საჭირო იყოს მაგალითის მოყვანა. ჩვენი ლექციები ემყარება მეცნიერ ჯინ შარპის გამოკვლევებს. მას შესწავლილი აქვს სხვადასხვა სამოქალაქო მოძრაობა და გამოიტანა დასკვნები, რომელთა ამოსავალი წერტილია ოპონენტების ერთმანეთთან ურთიერთობის რეჟიმი. ის ამბობს, რომ არის შემთხვევა, როდესაც ვიღაც პირველივე თქმაზე გეთანხმება, ხოლო არის შემთხვევა, როდესაც პრინციპულად არ გეთანხმება, მაგრამ ცოტა ძალისხმევის შედეგად წამოგყვება. მესამეა იძულების რეჟიმი — არ უნდა, მაგრამ აიძულებ და გააკეთებინებ, მაგალითად, 7-9 მარტის აქციებზე ვაიძულეთ მთავრობა და მან უკან წაიღო „რუსული კანონი“. არის მეოთხე რეჟიმიც, როდესაც სახელმწიფო იმდენად გასულია მოლაპარაკების საზღვრის მიღმა, რომ არ აინტერესებს ხალხთან ურთიერთობა. ამ შემთხვევაში შეიძლება ძალიან ცუდი განვითარება მოჰყვეს ამ ყველაფერს და ინსტიტუტები ჩამოიშალოს. ჩვენ ყველა შეხვედრაზე ვცდილობთ ახსნას, რომ მთავარია შევქმნათ რეჟიმი, რომელშიც ყოველთვის იქნება დიალოგის შესაძლებლობა.

— აშშ-ის საელჩომ და USAID-მა როგორც თქვენს ორგანიზაციას, ასევე ჩატარებულ ტრენინგს მხარდაჭერა გამოუცხადეს.

— ყველას დიდი მადლობა და ძალიან ვწუხვართ, თუ ჩვენი სახელით მანიპულირებამ ვინმეს ზიანი მიაყენა. ჩვენ ისეთს არაფერს ვაკეთებთ, რაც რეპუტაციას შეგვილახავს ჩვენ ან ნებისმიერ ჩვენს პარტნიორს. ყველაფერი კანონის ფარგლებშია, რაც ახლა ხდება, ეს პოლიტიკური დევნაა.

სოფო კაჭარავა

მსოფლიოს უდიდესი ყვავილების აღლუმი

„ბლუმენკორსოზე“ გამოტანილი ყოველი ფიგურა უამრავი ყვავილით არის შექმნილი

ყვავილების აღლუმის ყოველწლიურად გამართვის ტრადიცია მსოფლიოში სულ ოცამდე ქვეყანაში არსებობს. ზოგ ქვეყანას ყვავილების აღლუმების ჩატარების საუკუნეზე მეტი ხნის ტრადიციაც კი აქვს, ოღონდ იუნესკოს მიერ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეტანილია მხოლოდ ერთი ქვეყნის — ნიდერლანდების „ყვავილების აღლუმის კულტურა“. ცხადია, ეს გასაკვირი არავისთვის არ არის. ამ აღლუმს ჰქვია „ბლუმენკორსო“ (Bloemencorso), რაც ჰოლანდიურად „ყვავილების მსვლელობას“ ნიშნავს და ის ნიდერლანდების ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ღონისძიებად ითვლება.

აღლუმების დროს ნავების, კარჭაპებისა თუ ტივების ყვავილებით ლამაზად მორთვის ტრადიცია ნიდერლანდებსა და ახლო რეგიონში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გაჩნდა. ამიტომ დღეს „ბლუმენკორსო“, ნიდერლანდების გარდა, მეზობელ ბელგიაშიც იმართება მცირე მასშტაბით... მოგვიანებით აღლუმებზე, მცურავი საშუალებების გარდა, დაიწყეს ავტომობილებისა და სხვა ტრანსპორტის, კოსტიუმირებული ადამიანების, მარშების შემსრულებელი მუსიკოსების, ცხოველების, სხვადასხვა ნივთისა და აღლუმების სხვა მონაწილეთა ყვავილებით მორთვა ან მთლიანად დაფარვა.

აღსანიშნავია, რომ „ბლუმენკორსოს“ გარდა, მსოფლიოში უდიდესი ყვავილების აღლუმების სამეულში შედის კალიფორნიის ქალაქ პასადენის გრანდიოზული „ვარდების აღლუმი“, რომელიც 1890 წლიდან იმართება; აგრეთვე ტრადიციული „ყვავილების ბრძოლა“ ბრიტანეთის კუნძულ ჯერზიზე, რომელიც 1902 წელს დააარსა ინგლისის მეფე ედუარდ VII-მ თავის ინაუგურაციასთან დაკავშირებით.

„ბლუმენკორსოს“ ყოველწლიურად ახალი თემა აქვს და შესაბამისად, სხვადასხვაგვარი მხატვრული ხასიათი. ნიდერლანდებში ის ტარდება 23 სოფელსა და ქალაქში, ხოლო ბელგიაში — 4 სოფელსა და ქალაქში. ნიდერლანდების იმ ქალაქებს შორის, სადაც „ბლუმენკორსო“ იმართება, ყველაზე დიდი ალსმერი და ნორდვეიკია. განსაკუთრებით გამორჩეულია თვალისმომჭრელი სანახაობებით ქალაქი ალსმერი. ამ ქალაქში „ბლუმენკორსოს“ 1948 წელს ჩაეყარა საფუძველი, საერთოდ კი აღლუმის გამართვა ნიდერლანდების სოფლებსა და ქალაქებში სხვადასხვა დროს დაიწყეს.

იმ უამრავი ტურისტიდან, ვინც ნიდერლანდებში ყოველწლიურად ჩადის, ბევრია ისეთი, ვინც „ბლუმენკორსოს“ ტრადიციულად სტუმრობს. მათ შორის ისეთებიც არიან, ვინც ამგვარ აღლუმებს მთელ მსოფლიოში „დასდევს“. ცნობისთვის: მომდევნო „ბლუმენკორსო“ 2024 წლის 24 აპრილს გაიმართება.

რამაზ გურგენიძე

ვინსენტ ვან გოგი „ბლუმენკორსოზე“ (2015 წ.)

საკვირველი ჟურნალ „ჯარუსელიდან“

ჯარუსელი

უფრო მეტი სკანვორდი, ჯროსვორდი, თავსატეხი და საინტერესო ამბები იხილეთ შემეცნებითი - გასართობ ჟურნალში

თარაზულად: 5. წერილი, უსტარი; 6. თურქი ჯარისკაცი; 7. ქართველი მსახიობი ... კახიანი; 10. ფარული დაცინვა; 13. სტენდალის „პარმის ...“; 14. დიდი ციმბირული ირემი; 15. მულტიპლიკაცია; 17. ზევსის მერიქიფე; 18. ირლანდიის არმია; 19. მოუხარშავ-შეუწვავი; 20. ვისიმე ან რისამე დაცვა, გამართლება, შექება; 23. ყველაზე მსხვილი, მახრჩობელა გველი; 26. მონადირე ძაღლის ჯიში; 27. საექსპონატო დაფა; 30. 60-იანი წლების ცეკვა; 32. ფრთოსანი მერანი; 34. სასახლე იტალიაში; 35. ციური სხეულის ორბიტის უმაღლესი წერტილი.

შვეულად: 1. ებრაული სარიტუალო ხმიადი; 2. მინის სასმისი; 3. ქართველი მომღერალი ... ბრეგვაძე; 4. მუშაობის საზომი ერთეული; 8. ჰოლივუდის მსახიობი კიანუ ...; 9. მიცვალებულის დატირება; 11. ბრინჯაო; 12. ფრანგი მსახიობი ფილიპ ... („ძველი თოფი“); 16. ღვთის სადიდებელი შეძახილი; 17. შტრიხებით ხატვა; 21. ბულგაკოვი „... და მარგარიტა“; 22. ჟანგმიწა; 24. ხეიბარი; 25. პაროდიის თეატრის მსახიობი ... გელაშვილი; 28. მსახიობი და პოეტი ... გომელაური; 29. ... უინფრი; 31. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი (აბრევიატურა); 33. ბედი.

წინა ნომრის ჯროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. მახათა; 5. ლუთერი; 8. ვარაზი; 9. კითარა; 10. ბოსნია; 11. სპურტი; 12. ინალიფა; 16. კაფია; 17. მისის; 18. ირინე; 19. ამაგი; 21. უბირი; 24. ატამი; 27. მატერია; 29. კოდალა; 30. არაბია; 31. ბეკინა; 32. „ივერია“; 33. ლამაზი; 34. ალემაო.

შვეულად: 2. ანაკონდა; 3. ანამნეზი; 4. არიმანი; 5. ლაკოსტა; 6. თეთნულდი; 7. რარიტეტი; 13. ნავიგაცია; 14. ლოსი; 15. ფალერისტი; 20. არვე; 22. ბარონესა; 23. „რომა“; 25. ტინა; 26. მედიცინა; 27. მთავარი; 28. აფალინა.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი
გიორგი თევდორაშვილი

გამომშვები რედაქტორი
გიორგი კვიტაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები:
ლია იაკობაშვილი; ნათია გორდელაძე
სარედაქციო კოლეგია

მის.: იოსებიძის ქ. №49
ტელ.: რედაქცია: 238-98-88 რეკლამა: 237-78-07
ფაქსი: 238-98-88

contact@kvirispalitra.ge
www.kvirispalitra.ge
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

კოლორ ჯგუფი
დაიგეჭდა სტამბა კოლორში

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე:
www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 38 26 73; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი
2 19 60 13; 2 19 60 53
ან მოგვწერეთ: 91110